ISSN 0132-6023

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ცისკარი

7

1980

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ცისკარი

278

7

ივლისი
1980
თბილისი

საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობა

ლიტერატურულ-მხატვრული და საზოგადოებრივ-პოლიტიკური ჟურნალი

საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტისა და მწერალთა კავშირის ორგანო

ეროვნული ბიბლიოთეკა

შინაარსი

პოეზია, პროზა

3. ხუტა ბაგუა — ლექსები
7. ჯემალ ქირია — მარადი მხედარი. რომანი. გაგრძელება
47. მურად ნებიერიძე — ლექსები
49. სოსო მაჭარაშვილი — ლექსები
50. ლერი ბარათელი — თოვლიანი დღე. მოთხრობა
60. ოთარ მამფორია — ლექსები
63. მერაბ მიხელიძე — ინტერნატში მომხდარი ამბავი. მოთხრობა.
70. დილარ ივარდავა — ლექსები
74. რევაზ დანელია — ლექსები
80. ნოდარ შამანაძე — ლექსები
82. მანანა ზაზიკაშვილი — ფიროსმანი. ლექსი

ახალი სახელები

83. რევაზ ჯაფარიძე — წინათქმა
84. ვიოლა კანკია — მოთხრობები
92. მერაბ კერვალიშვილი — ბონდო. მოთხრობა

წერილები

105. ზურაბ ასათიანი — სათავეებთან. დასასრული
131. გიზო ზარნაძე — „ვისაც სიმაღლე სჭირდება ჩემი!“..
135. პაატა ფირანიშვილი — ილია ჭავჭავაძე და ირლანდიის ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა

დიადი მემკვიდრეობა

141. ალექსანდრ პუშკინი — წერილები. თარგმნა რუსუდან ქებულაძემ

ხელოვნება

148. ეკატერინე გაჩეჩილაძე — რადიშ თორდია
151. ანა კლდიაშვილი — ბელა ბერძენიშვილი

ოლიმპიადა — 80

154. შალვა ქირია — სამი ოქროს ნახტომი
159. კულტურული ცხოვრების ქრონიკა

მთავარი რედაქტორი
მორის ფოცხიშვილი

სარედაქციო კოლეგია:

**ჭაბუა ამირეჯიბი,
გივი გეგეჭკორი,
ზურაბ გვერდწითელი,
რისმაგ გორდეზიანი,
გიორგი გუბლია,
ნოდარ დუმბაძე,
მერაბ ელიოზიშვილი,
იოსებ ორჯონიკიძე,
ედუარდ მენაბდე,**

მთავარი რედაქტორის მოადგილე
ოტია პაჭკორია,

**ზურაბ ფანჯიკიძე,
ნუგზარ შატაიძე,
ჯანსუღ ჩარკვიანი,
გივი ძნელაძე,
ნუგზარ წერეთელი,
თამაზ წივწივაძე,
ტარიელ ჭანტურია,
რეზო ჭეიშვილი.**

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ხუტა ბაგუა

წინაპრის გენი

მე მინდა ისე გავლიო დღენი,
გულზე არავის დავაწვე ბინდად;
კაცისგან? კაი სალამი მინდა.
ვამაყობ ჩემი წინაპრის გენით.

ვკითხულობ ვაჟას, მიტაცებს ტვენი.
ლოგინში ვიწვენ და ვართობ შვილებს,
და ამის შემდეგ მე ვფურცლავ
შილერს.
ვამაყობ ჩემი წინაპრის გენით.

ნუ კიცხავთ ბავშვებს. სიკეთე
ჰქენით —
ერთხელ მიმიშვით დახლთან
ურიგოდ.
ტკბილი ნუგები ჩამოვურიგო.
ვამაყობ ჩემი წინაპრის გენით.

უსიტყვოდ, როგორც იტანენ ხენი
ზამთრის სიცივეს, — მეც ისე ვიტან
ტკივილებს — თქვენი სიმშვიდე
მინდა.
ვამაყობ ჩემი წინაპრის გენით.

ვინ მოაგელვა ჭიშკართან ცხენი?!.
მე მახსენდება ნათქვამი მამის:
ისიც ღვთისაა — სტუმარი ღამის.
ვამაყობ ჩემი წინაპრის გენით.

სამშობლოვ! მე ვერ აგიწერ ენით,
როგორ გდარაჯობ — ყოველი
ძარღვით
შენს გალავანთან დაბმული ძაღლი.
ვამაყობ ჩემი წინაპრის გენით.

●

წკრიალით ცვივა
ცრემლის წვეთები,
რაც ქვეყანაზე დავრჩით ცალ-ცალკე.
მხოლოდ იმიტომ, რომ აწაკწაკებს.
ზამთარი კბილებს,
და მახსენდები.

თოვლი მიგია,
თოვლი მახურავს.
ხსნა თუა — შენი ღიმილი მიხსნის
და სითბო შენი მხურვალე სისხლის.
მერე — მიგულე
ერთგულ მსახურად.

თურმე მაშინაც.
როდესაც ვკარგავთ,
ვიძენთ რაღაცა ნათელს და წმინდას.
მე ასე ვფიქრობ, მე ასე მინდა,
თუმც არ ვარ ბრიყვი
და ვიცი კარგად:

ვის უგალობენ
შენი ჩიტები.
ვის ართობს მათი ნაზი არია...
ეს თოვლი შენთვის მაცივარია
და გამიხსენებ,
თუ დაგჭირდები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხანგრძლივი ზამთარი

მესამე თვეა,
ზამთარზე ვწერ,
ჩემთან არც ჯინა, არც ირაკლია:
ყოველდღე შენი სითბო მაკლია,
ყოველდღე შენი მაკლია მზე.

მესამე თვეა,
ზამთარზე ვწერ.
ვის რად სჭირდება ჩემი ნაწერი,
აქ არც შხელდაა, არც
მყინვარწვერი —
მხოლოდ ტრამალი — თავს ველარ
ვწევ.
ავწევ და —
ხეზე ყორანი ზის.

ზვერავს გარემოს, თეთრად
შეღებილს.
მამის საფლავის ლოდის შეხებით
თუ გავითბობდი მე ახლა სისხლს...

მესანე თვეა,
ქაღალდებს ვწვავ.
მესამე თვეა,
შუქი მინთია:
შეადღეა და — უკვე ბინდია,
ლაჟვარდოვანო ქართულო ცავ.

ყოველდღე შენი მაკლია მზე,
ყოველდღე შენი სითბო მაკლია:
ჩემთან არც ჯინა, არც ირაკლია.
გაუთავებელ ზამთარზე ვწერ.

გაზაფხული მოსულა

ჭადრის ხეთა თბილისურო შარიშურო, კვლავ,
გაზაფხული მოსულა და, რას მიშვრები — მკლავ?!
განა შენ არ ჩამჩურჩულე: — ქარს მივანდობ ფრთებს,
უსათუოდ მოვფრინდები, გადმოვლახავ მთებს,
რომც დამჭირდეს ორი კვირა, თუნდა ორი თვეც,
ახლა შენი თბილი სუნთქვა ერთ სიცოცხლედ ღირს —
უშველებელ ამ ქალაქში დევად მაქცევს მღილს.
მაგრამ, არა, მაპატიე, იყავ, სადაც ხარ,
მალე თვითონ გესტუმრები — დღეს თუ არა, ხვალ.
მართალია, ღიად ვტოვებ ფანჯრებსა და კარს,
მშობლიურო, გევედრები, არ გამოცდე მტკვარს:
ვაი, იქნებ მისამართი შეეშალოს ქარს...

მადლობის ლექსი

მადლობა ყველას, ვინც უზომო
დამდეთ პატივი;
მამის სურათი ვისაც ხელში
გეპყრათ ხატივით
და შეთხელებულ ჭირისუფლებს
და პროცესიას
წინ მიუძღოდით, როგორც ძველი
ადათ-წესია.
მადლობა, ვისაც გაქცევაზე
გეჭირათ თვალი;
ვინც პატიოსნად მოიხადეთ
კაცური ვალი.

იცოცხლეთ დიდხანს, კიდევ ას წელს
ნუ დაბერდებით!..
დავმარხეთ მამა, დავაყარეთ
გულზე ბელტები.
მორჩა. გათავდა. მუსაიფით,
ჭრელი ჭორებით
ნელ-ნელა ყველა გაიკრიფა.
მოწყნარდა ქუჩაც..
ჩემი ირაკლი, ჩემი ბიჭი
დგას მოშორებით
რაღაც მიხვედრით შემცბარი და
მზირალი ქუშად.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ყველა სულელის და ყველა ბრძენის
ბოლო ერთია: ადამის ძენი
ბალახებს ჰგვანან — ადრე თუ გვიან
იცელებიან დროჟამის ცელით.

მეც კაცი ვიყავ და, ყოვლის მოწმე,
ბალახად ვიქეც და შევკრთი: წელი
არცკი გასულა — თავს მადგა მოძმე
თვალისმომჭრელად პრიალა ცელით.

შორს — გამოჰქონდათ კუბო
ეზოდან, —
და თუმც ყვიროდა სიმართლე
მკაცრი,
ჩემს თავზე უფრო ის შემეცოდა —
ცელმოქნეული საბრალო კაცი.

სასაფლაოზე

ჩაგსაფრებია თვალებში შიში,
ეს დღეც გათენდა შავად.
სხეული ყვირის — მიწა ვარ მხოლოდ,
სული ცახცახებს — ცა ვარ.

ეგ არაფერი. შენ ის იკითხე,
მოასვენებენ ვისაც...
ვინც აქ თავისი ფეხით მოვიდა,
თავისი ფეხით წავა.

გამოთხოვება

ივანეს

თუმც აიფარა ხელები პირზე, —
იყვირა კაცმა და გამალებით
შეახტა ვაგონს, ჩამოხტა ისევ,
ვეღარ ასწია სველი თვალები...

მაინც აღსრულდა, უფრთხოდა
რასაც —
მოესმა ყორნის ჩხავილი ავი,
ომში მიმავალ მეომრის მსგავსად
როცა ფანჯრიდან გამოყო თავი:

შემკრთალ თვალებში ამოიკითხა,
რასაც ამჩნევდა ღმერთიც
ზემოდან —
ომი იყო თუ წარღვნა, — იქიდან
ის ვერასოდეს დაბრუნდებოდა.

საბედისწერო ეს იყო სწორედ,
ვიღაც აქრობდა იმედის სანთელს...
და გასცქეროდა ივანა შორეთს
ცოდვილი — მაინც მართალი ცამდე.

და გადმოჩქეფდა ცრემლი რუებად,
და შემოდგომის დღე უქარებო
ხუჭავდა თვალებს — გამოყრუებულ
დედაბერივით დუმდა გარემო.

თვალს მიეფარა ბოლო ვაგონიც —
თითქოს იყო და არა იყო რა —
სულ რაღაც ორი კვირით ნაქონი
ბედნიერება თან გაიყოლა.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ᲣᲪᲜᲝᲑᲘ

არაფერი ისეთი
არ მომხდარა იმ დღეს:
გამაჩერეთ ქუჩაში —
რა დროაო? — მკითხეთ.

— სამისნახევარია.
— ზუსტი არის?
— ზუსტი.
— ოცდახუთი წუთია.
მერვე ნომერს ვუცდი...

ავტობუსის კიბეზე
როცა ფეხი შედგით,
მადლობაო, — მითხარით.
გაიხარეთ-მეთქი.

მერე — მგონი თვალებით
მეც რაღაცა გკითხეთ...
არაფერი ისეთი
არ მომხდარა იმ დღეს.

მაინც ჩამრჩა ხსოვნაში
ის აგვისტო ცხელი:
ავტობუსი დაიძრა —
დამიქნიეთ ხელი.

●

ქათქათა, როგორც
კედელი ტაძრის,
მზეს ეთხოვება ზამთარი, ელამს.
ფანჯრის ჩარჩოში მინდორი
ელავს —
ხელუხლებელი
ქაღალდის ასლი.

ჩამოუყრიათ
ბუჩქებს ყურები.
თოვლს ვაცქერდები დაბეჯითებით,
ამოვიკითხო, ვინძლო, ჩიტების
ორიოდ პწკარი
ნაფეხურები,

რომ მერე, ბედმა
თუ მიწყალობა,
სული შთავბერო გათოშილ
ფურცლებს,
რომელსაც სითბოს შემატებს უცებ
ჭრელი ჩიტების
ნაზი გალობა.

მაგრამ არც ქარი,
აღარც სიო ფრენს,
აღარც იმ ქალის ვამჩნევ ნაკვალევს,
ხელს რომ მიქნევდა... და
მაკანკალებს
დაუწერელი
ფურცლის სიობლე.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ჯემალ ქირია

რომანი

ჯზრაგ

უბიწო, პირველყოფილმა სიწყნარემ გამოაღვიძა. მშრალ ნეშოში ჩათბუნებული ვერ მიხვდა, სად იმყოფებოდა, როგორ აღმოჩნდა ამ სიბნელეში. ფიქრს დევნიდა, მაგრამ ძალაუნებურად ებადებოდა აზრი. ფრთხილად მოაფათურა ხელი. ვიწრო ხვრელში გაათია ღამე, ნეშო კი ტყეში მოაგროვა. თითებით ყოველმხრივ მშრალ თიხას აწყდებოდა... გასასვლელში წუხელ ლოდი ამოაფარა. ახლა გადასწია. ცივი ჰაერი შემოვარდა, საყელოში შეუძვრა, გააჟრჟოლა. ნეშოში უფრო ღრმად ჩაეფლო. ასე იწვა და იყურებოდა ბნელი ტყით მოსილ ხევში.

მდუმარებაში გამოიკვეთა ფლეიტის ხმასავით წმინდა, სუსტი წკანწკარი. ხეობის ძირში მცირე წყარო იკრებდა ძალას.

არ იცოდა, რა დრო იყო, არც აინტერესებდა. ოდესმე ხომ გათენდებოდა. ღამეს სიმშვიდე მოჰქონდა, დღეს რა უნდა მოეტანა, გარდა ბიწიერი საქმეებისა.

ხან ეჩვენებოდა, რომ ჩაეძინა. ეს წყნარი სიბნელე სიზმარში იყო მხოლოდ.

მშვიდი სიმყუდროვე თვით სულში შემოჭრილიყო, გაეთავისუფლებინა ყოველივე წარმავალისაგან. ასე უსასრულოდ შეიძლებოდა არსებობა. დრო სრულიად გაჩერდა. ის კი ამ გაჩერებულ დროში ეკიდა. არ არსებობდა რამე, რასაც შეეძლო შეეშფოთებინა მის სულში მიძინებული ქიმერები; განიცდიდა მხოლოდ ნეტარებას, უზომო ტკბილ მოდუნებას, როცა ერთი კუნთიც არ ირხევა, ერთი აზრიც არ გაფაჩუნდება.

მზეჭაბუკ ბედიამ იპოვა თავისი სამყარო, ვიწრო და ბნელი ხვრელი, სადაც ვერ აღწევდა ვერაფერი გარე არსებული.

სადღაც ტოტებში გაიწკვიტინა უხილავმა ჩიტმა. შეფრთხიალდა. ალბათ იგრძნო, ღამე ტყდებოდა.

ბინდში თანდათან გამოისახა უცნაურად აფუებული, დაგორგლილი ურჩხულები, ტოტებგაბარჯღული ქმნილებანი, რომლებიც შესეოდნენ თვალ-

---

გაგრძელება. დასაწყისი იხ. „ცისკარი“ № 3, 4, 5, 6.

საწიერს, თითქოს დინოზავრების უჩინარი აჩრდილები ყელებს ღადრავდნენ ერთმანეთს.

კვლავ შეაყრყოლა. სუსტ ნიავს შემოდგომის ტყის ნესტით შეჯერებული სუნთქვა მოჰქონდა, სურნელება ნეშომპალისა, გამხმარი ყვავილებისა, გადაბერებული ხილისა და კენკრისა, ყვითელი ფოთლებისა, დაკორძებული ხეებისა... ერთად შეზავებულნი უჩვეულო, მაცოცხლებელ სურნელს ავლენდნენ, ოღონდ ისე ჭირდა ცალკეული მათგანის გამოყოფა, როგორც არამუსიკოსს უჭირს სიმფონიური კონცერტის დროს ცალკეული ინსტრუმენტის გამორჩევა.

მზეჭაბუკ ბედიამ ღრმად ჩაისუნთქა. ფილტვები სუფთა, გრილი ჰაერით აევსო. ის ცოცხალი იყო და ესეც კმაროდა. ბუნება მისგან არ მოითხოვდა მოწამეობრივ ცხოვრებას, სინდისის ქენჯნას, სულისა და სხეულის გვემას. აჰა, ჰაერი, ეუბნებოდა ხეობა, ამიერიდან მისი სამფლობელო, აჰა, წყაროს სუფთა წყალი, აჰა, ხილი... დღისით მზე და ღამით ვარსკვლავები... მეტი რა გინდა, მეტს რას მოითხოვ?

გმადლობთ, ესეც ბევრია... ძალიან მდიდარი ვარ, — პასუხობდა მზეჭაბუკ ბედია.

მართლაც მეტი რაღა უნდოდა?

სიბნელე თანდათან იცრიცებოდა. გამოეპარა ის წამი, როცა ხვრელის პირას დაკვრანჩხული, ბებერი მუხა გამოიკვეთა.

შესჭახჭახა ჩიტმა, გათენება იზეიმა...

მოპირდაპირე თხემმა გადაკვეთა ცა კიდიდან კიდემდე. ტყე სავარცხელივით იდგა თხემის თავზე, სათუთად ვარცხნიდა მზის ჟანგისფერ სხივებს, რომელიც ცას მოჰკიდებოდა და ხეობის ყველა კუნჭულში იჭყიტებოდა.

მერე ამოგორდა თავად მზე, გავარვარებულმა ბორბალმა გაირბინა თხემზე. მიღმა კი, ზეცის კიდეზე ვერცხლისფრად აბრიალა თოვლიანი მწვერვალები.

მზეჭაბუკ ბედია ფორთხვით გამოძვრა ხვრელიდან და მკლავები ტკაცუნით გაშალა.

●

პირველად მარჯვენა კედელს ჩაასო ნაჯახი. თიხა რბილი იყო, ადვილად იფშვნებოდა. მუშაობა მაინც გაუძნელდა. მწოლიარეს უნდა ეთხარა, თიხა სახეზე ეყრებოდა. მთელი საათი ჩიჩქნიდა, მერე პერანგის კალთით გარეთ გაიტანა. საქმე ნელა მიიწევდა, არც ეჩქარებოდა სადმე.

დღეში სამჯერ ჭამდა. ხელისგულისოდენა პურის ნატეხს, ციცქნა ყველს. ხევში ჩაფრინდებოდა ყლუპი წყლის დასალევად ან ფიჩხს დაამტვრევდა და ცეცხლს შეუკეთებდა შემოსასვლელთან. თუ არადა, იწვა და ჩიჩქნიდა.

ტყუპისცალი დღეები წაეწყო ერთმანეთს. ზეცა დილიდან საღამომდე მოქურუშებული იყო, ჟინჟღლავდა. იშვიათად თუ გამოიხედავდა მზე. ორთქლი დაეკიდებოდა ტყეზე, ნისლის ხაფიფი პირბადე ეფინებოდა ხეთა კენწეროებს. აბოლქვდებოდა მთელი ხეობა. გული გაუნათდებოდა მზეჭაბუკ ბედიას, მზეს მიეფიცხებოდა. დიდხანს არ გასტანდა ნეტარება. ისევ მოიღუშებოდა ცა, წამოვიდოდა თქეში, აღრიალდებოდა ხევში მღვრიე ნაკადული. მერე კი მთელი დღე ჟინჟღლავდა და ჟინჟღლავდა.

ერთი კვირის შემდეგ ქვაბში შეიძლებოდა მუხლებზე წამოჩოქება, ერთი თვის შემდეგ კი ფეხზე დგებოდა...

თვეც გათავდა და ქვას წააწყდა. მორღვეულ მიწაში იდო. მთელი დღე ეჯაჯგურა, ვერ ამოიღო. გაოფლიანებული, დაღლილი, გაბოროტებული ნეშოში ჩაძვრა და მკვდარივით ჩაეძინა.

დილის სიცივემ გამოაღვიძა. კერიაზე ცეცხლი ჩაფერფლილიყო. ლოდის ამოღება კვლავ დაიწყებოდა. გარეთ წვიმა ასხამდა. ალბათ ადამიდან მეორედ მოსვლამდე სულ უნდა ეწვიმა. მოქურუშებული ზეცა, წყლით გაჟი-

ქინებული მიწა და ხე, ნესტით გაჯერებული ჰაერი სევდით უვსებდა გულს.

საუზმე არ გახსენებია, არც ცეცხლის დანთება. სინათლემ შემოაღწია თუ არა, ქვასთან გაჩნდა. ძალას არ ატანდა. ცოტცოტაობით აცლიდა მიწას, აშიშვლებდა. საათი საათს აედევნა, ბოლო კი ვერ მოუნახა.

შიმშილმა თავისი გაიტანა. წყაროზე ჩასვლა დაეზარა. ფოთლებში ჩაგუბებული ყლუპი წყალი დალია, პურის ლუკმა მოიტეხა და ისევ ქვას მიუბრუნდა. მეორე მხარე შემოჩიჩქნა... მოულოდნელად ჩამობნელდა. ვერც კი მიხვდა, რატომ დაღამდა ასე სწრაფად.

დაღლილობისაგან არაქათგამოლეულს ჩაეძინა.

მესამე და მეოთხე დღეც ქვასთან ჭიდილში გაატარა... საოცრად შეიცვალა. ციებიანს დაემსგავსა. ლოყები ჩაუცვივდა, სახეზე სიყვითლე მოედო, ღონე მოაკლდა. ვერც მოერეოდა, რომ ჩამოვარდნილიყო. მაინც ეჯაჯგურებოდა. ნაჩიჩქნი თიხა აღარ გაჰქონდა, ფეხქვეშ დაუგროვდა. უცეცხლობამ ნესტი გააბატონა, ქვაბის კედლები დილდილობით ორთვილით იფარებოდა. მთელი ღამე სიცივისაგან ძაგძაგებდა და ველარ ხვდებოდა, რა დაემართა.

მეხუთე დღეს გონს მოეგო. ქვას თავი მიანება. პურის ნატეხი შეჭამა, წყაროზე ჩაფრინდა და ჭუჭყი ჩამოიბანა. გამოცოცხლდა, გახალისდა, ხეობის თავისაკენ გაქროლდა.

ფოთლები დასცვენოდა ტყეს. ბებერი წაბლი და მუხა, იფანი და თელა ასდევჰდა დამრეც კალთებს. ყვითელვარდისფერ ფოთლებს დაეფარა მიწა, მაღლიდან ძვირფას ხალიჩას მიაგავდა.

ტყის თავზე მიფრინავდა მზეჭაბუკ ბედია. თავს არიდებდა ტოტებს და კენწეროებს. მარტოობის განცდით გულსავსე იყო, რადგან მის გარდა ძეხორციელი არსად ჭაჭანებდა.

ბუჩქებში შველი გამოკრთა. მარტო იდგა და ნეკერს წიწკნიდა. გვერდებზე მოყვითალო ზოლები აჩნდა. სვე[illegible]წვი წვიმას გადაეგლისა, ტანი უთრთოდა.

მზეჭაბუკ ბედიას გულში სითბო ჩაებუდა. მოუფიქრებლად დაეშვა ძირს, სურდა მოფერებოდა, მკერდში ჩაეხუტებინა ნაზი არსება.

დამფრთხალი ცხოველი განზე გახტა, თავდაუზოგავად მოკურცხლა ფერდობის გასწვრივ. მზეჭაბუკ ბედია ხალისით მიჰყვა. ასე მიჰქროდნენ გვერდიგვერდ დაწყვილებულნი. ყრმის სული ლტაცებით ივსებოდა. იგი ბუნების შვილი იყო, იგი იყო თვით ბუნება, ვითარცა წმინდა შველი.

უცებ გათავდა სერი, ბოლო მოეღლვია უფსკრულს. მის ფსკერზე დაკბილული ლოდები ეყარა.

ჰაერში ასრიალდა მზეჭაბუკ ბედია, შველმა კი ერთი საცოდავად შეჰკვნესა პატარა ბავშვივით და გადაეშვა... თვალი დახუჭა ყრმამ, სისხლი გაეყინა, გულგამეხებული ვერ ბედავდა დაეხედა თავისი ნამოქმედარისათვის. სახეზე ხელებაფარებული ირწეოდა უფსკრულის თავზე, მერმე შებრუნდა და საცხოვრისს მიაშურა...

ორი-სამი დღე თითიც არ გაუნძრევია. დილიდან საღამომდე გორაობდა. საკუთარ თავთან ლაპარაკს დაეჩვია, ოღონდ უმნიშვნელო რამეებზე. ლანძღავდა ამინდს, ცას, მიწას, ღმერთს და ეშმაკს. ცდილობდა მეხსიერებიდან ამოეგდო დამფრთხალი ცხოველის ჩვენება. ყურს იცობდა, რადგან ყურში ჩაესმოდა მისი განწირული პეტელი... ხანდახან პურს მოიტეხავდა და უგულოდ ღეჭავდა. მიწაზე დაცვენილ ნამცეცებს სათითაოდ იღებდა, ღიღხანს უბერავდა სულს, ვითომ მტვერს აცლიდა, და პირში იგდებდა. ნელ-ნელა ამტვრევდა ფიჩხს, ნაკვერცხლებზე ყრიდა. სხვა დროს გასუსული იწვა, ნიკაპი მკლავზე დაეყრდნო და ხეობას გაჰყურებდა. ვერაფერს ხედავდა, გარ-

და უხმო წინწკლებისა, ციდან უწყვეტად რომ იცრებოდა.

ერთხელაც ფიჩხი დაელია, ცეცხლი ჩაიფერფლა. იძულებული გახდა, გარეთ გამოსულიყო. ფრენა არ ეწადა. ხოხვა-ხოხვით დაძვრებოდა დაქანებულ ფერდობებზე, ქარისა და მეხის მიერ მომტვრეულ ტოტებს აგროვებდა.

იმდენი დააზვავა, დიდხანს ეყოფოდა.

გიზგიზა, ბრდღვიალა ცეცხლი დაანთო. ნესტი და სიბნელე განდევნა ცეცხლმა, სითბომ და მყუდროებამ დაისადგურა.

გამხიარულდა. მუშა წაბლი შეჰყარა ნაკვერცხლებში. ტკაცატკუცი ატეხა წაბლმა. ყრმა ხელში აბურთავებდა და სულს უბერავდა.

დაწოლის წინ, როცა ნეშო გაასწორა, თვალი ჰკიდა ქვას. სულში რაღაც აუწრიალდა, მოთმინება დაეკარგა და კვლავ დაეჯაჯგურა. ძვრა ვერ უყო. უკვე დაბლაგვებული ნაჯახით მიუჯდა. თხრიდა ჯიუტად, ფიცხად. მტკავლისოდენა მიწას მოთხრიდა და იმწამსვე ეტაკებოდა. ცდილობდა ჩამოეგდო. ქვა კი, ეტყობა, ღრმად იდო. ისევ დაავლებდა ხელს ნაჯახს, ისევ თხრიდა და ეჯაჯგურებოდა.

გვიანი ღამე დადგა. ვერ გამოერკვია, რა დრო იყო. იქნებ გათენდა კიდეც, ისევ დაღამდა. იქნებ ბევრჯერ გათენდა და დაღამდა. მზეჭაბუკ ბედიის ყველაფერი დაავიწყდა, გარდა მიწაში ჩაფლული ლოდისა.

მოულოდნელად შეინძრა ლოდი, ვით ამოსაგდები კბილი. სიხარულის ყიჟინა აღმოხდა მზეჭაბუკ ბედიას. ყოველი ოგი შეუთრთოლდა სხეულში. მოიკრიბა უკანასკნელი ღონე, თლილ ლოდს ჩამოეკიდა.

წამოვიდა... წამოვიდა...

მზეჭაბუკ ბედია განზე გახტა, რათა ქვეშ არ მოჰყოლოდა.

ლოდი ჩამოცურდა, წვერზე ჩამოჯდა, აუჩქარებლად გადმოყირავდა. ცეცხლის შუქზე ხუთ ასოს ჰკიდა თვალი ყრმამ და ეს ასოები გადმობრუნებულმა ლოდმა ქვეშ მოიყოლა.

ისეთი ხმა გამოსცა, თითქოს მიწისძვრა ყოფილიყოს. წვრილი ნაპრალებით დაიძარღვა ქვაბის კედლები და ჭერი. ფხვიერი მიწა ცვიოდა ნაღვევში და თანდათან ავსებდა.

ლოდის გადმობრუნება მოინდომა. ვერას გახდა. ჯოხი შემოათრია, ბერკეტად დააყენა. ლოდი ოდნავადაც არ შექანებულა.

დაღლილობისაგან სახსრები სტკიოდა, წელში ვერ გაიმართა. ასე მოკაკული მიცოცდა და ცეცხლის პირას ჩამოჯდა.

კვნესოდა და ფერფლში ჩხირით ხატავდა სასაცილო ტიკინებს. შეეცადა მეხსიერებაში აღედგინა ის წარწერა. თვალწინ წარმოუდგა ლოდის გადმობრუნების დროს გაელვებული ხუთი ასო და ფერფლზე დახატა. ႿႢႰႠႢ.

„ჯგრაგ!.. ჯგრაგ!.. ჯგრაგ!..“ — გუნებაში რამდენიმეჯერ გაიმეორა ეს უცნაური სიტყვა. არც არასოდეს გაეგონა იგი.

ნეშოზე გაწვა და უმალვე ჩაეძინა...

●

არ იქნა და არ გათენდა. გრძნობდა, გარე სამყაროში რაღაც შეიცვალა. შეეჩვია წვიმას, ნესტს. ეზარებოდა ნეშოს ლოგინიდან წამოდგომა, გარეთ გამოხედვა. იძულებული გახდებოდა, ახალ ვითარებას შეჰგუებოდა.

შესასვლელთან მიჩოჩდა. უმოქმედობა აძაბუნებდა. მრავალი საათის განმავლობაში შეეძლო ჩუმად წოლილიყო, თითქოს ლეთარგიულ ძილში ყოფილიყოს. კუნთებს თანდათან ეკარგებოდა სიმკვრივე. სახეზე დააჩნდა პირველი წვრილი ნაოჭები, მისი ასაკისათვის ნაადრევი.

ქვა რომ გამოსწია, ხვრელში ცივმა ჰაერმა ფუმფულა ფიფქი შემოიტანა და მინავლებულ ფერფლში ჩააგდო.

მზეჭაბუკ ბედიამ ნაკვერცხლები ამოქექა, ფიჩხი მიაყარა.

კვამლისაგან თვალი დაევსო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქვა ბოლომდე გადმოაგორა და თავი გარეთ გაჰყო.

ბარდნიდა. მუშტისტოლა ფიფქები ტრიალ-ტრიალით ჩამოდიოდა ციდან. შარიშურით ეფინებოდა ხეობას.

ათიოდ ნაბიჯზე არაფერი ჩანდა.

მიწაზე ღრმა თოვლი დაედო. ტოტებზე თოვლის გუნდები ახუხულავებულიყო, ბუჩქებს კი უზარმაზარი თეთრი ქუდები ზედ ცხვირზე ჩამოეფხატა.

გასაოცარი სიმშვიდე სუფევდა, რასაც ცეცხლში ჩაგდებული ფიჩხის ტკაცატკუცი არღვევდა მხოლოდ.

დათოვლილ მიწაზე ფეხი არ დაუკრავს, ისე გაეხვია ფაფუკ ფიფქებში. ქარის მიერ წაღებულ ფთილასავით მიჰქროდა ცაზე. ფიფქი უხვად ეყრებოდა ყოველი მხრიდან, უძვრებოდა ნესტოში, პირში, თვალებში, საყელოში... უცაცუნებდა ლოყებზე, შიშველ მკერდზე.

წამიერი სიხარული ეწვია. თამაშ-თამაშ დაჰქროდა. ხან ზურგზე გადაბრუნდებოდა, ხან თავდაღმა, ხან ზევით ავარდებოდა, კვლავ დაბლა ეშვებოდა. მისხმარტალებდა, როგორც ჭორომზე ალმა მოცურავე კალმახი. არაფერი ახსოვდა, გარდა თამაშისა ფიფქებთან, რომელთა მიღმა არც ცა ჩანდა, არც მიწა.

გვიან გაახსენდა. რომ გზა დაკარგა. ვერ გაერკვია, სად იყო „ზევით" და სად „ქვევით". ფიფქები ყოველი მხრიდან მოფარფატებდა მისკენ და არსაიდან სხვა არაფერი ჩანდა.

გაუარა ბავშვურმა სიანცემ, დადინჯდა, სწრაფად დაეშვა, საკუთარ სიმძიმეს მიენდო. კარგად ვერ გამოზომა, ფაფუკ თოვლში ჩავარდა. მიწა ეგონა, მაგრამ თოვლი მოირღვა და სადღაც ქვევით მოადინა ზღართანი. უზარმაზარი ფიჭვის კენწეროზე ჩამომჯდარიყო.

არ ახსოვდა ეს ფიჭვი, ადგილი ვერ იცნო.

შეცივდა. სველი ტანსაცმელი ტანზე ეკვროდა.

ხან ერთ მხარეს გაქანდა, ხან მეორეს. ტყის თავზე დაფრინავდა. ერთ მთლიან გორგალს მიაგავდა თოვლით დაფარული ტყე, უფრო კი რეცხვისაგან დაფლეთილ ზეწარს, რომელსაც აქა-იქ ტიტველი ხეები შავ ლაქებად დასჩენოდა.

მთის ფერდობს წააწყდა, თეთრი კედელივით აღმართულიყო და ფიფქები ზედ აწყდებოდა. იქნებ გაღმა სერი იყო, ან გამოღმა, ან სულაც სხვა.

სერს დაუყვა გასწვრივ, ბოლო ვერ იპოვა.

მოწყინდა უგზოუკვლოდ ხეტიალი. დაიღალა, გაითოშა, მოშივდა.

უკვე არ ახარებდა ეს ბნელი სითეთრე, ვერასოდეს გაიგნებდა აქედან გზას.

დიდხანს მიფრინავდა ალმა, ფიფქების საპირისპიროდ.

სულ უფრო და უფრო ვიწროვდებოდა თვალსაწიერი, იზღუდებოდა თეთრი სივრცე; ვიღაცამ თეთრ სფეროში ჩასვა ალბათ და მასთან ერთად ჩაამწყვდია ფიფქები — თეთრი პეპლები. ზის ახლა ეს გიგანტი მთის წვეროზე და ერთობა მზეჭაბუკ ბედის ტანჯვით.

ღრუბლები და ფიფქები ერთმანეთში აირია. აქ ცოცხლდებოდა ფიფქი, ოღონდ გათოშილ ყრმას უკვე არაფერი აინტერესებდა.

უცბად ამოიჭრა ღრუბლებზე მაღლა და მზის ცივი სხივები შემოეფრქვია...

მზე დაბლა იდგა. თითქოს სულ ახლახან გათენდა, მაგრამ უკვე დასალიერში ჩაგორებულიყო. სპილენძისფერი საჰაერო ბურთივით მიტივტივებდა ღრუბელთა უკიდეგანო ოკეანეზე. იძირებოდა და მთელ სივრცეზე ღრუბლების უსწორმასწორო ზედაპირი გაიპო სისხლისფერი მახვილით. ცეცხლი მოჰკიდებოდა ღრუბელთა კუწუბებს, სუსტი ალი გარბოდა თითოეულ ქოჩორზე...

ყრმა ჩაეშვა ალში, ოღონდ ცივი იყო იგი... თვით მზეც გაეყინა, გაეთოშა ზამთარს, მოჩვენებითად ბრჭყვიალებდა.

სივრცის ცენტრში ტორტმანებდა მზეჭაბუკ ბედია. არსად ჩანდა მყარი

საყრდენი, რაზეც შეიძლებოდა ფეხის დადგმა. ყოველივეს დაეკარგა ფორმა, დაბრუნებოდა ქაოტურ საწყისს. ღვთაებრივი ნება იყო საჭირო, რათა წესრიგი აღდგენილიყო.

ერთხანს დანავარდობდა ვარდისფერი ოკეანის თავზე. გარბოდა ღრუბლის ქოჩორზე, სიმძიმეს ვერ უძლებდა ფაფუკი ქულა, წელამდე ეხვეოდა შიგ. ისევ ამოსრიალდებოდა, ეძებდა მიწას, მიწა კი მისგან დაფარული იყო. ის გაექცა თავის შვილს, გაითქვიფა კოსმიურ უსასრულობაში.

ზამთრის პირზე დაკარგა მზეჭაბუკ ბედიამ თბილი ბუნაგი. მოენატრა ის ბნელი სორო, კვამლიანი ჰაერი, თვალებს რომ წვავდა, ნახევრად დამპალი ტყემლის ჩირი, პურის ხმელი ქერქი, დაობებული ნეშო, რომელიც ბუმბულის საბანს ერჩივნა... თვალს არ იტაცებდა პირველყოფილი სამყაროს მშვენიერება, რადგან ცაში დაკარგული ძილი წამოეპარა...

თეთრ ღამეში, როცა მხოლოდ თოვლის ფიფქი ანათებს, მიაგნო ნაცნობ ფერდობს. ღონე გამოელია. თოვლში ჩაეშვა. ფეხზე ველარ დადგა. ძლივს ამოძვრა ნამქერიდან. თავს ძალას ატანდა, ხოხვით მიიწევდა საცხოვრისისაკენ. რამდენი ძალა მაინც აღმოაჩნდა, ფერფლი გადაქექა, სუსტი ნაკვერცხლები გააღვივა, ფიჩხი მიაყარა... მერე დავიწყების ტკბილ მორევში ჩაეშვა, მრუმე სიღრმეში... წაიქცა ნეშოზე და ბურანში გაეხვია. ხან სიცივისაგან აძაგძაგებდა, ხანაც სიცხისაგან ოფლად დაღვრილი არარსებული საბნის გადაგდებას ცდილობდა. აბოდებდა, უხმობდა დედას, მამას, და რატომღაც მზიას... ესიზმრებოდა: მზია მოფრინავდა მზით გასხივოსნებულ უკიდეგანო სივრცეში... ვითომ ეძებდა ყრმის ქვაბს იდუმალს... მონახა კიდეც, შემოფრინდა, თავთან დაუჯდა... თვალი დააჭყიტა ყრმამ, შლეგივით წამოვარდა. სრულ სიბნელეში იწვა. ფიჩხი კვლავ ჩაფერფლილიყო. ისევ დაეცა და ისევ ბურანში ჩაიძირა...

მესამე დღეს საბოლოოდ [illegible] სიცივისაგან გათოშილს აძაგძაგებდა. ნეშო ველარ ათბობდა. ცეცხლი დიდი ხნის ჩამქრალი იყო. პურის ყუა ქვას უფრო ჰგავდა. თავბრუ ეხვეოდა, სუნთქვა უჭირდა. ასანთი გაჰკრა, ალმა სუსტად გაიელვა და ჩაქრა. წამოდგომა ვერ შეძლო. თავი წამოსწია, საშინლად ემძიმა.

მიხვდა, ცოცხლად იყო დამარხული. ჰაერი არსაიდან შემოდიოდა. გასასვლელამდე მოხოხდა. ქვა არ აუფარებია, მაგრამ, სადაც ხვრელიეგულებოდა, თეთრი კედელი დახვდა.

„რამდენი მოუთოვია“. — გაიოცა. ღმერთმა უწყის, რა დრო იყო გასული, როდის შემოძვრა ამ ხვრელში. რამდენი ხანი ისუნთქა ამ მოწამლული ჰაერით.

მზეჭაბუკ ბედიამ ერთხელაც უხმო ღონეს, ცულით დაუწყო თოვლის კედელს თხრა. სვენებ-სვენებით მუშაობდა. ბევრი არაფერი გაუკეთებია. შუბლზე ოფლის ღვარი მაინც გადაასკდა.

ბოლო მოქნევაზე ცული ხელიდან გაუსხლტა და სადღაც თოვლში გადაუვარდა.

ვიწრო ნასვრეტში სუსხი და მზის ჰყეტელა სხივი შემოიჭრა.

მხოლოდ მაშინ მონახა მიწაზე დავდებული ყუა და ღოღნა დაუწყო...

●

ჰაერი დასუფთავდა. სუსხიც შემოვიდა. იჯდა ერთ ადგილას, აძაგძაგებდა. შეშის მოსატანად გასვლა ეზარებოდა. სიცივე კი აუტანელი შეიქნა.

მზეჭაბუკ ბედია წამოიმართა, თავის ციხეში აწრიალდა. თანდათან გათბა, ღონე მოემატა.

უნებურად მზერა მიაყინა იმ ლოდს, კედლიდან რომ ამოთხარა.

გაიხსენა უცნაური და აქამდე მისთვის უცნობი სიტყვა „ჯგრაგ“.

შეეცადა ლოდის გადმობრუნებას. ხან ერთი მხრიდან დაეტაკა, ხან მეორედან, ვერსაიდან მიუდგა.

შრომამ გაახალისა. პურის დაძველებული ყუა ეგემრიელა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

იმ ადგილიდან, საიდანაც ლოდი ამოჩიჩქნა, მიწა ჯერაც იფშვნებოდა. საქმე გაიჩინა, ნაჯახის ყუით გადმოხვეტა. ფხვიერი მიწა ადვილად ემორჩილებოდა. ნაჯახი გადადო, ხელებით მოხვეტა. სულ მალე თვითონ რომ შეეტეოდა, იმოდენა ხვრელი გაკეთდა.

ასე შეეძლო თვეობით ეთხარა. ვინ იცის, სად გაიყვანდა ეს ჯირგინი, ვიღაცას რომ უხსოვარ დროს გაეყვანა და დროის განმავლობაში მტვრითა და მიწით ამოვსებულიყო.

ცნობისმოყვარეობა ერეკებოდა.

მთელი დღე თხრიდა, მერე გვიან ღამემდე.

დაღლილი დაეცა. როცა შესცივდა, კვლავ წამოდგა, სიბნელეში ბრმად განაგრძო თხრა.

მხოლოდ ერთი კვირის თავზე მოისვენა, როცა არც ფიჩხი დარჩენოდა, არც პურის ნამცეცი. ხვრელი კი სადღაც ჯანდაბაში და ოხრობაში ჩადიოდა, ბოლო მაინც არ უჩანდა.

დალონებულმა სისხლიანი ფრჩხილებით უკანასკნელად მოფხოჭნა მიწა და ცყარ საგანს წაჰკრა ხელი.

კვლავ გამოცოცხლდა. ჯილდო უნდა ეპოვა შრომის წილ. სიბნელეში ვერაფერს ხედავდა. მიწა ფრთხილად შემოაცალა და თავისკენ გამოსწია.

უსაშველოდ გრძელი ეჩვენა. ფორთხვა-ფორთხვით გამოძვრა ჯირგინიდან. ქვაბში დაგროვებულ მიწაყრილზე ჩამოჯდა. ნაპოვნი განცვიფრებით დაათვალიერა.

ხმალი იყო, უწრთობი, პირბლაგვი. ალბათ არავის ეხმარა აროდეს. ოქროს ვადა ჰქონდა. ლითონმჭედელს ზედ მთათა გრეხილი ამოეტვიფრა. ერთი მწვერვალის თავზე არწივს გაეშალა ფრთები.

მეორე მხრიდან კი წვრილი მძივივით კუთხეში მიეწერათ ის ერთადერთი სიტყვა: ႿႥႠႰႨ.

სული შეეხუთა, ქვაბი ევიწროვა...

გარეთ გამოვიდა და წამში თვალთ ნათელი წაერთვა...

დიდხანს იდგა თვალზე ხელაფარებული. ცოტცოტაობით შეეჩვია სინათლეს, მაინც უჭირდა...

მთელი ხეობა ალმა და დალმა მზეს ამოევსო პირთამდე. ულურჯესი ციდან იღვრებოდა მზე. ქათქათა თოვლში ტყდებოდა აღურაცხელი ცეცხლის ისარი. თეთრი ელვარება გადადიოდა კალთებზე, ათასი მზე მიმოპნეულიყო ირგვლივ. კაშკაშა სხივი ვარკალებდა ხეებსა და ბუჩქებზე ჩამორიგებულ თოვლის ქუდებზე... ვიღაცას გაეხსნა თვალმარგალიტით სავსე ზანდუკი, დახურვა კი დავიწყებოდა.

გაიხარა მზეჭაბუკ ბედიამ. მირიად ათინათში გაინავარდა, როგორც ციცინათელების გროვაში, ცისარტყელებით დასერილ ჰაერში, ბენგალური ცეცხლის ნაპერწკლებში, ციდან ჩამოკიდებულ ფერად სერპანტინებში... თვით დედაბუნება აწყობდა საზეიმო ფეიერვერკს თავისი შვილისათვის... დიდხანს ვერ გასტანა სიხარულმა. სუსხი შემოეჭდო ჯალათის მარწუხებივით, ილუზია განუფანტა...

●

იმ საღამოს პირველად გაიგონა მგლის ყმუილი. ჩამავალი მზის სხივებს შეჰყმუოდა სერზე გადმომდგარი მხეცი. მისი შავი ლანდი ცის ფონზე იკვეთებოდა.

მზეჭაბუკ ბედიას პური მოჰქონდა სოფლის დუქნიდან და სანახაობამ შეაყოვნა. თავზარდამცემი იყო ეს უსასოო მოთქმა.

მალე სხვა მხრიდან მისცა ბანი ხროვამ და ყრმა სასწრაფოდ განერიდა იმ ადგილს.

ქვაბის შემოსასვლელთან გიზგიზა კოცონი გააჩაღა.

გუგუნებდა ალი, ცეცხლის ენები ხარბად ლოკავდა ხმელ ტოტებს. ქვაბი აივსო სითბოთი და სინათლით.

ზედ მიწაზე იჯდა. ცეცხლს ჩაჰყურებდა, ბუტბუტებდა ხმადაბლა, თვი-

თონაც არ უწყოდა, რას უნანავებდა საკუთარ თავს.

წასთვლიმა, თავი წაართვა ძილმა.

შორს კი, სერზე მგლები ყმუოდნენ, ყინვა უჭერდა, თოვლი ბათქუნით ვარდებოდა ტოტიდან, ჩათბუნებულ დათვს ეძინა ბუნაგში. ცას შემოსეოდა ირმის ნახტომის ვარსკვლავეთი.

უცბად განიხვნა კედელი და პირდაპირ კოცონზე გადმოაბიჯა თეთრწვეროსანმა ბერიკაცმა. შავი სუტანა ეცვა. წვერი იატაკამდე დასთრევდა. ცეცხლის ალი ეტანებოდა, არკი ეკიდებოდა. ლურჯ თვალებში ღვთაებრივი რამ შუქი უკრთოდა.

ხელი აილო ბერიკაცმა, აკურთხა ყრმა ბედია, წარმოთქვა:

„აღსდეგ, შვილო ჩემო, და შეეწიე ნაშიერსა ადამისასა!“

შეკრთა მზეჭაბუკ ბედია, ზე წამოიჭრა. ბრიალა ცეცხლი მინავლებულიყო. ნაკვერცხლები მეწამულ შუქსა ჰფენდნენ.

არავინ იყო. თავისი გულის დაგადუგი ესმოდა ცივი ღამის მდუმარებაში.

ხეობის ქვევით კვლავ შეჰყმუვლა მგელმა. გაჰკეწნწლა მზეჭაბუკ ბედიას, არ მოეწონა.

სწრაფად გავარდა გარეთ, კაკაჩა ღამეში გაეხვია...

მიისწრაფოდა.

ბურანში იყო გახვეული. ვერცხლისფერ ნისლს მიარღვევდა თითქოს. სამყაროს სიმქრქალე ეფინა, უნაზეს ფერებად სხივდებოდა.

კაკაჩა მთვარე ეკიდა ცაზე. გიგანტური გვირგვინი ედგა ვერცხლის ჯილასავით. ვარსკვლავები ცდილობდნენ მეტოქეობას, ვერას ხდებოდნენ. მთვარე ბატონობდა, ვერცხლისფერი ნისლით ავსებდა მთელ ხეობას.

მიისწრაფოდა. მისრიალებდა, როგორც მოთხილამურე გიგანტურ სლალომზე.

თოვლში ჩამკვდარი ხეობა, არარეალურ, სიზმარეულ სურათად ქათქათებდა.

ხეები პირქუშ ჩონჩხებად აჩაჩხულიყვნენ, პიტალო კლდეებზე მძიმე ფარდებად ეკიდა ვერცხლის ლოლუები. თოვლქვეშ ჩაკარგული ნაკადული ცოცხლდებოდა ზოგჯერ, ჭოროშებზე და პაწია ვარდნილებზე ჩხრიალებდა, ტანზე მთვარის შუქს იპნევდა, ფანტავდა წინწკლებს — ვერცხლის მძივებს.

ყრმა აითქვიფა ამ ზღაპარში. დაავიწყდა რამ გამოაგდო ბნელი სოროდან, სით მიჰქროდა ასე გამეტებით, რა უნდა მოემოქმედა.

სუსხიანმა ქარმა ჩაიკრა მკერდში, შემოათოშა ტანისამოსი, აძაგძაგა.

ქვევით, ბნელ ტყეში შეჰყმუვლა მგელმა. ყმუოდა გაბმულად, შიშსა და სევდას აღვიძებდა. ხროვა აჰყვა უმალ, შემზარავი გალობა დაეკიდა ვერცხლისფერ ღამეში.

მზეჭაბუკ ბედიამ იქითკენ გაუხვია.

წინ გამოკრთა თოვლიანი ველი. მთვარის შუქზე უამრავი ნაკვალევი დაინახა, ეტყობა დიდ ხროვას გაევლო.

დაბლა დაეშვა, მიჰყვა ნაკვალევს.

წინ კვლავ ყმუილი ატეხა ხროვის ბელადმა. უცბად მიეახლა ყრმა ბედია. კბილებმა გაიწკაპუნა სულ ახლოს.

ელვის უსწრაფესად აიჭრა ჩონჩხადქცეული ხის ტოტზე, ზევიდან დააცქერდა.

ალყა შემოერტყა ხროვას ხისათვის. ისხდნენ წრეზე, ხანდახან გააწკაპუნებდნენ კბილებს. წამოდგებოდა ბელადი, გადმოდგამდა რამდენიმე ნაბიჯს, ჩაცუცქდებოდა, შეჰყმუვლებდა. სხვებიც იმ ერთს მიჰბაძავდნენ, შეავიწროვებდნენ წრეს, სევდიანად შეჰქვითინებდნენ კაკაჩა მთვარეს, დასცემდნენ ზარს, თითქოს რაღაც რელიგიურ რიტუალს ასრულებდნენ.

ალყა თანდათან ვიწროვდებოდა.

დააკვირდა მზეჭაბუკ ბედია. უცბად ვერ მიხვდა, რას ნიშნავდა ყოველივე. ზედ ხის ძირში რაღაც არსება მოკუნტულიყო და გაუგებრად ზმუოდა.

ფრთხილად დაეშვა დაბალ ტოტზე,

თვალი. ხროვისაკენ ეჭირა. აშკარად გაარჩია უხმო ჩივილი: „დედიკო, დედა, დედიკო, დედა...“

ფიქრის დრო აღარ იყო. წამში დაეცა, ხის ტოტზე აიტაცა გათოშილი, შიშისაგან გონდაკარგული არსება.

საზარლად შეჰყმუვლეს მგლებმა, ნადირი მოაწყდა ხის ძირს, თათებით დაუწყეს ფხოჭნა. ხროვის ბრაზიანი ბელადი მაღლა შეხტა, ჰაერში კბილი გააწკაპუნა. მზეჭაბუკ ბედიამ ნადავლი მკერდში ჩაიკრა და ზევით-ზევით მიიკვლევდა ტოტებში გზას...

ათიოდე წუთი გავიდა, რაც სიზმარმა წამოაგდო, მთვარიან ღამეში ანავარდა და რაღაც შეიცვალა, გადატყდა მის სულში.

ზამთრის გრძელი ღამე არ თავდებოდა. მთვარე ვეშაპმა გადასანსლა, ვარსკვლავები მომძლავრდნენ, ბნელი ჩაეჭდო ხევს...

მალე უნდა გათენებულიყო.

ყრმის სულში უნაზესი სიმი თრთოდა, აზრი მღეროდა, იბადებოდა მუსიკა. გული გაუთბა. ისე უცემდა, ხევის ერთი ბოლოდან მეორეში ისმოდა მისი ფართქალი.

მკერდში ჩაკრულ არსებას პაწია ხელები კისერზე შემოეჭდო. შიშისა და დაღლილობისაგან გონი დაეკარგა, ან სულაც ეძინა.

ანგელოზი ჩაეკრა გულში მზეჭაბუკ ბედიას, ეშინოდა მკლავების გაშლისა, რათა არ გაფრენილიყო ჩიტი ნეტარი.

ნეშოზე დააწვინა ფრთხილად, ცეცხლი გააღვივა, ცეცხლის შუქზე პირველად დახედა გადარჩენილს.

ხუთი-ექვსი წლის ბავშვი იქნებოდა. ღრმა ძილით ეძინა. ხანდახან თუ შეთრთოლდებოდა, სატირლად დაებრიცებოდა პაწია ტუჩები, ნაფიქრალი გაფოფინდებოდა ჰაერში: „დედიკო, დედა, დედიკო, დედა...“ ოქროსფერი, ხუჭუჭა თმა შუბლზე ეყარა, ნეშოში არეოდა. ბიჭურად ეცვა, მაგრამ გოგონა უნდა ყოფილიყო.

ყრმა სასოებით შეეხო ბავშვის ლბილ ომას. შეშინდა, გავაღვიძებო. მოშორდა. რაც ტანისამოსი ჰქონდა, ყველაფერი მას დააყარა. თვითონ კი თითქმის შიშველი კერიასთან მოიბუზა და ცეცხლს უკეთებდა.

ასე გაათენა დილამდე, უფრო სხვა სითბოთი გამთბარმა, ვიდრე ცეცხლის სითბო იყო.

გარიჟრაჟზე კი, როცა უნებურად წასთვლიმა, უცბად წკრიალა ხმამ გამოაღვიძა:

— შენ ვინა ხარ?

მზეჭაბუკ ბედია შეკრთა, გამოერკვა. ბავშვს თავი წამოეწია, თვალებში გაოცება ეხატებოდა, შიშიც, ცნობისმოყვარეობაც.

— ხომ არ გეშინია? — გაუღიმა ყრმამ.

— არა, — ყოყმანით თქვა ბავშვმა, მოულოდნელად დაუმატა, — თუ არ შემჭამ!

— აბა რა მიგავს ბავშვიჭამიას? — გახალისდა მზეჭაბუკ ბედია. გულში სიხარული ჩაუგუბდა, ამას ვერ ფარავდა.

— შენ მაუგლი ხარ! — დაასკვნა ბავშვმა.

— ძია მზეჭაბუკი მქვია, შენა?

— დედიკო კუდაბზიკას მეძახის, ისე კი ლელა ვარ, — გადაიკისკისა. ნეშოს საწოლიდან ჩამოფოფხდა, ცეცხლის პირას ჩაცუცქდა. შიში უკვე არ ემჩნეოდა. ლურჯ თვალებს ცნობისმოყვარეობით აცეცებდა.

— შენ მომიტაცე? — იკითხა გახარებულმა, — შენ მეფის შვილი ხარ?

— ჰო, მეფის შვილი ვარ, უფლისწული. ჩემი სასახლე აქედან შორსაა...

— მე შენი ცოლი ვიქნები?

მზეჭაბუკ ბედიას ლაწვებზე სისხლი მოაწვა, გაწითლდა. ბავშვი სერიოზული გულუბრყვილობით შესციცინებდა.

— სულელო, მე შენი უფროსი ძამიკო ვარ!

— თმა რატომ გაქვს გოგოსავით?

მზეჭაბუკ ბედიამ თავზე გადაისვა ხე-

ლი. ოქროს თმა ამ ბავშვივით მასაც მხრებზე სცემდა. რბილი წვერ-ულვაში წამოეზარდა, სახე ფრესკაზე დახატულ იესოს მიუგავდა.

— ღარიბი უფლისწული ვარ, სასახლეში პარიკმახერი არა გვყავს.

— არა გყავთ? — გაიხარა გოგონამ, ახლოს მოიწია, ყრმის გვერდით დასკუპდა, — მშია!

მზეჭაბუკმა პური და ყველი მიაწოდა.

— ეს არ მიყვარს.

— მეტი არაფერი მაქვს.

— აკი მეფის შვილი ვარო?

— მერე რა? მეფის შვილებიც ყველსა და პურს გიახლებიან. როცა ერთ ლუკმას ჩაკბეჩენ, ეს ხაჭაპურიაო, იტყვიან, მეორეს რომ ჩაკბეჩენ, ეს ნამცხვარიაო, მესამეს — ეს შოკოლადიაო, თუ გინდა, ნაყინი დაარქვი, ან ბროწეული, რაც მოგეწონება.

— ეს ნაყინია, — კრიალა კბილებით ჩაკბიჩა პატარამ, თან სიცილს იკავებდა.

მზეჭაბუკ ბედია ლბილ თმაზე მოეფერა. ბავშვი ნდობით აეკრა.

— მეტი არ მინდა.

— გინდა ჩქარაჭამობია ვითამაშოთ?

— რომ არ ვიცი!

— გასწავლი, — ყრმამ თვითონაც მოიტეხა პური.

— მე უფრო ჩქარა, მე უფრო ჩქარა... — კისკისებდა ბავშვი.

მზეჭაბუკ ბედიას გული გალღვა და უცებ, თავისდაუნებურად, თვალთაგან ცრემლი წასკდა, სახეზე ხელი აიფარა.

ბავშვი გაყუჩდა, შეშინდა, მერე ხელი მოჰკიდა.

— ძამიკო, ნუ იტირებ, რა! აი, ნახავ, მე შეგიყვარებ...

მზეჭაბუკ ბედიამ ბავშვი მიიზიდა და, როცა პაწია მკლავები კისერზე შემოეჭდო, ადამიანებს აპატია ყოველი...

●

ადრიანი გაზაფხულის მზიან დღეს პირველად მოესმა თოვლის ქვეშ პაწია ნაკადულის რაკრაკი და წ[illegible] გადაწყვიტა. თოვლმა ნამბული იკრა, დამძიმდა, მოცისფრო გახდა, ზამთარში დაგროვებულ ცის სინათლეს ახლა აბრუნებდა უკან.

ლელასთან დაშორების შემდეგ მარტოობამ გააწამა. რამდენჯერმე ჩაფრინდა სოფელში, ბავშვი ვერ ნახა. ღამღამობით ესიზმრებოდა პაწია ანგელოზი, გულუბრყვილოდ ეფუჩუნებოდა რაღაცას, ყელზე შემოაჭდობდა ნაზ მკლავებს. სიზმარში სევდა აწვებოდა, ცრემლებს ადენდა. მეხსიერებაში ამოტივტივდებოდნენ დედა და მამა, ტატო და მზია... ყველას წინაშე იჩოქებდა, პატიებას თხოულობდა. გამოელვიძებოდა და თავს იკიცხავდა სისუსტის გამო. ათასი დიდი და წვრილმანი სიავე შეახსენდებოდა და გული უმძიმდებოდა.

დღე ერთი იყო, თხუთმეტჯერ ეცვლებოდა გუნება-განწყობა. მელანქოლიის მწვავე შემოტევის დროს სიკვდილს ნატრობდა, მეორე წამს კი სიცოცხლე იმდენად მშვენიერი ეჩვენებოდა, მისი დათმობა ყოველგვარ ლონეს აღემატებოდა.

ერთ ღამეს, როცა ძილი მოეახლა, უცბად თავში გაჰკრა: „მარტო მე ვიტანჯები? სხვები შეეგუენ ყოველივეს?..“ აფორიაქდა, ძილი გაუფრთხა. დილამდე თვალგახელილი იწვა, ბნელ ჭერს მიშტერებოდა. დიახაც, უნდა ყოფილიყვნენ სულიერი ძმები, ტანჯვაში დაბრძენებულნი... და მაშინ მეხსიერებაში წამოტივტივდა იდუმალი სახელი — ჯ გ რ ა გ. წამოვარდა, ცეცხლი გააღვივა და მის შუქზე ერთხელაც წაიკითხა ხმლის ვადაზე წარწერა.

უნდა მოეძებნა ჯგრაგ, იმ წუთიდან აეკვიატა. გიჟის გადაწყვეტილებით იმეორებდა ამ აზრს, ელოდა გამოზაფხულებას.

დილიდან დაღამებამდე ხვრელიდან თავი გარეთ ჰქონდა გამოყოფილი, ყურს უგდებდა, თოვლი ხომ არ დაიძრა, თბილმა ნიავმა ხომ არ დაქროლაო. არ იცოდა, რა თვე იყო, რა დღე, ან

რა რიცხვი... მაგრამ მზე მაღლა მიიწევდა, დღე იზრდებოდა და ალბათ დიდხანს არ მოუწევდა ლოდინი.

მერე გრიალი შემოესმა. ლუხუმურაშდუდის ფერდობს ზვავი მოწყდა, ძირს ჩამოეფინა.

ტოტებზე თოვლი დაილია, ხე ატირდა...

პირველი ნაკადულები აჩურჩულდნენ. რაც დღე გადიოდა, ძლიერდებოდა შეკავებული გუგუნი ხევში. ერთხელაც ჭახანი გაადინა, წყალმა ამოხეთქა თოვლისა და ყინულის არტახებიდან...

მაინც არ აჩქარებულა ზედმეტად. დაელოდა, სანამ მზეს მიფიცხებულ ფერდობზე თოვლი დაილეოდა, სანამ ყოჩივარდები ამოცვივდებოდნენ.

მაშინ ხმალი უწრთობი წელზე შემოირტყა, ლუხუმურაშდუდის მწვერვალზე ავარდა, ეგებ აქ ეპოვა ჯგრაგ.

სამ კილომეტრზე და უფრო მეტადაც თოვლი და ყინული აეზიდა მწვერვალს. დაკბილული კლდეებიდან იშლებოდა შორეული ზღვის ჰორიზონტი. ლაკადის ტყითმოსილი კალთები სამეფო ბალდახინებივით ეშვებოდა ძირს. გორაკთა უწყვეტ წყებაში გადადიოდა, უამრავ ხევხუვს დაესერა. უფრო იქით მსუბუქი ნისლი ეფინებოდა ბარსაც.

მწვერვალის ერთ მხარეს მაგანას ხეობა იკლაკნებოდა, მეორე მხრივ ენგური მიჰყეფდა ვიწრო კლდოვანებში, სხვა მხრივ ხელედულა მიიკვლევდა გზას ცხენისწყლისაკენ. უკან მთა მთას ეზიდებოდა, მაღლა აეტატებინა სვანეთის ქედი, რომლის თავზე ლაილას დიდებული კონუსი ბრწყინავდა.

აქ არ იყო ჯგრაგ!

მზეჭაბუკ ბედიამ წელზე შემორტყმული ხმალი გაისწორა, ლაილას მიაშურა. წყალგამყოფზე მიცურავდა, საკვირველი სურათი წარღვნისა სულს უშფოთებდა.

კლდოვანი ქარაფები მოჟამსხვრია დიად ძალას, ხანჯლებივით აშვეტილიყო მარადის გაქვავებული ძეგლები, გონმიუწვდენი კატაკლიზმების [illegible]რენი.

ორთავ მხარეს ხეობებისაკენ დაშვებულ კალთებზე ქარს ანელებდა ასწლეული ულრანი ტყეები.

ფართო ხეობაში ისარკებოდა თავხედურად დაკლაკნილი ცხენისწყალი, მეორე მხრივ კი ენგური; ერთმანეთის გადასწრებას ცდილობდნენ თითქოს, ხევთა მოლევას, რათა სადმე ზღვაში მაინც ჩაჰკონებოდნენ ერთურთს.

თოვლიანი მწვერვალის სიკაშკაშემ თვალი ატკინა.

არა, არც აქ იყო ჯგრაგ!

სწრაფად გადაკვეთა ცხენისწყლის ხეობა. მუაშის ულრანებში განმარტოვდა. საუკუნოვანი ნაძვის ფუღუროში ჩაძვრა და ის ღამე იქ გაათია...

მეორე დღეს იქ, სადაც ცანა უერთდება ცხენისწყალს, ხიდზე შეისვენა. ქუხდა გადარეული ცანა, ცხენისწყალი გრიალებდა გამეტებით, მდინარეთა უწყვეტი ღმუილი სიმშვიდეს უფრო ბადებდა.

მზემ დააცხუნა, თუმცა დილიდან გრილოდა. ტყიანი მთების კალთებზე თოვლის ჯიშთი შერჩენილიყო ალაგალაგ. ბალახს ჯერაც ვერ აელო თავი, იები და ყოჩივარდები მოუთმენლად მომსკდარიყვნენ, სადაც კი მცირე ველი მოეხელთათ, იქ ეპნია უხვად.

მდინარეთა ხმები უნანავებდა. ძლივს გამოერკვა. ცანას ლურჯი, ქაფიანი წყალი იხრჩობოდა მღვრიე და ბრაზიან ცხენისწყალში. გარშემო მთები გუგუნით გადმოსცემდნენ ექოს.

ამოიოხრა, ალბათ სიგიჟის ზღვარს მიადგა, როცა ზღაპრის გმირის საძებრად ამ მთებში შემოეხეტა.

ხმლის ვადას დააკვირდა. მინაწერი ასოები რამდენჯერმე წაიკითხა. ამოტვიფრულ მთათა გრავნილს დიად მწვერვალთა წყება ადგა თავზე. ერთს კი ფრთაგაშლილი არწივი დასტრიალებდა...

ჯემალ ქირია

მარადი მხედარი

ეროვნული ბიბლიოთეკა

●

მზე აცხუნებდა. არც არაფერი მოასწავებდა ამინდის შეცვლას. ღრუბლის ობოლი ფთილა ეკიდა ცის ტატნობზე და ადგილიდან არ იძვროდა. მისი ჩრდილი ფერდობზე გაყუჩებულიყო მშვიდად, თითქოს ფანტასტიკური ცხოველი გაწოლილიყო მოსასვენებლად.

მზეჭაბუკ ბედიას ჩრდილი კი სწრაფად მისრიალებდა მდელოზე, თოვლის ჯიშთზე. ალღოთი მიიკვლევდა გზას.

გალაღებული მიფრინავდა, სუფთა ჰაერი ლივლივით ეხვეოდა ტანზე.

საძოვრებზე ნახირი გაშლილიყო, თითქოს ჭრელი კანფეტები მოებნია ვინმეს.

უშგულის თავზე წამომართულ თამარის ციხეს მიაშურა, კოშკის წვეროზე ჩამოჯდა შესასვენებლად.

მოცვნარით დაფარული ფერდი ეშვებოდა ხეობაში.

მომძლავრებული ენგურის გაათეთრებული ღმუილი ათრთოლებდა გრილ და წმინდა ჰაერს.

გაღმა, ცას მხრებით მიბჯენილი ფართო ფერდი ჯერაც ვერ თმობდა სიყვითლესა და თოვლს.

უჩვეულო სოფელი გასისწვრივებულიყო მდინარის გასწვრივ.

კოშკები და მაჩუბები, კოშკების მთელი ტყე... აქა-იქ თანამედროვე სახლები... არქიტექტურული ანსამბლი, საუკუნეთა ნალვაწი...

მზეჭაბუკ ბედია მოსწყდა თამარის ციხის კოშკს, აუჩქარებლად გასრიალდა, გადაუარა მურყმელს... კოშკები, ვიწრო ეზოები, უფრო ვიწრო ორღობეები, ჭაჭით ნაგებნი, ჭაქით გადახურულნი, ქვა და ქვა, აღზევებული, განდიდებული...

მერმე ჩაჟაშ... ისევ კოშკები, უფრო წარმოსადეგნი, მრავალნაირნი, მთელი წყება კოშკებისა...

მერმე ჩვაბიანი... ისევ კოშკები... წყარო შუკაში... წყაროსთან ბავშვები... პატარა ეზოების მწვანე ლაქები... ტყე მცირე, ნორჩი...

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მერმე ქვაბიანი... თეთრი ლამარია...

ხეობას აჰყვა... მოჭახჭახებდა, ღვარძლიანად იმუქრებოდა ენგური. უწყვეტი ქუხილი მოჰქონდა ექოს...

ვრცელი მინდვრები გადასერა. თოვლს ნამბული ეკრა მხოლოდ, იწრიტებოდა, ენგურს აქაფებდა...

დავიწროვდა ხეობა. ლოდი ლოდზე აეხოხიალებინა სტიქიას. წარღვნის დროინდელი სამყაროს ნანგრევებს ჰგავდა გარემო...

ჩუმი ნაკადულები მოიპარებოდნენ ლოდნარიდან, ვითარცა მაჭარი საწნახლიდან, მოისწრაფოდნენ დამთვრალ დედა მდინარისაკენ...

სათავეს უცბად მიადგა...

ჩამოზვავებულ მყინვარს შუბლზე მონგრეული ლოდები წამოეკვეხა.

წყალს გამოეხრა მყინვარის გული, ორ დიდ ნაკადად მოდიოდა, წყალი კი არა, რძე კი არა, რძის ქაფი... გამოეღადრა ლურჯი მყინვარი და სიხარულისაგან გადარეული მოდგაფუნებდა ყინულის ტალანიდან.

ლოდზე ჩამოჯდა ყრმა ბედია, ყინულის პრიალა გუმბათს დააკვირდა. ქაფი სცემდა, აპრიალებდა ტალანის კედლებსა და გუმბათს. ორი ნაკადი მოანგრევდა გზას, მოიჩქაროდნენ, თავდავიწყებით ეკონებოდნენ ერთურთს...

ნაშუადღევი მოახლოვდა მზის სიმხურვალეს გრილი ნიავი ანელებდა.

ღრუბლის ობოლი ფთილა მოსწყვეტოდა მთებს, ცის გუმბათზე ეკიდა განმარტოებით. მთის კალთებზე მზის სხივები ათინათს ყრიდა.

სადღაც ზევით კი ზვიადი მწვერვალები წამომდგარიყვნენ მედიდურად... სად იყო ჯგრაგ, რომელი მათგანი შეერჩია სამეუფეოდ?..

●

დაღლილობას მაინც თავისი გაქონდა.

მზეჭაბუკ ბედია ნელ-ნელა მიიწევ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

და მყინვარის თავისკენ. ფეხს არ აკარებდა, ზვავის მორღვევისა ეშინოდა.

უზარმაზარი ურჩხულივით გაშოტილიყო მყინვარი, დაეკლაკნა ძლიერი სხეული. კლდეებს შორის ენები გადმოეგდო მკვდარი გველეშაპივით. ზედაპირი დასკდომოდა უამრავი ვიწრო ნაპრალით, რომლებშიც სილურჯე ჩაყინულიყო.

ცივი ქარი უსტვენდა ნაპრალებში, ჩხრიალი მოისმოდა სიღრმისეული ნაკადებისა.

იქუხა უცბად, გასკდა ათასი ჭურვივით. მყინვარი დასერა მირიადმა ნაპრალმა. იძრა. ლოდები მოირღვნენ გრიალით, ჩაჩოჩდა უზომოდ მძიმე სხეული, კვლავ გაიყინა, გაყუჩდა. კენჭების ჩუმი ჩხაკუნი მოისმოდა კარგა ხანს.

შეკრთა მზეჭაბუკ ბედია, შიში აუფაჩუნდა სულში...

თავზევით ფრიალო კლდეები ეკიდა, სულიერს ფეხი არ დაედგა ზედ არასოდეს...

ინსტინქტურად ეძებდა ფეხის მოსაკიდებელ ადგილს, ვაითუ წართმეოდა ძალა ფრენისა.

დიდხანს გაგრძელდა ლტოლვა ალმა, სანამ თავზე მოექცეოდა ბაზალტისაგან გამოკვეთილ ხანჯლის პირს.

ფეხი შედგა ყრმამ. მიხვდა, ფრენას თუ ვერ შეიძლებდა, ვერასოდეს ჩამოვიდოდა აქედან.

თავს ძალა დაატანა, განდევნა ყოყმანი საშიში.

ციოდა.

შორს მოჩანდა ენგურის ხეობა, რუხი მთები, უშგულის კოშკები.

კავკასიონის დიადი ქედები იგრაგნებოდა. პირველყოფილ ქაოსში აირია შავი კლდეები, პირდაღრენილი უფსკრულები, კლდეს შემოსალტული მყინვარები, ბუმბერაზი მწვერვალები, მორღვეული, ნგრეული სამყარო, სადაც უსუსურია ყოველგვარი ვნება, ითრგუნება თავისუფლება, თვით სიცოცხლე...

ზღვისპირეთიდან წამოსული ღრუბლები ამოცოცდნენ კალთებზე, უზარმაზარი თეთრი ხომალდებივით ღრუბ- ჩაუშვეს თოვლიან გრეხილებზე, შემოეჯარნენ მწვერვალებს, იპყრობდნენ ახალ-ახალ სივრცეებს...

თქრიალმა მოახედა.

განაპირა კლდეს ყავისფერი ჭიანჭველები შესეოდა. დააკვირდა. ჯიხვები იყო. ცოტა ხანი და, სადღაც უფსკრულში ჩაიკარგნენ.

კვლავ მარტო შერჩა ცადაჭრილი დანის პირს.

მზე დასავლით გადაიხარა, თუმცა შორს იყო დაღამებამდე.

ღრუბლების მიღმა ჩაიკარგა ენგურის ხეობა, ქათქათა ქულებში, ვით საპნიან ვარცლში, ჩაიფლო მთათა გრეხილები, თხემები, კბოდეები, კლდეები... თანდათან მოსწყდა ყრმა ბედია ქვეყნიერებას, გადმოეკიდა ვრცელ ეთერში...

უცბად ჩრდილმა გადაურბინა. მთის არწივს ლაღად გაეშალა ფრთები, თავზევით ეკიდა უძრავად.

შეცბა მზეჭაბუკ ბედია.

არწივი მიჰყინვოდა ცის გუმბათს, ადგილიდან არ იძვროდა, არ ეპუებოდა ცივ ქარიშხალს...

შეუძახა მზეჭაბუკ ბედიამ, შეჰკივლა. მისი ხმა გადააწყდა გარეშემო ჭიუხებს, ექო მრავალგზის დაუბრუნდა კლდის წვერზე მდგომს.

ფრინველი ოდნავადაც არ შეტორტმანებულა.

„იქნებ მე არ მითვალთვალებს, — გაიფიქრა ყრმამ, — იქნებ ბუდე აქვს ახლომახლო, ან სხვა მსხვერპლს დარაჯობს და მალეც დააცხრება!..“

ღრუბელთა ოკეანეში თოვლიან მწვერვალებს აქა-იქ ამოეშვიტა თავი, ვითარცა კუნძულებს ზღვაში, და სულიერი არსად ჭაჭანებდა.

მოელო ბოლო ლოდინს. არწივმა მეფურად შემოჰკრა ფრთა ფრთას, წრე დაარტყა აჩქარებულად და უცებ ისარივით წამოვიდა...

ჯემალ ქირია
მარადი მხედარი

უხმოდ, მამაცური თავგანწირვით, როგორც ძლიერთ სჩვევიათ.

მზეჭაბუკ ბედია მოსწყდა კლდის წვეროს, განზე გავარდა.

არ მოელოდა ამაყი მეუფე; თავი ვერ შეიმაგრა, კლდეს მიენარცხა.

რეტდასხმული ტორტმანით ჩაეშვა ღრუბლებში, გაქრა.

მზეჭაბუკ ბედია კი ქარს მიენდო. ბაბუაწვერასავით მიაქროლებდა ქარიშხალი მწვერვალთა სხვა მწკრივისაკენ...

●

თანდათან ღონე გამოელია. წინააღმდეგობას ვეღარ უწევდა სუსხიან ქარს და სითკენლაც მიექანებოდა.

„ეს არის დასასრული“, — გულგრილად გაიფიქრა, ბედისწერას მინებდა.

თვალი დახუჭა. როცა მოიხედა, ვერაფერი დაინახა. გარს სქელი ნისლი ეხვია. შფოთმა შეიპყრო. ადვილი იყო ხილულ მტერთან ჭიდილი, უხილავი კი შიშს ბადებდა.

შეეცადა განრიდებოდა ღრუბლებს. გზა აებნა. მძიმე წვეთებით იწუწებოდა, ქარი კი სველ სამოსს ტანზე აყინავდა.

მერე დაიქუხა. სულ ახლოს გაკვესა გიგანტურმა გრაგნილმა, გასკდა, გაირღვა, გადაიგრიალა გაზაფხულის პირველმა ქუხილმა... მზეჭაბუკ ბედიას თითქოს ჭიანჭველები შემოესია. ცივი ალი მოედო ტანზე, ჩაქრა, ისევ მოედო...

განშორდა საშიშ ღრუბელს, თავი აარიდა. ფეხდაფეხ მისდევდა მტერი საზარი. დაიგრიალებდა ულმობელად, გაიხრიგინებდა, დაიკლაკნებოდა. ალმოდებული მახვილი. აზანზარდებოდა ხილული და უხილავი სამყარო. იძროდნენ მთები, დიდხანს გამოსცემდნენ შორეულ ექოს...

უცბად მიაწყდა თოვლიან ფერდობს. გადავრჩიო, — იფიქრა, ფერდობი კი დაიძრა. ჯერ ნელა, მერე უფრო სწრაფად. გუგუნი გუგუნს წაემატა. ჩამოიხვეწა ზვავი, ჩამოიყოლა თოვლი და ქვა, ატეხა ქარიშხალი, გრიალ-გრიალით მიექანებოდა უხილავი უფსკრულისაკენ, ანგრევდა ყოველივეს.

ქარიშხლით ატაცებული ბედია მიჰქროდა ჯოჯოხეთისკენ, ელოდა წამს, როცა თავზე წამოემხობოდა მთელი კავკასიონი, ანდა დანასავით წამახულ კლდეებს მიაცხებდა სულს...

„ჯგრაგ! ნუთუ ასე უნდა დავიღუპო?“

ფიქრიღა გაბედა, ხმას მაინც ვერ გადააწვდენდა სტიქიის რიალს.

მოულოდნელად დაცხრა ქაოსი. შეთხელდა ცივი ნისლი და მზეჭაბუკ ბედიამ თოვლიანი მწვერვალის სპეტაკ შუბლზე შედგა ფეხი.

ღონემიხდილი დაეცა. განძრევის თავი არ ჰქონდა. თოვლის ცივი სარეცელი დაირწა. „დავიძინებ, აქვე დავიძინებ...“ — დაბეჯითებით იმეორებდა. თვალი მილულა მართლაც. მიხვდა, გაიყინებოდა. თავს ძალა დაატანა, წამოიწია და მაშინ მოესმა ხმა იგი უცნაური:

„ესე არს ძე ჩემი საყუარელი, რომელი მე სათნო-ვიყავ!“

არავის წარმოუთქვამს, ხმა თვით მის სულში გაისმა, მზეჭაბუკ ბედიას ტვინში დარეკა. ლაიძაბა ყრმა, წელი აზიდა, ფეხზე წამოდგა. დაბინდულ თვალებს სინათლე მოემატა.

ფაფუკი ნისლი ედგა თვალწინ, ქარი არღვევდა ნისლს, ნაფლეთებს სტაცებდა, აძარცვავდა რაღაც ფიქალივით თეთრსა და დიდებულს, რაიც კბოდეზე იდგა.

დააკვირდა ყრმა ბედია, ძლივს გაარჩია, გაუბედავად წარმოთქვა:

„ჯგრაგ!“

პასუხი კვლავ მის სულში გაისმა, ტკბილი და ამაღელვებელი, სითბოთი და ალერსით სავსე.

„აღდეგ და მოვედ ჩემდა!..“

ყრმამ რამდენიმე ნაბიჯი წარსდგა. შეტორტმანდა, ისევ თოვლში ჩაემხო.

„აღდეგ და მოვედ ჩემდა!“ — გაიმეორა ხმამ მკაცრად.

ისევ მოიკრიბა ყრმამ ძალა, ისევ წამოიმართა, ტორტმანით მიეახლა.

და იხილა ბერი გრძნეული.

ლურჯი ყინულისაგან გამოკვეთილი ტახტი იდგა. ტახტზე სათნო ბერიკაცი იჯდა, თეთრი კაბა ემოსა, ქარის შემოტევაზე ეტმასნებოდა მძლავრ, კუნთოვან სხეულს.

ჭაღარა თმა-წვერი მოეჩეჩა ქარს, მხრებზე გადაეგდო, აფრიალებდა.

ქათქათა ფიფქები ეყრებოდა, აბეზარი მწერებივით კორიანტელს აყენებდნენ ირგვლივ, ვერცხლის ჭირხლით ევსებოდა ულვაშები, თმა-წვერი... ყინულის ლოლუები ეკიდა ძვირფას სამკაულებად, ყოველ შერხევაზე წკრიალს გამოსცემდნენ ზანზალაკებივით.

„სთქუი!"

აღელდა მზეჭაბუკ ბედია, გულზე შემოაწვა მთელი თავისი ჭირ-ვარამი ერთად მოაგონდა, ენა ვერ დაიმორჩილა, მთავარი და წვრილი აერია.

„ჯგრაგ! ცოდნა მწადია, უცოდინარობა მტანჯავს!.. იქნებ არც ღირდეს სიცოცხლე? ავი და კარგი თავზე მაცვივა, ერთიმეორისაგან ვერ გამირჩევია... რა ვქნა? ვის შევეკითხო?.. ვინ ვარ? სად ვარ? რისთვის?.. ჯგრაგ! რად გამომეცხადე, თუ გზა ჭეშმარიტი არ იცი?"

მუხლებზე დაეცა მზეჭაბუკ ბედია, შუბლი თოვლს დაჰკრა, თვალთ ცრემლი მოადგა.

სულში აფუთფუთდა სიტყვები. ხმა ნეტარი წარმოთქვამდა ალბათ.

„აღიღე ქრმალი იგი უწრთობი, რამეთუ თქმულ არს: არა ბოროტისა მსახურებად განვსჭედე იგი, არამედ — კეთილისა..."

მჭვუნვარედ იყურებოდა ჯგრაგ. ქარი აყრიდა მსუბუქ ფიფქებს. ყინულის წვრილი ნამსხვრევები ცვიოდა მისი თმიდან მინის ფირფიტებივით.

ხმა უჩვეულო, ძლიერი ნებით დათრგუნვილი, ძლივს სცდებოდა ბაგეს:

„ქმალი-იგი განიწმინდოს და იწრთოს სისხლითა ცხრათა ქართლოსიანთა..."

ბინდი მატულობდა. ქარი გაძლიერდა და. თოვლი მოაყარა, ყინავდა.

ბერის სიტყვებს ქარი იტაცებდა, შორს მიჰქონდა, მზეჭაბუკ ბედიას სმენას არიდებდა.

ხმა მისი გარდაიქცა შორეულ ბუბუნად, აზრის გარჩევა უკვე არ შეიძლებოდა.

თანდათან იყინებოდა ყრმა ბედია, ძალა ეცლებოდა. ძლივს მიფორთხდა ყინულის ტახტთან, თეთრი კაბის კალთას მოჰკიდა ხელი, ყინული და თოში შერჩა...

— ჯგრაგ! — შეჰკივლა განცვიფრებულმა, ფრჩხილებით მოფხოჭნა ყინულის სვეტი. სიცოცხლის ნიშანწყალი ვერ იპოვა მასში.

გაავებული ქარიშხალი კი აღმუვლდა, თოვლი და ყინულის ნამსხვრევები დაატრიალა, უღონო ყრმა მოსწყვიტა მწვერვალს, სუსხიან ფრთებზე გაიტაცა... მზეჭაბუკ ბედიამ გრძნობა დაკარგა.

მეორე დილით იპოვეს უშგულის შემოგარენში...

განძარცული

ავტობუსიდან რომ ჩამოდიოდა, სხვისთვის გამიზნული გუნდა ზედ წარბებს შორის მიეჭედა. თვალებიდან ნაპერწკლები წამოსცვივდა. დაფეთებული ბავშვები ბეღურებივით შემოეფანტნენ. ავტობუსის გუგუნი მიწყდა. მარტო იდგა შუა ქუჩაში, მუხლებამდე თოვლში. თავზე აბარდნიდა.

შეტორტმანდა. სწორად ვერ აბიჯებდა, ფეხი უცურდებოდა და წამდაუწუმ თოვლში იწყებდა ფართხალს.

სადარბაზოში შევიდა და კედელს მიეყრდნო. სიმთვრალისაგან ფეხზე ძლივს იდგა. სადარბაზოს შმორის სუნმა თავისი უქნა, გული მისდიოდა.

ლიფტი სადღაც გაჩხერილიყო. თუმცა არც არასდროს მუშაობდა. რკინის

ეროვნული ბიბლიოთეკა

კარს ბრაზით წაჰკრა ბათინკის ცხვირი. კიბეს აჰყვა.

ნაცნობ კარს შუბლი მიაბჯინა, თან თითი ღილზე ეჭირა და არ უშვებდა. ბინაში ზარი გაბმულად წკრიალებდა. ფეხის ხმა მოესმა. იქნებ მოეჩვენა კიდეც. კარს მუშტი ხეთქა, ეტკინა.

— გამიღეთ, თქვენი!..

თოვლი შემოადნა მხრებზე, ქუდზე, წვეთწვეთობით ჩამოსდიოდა, ბაქანზე ჭუჭყიანი გუბე დააყენა.

კარს არავინ უღებდა. იცოდა, ყველანი შინ იყვნენ და მაინც არ უღებდნენ. მერამდენედ მოვიდა როგნედას კართან. მუდამ მთვრალი იყო და აყალმაყალს ტეხდა...

ჯიუტად ჩამოჯდა კიბეზე. კიბე გაყინული იყო, სიცივემ ძვალ-რბილში გაატანა. ფეხებს ველარ გრძნობდა. იქნებ მჯდარიყო ასე დილამდე. გამოვიდოდა ის „მოღალატე“ და უკვე გაციებულ გვამს წააწყდებოდა. გადაიფიქრა. ძლივს წამოდგა. გულამღვრეული დაეშვა ბანცალით. სიმთვრალისაგან კი არ ბანცალებდა, სიცივისა და დაღლილობისაგან. ტყაპუჭი მაგრად შემოიხვია. საბურთალოს ქუჩას ქვევით დაუყვა. გვიანი ღამე იყო, მანქანა არ დადიოდა.

ძალუმად ბარდნიდა. კაჭუჭიას სულს თეთრზე უთეთრესი, ცივი თოვლი ეფინებოდა. საშინელ სიცარიელესა და მარტოობას გრძნობდა. ნეტავ ჯუმას მაინც არ წასჩხუბებოდა, შევიდოდა ძმასთან, ცოტას გათბებოდა. არადა, უზარმაზარ ქალქს თბილად ეძინა თოვლის სქელი ფენის ქვეშ და კაციშვილს არ აცალა კაჭუჭია ბედისათვის.

სახეზე სისველე იგრძნო. ვერ მიხვდა, ფიფქი დაადნა თუ ცრემლი გადმოუვარდა ლოყზე. თოვლიაო, — გაიფიქრა. მოიწმინდა. ოდნავ გაულხვა გული, ვინმე სულიერი მოენატრა უფრო. მაგრამ თეთრად გადაპენტილი ქუჩებიდან უკანასკნელი დაგვიანებული გამვლელნიც გაკრეფილიყვნენ. ღამის დარაჯებსაც კი თავი შეეფარებინათ და არსად ჩანდნენ.

უბიწო თოვლი ბრწყინავდა ქალაქის ფართო ქუჩაზე. მიმქრალი ნათურები ნემსისწვერისოდენა ათინათებს იბრუნებდნენ. შუქჩრდილი გათანაბრდა და იდგა ერთიანი, საყოველთაო, მქრქალი სითეთრე.

მშენებარე სახლის ბნელმა ფანჯრებმა შემოჰხედეს შიშისმომგვრელად. „გამძარცვავენ“, — შეკრთა კაჭუჭია ბედია. ჯიბეებზე ხელები აიფარა, ფეხს აუჩქარა.

მოერიდა ტროტუარზე სიარულს შუა ქუჩაში გავიდა, რათა საფრთხე დროზე ეხილა.

თოვლს მისი ნაფეხურებილა დააჩნდა... შავი წვეთები გასისწვრივდნენ, სისხლის წვეთები, ჯიბიდან რომ ეპარებოდა.

სულმოუთქმელად ჩაფორხილდა გმირთა მოედანზე. სუნთქვა შეეკრა, გული აჩქარებით უცემდა. ასე სუსტად არასოდეს უგვრძვნია თავი, ბავშვი მოერეოდა.

ზოოპარკთან ტელეფონის ჯიხურში შეძვრა. იქიდან უთვალთვალებდა მდევარს. არავინ გამოჩენილა. მაინც ვერ დამშვიდდა. დიდი ხანია ჯიბეები ამძიმებდა. ამჩნევდა გამვლელთა ხარბ მზერას. გრძნობდა, ვიღაც ფეხდაფეხ მისდევდა, რათა ეს აურაცხელი თანხა აეგლიჯა, ოღონდ არ იცოდა, ვინ იყო მდევარი და როდის წამოეწეოდა.

ტელეფონის ყურმილი აიღო. ორკაპიკიანი დაეძებნა. მისი დახორჯვით ჯიბე ხომ კიდე ორი კაპიკით დაუმძიმდებოდა. ვერ ბედავდა ხარჯვას. ყელში ამოსდიოდა ამდენი ფული. აპარატს იმდენი უჩხიკინა, ორი მონეტა ჩამოაგდებინა. გახარებულმა ერთი ჩააგდო. აპარატმა უმალვე გადაყლაპა. „ესეც ქურდია“, — გაჯავრდა, მუშტი მოსცხო. მეორე მონეტა უფრო ფრთხილად ჩააგდო, დარეკა. კარგა ხნის შემდეგ მოისმა ნამძინარევი ხმა:

— ვინ ოხერი ხარ?

— მე ვარ, კახაბერი!

— ა, კახა, არა გძინავს? — ლილიმ, ეტყობა, გემრიელად დაამთქნარა, თავ

კვლავ ბალიშში ჩარგო და ისე ლუღლუღებდა.

კაჭუჭიამ ღვარძლიანად ჩასძახა:

— გამოიღვიძე, რას ხვრინავ?!

— ვინ ხვრინავს? — იწყინა ლილიმ, — მეძინა...

— ადექი ახლა და ჩამოდი გმირთა მოედანზე, ზოოპარკის შესასვლელთან ვარ!

— გაგიჟდი? ამ სიშორეზე!.. მანქანაც არ დადის... დედა მაინც არ გამომიშვებს!

— მაგი არ ვიცი მე!.. გამოიპარე!.. იცოდე, ნახევარ საათზე მეტს არ დაგელოდები!

— არ შემიძლია, რა! — წაიკნავლა ლილიმ. კაჭუჭიამ არ მოუსმინა. ყურმილი ჩამოჰკიდა.

ახლა ეს ნახევარი საათი უნდა გაეძლო. გვერდით მინა ჩამტვრეული იყო. ჩამოეყრდნო და ასე გაჰყურებდა მოედანს. არა ერთხელ ენახა ამ რაკურსით, ასეთი გასაოცარი კი — არასოდეს.

თეთრი, ქათქათა მოედანი ერთ ნაკვალევსაც არ შეელახა ჯერ. ფიფქი უხმოდ ეშვებოდა ვერცხლის მინდორზე, რომელიც მინის ფხვნილით მოეფინათ.

თერთმეტსართულიანი სახლის ფანჯრები ჩაბრმავებულიყო, მაგრამ აქა-იქ ფერადი ნათურა ენთო, მათი სუსტი სხივი მოედანსაც ეფინებოდა, ასხვაფერებდა.

გორაკზე წამომდგარი ცირკის შენობა თეთრი კრემით დაფარულ სადღესასწაულო ტორტს უფრო ჰგავდა. ასეთმა შედარებამ კაჭუჭია ბედიას ოდნავ გამოუკეთა გუნება, უნებური ღიმილი მიეყინა ტუჩებზე.

მოეჩვენა, — ვიღაცის ფეხებქვეშ თითქოს თოვლი აჭრაჭუნდა.

გულისცემა მოუხშირდა, მუშტები მომუჭა. თოვლის ჭრაჭუნი კვლავ მოესმა. კვლავ ვიღაცა ეპარებოდა ფრთხილად.

შეთრთოლდა, ნერვები დაეძაბა. უცბად ნაძვის ტოტიდან ბათქუნით ჩამოვარდა გუნდა და ეს ხმა ისე გაისმა ქალაქის მდუმარებაში, კაჭუჭია ბედიამ კინაღამ შეჰყვირა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

კბილებაკაწკაწებული გამოვარდა ჯიხურიდან. აქ კი აშკარად გაიგონა ფეხის ხმა. „მძარცველი!“ — იყვირა ვიღაცამ მის სულში. გაქცევა მოინდომა. ფეხი დაუცდა... და ღონიერ მკლავებში აღმოჩნდა.

— ძლივს გამოვაღწიე, ათასჯერ წავიქეცი! — შემოსტირა ლილიმ...

„დებილი!“ — ბოროტად შეხედა კაჭუჭიამ. თავი შეიკავა, მკლავზე ხელი წაავლო.

— ჩემთან წავიდეთ!

— დედიკო მომკლავს...

— მოგკლავს კი არა, უბიწოება არ წაგართვას ვინმემ.

— რატომ იცი ხოლმე ეგრე?

კაჭუჭიას შიშმა გაუარა. სწრაფად ვეღარ ადგამდა ფეხს. ცალი მკლავი ლილის შემოჰხვია კისერზე და ჩამოეკონწიალა. გოგო ღონივრად ეზიდებოდა ფორნის ცხენივით.

„ბასტა, ჯანდაბამდის გზა ჰქონია ჩემს ცხვირმოუხოცავ მეუღლეს!“

კმარა ამდენი ვაწამაწია. მაინც ვერავინ დასაჯა, თვითონ კი ყოველ ნაბიჯზე ისჯებოდა. „ახია ჩემზე, — თავს იტყუებდა, — სიყვარულს ვუღალატე, პირველსა და ერთადერთს... რა ვუყოთ, რომ ავადაა!...“ მისი ციებიანი ფიქრები მზიას ირგვლივ დატრიალდა, თუმცა იმ ხნის განმავლობაში, რაც ქორწილი გადაიხადეს, არც გახსენებია. ისე კი იცოდა, ცოცხალი რომ იყო, ლოგინად იწვა, პროფესორები ვერაფერს შველოდნენ...

ლილი მძიმედ ხვნეშოდა, ძალუმად ექაჩებოდა მთლად მოშლილ კაჭუჭიას... ყოველი ნაბიჯი ტანჯავდა ბედიას. ჯიბეში ძალათი ჩატენილი ფულის დასტები ბარძაყებზე ეხახუნებოდა, სისხლიანი კოჟრები გაუჩინა. კვალზე მოსხურებული სისხლის წვეთები, ფულისაგან ნაჟონი რომ ეგონა, იქნებ სულაც

ჯემალ ქირია
მარადი მხედარი

მისი სისხლი იყო წყევლაც კი წამოსცდა. ერთხელ. იმ დღეს წყევლიდა, როცა პირველად იპოვა ის შაურიანი და სიცოცხლე მოეწამლა. მაშინათვე ენა ჩაიგდო. ვერ ელეოდა ძალას, სიამაყის გრძნობას, რასაც აურაცხელი თანხის ფლობა ანიჭებდა...

ლილი ხმას არ იღებდა, ჰაერს ხმაურით ისრუტავდა. კაჭუჭია მის ზურგზე მხარზე ეკიდა, დაღლილობისაგან თვალები ეხუჭებოდა. რამდენჯერმე ფეხი დაუცდა. თოვლში ჩაცვივდნენ. კაჭუჭიას წამოდგომა დაეზარა. გოგომ ლონივრად ასწია, მიწას მოწყვიტა.

ასე გაიარეს მთელი გზა.

არაფრის თავი არ ჰქონდა, მაგრამ კარს რომ მიაღწია, ეჭვმა გაკენწლა. რატომღაც იფიქრა, ჩემი კარი ვიღაცას უწვალებიაო. არავითარი კვალი არ აჩნდა, მცირე ნაფხაჭნიც კი. მაინც დარწმუნებული იყო, ჩემს არყოფნაში კარის გაღებას ცდილობდნენო.

აივანზე არავინ ჩანდა. სრული სიმშვიდე სუფევდა.

სახლს ეძინა.

ვინ უნდა ყოფილიყო? უნდოდ შეათვალიერა დერეფანში ჩამწკრივებული კარები. ლილიც ბნელი კოლოსივით ადგა თავზე უძრავად, რაღაცნაირ შიშს ჰგვრიდა.

— რას გამოშტერებულხარ? ხმა ამოიღე! — შეუძახა.

ლილიმ ამოიხვნეშა.

— თუ არ გეზარება, წადი ახლა შინ!

კაჭუჭია ვერ ამჩნევდა მის სახეს. გოგო ცხვირს აქშუტუნებდა, ალბათ ტირილს აპირებდა.

— დედა მომკლავს...

— მოგკლავს კი არა...

გასაღების მთელი ასხმულა დააძრო, კარის გაღების რთულ პროცედურას შეუდგა. ზოგი ბოქლომი ადვილად იხსნებოდა, ზოგიც ძალის დატანებას მოითხოვდა, ლონე კი არ ჰყოფნიდა. უჩუმრად აყუდებულ ლილის მაინც იცილებდა ეჭვიანად.

ბინაში ჰაერი ისე იყო დახუთული, კაცს წააქცევდა. შესვლისთანავე კარი მიხურა, ურდულების გაყრას და კლიტეების ჩაკეტვას კარგა ნახევარი საათი მოუნდა. ცალი თვალით ლილისკენ იყურებოდა, საკეტების სისტემას ხომ არ იმახსოვრებსო.

თავის ოთახში არ შემოუშვა. სასტუმროში დივანზე საბანი და ბალიში დაუგდო.

თვითონ გაუხდელად ჩავარდა ლოგინში და ნერვულმა, არეულმა ძილმა თავი წაართვა...

ფეხებზე ხუნდებს ადებდნენ თითქოს. ცდილობდა მოეცილებინა. რკინის ხუნდები უფრო და უფრო უჭერდა, ჭრილობებიდან სისხლი მოთქრიალობდა. „გამიშვით, რას მერჩით! ისედაც ძალა არ მაქვს!..“ — იხვეწებოდა. უჩინარი ლანდები დასეოდნენ, შეუბრალებლად კოჭავდნენ.

— თავი დამანებეთ, თავი დამანებეთ!.. — იყვირა და გამოეღვიძა.

სასტუმროდან სინათლის შუქი ეცემოდა.

თავზე ლილი ადგა. სინათლე ზურგში სცემდა გოგოს, კაჭუჭია მისი სახის გამომეტყველებას ვერ ხედავდა.

— რა გინდა? — უკმაყოფილოდ შეეკითხა, უნებლიე შიში დამალა.

— ყვიროდი, — ჩაიდუდღუნა ლილიმ. მის ხმაში თხოვნა მოესმა კაჭუჭიას. ზიზღის მეტი ვერაფერი იგრძნო, ზურგი შეაქცია.

— წადი, დაიძინე!

ძილი გაუკრთა. თვალები ფართოდ გაეხილა და ბნელი კედლისათვის მიეპყრო. ვერაფრით ხვდებოდა, რად იყო ასე უბედური. ვის რა დაუშავა, ცუდი რა გაუკეთებია ვინმესთვის?.. ახლა გაახსენდა, უზრუნველი ბავშვობა იყო უბედნიერესი ხანა, ენგურისპირა ჭალებში გატარებული, როცა ფული ჯერაც არ იცოდა რას წარმოადგენდა. შემდგომ გამდიდრების სურვილმა მოუწამლა სიყმაწვილე. ახლა ფული ჩეჩქად ჰქონდა, სულთანივით შეეძლო ეცხოვრა, მაგრამ თვით სიცოცხლეს თანდათან ეკარგებოდა აზრი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

„მაინც რა არის მიზეზი?“ — კითხვა დაისვა. პასუხი არ ჩანდა. უფრორე გაურბოდა, წვრილმან, მეორეხარისხოვან მიზეზებს ეძიებდა. უფროსი ძმა წამეჩხუბა და იმიტომ ვარო უბედური, ცოლი გამექცა და იმიტომო, სოფელი მომენატრა და იმიტომო...

„ეგებ სოფელში წავიდე?“ — გაიფიქრა. სულში სუსტმა სხივმა შემოაღწია. მარტოობის, ყველას მიერ მიტოვებულის მწველი განცდა მოშორდა, ამ აზრს გაუღიმა. რამდენი ხანია შინ არ ყოფილა. ბოლო-ბოლო ჩათუ-ბების საფლავი ხომ უნდა ენახა. მშობლები სიხარულით ცას ეწევიან, მეგობრები შეიკრებიან. ერთი კვირა ლხინს ლხინზე გადააბამს, გალაღდება... წამით ბედნიერმა გვერდი იცვალა და უცბად ყველაფერი ჩაქრა. ლილის ხვნეშა მოესმა. იქნებ მარტო არც იყო ლილი, ვაითუ კარი გაუღო ვინმეს. მოკლავენ კაჭუჭიას, გაიტაცებენ მის განძსა და ფულს.

შიში დაეუფლა, ცივი კლანჭები შეუყარა გულში, მოუჭირა.

— ლილი!

ხვნეშა შეწყდა. ძველი დივანის ზამბარები აჭრაჭუნდა. იატაკზე შიშველი ფეხის ტყაპუნი გაისმა და ლილიმ შემოაჭყიტა ბუთია თვალები.

— მოდი აქ!

ლილის სახეზე აშკარა კმაყოფილება დაეტყო. საწოლის კიდეზე ჩამოუჯდა.

— ვინ არის მანდ?

გოგომ უაზროდ შეხედა, მხრები აიჩეჩა.

კაჭუჭიას შერცხვა თავისი ეჭვებისა. ზიზღნარევი სურვილით კედლისაკენ გაიწია, რათა ზონზროხა გოგო მის გვერდით დატეულიყო...

●

ბინაში გამოიკეტა. შინ არავის უშვებდა. მხოლოდ ლილი აკითხავდა დღეგამოშვებით, ერთსა და იმავე დროს დადგებოდა კართან, არც დააკაკუნებდა, არც შეუძახებდა, მორჩილად ელოდა. კაჭუჭია ჭუჭრუტანიდან უთვალთვალებდა კარგა ხანს, ვინმეც ხომ არ ახლავსო. მერე იწყებოდა კარის გაღების რიტუალი. ბოლოს იმდენად გამოაღებდა, კარის ღრიჭოში ლილი შემოტეულიყო. არც მისი ნახვა ეპიტნავებოდა მაინცდამაინც, მაგრამ ლილის საჭმელი მოჰქონდა. თვითონ კაპიკის გამეტება ეზარებოდა. მაღაზიის ფასები ანცვიფრებდა, ბაზრისკენ კი არც იყურებოდა. ძალიან თუ მოშივდებოდა, იაფფასიან ძეხვს იყიდდა, ან თევზის კონსერვს და იმით საზრდოობდა. ლილის კი შინიდან მოჰქონდა სადილის ნარჩენები. კაჭუჭია ამით თავს სულაც არ გრძნობდა დამცირებულად. კარს ჩაკეტავდა თუ არა, გაზეთში გახვეულ ძღვენს გამოგლეჯდა, აცახცახებული ხელებით პირში იტენიდა ქათმის ბარკალი იყო თუ ყველის ნაფშხვენი, გაციებული მჭადი თუ კვირის წინანდელი ხაჭაპური. ლილი ამ დროს გულხელდაკრეფილი იდგა და უყურებდა... კარგად რომ დანაყრდებოდა, თავს მაშინ ასწევდა საშუალი ბედია, შეხედავდა ლილის ბრიყვულ სიფათს, დაიღრიჯებოდა:

— რას მომშტერებიხარ? მოდი აქ!

ლილი უხმოდ ჩამოჯდებოდა დივანზე, ელოდა.

კაჭუჭია ნასადილევს გაყუჩდებოდა, ისვენებდა. მერე უთქმელად მიუბრუნდებოდა გოგოს, უხეშად წამოაქცევდა.

შემდგომ ისევ დაჯდებოდა, გაირინდებოდა. ლილიც დაავიწყდებოდა, საკუთარი თავიც, უცბად გამოერკვეოდა, გაოცებული შეხედავდა გოგოს, გაღიზიანებული მიახლიდა:

— რა გინდა აქ, ვერ წაეთრევი შინ?

ლილი მხრებში მოიბუზებოდა, წამში ცრემლებს გადმოაფრქვევდა, კარისაკენ გაძუნძულდებოდა. გაღება თვითონ არ შეეძლო. კაჭუჭიას კი ხელიდან გასაღები უვარდებოდა, ნერვულობისაგან ურდულებს ვეღარ ერეოდა, სურდა სწრაფად გაესტუმრებინა ეს უცხო და აბეზარი გოგო...

ჯემალ ქირია
მარადი მხედარი

მარტო დარჩენილი დიდხანს კეტავდა კარს, ხან ერთი გასაღები ავიწყდებოდა, ხან მეორე...

ფანჯარაში კი ცნობისმოყვარე ზამთარი იყურებოდა, ცხვირ-პირი მინაზე მიეჭყლიტა, შინაბერას გულმოდგინებით მოექარგა. შინაგანად დაცარიელებული, მოწყენილი კაჭუჭია დიდხანს უბერავდა სულს, ალხობდა, ვიწრო სათვალთვალოდან უცქეროდა გარე ცხოვრების ფრაგმენტს. აქედან აივნის ნაწილი მოჩანდა. ხანდახან გაიელვებდა ფეხი, შარვლის ტოტი მოხვეტავდა იატაკს, ხან გაიბაკუნებდა მაღალქუსლიან ფეხსაცმლებში გამოსკვანჩული ქალის ფეხები და კაჭუჭიას სული ემღვრეოდა იმ ვნების სუსტი ნაშთით, რომელიც ასე ძლიერ სჩქეფდა მის ძარღვებში ოდესღაც... ვნების ეს გაფაჩუნება ახლა სკამიდან ვერ წამოაყენებდა, ამოიოხრებდა მხოლოდ, კაეშნის განდევნას ცდილობდა.

თუთის წვრილი ტოტი ედებოდა მუშას გარედან, ოთახში ეპირებოდა შემოსვლას. ოდნავ დაუბერავდა ნიავი და ატეხდა წყნარ კაკუნს, ეხვეწებოდა, ბარემ სარკმელი გამიღე, სითბოში შემომიშვიო.

დღენიადაგ უთვალთვალებდა ამ ტოტს. გაჩხინკული ტოტი სიცოცხლისაგან დაცლილსა ჰგავდა...

იმ პირველ თოვლიან დილას ტოტზე ფაფუკი ქუდი დაჯდა, ჩამოზნიქა, თოვლი ჩამოცვივდა და ტოტი ისევ გაშიშვლდა.

მეორე დღეს ისევ დაეხურა ფაფუკი ქუდი. ისეთი მსუბუქი ჩანდა, უნდა ჩამოეგდო ნიავს, ოღონდაც, ყინვამ ზედ მიაჭედა...

ერთხელაც წვეთი დაეკიდა, ცრემლივით ობოლი, ბრჭყვიალა...

იმ დღეს კაჭუჭია ბედიასაც ცრემლი მოერია, მიზეზი კი არ იცოდა. უბრალოდ, ტირილის გუნებაზე დადგა. იჯდა ჩვეულ ადგილას, უყურებდა იმ წვეთს, ცრემლი კი ღაპაღუპით ჩამოსდიოდა.

ადრიან გაზაფხულზე იმ ტოტზე ჩიტი დაჯდა, შესჭახჭახა...

ეროვნული
ბიბლიოთეკა

კვირტები მოულოდნელად გაჩნდნენ, ვერ შეამჩნია როდის...

მერე ხე გაიფოთლა... ეზოში იმატა ბავშვთა ჟრიამულმა...

სამუდამოდ ხომ არ გაგრძელდებოდა ასე. ცხოვრება თავისას მოითხოვდა. გაზაფხულმა კაჭუჭია ბედიაც გამოაცოცხლა. იგრძნო, რომ კუნთებში უჩვეულო ძალა შემოვიდა. ჭირდებოდა მოძრაობა, გარჯა. გაიზმორა, ძვლები გაატკაცუნა. იმდენი ენერგია დახარჯა, უცბადვე მოითენთა. ცოტა ხანში ისევ მოუნდა სიარული, საქმიანობა.

ენერგიულად დააბიჯებდა ოთახიდან ოთახში. დახუთული ჰაერი და სივიწროვე თავბრუს ახვევდა.

აივანზე გამოვიდა. ადრიანი მზის სხივებით გამსჭვალულმა გრილმა ჰაერმა განსაწმენდელში გავლილივით სილაღე შესძინა. იდგა და ხარბად ისუნთქავდა იმ კაცივით, ვისაც ეს-ესაა ახრჩობდნენ, ახლა კი ხელი უშვეს.

შინ რომ შებრუნდა, ამ ნახევარი წლის განმავლობაში პირველად გამოაღო სარკმელი. ოთახში შემოაღწია ნოტიო ჰაერმა და ჟრიამულმა.

„ეჰ, კახაბერ ჩემო, ძველო ბიჭო, ცხვირი რას ჩამოგიშვია?“ — თავი გაიმხნევა. მართლაც, რა სჭირდა სატირალი ამდენი სიმდიდრის პატრონს!

ქორწილის შემდეგ არ დაუთვალიერებია თავისი განძი. ახლა მოუნდა, საქმე გაიჩინა. გახსნა ყველა უჯრა და სამალავი. რაც კი რამ ჰქონდა, მაგიდაზე დაახვავა.

ჩაბნელებულ ოთახში ათასი ათინათი აციმციმდა, კედლებსა და ჭერზე ათრთოლდა.

ათრთოლდა კაჭუჭია ბედიაც. ალტაცებული მზერა ვერ მოსწყვიტა მის წინ დახორავებულ გორას. რად სჭირდება ან ცოლი, ან ძმები, ან დედ-მამა; რად სჭირდებოდა ძეხორციელი დედა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მიწის ზურგზე, როცა ამ განძის მფლობელი იყო.

გულწრფელად, უყოყმანოდ დაასკვნა. სწორ გზაზე ვდგავართ. „მიმიფურთხებია ყველასათვის!“ — აღფრთოვანებული სინაზით წასჩურჩულა თავის სატრფოს, თავის გულისწორს, ერთადერთა, სანუკვარს—ძვირფასეულობის ამ განძს.

ხელები ზე აღმართა, თითქოს კურთხევას უპირებდა. ბანჯგვლიანი თითები ცახცახით ჩააფლო მარგალიტებისა და ბრილიანტების გროვაში, ვერცხლისა და ოქროს ბორცვში...

რაღაცამ, რასაც სახელი არა ჰქვია, შიგ გულში შეუღიტინა. ბედნიერებით მოპირთავებულიყო მისი სული, ოქროს ზოდების ელვარებას წაეღო თვალის ჩინი. უპირველესი და უმძაფრესი სიყვარული დაეუფლა კაჭუჭია ბედიას და ნეტარებით აღავსო.

კართან გაიჩხაკუნა. ვიღაცა იდგა დერეფანში, კარს მიღმა. ადგილზე გაშეშდა. მოეჩვენა, რომ გასაღები გადაბრუნდა კლიტეში. მერმე არც ფეხის ხმა გაუგონია, არც სუნთქვა ვინმესი, არც არაფერი. მხოლოდ ბავშვები ხმაურობდნენ ეზოში. კართან მიირბინა, ზედ აეტმასნა. „ის“ იქ იდგა!.. პანიკამ შეიპყრო. ჭუჭრუტანიდან ვერაფერი დაინახა და არ იცოდა, რა მოემოქმედა. ურდულები უხმაუროდ ჩამოხსნა, სწრაფად გააღო.

არავინ იყო!

დერეფანში ყველა კარი მჭიდროდ მიეგმანათ. არც აივანზე ჩანდა ვინმე.

ზედა სართულები შეათვალიერა. სულ ბოლო სართულის აივნიდან პიჟამოიანი ტიპი ბინოკლით ათვალიერებდა მის სარკმელს. კაჭუჭიას ფერი ეცვალა.

— ჰეი! — შეუძახა.

ტიპმა ბინოკლი მოიშორა, გადმოხედა.

— ი-იქ ცეცხლია? — იკითხა.

მართლაც სარკმლიდან უცნაური ელვარება გამოკრთოდა.

კაჭუჭია ბედია სწრაფად შებრუნდა ოთახში.

მაგიდაზე დახვავებული განძის ელვარება თვალს ჭრიდა.

კარი ჩაკეტა, ფანჯარაზე ფარდა ჩამოაფინა.

მაგიდას მიუბრუნდა. ზედ სისხლი იდგა. სისხლის წვეთები ეკიდა მაგიდის ძგიდეებს. მის ფეხებზე ჩამოედინებოდა, იატაკზე იტბორებოდა. ამისათვის ყურადღება არ მიუქცევია. სისხლს მიეჩვია და მის მოტკბო სუნს ისე იტანდა, როგორც მძღოლი ბენზინისას. განძეულს სისხლი წვრილ წინწკლებად ეფინა, თითქოს ახლახანს მოეწვიმა. ძველი პერანგის ნახევით შეუდგა წმენდას. თითო-თითოდ იღებდა ნივთებს, დიდხანს ატრიალებდა ხელში, სიამოვნებდა მისი სიმძიმე, ფასი... დიდი სინაზით უსვამდა ტილოს, საგულდაგულოდ წმენდდა, თუმცა იცოდა, რომ ერთ-ორ საათში კვლავ სისხლის წვეთებით დაიფარებოდა...

თანდათან გაიტაცა საქმიანობამ, ჩაეფლო. საბოლოოდ გამოეთიშა გარე სამყაროს. მისთვის მხოლოდ ეს განძეულობა არსებობდა.

პირველსავე ზოდს მთელი საათი წმენდდა. ზოდი ბრჭყვიალებდა, ელვა გადასდიოდა: ლაქას მიკროსკოპითაც ვერ უპოვიდა კაცი. ის მაინც უსვამდა, და უსვამდა. ხელზე შეაგდებდა. აწონიდა, პირს გააწკლაპუნებდა, რაღაცას ბუტბუტებდა ან ღიღინებდა. მეორე ზოდს უფრო დიდხანს მოუნდა, რადგან ძილი წამოეპარა, მთქნარება აუტეხა. ალბათ შუაღამე იქნებოდა. მერე თვითონაც არ იცოდა, ძილში განაგრძობდა ყოველივეს თუ ცხადში.

განძში ჩაფლული ათიოდე ოქროს საათი სხვადასხვა ხმაზე წიკწიკებდა. რომელიმე მათგანს ხელში რომ აიღებდა, სისხლს გადასწმენდდა, ოქროსა და ძვირფასი თვლებით თვალმოჭრილი, ციფერბლატს ვერ ხედავდა. ამიტომაც ვერ ამჩნევდა დროის სვლას, არც აინტერესებდა. მარადის უნდა ყოფილიყო

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამ უტკბესი საქმიანობით დაკავებული. სხვა რამისათვის არც ღირდა სიცოცხლე.

ძილი საბოლოოდ განშორდა. თვალები დაუწითლდა, სტკიოდა. ქუთუთოებქვეშ სისხლი ჩაუწვა. უძილობა ჯერაც არ იყო ეგოდენ მტანჯველი, მაგრამ აზრს აქრობდა, ტვინში სიცარიელემ დაიბუდა.

შიმშილი იგრძნო, მწველი. გულის ძარღვს წოვდა, არაქათი ელეოდა. მერე ესეც გადაავიწყდა და ალბათ არასოდეს საჭმლის არსებობა არ მოაგონდებოდა.

დღის სინათლე მორცხვად შემოიპარა ფარდის ვიწრო ჭრილში, ელნათურით შეშინებული უკუიქცა. ეს გაელვება მოწმობდა ცის კაბადონზე მზის გასეირნებას.

გარეთ კვლავ ბნელოდა. იქნებ მეორე ღამე იყო, ან მესამე. ამის გაგება არ ძალუძდა, რადგან არ ახსოვდა, როდის, რამდენი დღის წინ მიუჯდა ამ მაგიდას. შეშლილის აკვიატებული მეთოდურობით წმენდდა და ალაგებდა მრავალგზის გაწმენდილსა და დალაგებულს.

დაგუბებულ ჰაერში სისხლის მოტკბო სუნი გაძლიერდა. რაღაც იხრწნებოდა, რაღაც ამაზრზენი ხდებოდა, ოღონდ ყოველივე დაფარული იყო ბინის ყრუ კედლებით.

ერთხელ გამოერკვა. ვიღაცა კარს უჩხიკინებდა. შეშფოთებული წამოვარდა, ყური მიადო. ნამდვილად იდგა დერეფანში უცხო ვინმე. კაჭუჭიამ მუშტი დასცხო კარს და ისტერიულად შეუკივლა:

—ვინ ხარ მანდ?!

— კახაჯან, რაფიკა ვარ, საქმე მაქვს შენთან...— ჩურჩულით უპასუხეს.

—წაეთრიე აქედან, საქმე არ ვიცი მე,— უნებური ჩურჩულითვე უპასუხა კაჭუჭიამ.

— იაფი და მომგებიანია, კახაჯან, გაგეხარდება.

— წადი შენი...—წაისისინა საშუალმა ბედიამ და კარს მოშორდა.

უმალვე დაავიწყდა ეს წალაპარაკება, ისევ საქმეს მიუბრუნდა.

არც მესამე თუ მეოთხე დღეს გახსენებია საჭმელ-სასმელი, ძილი. ტუჩპირი წითური ბანჯგვლით დაეფარა. თვალები მთლად ჩაუღამდა, თითქოს ბნელი ჭიდან იცქირებოდა. შუბლზე, სახეზე ნაოჭები დააჩნდა. ყვრიმალები ამოეზარდა. ტყავგადაკრული თავის ქალა ეგონებოდა კაცს, გაყვითლებულ, წვრილ კისერზე რომ იყო წამოცმული.

მეოთხე დღის დასალიერზე რეტდასხმულივით წაბარბაცდა, თავი ძლივს შეიმაგრა, დივანამდე მიაღწია და მოცელილივით დაეცა...

მისთვის წამი იყო, საათის ციფერბლატზე კი ისარმა მრავალგზის დაარტყა წრე. ღრმა ძილმა მოსვენება ვერ მოუტანა. თვალი გაახილა, ვერ გაიგო, დღე იყო თუ ღამე. შიმშილისაგან კუჭი ეწვოდა, გული მისდიოდა. ღონე არ ეყო თავის წამოსაწევად. ძილმა კვლავ ჩაითრია. მოეჩვენა, რომ წამოდგა, დაიბანა. ვითომ თავბრუც ეხვეოდა, ბანცალებდა. მერე გაწყობილ სუფრას მიუჯდა. სუფრა კი არა, ერთი დიდი გობი იყო. ზედ კერძი დაეხვავებინათ უხვად. გამწარებული ეძგერა საჭმელს. სულმოუთქმელად ნთქავდა და ნთქავდა, მაგრამ ოდნავადაც ვერ იოკებდა შიმშილს. მერე იაზრა, რასაც მიირთმევდა. მისი განძი მოეხარშათ სისხლის წვნიანში. კბილებს იმტვრევდა საათებზე, საყურეებზე, ბეჭდებზე, სამაჯურებზე... ოქროს მონეტებს იჭერდა წვნიანში, თხილივით აკნატუნებდა... მთლად დაელეწა კბილები, დაუსისხლიანდა პირი, ენა. აირია საკუთარი სისხლი და ეს უცნაური წვნიანი, რომელსაც მოტკბო, გულისამრევი სუნი და გემო აჰყვებოდა. ამას რომ მიხვდა, თვითონვე შეძრწუნდა, უკან გადაიწია, ოღონდაც, რაღაც ნება აიძულებდა ეთქვლიფა ეს ჯოჯოხეთური კერძი. ყელში ამოსდიოდა და მაინც ვერ ჩერდებოდა. მუცელი

ეროვნული ბიბლიოთეკა

თანდათან ეზრდებოდა. მალე ფაშვი ისე წამოებურცა, მუხლებზე ვერ დაიხედავდა. ნაყლაპი ოქროს სიმძიმისაგან სკამს მიეჭედა, სული შეუგუბდა. უკვე არ შეეძლო მეტის ჭამა, უკვე ნამცეცი ვერ ეტეოდა მის კუჭში, პირში კი ისევ იტენიდა...

უცებ გასკდა. დაიხედა და ფაშვიდან ოქროს ჯვრის ტარი ამოსჩროდა, სისაძაგლეებში არეული თვალმარგალიტი ჭვიოდა.

მიხვდა, რომ კოშმარული სიზმარი ესიზმრა. ნებისყოფას მოუხმო, გამოიღვიძა. ქუთუთოები ერთმანეთს მისწებებოდა და ხელებით ძლივს გაიხსნა.

გონს ვერ მოეგო კარგა ხანს. ოფლში ცურავდა. ფულის დასტები უშნოდ მიბჯენოდა გადახეხილ ბარკლებზე და სტკიოდა. საჭირო იყო წამოდგომა, ცივი წყლის დალევა, ის თუ გამოაფხიზლებდა. ძალა არ ეყო: ძლივს იცვალა გვერდი. გახეული შარვლის ფხრაწუნი ჩაჰყვა ბნელ ბურანში.

სიზმარი მთლად აეწეწა. საშინლად იტანჯებოდა... მერმე ვითომ თავი დააღწია კოშმარს. ყველაფერი განათდა. ქალაქის ვრცელ მოედანზე აღმოჩნდა. მთელი მოედანი მდუმარე ხალხით იყო გაჭედილი. შიში მოჰგვარა ამ მდუმარებამ, ჩქამიც რომ არ არღვევდა. გაიწია. სურდა გაეღწია ბრბოს რიგებში. აწუხებდა ვრცელი მოედანი, კაშკაშა მზით გასხივოსნებული, რის გამოც ყველაფერი სააშკარაოზე ჩანდა... გაიწია და კინაღამ წაიქცა. ახლაღა ნახა, ხელ-ფეხი თოკით ჰქონდა შებორკილი. მოედნის ცენტრში ჩარჭობილ ბოძზე გაეკრათ მსჯავრდადებული.

ელდა ეცა კაჭუჭია ბედიას, ღმუილი აღმოხდა, აწყვეტა მოინდომა.

პირქუში ბრბო კი უძრავად იდგა და დუმდა.

თავი მოიმკვდარუნა საშუალმა ბედიამ, შიშმა აზრი გაუცხოველა. შესაბრალისი მზერა ესროლა ახლო მდგომთ. ნაცნობი და ახლობელი ვერავინ იხილა და იმედი მთლად დაელია.

ზარს ჩამოჰკრეს. მიკროფონთან კაცი მივიდა, დაიძახა:

„ხალხო, მივცეთ მას, რაც სიცოცხლეს ერჩივნა!“

ხალხი დუმდა და შესაზარი იყო ეს მდუმარება.

კაცმა ხელით ანიშნა აღმსრულებელს. ახლაღა შენიშნა იგი კაჭუჭიამ. თვალები გაუფართოვდა. ტატო შეიცნო. ხელში დიდი ჯამი ეჭირა ტატოს. ჯამს ორთქლი ასდიოდა. მიხვდა კაჭუჭია ბედია, გამდნარი ოქრო ისროდა ცინცხალ სხივებს.

„არ მინდა!“ — იზმუვლა, კრიჭა შეიკრა.

ტატოს თვალებს ვერ გაუძლო.

„არ მინდა!“ — ტირილით გაიმეორა, პირი კი დააღო, რათა მიეღო კუთვნილი სასჯელი.

„გაამოს“, — მისწვდა მის ყურს ჩურჩული. ადუღებული ოქრო ჩაასხეს პირში, ჩაეთუთქა ენა და ყელი, ცეცხლი მოეკიდა...

იკივლა კაჭუჭია ბედიამ, გაიწია, მოაძრო ბოძი, წააქცია და თვითონაც გადაჰყვა.

„არ გაუშვათ, მაგრად შეჰკარით!“— იხუვლა ბრბომ და მიესია.

— მაგრად შეჰკარით, არ გაუშვათ!... — აშკარად გაიგონა ხრინწიანი ჩურჩული. გაოგნდა, შიშისაგან ენა ჩაუვარდა. ოთახში ჯიბის ფარანი ენთო და კაჭუჭია ბედიას ხელ-ფეხს უკრავდნენ...

●

ეს კი ნამდვილად არ იყო სიზმარი. ცხადი ისე სავალალო გახლდათ, კაჭუჭია ბედიამ რეტიანივით წაილმუვლა, შეეცადა გათავისუფლებულიყო, ოღონდ ამაოდ. რამდენიმე ნიღბიანი კაცი მისეოდა და მოურიდებლად ბუბნიდნენ. კაჭუჭია ბედიამ ხმა დაძაბა, უნდოდა ეკივლა. მხოლოდ ხავილი ამოუშვა, რადგან პირში ჯენჯო ჰქონდა ჩატენილი. მძიმე და მასიური ტიპი ზედ აწვა და კაჭუჭიას ნეკნებს ლაწალუწი გაუდიოდა.

ჯემალ ქირია

მარადი მხედარი

— ნუ მკლავთ! — უფრო გაიფიქრა, ვიდრე თქვა.

— მაგრა გაკოჭე, თუ წამოდგა, ქვეყანას შეგვიყრის, — ნერვული ჩურჩულით ამბობდა ნაცნობი ხმა.

— ბარემ გავათავოთ და ის იქნება...— ქალის ხმა შეეპასუხა.

— გაგიჟდი? მკვლელობა არ გამაგონო... რომ ჩავცვივდეთ, ხომ დავიღუპებით... — ქშენა-ქშენით ამოაყოლა ზორბამ.

კაჭუჭია ბედიას თავი გადაუვარდა. საშველი არ იყო და ბედისწერას მინებდა. თავწაცლილ ქათამს რომ ელევა თანდათან ძალა, ისე ასუსტებდა წინააღმდეგობას. ბოლოს გარეგნულად მთლად დაწყნარდა.

ჩუმად იწვა და თვალს აცეცებდა. შემოსასვლელი კარი ღია იყო. ღამემ ალბათ დილისაკენ გადაიწია.

ბინაში დაფათურობდნენ. ჯერ მთელი ჯარი ეგონა, მერე ოთხიღა დათვალა.

თავდაპირველად ვერც მიხვდა, რას ერჩოდნენ. წრიალებდა ბეცი აზრი: რა ხდება? რა უნდათ?.. განძი გაახსენდა. ზმუილი მორთო. ოთახში მყოფნი ყურადღებას არ აქცევდნენ. ღონეს მოუხმო, ასხმარტალდა. ისე იყო გაკოჭილი, სისხლი უგუბდებოდა, კიდურები დაუბუჟდა.

— მიდი ერთი, გოგრაში უთავაზე, ეგებ დამშვიდდეს... — წაისისინა ქალმა.

— თავი მიანებე, შემოგვაკვდება, — გააჩუმა ზორბამ.

ყველაფერი ნათელი იყო. კაჭუჭიას გულში ცეცხლი ბობოქრობდა, მაგრამ თავზევით ძალა არ იყო და საწყალობლად შეჰყურებდა მოძალადეებს.

ისინი მაგიდის ირგვლივ ტრიალებდნენ. დახვავებულ განძს ტომარაში იყრიდნენ. ერთი მათგანი, პატარა კაცუნა, ზედიზედ ხსნიდა უჯრებს, კარადებს, ყველგან იქექებოდა; რასაც მოიხელთებდა, იატაკზე ყრიდა. ალბათ სხვა განძსაც ეძებდა. ვერაფერს მიაგნო, წიხლი ჩაჰკრა გაკოჭილს და ცუდქართულით შეამკო.

— თავი გაანებე, — ისე გამოესარჩლა ზორბა, — ესეც გვეყოფა.

კაცუნამ არაფერი უპასუხა, თვალი ჯიბეგამოტენილ შარვალს დაადგა. ხმის ამოუღებლად დაუწყო ჩახდა. შიშისა და ნერვულობისაგან კაჭუჭია მთლად დასველდა. ტიტლიკანა მუცელზე ოფლის წვეთები ღვარად ჩამოსდიოდა. კაცუნა ძალუმად ექაჩებოდა შარვალს, მაგრამ თოკი უშლიდა ხელს, მისი შეხსნის კი ეშინოდა. შარვალს ფხრეწა გაუდიოდა. მაინც ისე ეტმასნებოდა პატრონის სხეულს, თითქოს ზედ იყოს შეზრდილი.

ამასობაში სადღაც ტრამვაიმ ჩაიხრიგინა.

მძარცველებს ყურადღება არ მიუქცევიათ.

მერე ქუჩაში მსუბუქმა მანქანამ ჩაიქროლა, მოსახვევთან სიგნალი მისცა.

— თენდება, — წაიჩურჩულა ზორბამ.

— ახლავე, — კრიჭა შეეკრა კაცუნას, კაჭუჭიას გაქონილ-გასისხლიანებულ შარვალს არ ეშვებოდა.

— წამოდი, ჰა, უმაგისოდაც კარგადა ვართ, — მოთმინება დაელია ზორბას.

— მოდი, მივახრჩოთ, — ერთხელაც გაიმეორა ქალმა, — ეგებ გვიცნო კიდეც, გვიჩივლებს.

— ამდენი ჭკუა კი ექნება, რომ არ გვიჩივლოს, წამოდი, ჰა...

ობობას ქსელით დაბლანდულ ვიწრო სარკმელში სუსტი რიჟრაჟი შემოიჭრა, ან იქნებ იქითა აივანზე სინათლე აანთეს და ის ეცილებოდა დღის სინათლეს.

თანდათან ილვიძებდა ქალაქი. სმენაგამახვილებულ კაჭუჭიას მისი უწყვეტი გუგუნი ყურში ჩაუგუბდა.

სასოწარკვეთილს ესმოდა წასულთა ფეხის ხმა, ვითარცა უბედურების ზარი. მისთვის ყველაფერი მთავრდებოდა.

„გიჩვენებთ სეირს...“ — მაინც იმუქრებოდა უსასოოდ შთენილი. სასოება კი მართლაც არსაიდან ჩანდა...

●

ტროლეიბუსში თანაკურსელი ნახა. შორიდან მიესალმა. ბილეთის აღებაც

უნდოდა მისთვის, გადაიფიქრა. ტროლეიბუსი უკონდუქტორო იყო და თავისთვისაც არ აუღია. თანაკურსელი შეცბა, დაბნეულად უპასუხა, ეტყობა ველარა ცნობდა.

„ნუთუ ასე შევიცვალე?“ — გულზე შემოაწვა კაჭუჭიას. ახლა ამ ფიქრისათვის არ ეცალა.

ტყვეობას რომ თავი დააღწია, არ იცოდა, საით წასულიყო. მთელ ქალაქში ლილის გარდა, არც არავინ ჰყავდა, ვისთანაც მიესვლებოდა.

იცოდა, ლილის მშობლები აგარაკზე იყვნენ. ერთ დროს აკითხავდა ხოლმე. მაშინ გასაღები წამოიღო და შერჩა.

კარს რომ მიადგა, არ დაურეკია. ყური მიადო და უსმენდა, სხვა ვინმეც არ დამხვდესო. არაფერი ისმოდა. იქნებ არც ლილი არის შინ, შევალ და დაველოდებიო, გადაწყვიტა.

შეაღო და გაცხარებული ჩურჩული გაიგონა. „უყურე ამ დონდლოს, სხვა საყვარელი გაუჩენია“, — გულგრილად გაიფიქრა. იოტისოდენაც არ წყენია. ჩემი მოულოდნელი გამოჩენა ელდას დასცემსო და თითის წვერებზე შეიპარა.

პარკეტმა დაალალატა, აჭრაჭუნდა.

ოთახში სიჩუმე ჩამოვარდა, მერე სკამის გაწევის ხმა მოისმა და ვიღაცა მძიმედ გამოემართა.

კაჭუჭიას უნდოდა ტანსაცმლის კარადას ამოფარებოდა. ვერ მოასწრო...

ზღურბლზე ლილი იდგა. ისე იყო გაწითლებული, პირდაპირ ოხშივარი ასდიოდა. თვალებში შიში და გაკვირვება ჩაუდგა. მოულოდნელობისაგან კატის ჩნავილის მსგავსი ხმა ამოუშვა.

— აჰა?! — მრავალმნიშვნელოვნად წამოიძახა კაჭუჭიამ. ამ დინჯმა, აუღელვებელმა წამოძახილმა ლილი უფრო დააფრთხო.

კაჭუჭიამ ნაბიჯი გადადგა, მაგრამ ლილი კარში გაჩხერილიყო, გზას არ უთმობდა, მასთან შეჭიდება კი ვერ გაბედა.

ოთახიდან სკამების ფრთხილი მიწევმოწევა, პარკეტის ჭრაჭუნი, სულშეგუბებული „სს-უ“-მოესმა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ვინა გყავს, ოქრო, მანდ?! — შეეკითხა გულღრძოდ.

— არავინ... — ხმა აუკანკალდა მასპინძელს.

კაჭუჭიამ დრო იხელთა, მისი შიშით ისარგებლა და გვერდით აუარა.

ოთახში უწესრიგობა სუფევდა. საფერფლეში პაპიროსის ორიოდე ნამწვს კვამლი ასდიოდა. მაგიდის გადასაფარებელზე სისხლის ლაქა აჩნდა და უცებ ყველაფერი ნათელი გახდა.

— აჰა! — ბოროტად წამოიღრიალა. პიანინოზე დადგმულ ვერცხლის მძიმე შანდალს დაავლო ხელი და მეზობელ ოთახში შევარდა, რათა დამალულნი აღმოეჩინა.

იმ ოთახში და არც მომდევნოში არავინ იყო. სადარბაზოდან კი ფეხების ბრაგაბრუგი და კარის ჯახუნი მოესმა. უკანვე გამოვარდა. თვალი მოჰკრა რამდენიმე კაცის ზურგს. ისინი უკვე ზღურბლს გადასცილდნენ და გარბოდნენ.

კაჭუჭია ბედიამ მისდია, ოღონდაც, ზღურბლზე ისევ ლილის შეეჩეხა. გოგოს პირველი შიში განელებოდა, აფთარივით გაფხორილი იდგა.

კაჭუჭია ეცა, შეეცადა ზღურბლიდან ჩამოეშორებინა. ლილიმ ღონიერი მკლავები მოჰხვია და მოულოდნელად მამაცი ჭაბუკი იქვე მდგარ დივანზე დაახეთქა, თვითონ კი წარმოუდგენელი სისწრაფით კარი გაიჯახუნა.

შერცხვენილი, ისტერიკამორეული კაჭუჭია ლანძღვა-გინებით მივარდა კარს. შანდალი დასცხო. გვიანღა მიხვდა, კარი ინგლისური საკეტით იყო ჩაკეტილი და შიგნიდან ადვილად იღებოდა.

ამან ზედმეტი წუთი დააკარგვინა. ქუჩაში ველური ყიჟინით გამოვარდა, გაქცეულები ფალიაშვილის ქუჩის ბოლოს დალანდა. შორიდანვე იცნო თავისი მტრები და ბილწი გინება მიაყოლა...

ჯემალ ქირია
მარადი მხედარი

ვაკის ამ უბნის მცხოვრებთ მსგავსი რამ მხოლოდ უცხოურ ვესტერნებში უნახავთ. ჩვეულებრივად მშვიდსა და წყნარ ქუჩაში წარმოუდგენელი ღრიანცელი ატყდა. უკვე ღამდებოდა. პირველი ნათურები აინთო. ის დრო გახლდათ, როცა სასეირნოდ გამოსული ხალხი ავსებს ტროტუარებს. შინ დარჩენილები აივანზე გადმოსხდებიან ან ფანჯრებს გადმოეყუდებიან. ყველა ბინაში ტელევიზორი ჩაერთოთ და ქუჩაში ჯაზის რიტმული მუსიკა იჭრებოდა.

ზუსტად ამ დროს მრავალრიცხოვანი მაყურებლის წინაშე წარსდგნენ შესანიშნავი სპრინტერები.

ყველაზე წინ მირბოდა რაფიკა მაკლერი. თვითონ ჩია ტანის, ერთობ დაღეული, კაფანდარა კაცი, არც კი ჩანდა მძიმე ტომრის ქვეშ. ერთი თვალის შევლებითაც ნათელი იყო, ეს ტომარა უფრო ღონიერსაც წელში გაწყვეტდა, მაგრამ რაფიკა მაკლერს რაღაც შინაგანი ცეცხლი ენთო და ჩიტივით მიფრინავდა.

თავის მეუღლეს ფეხდაფეხ მისდევდა მშვენიერი სუსანა. სხვა დროს ლბილსა და სანეტაროს, ახლა თმა გასწეწოდა, კაბა შემოხეოდა. ტომრის ბოლოს ჩაჰფრენოდა, შველა უნდოდა თუ წართმევას ლამობდა, ამის გარკვევა ვის შეეძლო.

ამ წყვილს ათიოდე ნაბიჯით ჩამორჩებოდა ბედიების კარის მეზობელი ზაზუნა. გზა-გზა, უკეთ ვირბენო, და, პერანგ-შარვალი გაეძრო, ტრუსების ამარა მირბოდა. წინწაგდებული ფაშვი სასაცილოდ უხანხალებდა. ოფლი ხვითქად ჩამოსდიოდა და ძველი გამოშვების ორთქლმავალს დამსგავსებოდა.

მას ორ ნაბიჯზე მისდევდა ლილი, რომელიც სიმსხოთი დიდად არ ჩამოუვარდებოდა ზაზუნას, ლონე კი იქნებ მეტიც ჰქონდა. კაბის კალთა მუხლებს ზევით ავარდნოდა. თონთლო ბარძაყები მაყურებელთა ნაირ-ნაირ რეაქციას იწვევდა.

სულ ბოლოს, კარგა შორს, გინებითა და ყვირილით მორბოდა კაჭუჭია ბედია და ვერცხლის შანდალს ხმალივით მოაქნევდა. საავადმყოფოდან გამოპარული გიჟიაო, და გამვლელნი აჩქარებით უთმობდნენ გზას.

პროცესიას სტვენა-ღრიანცელითა და აურზაურით კუდში მისდევდა ბარე ორი ათეული ქუჩის ბიჭი, რომელთაც ფრიად მოეწონათ უჩვეულო სრბოლა.

ბავშვების უკან სირენების კივილით მოიწევდა მილიციის ორი მანქანა, თავზე ბრდღვიალა შუქფარებს ატრიალებდნენ, გზის გაკვალვას ცდილობდნენ.

ამასობაში მორბენალებმა ქუჩის ბოლომდე ჩააღწიეს და ვაკის პარკში შეიჭრნენ.

თბილი საღამო გახლდათ და პარკს უამრავი ხალხი მოწყდომოდა. შხუოდა შადრევანი, დგაფუნობდა კასკადი, მუშაობდა ატრაქციონი. ბავშვები ატრაქციონებს ეტანებოდნენ, მოხუცები შადრევნისა და კასკადის პირას ისხდნენ. მსოფლიო ამბებს აწესრიგებდნენ. შეყვარებულები ბნელ ტევრებს დაეძებდნენ. ფორმიანი და უფორმო მილიციაც კმაროდა და მოხულიგნო ელემენტები კრავებივით წყნარნი დადიოდნენ.

მოკლედ, ვაკის პარკში იდილია სუფევდა.

სწორედ ამ დროს შემოცვივდნენ მორბენალები და ყველაფერი აირია, თავდაყირა დადგა.

ისეთი კაკაფონია ატყდა, მეორედ მოსვლასა ჰგავდა.

რაფიკა მაკლერმა არ იცოდა, საით გაქცეულიყო. ცენტრალურ შადრევანს რომ მიაღწია, სამჯერ შემოურბინა ირგვლივ. მთელმა ამ არმიამაც, კუდად რომ აჰკიდებოდა, მასთან ერთად სამჯერ შემოირბინა წრე.

გზას მომიჭრიანო, და მთავარი გასასვლელისაკენ გამოუტია. რამდენიმე კაცი ამ ორომტრიალისას წყალში ჩავარდა და იქ ფართხალებდნენ. საბედნიეროდ, წყალი მტკავლის სიღრმე იყო და მათთვის ყურადღება არც მიუქცევიათ.

რაფიკა კიბეზე ავარდა. ზუსტად აქ უმუხთლა ბედმა. ფეხი დაუცდა და ტომრიანად უკან დაგორდა. სუსანაც მას

მიჰყვა. ორივენი რამდენიმე აბრუნდის შემდეგ ძირს გაიშხლართნენ. ამასობაში ზაზუნამ მოასწრო, ზედ დაეცა, მძიმე ლეშის ქვეშ მოიყოლია ტომარაც და ცოლ-ქმარიც. რაფიკა მაკლერი ხელფეხს ასხმარტალებდა, არ გამჰყლიტოთო, ტომარას ხელს მაინც არ უშვებდა. ალესილი სუსანა ფრჩხილებით უკაწრავდა ზაზუნას ბუნჩულა ლოყებს. იმას კი ტომარა ძალუმად ჩაეხუტებინა და ცოლ-ქმრის შემოტევას აინუნშიაც არ აგდებდა... ახლა ლილიც ჩაება ბრძოლაში. ხან ერთს სტაცებდა ფეხში ხელს, ხან მეორეს, რათა ზედახორიდან გამოეთრია, მაგრამ ერთს რომ დასძრავდა, ორი დანარჩენი ტომრიანად ზედ იყო დაგორგლილი. ველარას გახდა. კაჭუჭია ბედიამაც მოუსწრო. კალიასავით დახტოდა ირგვლივ, შანდალს იქნევდა, უმიზნებდა, თავში რომელ ერთს ვხეთქოო, ვერ ახერხებდა და გაჰკიოდა:

— წაეთრიეთ! ტომარა ჩემია!.. ხელი უშვით!.. წაეთრიეთ!.. ნაძირალებო!. ბანდიტებო!.. მძარცველებო!..

სეირის მოყურადენი გარს შემოეხვივნენ მოჩხუბრებს. ზოგი აქეზებდა, ზოგიც დინჯად სთავაზობდა, გავაშველოთო, ხელს კი არავინ ანძრევდა. პატარა ბიჭები აღტაცებისაგან ყირამალას გადადიოდნენ, მიდი, უთაქე! — გაიძახოდნენ.

ათიოდე მილიციელი მოვარდა. გაშველებას შეეცადნენ. ხუთივე კი, ზაზუნა, რაფიკა, კაჭუჭია, სუსანა, ლილი გამწარებული ჩაჰფრენოდნენ ტომარას და ყოველი მათგანი წივილ-კივილითა და ყიჟინით ექაჩებოდა თავ-თავის მხარეს.

საშველი არ დაადგათ და მილიციელებიც ჩაებნენ ბრძოლაში. თითო მოჩხუბარს ორ-ორმა ჩაავლო ფეხებში ხელი, აქეთ-იქით გასწიეს...

დასასრული ფრიად ტრაგიკული აღმოჩნდა!

„ტკაც!“ — გაისმა. ხუთეულს ტომრის ხუთი ნაგლეჯი შერჩა ხელში. განძმა საშინელი სუნი გამოსცა. მაყურებლებმა უკან დაიხიეს. ყველას თვალწინ ტომრიდან გადმოცვივდა დამხრჩვალი კატები, მანქანის მიერ გატანილი ძაღლის ლეში, ლაყე კვერცხები და სხვა არანაკლებ სასიამოვნო „ძვირფასეულობა“...

ხუთეული გაოგნებული დაჰყურებდა ბრძოლის შედეგს. წამით მდუმარება ჩამოვარდა და უცებ თავშეყრილ ბრბოს ისტერიული ხარხარი მოედო...

კაჭუჭია ბედიას გული შეუღონდა და მიწაზე ბრაგვანი მოადინა.

●

— თავს როგორა გრძნობთ?.. უჩემოდ შეძლებთ შინ მისვლას?.. ჰო?.. თუ გიჭირთ, მანქანას გიშოვით!.. არ დაგავიწყდეთ, მილიციაში დაგიბარეს... დანარჩენ მოჩხუბრებს თხუთმეტ-თხუთმეტი დღე აკმარეს... ქუჩებს ხვეტავენ ალბათ... — ექთანი დიდხანს ერატრატა, კარამდე მიაცილა.

კაჭუჭია ბედია ყურს არ უგდებდა. ყველაფერი მობეზრდა.

მიდიოდა, თვალით კი ვერაფერს ხედავდა. ერთგან კინაღამ გაქანებულ მანქანას ჩაუვარდა. არც მუხრუჭების წივილი გაუგონია, არც გაფითრებული მძღოლის გინებისათვის უთხოვია ყური.

მიდიოდა და არ იცოდა, საითკენ, რისთვის, ვისთან... ფეხები თავისთავად ადგამდნენ ნაბიჯებს. ნაცრისფერი ასფალტი ედგა თვალწინ, საკუთარი ლანჩების აუჩქარებელი ბაკუნი უხშობდა ყველა სხვა ხმას. ღრმად ჩაფიქრებული ადამიანის შთაბეჭდილებას ახდენდა; მის ტვინში კი მცირედი აზრიც არ იძვროდა.

მისთვის ყველაფერი გათავდა. სიცოცხლემ აზრი დაკარგა. ვიღაცამ დასცინა, ფეხი დაადგა, გათელა... გაამასხარავეს მისი ყმაწვილკაცობა, სურვილები, ოცნებანი... თუ არა და, რამდენ რამეს პირდებოდა ეს სიცოცხლე, რამდენ სიამოვნებას, სიმდიდრეს, სითბოს, სიყვარულს, ქეიფსა და დროსტარებას,

ჯემალ ქირია
ნარადი მხედარი

გოგოებს, ამხანაგებს, მეგობრებს... ყველაფერს ფასი დეკარგა, ყველაფერს...

ნელა მიაბიჯებდა სანაპიროზე. მანქანები ჩამოიქროლებდნენ ხოლმე, მისი ცნობიერების მიღმა გაიელვებდნენ უსახურ ლანდებად. შიგ მჯდომი ადამიანები აჩრდილებს ჰგავდნენ... ადამიანთ ფეხებზე ეკიდათ კაჭუჭია ბედია, მისი სურვილები, არავის სცალოდა მისი განძისათვის. არც მისი ჩამოფხრეწილი, ჯიბეებგამოტენილი შარვალი ეპიტნავებოდა ვინმეს... ფულიანი ჯიბეების გახსენებაზე ტვინში აღოღიალდა აზრი, ადგილიდან დაიძრა. ოღონდ ამ გახსენებას სიხარული არ მოუტანია. ფულის დასტები კვლავაც ეხახუნებოდა სისხლიანი ფორეჯებით დაფარულ ბარკლებზე. ყოველი ნაბიჯი მწარე ტკივილსა ჰგვრიდა.

ფული? რაში სჭირდებოდა ასეთი ფული. წამების წყარო გაუხდა ეს უწმინდური, სისხლით დალაქავებული ბანკნოტები. რამდენი ხანია ჯიბიდან ხურდაც არ ამოუღია. ტრამვაისა და ტროლეიბუსში უფასოდ მგზავრობდა. ერთი ორჯერ აყალმაყალიც გახადა რევიზორებთან. ეშინოდა კაპიკის დახარჯვისა. ჯიბეები ასკდებოდა ისედაც, მათი თრევა ილაჯსა სწყვეტდა...

ვინ იყო დამნაშავე მის უბედურებაში? — კითხვა წამოტივტივდა. იმეორებდა განუწყვეტლივ, პასუხი კი ვერ დაეძებნა. ვერსად ხედავდა საკუთარ თავზე მეტ დამნაშავეს, თუმცა ძალიან უნდოდა ვინმესთვის გადაებრალებინა. რად წასცდა ხელი, რად უნდოდა ის ბილწი, სისხლით დალაქავებული შაურიანი? რად არ გადააგდო, როცა იგრძნო მისი ეშმაკისეული ძალა? აჯობებდა, ცეცხლისათვის მიეცა ყოველივე. მშიერ კუჭზე უკეთ იმეცადინებდა, ახლა ერთი კურსით წინ იქნებოდა. ხომ სულ გადაავიწყდა, ჯერაც რომ სტუდენტად ითვლებოდა.

თავი ასწია. საკუთარი სახლის წინ აღმოჩნდა. შეყოყმანდა. რისთვის უნდა შესულიყო შინ? რა უნდა ექეთებინა? ვინ ელოდა ჰაერდახუთულ ბინაში? ვისთვის გადაეშალა გულისწუხილი? აქამდე თუ განძი იყო მისი ცოლი, მეგობარი, ძმაკაცი, და-ძმა, მშობელი და შვილი, ახლა რას უნდა შეეცვალა ყოველივე ეს?

ეროვნული
ბიბლიოთეკა

— ასანთი მომიკიდე!

ათიოდე წლის ბიჭი გადაუდგა. კბილებში სიგარეტი გაერჭო, ქუდი კი ძველბიჭურად გვერდზე მოექცია.

— რა?

— ასანთი მომიკიდე!

— წადი შენი!..

მუშტი ასწია. ბიჭმა მძულვარედ გაკვესა თვალები, გაეცალა.

ეზოდან პეწიან კოსტუმში გამოწყობილი, ჩაჰალსტუხებული კაცი გამოვიდა. ნიანგის ტყავის ჩანთას მოაქნევდა. პირდაპირ შეეჩეხა კაჭუჭია ბედიას. გულგრილად დაუკრა თავი და უცებ გაშტერდა. კაჭუჭია ბედიასაც თვალები გადმოუცვივდა. ასე იდგნენ ერთმანეთის პირისპირ ჯუმა და კაჭუჭია ბედიები.

რამდენმა წყალმა ჩაიარა, რამდენმა დრომ განვლო! ჯუმა ბედია კარგა ხანია ახალ ბინაში გადაბარგდა. პატარა ოთახის გასაღებს მაინც არავის უთმობდა. თვეში ერთხელ მოაკითხავდა, ჩაიკეტებოდა რამდენიმე საათით და არავინ იცოდა, რას აკეთებდა. ერთხელაც არ შეხვედრილან იმ ჩხუბის შემდეგ. გარეგნულად ისე ჩანდა, თითქოს ერთმანეთი გადაავიწყდათ.

ჯუმა ბედიამ უხერხულად ჩაახველა, ნაბიჯი გადადგა. იქნებ სწრაფად გაცლა ეწადა. კაჭუჭია ბედიაც შებრუნდა სანახევროდ. ორთავე ადგილზე გაიყინა და ჯუმა ბედიამ ჩახლეჩილი ხმით ჰკითხა:

— კახაბერ, ასე რამ გამოგცვალა, ბიჭო?

ძნელი იყო კაჭუჭია ბედიას ცნობა. გაქრა ის ლოყებღაჟღაჟა, კუნთმაგარი ბიჭი, რომელსაც გამვლელები შენატროდნენ. ერთი წლის განმავლობაში დაბერებულიყო, საფეთქლებზე ნაადრევი ჭაღარა შერეოდა, თმა გამეჩხრებოდა, ლოყები ჩავარდნოდა, სახის კანი

გაყვითლებოდა, ტანსაცმელი ნაკეცებად ეკიდა ტანზე... მაგრამ ჯუმა ბედიაც ძნელი საცნობი გამხდარიყო. კაჭუჭია ბედიაც ვერ უჯერებდა თვალებს. მის წინ თითქმის გამელოტებული, შუახნის, სახედაღარული კაცი იდგა. ქათქათა პერანგი ეცვა, სიდამწვრის სუნი კი წინანდელზე მეტად სდიოდა და მასთან გაჩერება ჭირდა.

„შენ მეც დამღუპე და თავიც დაიღუპე", — გაიფიქრა კაჭუჭია ბედიამ.

დიდხანს იდგნენ ჩუმად. არ იცოდნენ რაზე ელაპარაკათ. შეუძლებელი ეჩვენა... მოჩნდა ხიდის აღდგენა... საუკუნედ ჩანდა ეს რამდენიმე გრძელი თვე.

— დავიღალე, — წაიჩურჩულა უცებ კუჭუჭია ბედიამ.

ჯუმა ბედიას თვალებშიც დაღლილობა იდგა. შეეცადა დარდი დაემალა, ნაძალადევად გაუღიმა და უჩვეულო სინაზით უთხრა:

— გულს ნუ გაიტეხ, კახაბერ, ცხოვრება გრძელდება...

კაჭუჭია ბედიამ არაფერი უპასუხა.

უფროსი ბედია იქვე მდგომ შავ „ვოლგაში" ჩაჯდა და წავიდა.

საშუალი ბედია მარტო დარჩა, მთლად მარტოდმარტო. მთელ დუნიაზე არ იყო ადამიანი, მას რომ გაუქარწყლებდა ამ საშინელ სიმარტოვეს. სახლს გაეცალა: უგზო-უკვლოდ იხეტიალა დიდხანს. უნებურად ტელეფონის ჯიხურთან შეჩერდა. ორკაპიკიანი დიდი ყოყმანის შემდეგ გაიმეტა და დარეკა.

აპარატმა უცბად გაიჩხაკუნა, თითქოს ელოდნენ...

— დიახ!

კაჭუჭია ბედიას გული გადაუქანდა, ხმა ვერ ამოიღო.

— დიახ, გისმენთ! — ნერვიულობა დაეტყო ხმას.

კაჭუჭია ბედია აჩქარდა.

— როგნედა, მე ვარ, ოქრო, ყურმილი არ დაკიდო...

— კახაბერ?.. სულ არ გელოდი, — ხმას სიცივე დაეტყო.

— როგნედა, რომ იცოდე, როგორ მარტო ვარ... მაინც რა დამიშავებია, ჩემო გოგო, რისთვის ამითვალწუნე? მთელი სიცოცხლე მომბეზრებია...

— მე მაპატიე, კახაბერ! — როგნედას ხმაში დაფარული მღელვარება გაისმა, — მე ვარ დამნაშავე... თვალები მქონდა ამბმული, მეც მოვტყუვდი და შენც მოგატყუე...

— როგნედა, გენაცვალე... — კაჭუჭია ბედიას სიხარულისაგან თავბრუ დაეხვია.

— გაჩუმდი, კახაბერ, მომისმინე!.. რაც დაგშორდი, ბევრი ვიფიქრე. რა ვქნა, ლაწირაკი ვიყავი, ცხოვრებისა არაფერი გამეგებოდა. ძალიან კი ნუ დამსჯი ჩემი აჩქარების გამო... შენმა სიტყვებმა და ოქროს ელვარებამ დამაბრმავა...

— როგნედა!..

— მე კი თურმე სხვა მყვარებია, კახაბერ...

— როგნედა, — გული ჩაუვარდა კაჭუჭია ბედიას, აუტანელმა დარდმა კინაღამ დაახრჩო.

— მხოლოდ ის მიყვარს, კახაბერ... ვიცი, არასოდეს მომხედავს... მაინც ის მიყვარს...

— როგნედა! — კივილი აღმოხდა კაჭუჭია ბედიას. იმ ბოლოს ყურმილი დაჰკიდეს.

გამწარებული გამოვარდა ჯიხურიდან, კარი მიახეთქა... მოკლავდა... ამ წუთას რომ გადაჰყროდა, წამიც არ დაფიქრდებოდა...

აჩქარებული და მღელვარე მიაბიჯებდა ტროტუარზე. არავისი ერიდებოდა. გზასაც უთმობდნენ. მხარს თუ ვინმე გაჰკრავდა, არ ებოდიშებოდა, პირიქით, ღვარძლიან გინებას ზედ მიაყოლებდა.

კვლავ თავისი სახლის წინ აღმოჩნდა. გაუკვირდა, აქეთკენ არც აპირებდა წამოსვლას. არც არსად აპირებდა და საითკენმე ხომ უნდა ევლო. გაჩერება კი არ შეეძლო. კიბეზე აირბინა. საკუთარ კარს ათვალწუნებით აუარა. მზიას ბინას მიადგა.

ჯემალ ქირია

ნარადი მხედარი

ყველანი შინ იყვნენ.

ამირანმა გაუღო კარი, უხმოდ შემოუშვა. აქამდე გაბოროტებული მოდიოდა, თითქოს ეს წყნარი ადამიანები ყოფილიყვნენ პირველი მტრები.

ერთბაშად მოიშალა, მორიდებული და სიტყვაძუნწი გახდა.

— მაპატიეთ, — წაიჩურჩულა.

— ჩვენ აქ ვსადილობთ, — ძალდატანებული მხიარულებით წარუძღვა ამირანი სამზარეულოსაკენ.

— დაგვეწვიე! — სკამზე უჩვენა ბუბამაც. არ გახარებია კაჭუჭიას გამოჩენა, თუმც არ დაიმჩნია.

კაჭუჭია ბედია უხმოდ დაჯდა. ამირანმა წვნიანი დაუსხა, წინ დაუდგა. კაჭუჭია კოვზით ურევდა ნელ-ნელა.

— ასე ვცხოვრობთ, სტუდენტებივით, — ჩივილი მორთო ამირანმა, — სანამ მზია ჯანმრთელად იყო, ღმერთებივით ვიყავით...

მზიას ხსენებაზე კაჭუჭია ბედია შეკრთა, მხრებში მოიბუზა.

ამირანმა მისი დუმილი უსიტყვო კითხვად მიიღო.

— დღითი დღე უარესად ხდება. ვერაფრით ვუშველეთ. თანდათან ქრება, ქრება... სულ მეშინია, დილას გამომეღვიძება და უკვე არ დამხვდება... რა უნდა ვქნა?!

კაჭუჭია ბედიას კრიჭა შეეკრა. მეტისატანა არ შეეძლო. სკამი ხრიგინით გასწია. წამოვარდა და მასპინძლები უბოდიშოდ დატოვა.

ქუჩაში ისე სწრაფად და მოურიდებლად მიდიოდა, თითქოს ახლობლის სულისათვის უნდა მიესწრო.

ქუჩიდან ქუჩაში უხვევდა, ერთსა და იმავე ადგილას რამდენჯერმე უბრუნდებოდა და ამას ვერ ამჩნევდა...

დრო კი გადიოდა. მზე შეუმჩნევლად ჩავიდა... თუმცა მისთვის სულ ერთი იყო. მთელი დღე არც შეუმჩნევია მზე თუ იყო ცაზე.

სანაპიროზე გამოეხეტა, ჩელუსკინელთა ხიდთან. პარაპეტს გადაეყრდნო და მტკვრის ციმციმმა მზერა მოსწყვიტა... მაშინ გაკვესა აზრმა.

დიახ! აზრი უკომპრომისო იყო — არ უნდა დაეწყო აწონ-დაწონა, დიდხანს არ უნდა ეფიქრა, უცბად უნდა განეხორციელებინა ჩანაფიქრი.

ისტერიული აჩქარებით შეიხსნა ღილები და შარვლის ჩახდას შეუდგა. ბოროტი ღიმილით დუდღუნებდა რაღაცას, თითქოს კაცის კვლას ეპირებოდა. ფხრაწაფხრუწით იძრობდა. ამდენი ხნის გაუხდელი შარვალი სხეულის ნაწილი გამხდარიყო, კანზე ეკრობოდა. ისე ეწვოდა, შარვალს კი არა, კანს იძრობდა თითქოს. „აჰა!“ — გამარჯვებულის აღტკინებით დააკრაჭუნა კბილები. პარაპეტზე ახტა. იდგა ტრუსის ამარა, ხელში ძონძებადქცეული შარვალი ეჭირა, ათვალიერებდა როგორც მოსისხლე, მაგრამ დამარცხებულ მტერს. სისხლიანი დასტებით გამოტენილი ორი ჯიბე გირებივით ეკიდა და მისი სიმძიმე მკლავებსა სწყვეტდა.

ბარძაყებზე, იქ, სადაც აქამდე ჯიბეები ეხახუნებოდა, ჩირქიანი ჭრილობები აჩნდა. გულისამრევად ერთმანეთში აზელოდა ჩირქი და სისხლი.

— ხომ მოგიშორე თავიდან! — წამოიძახა კაჭუჭია ბედიამ, მოიქნია და მტკვარში მოისროლა.

მტკვარი კი ამ დროს ციმციმებდა. ცაზე მიმოიბნა ჯარი სუსტი ვარსკვლავებისა. სანაპიროს გაყოლებით აბრდღვიალებული ნეონის ნათურები ვერცხლის თევზებივით ჩაცვივდნენ წყალში. ცრიატი ფერი გადაჰკროდა მტკვარს, ვერცხლის ჭავლი უვლიდა...

კაჭუჭია ბედია იდგა პარაპეტზე და გასცქეროდა თავის შარვალს, რომელიც დამხრჩვალივით აუჩქარებლად მიტივტივებდა წყალში.

— ხომ მოგიშორე თავიდან! — ყოყმანით მიაძახა ერთხელ კიდევ.

უცბად დაშანთულივით გადმოხტა პარაპეტიდან, სანაპიროზე გავარდა ყვირილით:

— ტაქსი, ტაქსი!..

რამდენიმე მანქანამ ჩაუარა, მაგრამ ტრუსისამარა კაცს არავინ უჩერებდა

და კაჭუჭია ბედიის ყვირილისაგან ხმა ჩაუწყდა.

ბოლოს, შორიდან რომ დალანდა ცისფერი ნათურა, გზა გადაუჭრა.

ტაქსისტი აბუზღუნდა. კაჭუჭია ბედიამ ყური არ ათხოვა, აღგზნებულმა უბრძანა:

— წინ, ბარათაშვილის ხიდისაკენ!

ტაქსისტი დაფრთხა, ხმა ჩაიგდო.

ერთ წუთში ხიდზე იყვნენ. კაჭუჭია ბედია ტაქსიდან გადმოხტა, ხიდის მოაჯირს მივარდა.

მოციმციმე მტკვრის ტალღებზე აუჩქარებელი ტორტმანით მოტივტივებდა ფულის ბანკნოტებით გამოტენილი მისი შარვალი.

კაჭუჭია ბედია მოაჯირზე გადაფოფხდა.

ტაქსის შოფერი მანქანიდან გამოვარდა და გამოეკიდა.

— ჰეი, შეჩერდი! — დაუძახა.

გვიანი იყო.

კაჭუჭია ბედიამ მოაჯირს ხელი უშვა და მტკვარში გადავარდა...

შოფერი გადაეყუდა, კარგა ხანს იყურებოდა ქვევით. ხიდქვეშ უკუნი სუფევდა. მტკვარი ყრუდ მიდუდუნებდა...

კოხტა-გორა

(ფანტასმაგორია)

...შეკრბნენ წარჩინებულნი ამის სამეფოსანი კოხტის-თავს და იურვოდნენ უმეფობასა და ჭირთა ესრეთთათჳს; გარნა დაასკუნეს განდგომა თათართა და წარვიდნენ ამა პირსა ზედა იმერნი კაზმად, ხოლო ამერნი უცდიდნენ მუნვე. ესე სცნეს თათართა ბიჩუს და ანჩუგ, მიუჴდნენ კოხტის-თავს მდგომთა, შეიპყრნეს ყოველნი წარჩინებულნი და წარიყვანეს ანისს შირაკუან და მიიყვანეს ქარმაღანის წინაშე; ხოლო მან მჴარდაკრულთა განშიშულებულთა წარსცხო თაფლი და განსხნა მზის სიცხესა შინა...

მკლავები გაეშალა და ცაზე გაკრულ ჯვარს ჰგავდა. იმ სიმაღლეზე ეკიდა, საიდანაც უკვე ჩანს, რომ დედამიწა მრგვალია. ნახევარსფეროს გიგანტური წრის კიდეებისაკენ ზღვები, ოკეანეები და ქვეყნები ეშვებოდნენ. ყველაზე მაღალი, ამობურცული ხმელეთი კი საქართველოს ეჭირა.

შავი ზღვის სილურჯე ფაფუკ, ქათქათა ღრუბლებში აითქვიფა. კასპიის ზღვა კი ისე კამკამებდა, როგორც უდაბნოში დაღვრილი მელანი. კავკასიონის გრაგნილი გაწოლილიყო ორ ზღვას შორის. კი არ გაწოლილიყო, კოლოსალური მთები გადადიოდნენ ერთი მეორეზე, კლდეები ამსხვრევდნენ თავზე წამოცმულ მყინვართა ჯავშანს. აშვეტილიყვნენ უკარება მწვერვალებად. უთვალავი ქედი და ხეობა. ტყით მოქოჩრილი ფერდნი და ხრიოკნი ახლართულიყო ერთმანეთში, ვითარცა წამიერ გაქვავებული ქაოსი. ვრცელ დაბლობებს, დასავლეთში ზურმუხტისფერსა და აღმოსავლეთში ყანგისფერს, იხშივარი ასდიოდა.

სხვათა მხარეთა მთები და ველები ზღუდეებად შემოჯარვოდა ირგვლივ, დასერილნი მდინარეებითა და გზებით, ვითარცა ბადე, რომელშიც გახლართული ოქროს თევზი.

როგორც ფოთოლი მოსწყდება ხეს და ნელი ფარფატით ეშვება ძირს, ისე ნელ-ნელა ეშვებოდა მზეჭაბუკ ბედია ცის კაბადონიდან. თანდათან ფართოვდებოდა ქვეყნიერება, მაღლა იწევდნენ მთათა ზვიადი მწვერვალები, თვალნათლივ შიშვლდებოდა მიწის ყოველი იარა. კასპიის ზღვა გადაქანდა, ჩაიღვარა ჰორიზონტს მიღმა. მიმოიფანტნენ ქალაქები და სოფლები, დაიხლართა გზები და მდინარეები. ყანები დალაგდა გეომეტრიულ ფიგურებად.

მზე იძირებოდა გამდნარი თითბრის ზღვაში. მისი სისხლიანი სხივები მსჭვალავდა ცისიერს. პირმიწაზე კი ბინდი მოცოცავდა, ეფინებოდა, ნთქავდა ყოველივე ნათელსა და მშვენიერს.

სწრაფად დაეშვა იქ, სადაც ასფალტირებულ გზატკეცილს ოღროჩოღრო საურმე გზა გამოეყოფოდა.

ჯემალ ქირია
მარადი მხედარი

ეროვნული

კოხტა-გორას ციხის მორღვეული ზღუდეები, ჟამთა სიავეს რომ ადასტურებდა, ბნელში ჩაილია.

ლოდზე ჩამოჯდა გზისპირას. ბინდი უფრო და უფრო მუქდებოდა. ვარსკვლავებით მოიცხრილა ზეცა. ვარსკვლავთა ჩახჩახი მაინც ვერ ჯაბნიდა ჩამოფენილ წკვარამს.

უცბად ჭიხვინი მოესმა. თვალები დააჭყიტა. ვერაფერი დაინახა. იგრძნო, მხედრიონმა ჩაუარა. მეზმანებაო, — გაიფიქრა. ცოტა ხანში კვლავ მოესმა ჭიხვინი და ფლოქვთა თქრიალი. წამოიწია ყრმა ბედია, მოსწყდა პირმიწას, მიმოიხედა. ხმები ესმოდა, მხედრობა კი არსად ჩანდა. ასე გაგრძელდა შუაღამემდე. ღამისეულ მდუმარებას მხედრიონის თქარუნი არღვევდა.

ღამე გადატყდა. გზატკეცილზე მანქანის ფარები აბრდღვიალდა. საურმე გზაზე გადმოუხვია მსუბუქმა მანქანამ. ერთი კაცი იჯდა შიგ. ფარები მზეჭაბუკს მოანათა და დაამუხრუჭა.

— ვისი ხარ, ველარა გცნობ?

— ბედია ვარ გვარად, მზეჭაბუკ!.. თქვენა?

— კახელი ვარ, მამაიჩემის შვილი. შორია კოხტა-გორამდინ?

— აქვეა!

გზატკეცილიდან მეორე მანქანამ გადმოუხვია. იქიდან ერთი სხარტი კაცი გადმოხტა. დევივით კახელმა არ დააყოვნა, მანქანიდან ძლივს გამოეტია.

— გამარჯობა, ჯიმა სქანი, მშვიდობა ქორენო თქვან მახორობას?

— გამარჯობა, ძმაო მეგრელო, ხომ მშვიდობით ჩამოხველ?

ერთმანეთს გადაეხვივნენ, გადაკოცნეს.

ამასობაში მესამე მანქანა მოადგა უხმოდ.

ვაჟკაცი გადმოვიდა დინჯად, სათვალე გაისწორა. იმ ორს შეუერთდა.

— ამოტელა გზა გავლიე სამ საათჩი... ჰოოდე, თბილისიდან... — ეტყობა, ქართლელი იყო.

მეოთხე მანქანა გიჟივით შემოაგრიალეს.

— აქანე ვარ აჭარელიცა და გურულიც, აპა! — ანგლობით წამოიძახა და გადმოხტა.

მეხუთე მანქანა ყველგანმავალი „გაზიკი" იყო. შავულვაშა ვაჟკაცს სვანური ქუდი ეხურა.

— ხოჩა ლადელ, სგაი!

მეექვსე მანქანა წუთის შემდეგ მოადგა.

— ხუ არ დავაგვიანე? — ჯავახი იყო ან მესხი.

მეშვიდე მანქანიდან ჩამოსულ ვაჟკაცს ჭარბი სიდინჯე ახასიათებდა.

— მეც მოვე, ქვე ჭიი!..

მერვე მანქანა სიგნალის პიპინით მოიჭრა. მოდაზე გამოკვანჭულმა ახალგაზრდა კაცმა თხელ ულვაშზე გადაისვა ხელი.

— ჰაიტ, მეგრელმა მაინც დამასწრო იმერელს?!

სიცილ-ხარხარით გადაეხვივნენ, გადაკოცნეს.

მეცხრე მანქანიდან ზვიადი ვაჟკაცი ჩამოვიდა, დინჯად გადმოჰხედა შეკრებილთ.

— გადმოვჭედ ფჴოვიდგან... ჰა ხრამალი და ჰა კისერი...

— მოზოჯი, ჯიმაია!

— მობრძანდი, ძმაო!

— სგალე, მეუხვბე!

სათვალიანმა ხელი ასწია. დუმილი ჩამოვარდა. მანქანათა ფარებით განათებულ წრეზე იდგნენ, ერთმანეთის პირისპირ. მკაცრ სახეებზე ჩრდილები თამაშობდა...

მზეჭაბუკ ბედია შორიდან უთვალთვალებდა. ვინ არიან... რამ მოიყვანათ?. ტანადნი, ჯანმრთელნი, ახოვანნი, რკინას გაჰკვნეტენ ალბათ... რად შეიყარნენ? ნუთუ საქეიფოდ ვერ მონახეს სხვა დრო და ადგილი? ნუთუ დროს გასატარებლად? მამიკოთა მანქანაზე, მამიკოთა ფულებით... პიჟონები ხომ არ არიან?.. კარგად, მოდაზე აცვიათ, ალბათ გაჭირვება არ იციან... — ერთს — იუგოსლავიური კოსტიუმი, მეორეს ფინური, ერთს ფრანგული ჰალსტუხი, მეორეს ჩეხური ტუფლები, ერთს ინდური პე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რანგი; მეორეს ამერიკული ჯინსი, ცილინდრი ესპანეთიდან, ბეჭედი ეგვიპტური, საათი — სეიკო, იაპონური... სპეკულანტებთან. თუ შეიძინეს?.. ფულიანებია!.. თუმცა აგერ სვანური ქუდიც... კახურიც... იმერელს ყაბალახი მოუგდია მხარზე...

იდგა ცხრა ვაჟკაცი, რვა მათგანი მკაცრი მდუმარებით შეჰყურებდა სათავილიანს. მას კი რაფინირებული, ევროპული სტილის ინტელიგენტის გამოხედვა ჰქონდა.

— ქართლოსიანნო, წავიდეთ, წინ კოხტა-გორაა!

შებრუნდა და სიბნელეში გაუჩინარდა. დანარჩენებმა მანქანათა ფარები ჩააქრეს და პირველს მიჰყვნენ.

მზეჭაბუკ ბედია ლოდზე იჯდა, სანამ ფეხის ხმა არ მიწყდა. მერე წამოიწია, სწრაფად ასრიალდა გორაკის თავზე.

ბნელში ამაყად იდგნენ ნამუსრევნი კოშკთა და ზღუდეთა. ქვევით, ველებზე უამრავი ნაპერწკალი ციმციმებდა, უჩინარი სულები თუ დაძრწოდნენ.

დასავლეთის ცის კიდეს ვერცხლის რკალი შემოერტყა. თანდათან უფრო განათდა. უცბად უზარმაზარი ვერცხლის სინი ამოცურდა. მჭვირვალი ნათელი დაეფინა მიდამოს..

შეკრთა მზეჭაბუკ ბედია, ზღუდეს გადაეყრდნო და ისე დააცქერდა.

მომცრო მინდორზე ცხენოსნები იდგნენ. უჩუმრად ხვიხვინებდნენ ცხენები, ფლოქვებს სცემდნენ რბილ მიწას..

ოქრო და ვერცხლით მოჭედილი უნაგირები, მოსართავები, თორნი და საბარკულნი, ძვირფასი და პატიოსანი თვლებით შემკული ბეწვის ქუდები, ხმლები, ოქრომკედით შემკული მოსასხამები... წვერულვაშიანი სახეები, ზვიადი მიმოხრა, ქურუში გამოხედვა...

„უკეთუ ვინმე ფიცო ამაოდ, არს ორის-მეტყუელ, არს ორგულ მეფისა და მამულისა და ქრისტეისი, კაცი იგი სიკუდილითა განიპატიჟოს!..“

„ამენ!.. ამენ!..“

„რამეთუ ვფიცავთ განდგომად უშჯულოთა...“

„ამენ!.. ამენ!..“

გასუსული უგდებდა ყურს შეთქმულთა საუბარს. ცალკეულ ფრაზებს თუ გებულობდა, არა და, ნიავის ფაჩუნში იკარგებოდა ნათქვამი. ბევრი რამ ითქვა მთვარით გასხივოსნებულ ღამეში... ვიზრუნოთო სამშობლოს უმაღლეს ინტერესებზე: ქვეყანა დაიქცაო; სამეფო ტახტი დასუსტდაო; მტერი მომძლავრდაო...

მერმე, მამლის მეორე ყივილის დრო იქნებოდა, იმერნი დაემშვიდობნენ ამერთ.

„მშვიდობით ვიდოდით!“

„მშვიდობით, მშვიდობით!..“

მზეჭაბუკ ბედია ზღუდეს მოსცილდა, მაღლა აიჭრა. თვალი მოავლო გასხივოსნებულ არემარეს.

მანქანებით მოსული ქართლოსიანნი ჯერაც შორს იყვნენ ციხიდან...

იმერნი ცხენებს მიაგელვებდნენ დასავლეთისაკენ...

ამერნი გასამგზავრებლად ემზადებოდნენ...

შორს ბნელი სივრცე დაეფარა ძნელად გასარჩევ ხროვას... ფუთფუთებდა, იგორგლებოდა, მიწა დგრიალებდა, იძვროდა უთვალავი ფლოქვების ქვეშ... მონგოლნი მოისწრაფოდნენ შეთქმულთა შესაპყრობად... ღალატს უკვე ექნა შავი საქმე...

შეშფოთდა მზეჭაბუკ ბედია. ქვასავით დაეშვა ძირს. შეერია იმერთა ჯგუფს, მიეახლა მთავართა კრებულს.

„დიდებულნო, ისწრაფეთ! ბიჩუს და ანგუგ მოიწევენ თქვენდა შესაპყრობად!“

დაფრთხა ცხენი, ჭიხვინით. ზე აიწია, ფლოქვებმა გაკვესა ქვებზე... მოზიდა სადავე ჭაღარა მთავარმა, დინჯად მიუგო:

„ჰეი, ქართლოსიანო!.. წელი შვიდგზის ასი და კუალად ერგასისი დაჰყოვნე... ჟამი ესე დროჲსა წარვიდა, რამეთუ ეგრე ინება უფალმან ჩუენმან...“

მზეჭაბუკ ბედია განზე გადგა, მხედ-

რიონი ჩამოატარა. თვალს ადევნებდა, სანამ ჭიანჭველებივით მოფუთფუთე ურდოში ჩაინთქნენ...

●

გულშეჭირვებულმა დატოვა კოხტაგორა და ჩრდილო-დასავლეთს მიაშურა. მესხეთის ქედის ტყიანი კალთები ნისლში იძირებოდა. ვერცხლისფრად მოლაპლაპე მწვერვალებსა და თხემებს ჩრდილოვანი უფსკრულები ცვლიდა. ზევიდან იშლებოდა შემზარავი სურათი, ვითარცა ვერანა ზედაპირი მთვარისა.

კაკაჩა მთვარეს აღარ ძალუძდა ღამისეული ბინდის განდევნა. თვალსაწიერის მრუმე ფერებში ინთქმებოდა კოლხეთის ვრცელი დაბლობი.

შესცივდა. ჩქარა უნდა ჩაეღწია ბარში. ქროლვით ჩაუარა ბნელ კალთებს.

გაივაკა. რივნისპირა ჭალებს აჰყვა. ქუთაისიდან თბილისს მიმავალი გზატკეცილი ტყვიის მდინარესავით მიიკლაკნებოდა.

ყრუ დუდუნით მოედინებოდა მძლავრი რიონი. ვერცხლის ცრიატი გადაჰკრავდა კუპრივით მდორე წყალს, მთვარის ცივ სხივებს იფენდა ზეწარივით, ალაპლაპებდა.

ერთგან ტყით მოსილი გორაკი მისდგომოდა მდინარეს. ხავსით დაფარულ ლოდებზე წყარო სჩქეფდა.

წყაროს პირას, ქვაზე უცხო მოყმე ჩამომჯდარიყო. ღრმად ჩაფიქრებული მისჩერებოდა მოჟრუჟრუკე წყალს.

თავზე ბეწვის ქუდი ეხურა, მთავრის ჯილით დამშვენებული.

წელზე ხმალი ერტყა, პატიოსანი თვლებით მოოჭვილი.

შორიახლო ჰუნე ება, ზღაპრული რაში. მოუთმენლად სცემდა ფლოქვს მიწაზე. ხმადაბალი ხვივილით უხმობდა პატრონს.

იქვე მხლებელნი ჩამოქვეითებულიყვნენ. უჩუმრად იცდიდნენ. ხმის ამოღებას ვერ ბედავდნენ.

გული ატკინა მოყმის დარდმა. მყუდროების დარღვევას ეკრძალა, გაჩერდა მის წინ, მოთმინებით დაუწყო ლოდინი.

მისი ჩრდილი დაეცა წყალს. ვაჟკაცმა ღრმად ამოიოხრა. შუბლზე ხელი მოისვა, ხმადაბლა იკითხა:

„მამუკავ, შენა ხარა?“

„აქა ვარ, უფალო!“ — მხლებელთა რიგიდან მოისმა პასუხი.

ვაჟკაცმა ქურუშად შეხედა მზეჭაბუკ ბედიას, გაუკვირდა. თვალები ხშირ წარბებქვეშ იმალებოდნენ. ჭალარაშერეული წვერი მკერდზე სცემდა. სახე ნაოჭებს დაეღარა. რაღაც უნუგეშო, მწუხარე იყო მის გარეგნობაში.

„ვისი ყრმაი ხარა?“

ხმისთვის არ აუწევია. მიანც ისეთი ბუბუნი გაჰქონდა, თითქოს ასფუთიანი ქვევრიდან იძახდა.

„ბედია ვარ გვარადა, მზეჭაბუკს მიხმობენ!“

„არა სმენილ არს ეგე ჩემდა... სადაძთ ვიდოდე, ყრმაო?“

„ქრისტეს დაბადებიდან მეოცე საუკუნეს ვცხოვრობ, მთავარო!“

სახეზე უნდობლობა აესახა ვაჟკაცს, ახედ-დახედა ყურადღებით. ყრმის ჩაცმულობა ეუცხოვა. უცბად ირწმუნა. სახეზე სიხარული აღებეჭდა და მღელვარებით წაიჩურჩულა:

„ქართლოსიანნო, ხართა ჯერეთ?“

„ვართ, მთავარო, მამათა მიწაზე ვდგავართ მტკიცედ!“

„იჴსენებთა მამათა და პაპათა თქუენთა, რომელთა ბრძოდეს ჴრმლითა და ჰოროლითა და აოტნეს უშჯულონი მრავალგზის და განუტევნეს სულნი თჳსნი ბრძოლასა შინა?“

„გვახსოვს, მთავარო!.. წიგნები იწერება, ძეგლებს ვაგებთ. თქვენ?..“

„ესე არს მთავარი ცოტნე!“ — მამუკას ხმა მოესმა.

მზეჭაბუკ ბედიამ ნაბიჯი წარსდგა, თავი დახარა, ვერ მალავდა აღფრთოვანებას.

„გმირო მთავარო, მიწაზე არ დაიარება ძე ქართლოსანი, ვინც მუხლს არ იყრის“...

„ნურარას იტყჳ! — გააწყვეტინა მთავარმა, — ბედი ჩემი წიგნსა შიგა დაწერილ არს... ნურარას იტყჳ!..“

ეროვნული ბიბლიოთეკა

„ნუთუ არ გაინტერესებთ რა გადაგხდებათ ანისს, ქარმაღანის კარზე?“

„ნურარას იტყჳ!.. გზასა ჭეშმარიტსა და მართალს ვალ... ძმანი ჩემნი, დიდებულნი ქართუელთანი შეიკრნენ ჴელთბორკილითა და განიპატიჟებიან სიკუდილით!.. ჰე, ყრმაო, ნუუკუე გნებავს ცვალებად სიტყუისა, რაჲცა ქორონიკონსა შინა არს?“

„ეს რომ შემეძლოს!“

„წარვიდეს დრონი იგინი, ვითარცა ჟამ ერთ და წამ ერთ... მიწად მიიქცეს მეფენი და ყრმანი, ძალგულოვანნი და სუსტნი, გმირნი და მოშიშნი, მებრძოლნი და განმცემელნი... ვერცა აღიწყოს სისხლი იგი ქართუელთა, დათხეული ქუეყანასა ზედა... განვიწმიდენით სისხლითა პატიოსანითა!.. მაშა, არღარა არს ბოროტი?.. აღმოსცენდიან ყუავილნი კეთილნი და განქრა ეშმაკი?.. არღარა არს პარვაჲ და ხუეჭაჲ, არღარა არს განსცემაჲ და შური, ცრუფიცებაჲ და ტყუვილი, კაცთკვლაჲ და მონებაჲ?.. მაშა, მოჰბანეს კაცთა მათ ზუზლაჲ იგი წყლულებათაჲ?.. მაშა, განიკურნეს ცისად-ცისად გუემულნი, და განრღუეულნი, გლახაკნი და დავრდომილნი?.. არღარა არიან ღჳნის-მსუმელნი და მეძავნი, მწირნი სულითა თჳისთა და კაცის-მოძულენი?.. ვეცხლი იუდაჲსი არღარა იხვეჭების?.. თურე ჰმონებდეს გონიერნი და ცხებულნი ნიჭითა უდებთა და უმეცართა და უწიგნოთა?.. რამეთუ სისხლი პაპათა იზახდეს და ღაღადებდეს და ჰმობდეს შვილთა მათ!..“

მზეჭაბუკ ბედია გაფითრებული უსმენდა. ენა ვერ დაეძრა, ვერაფერი ეპასუხნა. ბოლოს ძლივს წარმოთქვა:

„ადამიანი სუსტია, მთავარო!“

მოიღუშა ცოტნე დადიანი. მიხვდა ყოველივეს. თავდახრილი წყალში იყურებოდა ერთხანს...

„არიან, არიან მარადღე ბოროტნი...— თავი ასწია, ჯიქურ მიაპყრო მზერა თავდახრილ ყრმას, — გარნა არიან კეთილნიცა, კაცთ-მოყუარენი, მებრძოლნი, გმირნი ქველნი და უშიშარნი და წმიდანი, კაცნი სულითა სპეტაკ, ვითარცა თოვლი?..“

„არიან, მთავარო!“

„სიცოცხლე წარმავალ არს, თესლტომი ჩუენი საუკუნო... — ერთხანს ჩუმად იყო. მერმე დაუმატა, — მარადღე ბრძოდიან კეთილი და ბოროტი. გარნა განუმარჯუებოდა კეთილსა ბოროტსა ზედა... ძლიერ არს ეშმაკი, გარნა უფროჲს ძლიერ არს უფალი იგი...“

„ხმალი ჩვენც გვიპყრია, მთავარო!“

„მადლი შენდა, უფალო, აღივსო ენაჲ ჩემი გალობითა!“

„ჩვენც ვიბრძვით ხმლითაც, საქმითაც, სიტყვითაც... სადაც რა იარაღი ჰრის!“

„პაპაჲ ჩუენი დავით ბრძოდა ჴრმლითა უშჯულოთა და ჩინთა და მაჩინთა ზედა და განავრცო სამეფოჲ თჳსი ზღუითგან ვიდრე ზღუადმდე და უფლობდა ქუეყანათა და ერთა მრავალთა... უფალი ჩუენი ჯუარსეცუა... ოსანა, ოსანა, რამეთუ უფალმან მან დათრგუნა მტერი იგი კაცისაჲ და მოჰფინა სიტყუაჲ კეთილი ყოველსა ჴმელსა ზედა...“

წამოდგა მთავარი. ორი თავით მაღალი იყო მზეჭაბუკ ბედიაზე. ზევიდან დაჰყურებდა.

„მამუკავ, ცხენი!“

რაში მოჰგვარა მხლებელმა.

„სალათარ ნოინს ქონდაქრებ უსხენან ჩემისა თავისათჳს... აჰა ესერა, აღვიდე ჯუარსა ზედა, ვითარცა უფალი ჩემი!..“

მოახტა რაშს, ერთხელაც მოჰხედა მზეჭაბუკს.

„მამაცთა და ქველთა საქმე არს მიცემად გულისა და სისხლისა და სიცოცხლისა მამულისათჳს!“

და გაქრა თბილისს მიმავალ გზაზე. ღამის სიბნელეში თანდათან მიწყდა ცხენთა ჰიხვინი, ფლოქვების თქრიალი. ნაკადულის ჟღურტული და რიონის მდორე დუდუნი დასადგურდა.

ჯემალ ქირია
მარადი მხედარი

ეროვნული ბიბლიოთეკა

●

გამთენიისას მოაწია თრიალეთს. მამლები ყიოდნენ სოფლებში. ბუხრებიდან კვამლი ამოდიოდა. საქონელი ვერ ისვენებდა ბოსელში. ქათმები კრიახით ჩამოეფინენ ტოტებიდან. დადგა რძისა და თივის სუნი.

მზე ჯერ კიდევ არ ამოსულიყო, მისი მსტოვრები კი ყოველ კუთხე-კუნჭულში იჭყიტებოდნენ.

იდილიური სიწყნარე სუფევდა და არაფერი მეტყველებდა განსაცდელს.

მზეჭაბუკ ბედიამ გვერდი აუარა სოფლებს, შიშველი გორაკების წყებას მიაშურა. ერთი სერი შეარჩია. აქედან შორით ჩანდა ვრცელი ველები.

ხეშეშ ბალახზე მოისვენა.

დიდი ქალაქის სიახლოვე იგრძნობოდა. ხშირი გზატკეცილების ძილს იშვიათი მანქანის თუხთუხი თუ არღვევდა. მაღალი ძაბვის ელსადენის რკინის კოშკურებს ფართოდ გაებარჯღათ ფეხები, მინდვრებსა და გორაკებს მისდებოდნენ. უწყვეტად, სევდის მომგვრელად ზუზუნებდა ტელეგრაფის მავთული. დარაჯივით წელგამართული იდგა გორაკის თავზე სატრენგულაციო ბოძი და თავის თანამოძმეს გადაჰყურებდა ცის კიდეს აყუდებულ ბორცვზე.

არავინ არღვევდა სიმშვიდეს და ყრმა ბედია ნახულ-გაგონილის აწონ-დაწონვას შეუდგა. ყველაფერი ბოლომდე არ იყო ნათელი. აზრი ირეოდა, ვერ ლაგდებოდა დაღლილ თავში.

მაშვი აჭახჭახდა შორიახლო.

მზეჭაბუკ ბედიას გაეღიმა. ჩიტის გულუბრყვილობა და უბიწოება ართობდა.

უცბად თქრიალი ატყდა ფლოქვებისა. გაღმა სერზე მხედარი მოაგელვებდა თეთრ ცხენს, ფეხდაფეხ მისდევდნენ მხლებლები. მხედარს ტყავის კაბა ეცვა, თავზე ბეწვის ქუდი ეხურა.

იცნო. ცოტნე მიემართებოდა ანისს, დადიანი... მარადიული იყო ეს გოლგოთა ცოტნესი, ისევ და ისევ მიჰქონდა მძიმე ჯვარი... მისთვის უკვე გამოიყო ერთი პწკარი ქართველთა ქრონიკონში.

მზეჭაბუკ ბედიამ ხელი დაუქნია, „გზა მშვიდობისა!" — გუნებაში მიაყოლა. მჭმუნვარე მთავარს არ მოუხედია. უყოყმანოდ მიემართებოდა თავისი ხვედრის მისაღებად.

მზე მოადგა მიწისპირს, ეტლს შებმული რაშები წამით შეაყოვნა, ცალი თვალით ამოხედა დედამიწას. სხივებით განიმსჭვალა ეთერი, აციმციმდა ცვარმოპკურებული ველი.

უცნობმა მხედარმა ამოაგდო სერზე ცხენი, თვალები ხელით მოიჩრდილა, სამხრეთის შორეულ სამანებს გაჰხედა. ჯაჭვის პერანგი ეცვა, რკინის სამკაულები და საბარკულნი, ერთ ხელში ფარი და ჰოროლი ეჭირა, წელზე დევის ხმალი ერტყა.

„ჰეი, ყრმაო მამაცო, არა ისმის რა?!" — გადმოსძახა.

„სიჩუმეა! სამხრეთის ველებს დილის ნიავი ვარცხნის, მწვანე ბალახი ლივლივებს".

„ჩამომძახეს, უშჯულონი გარდმოსულანო ურიცხვი, მთა-ბარს მოსდებიანო კალიასავით!.."

„ვინა ხარ, გმირო?!"

„გიორგი მქვიან! საწუთრომ ეს მიწა მომაკუთვნა, საფლავში თარალასხმულისა მძინავს. დარეკავს ზარი და ცხენს მოვახტები... ვალი მაწევს მამულისა, მარადიული!"

„მტერი არსადა ჩანს ჯერ-ჯერობით, ნათელი დღე მოგველის!"

„მაშ, წავალ ჩემს მყუდრო სავანეში!"

„იძინე მშვიდად!"

ცხენი შეაბრუნა მხედარმა, სერს მიღმა დაეშვა...

დღე მოდიოდა, ნათელი და მზიანი. ღრუბლის ერთი ბეწო ფთილა არ ჩანდა გადაწმენდილ ცაზე. მსუბუქი ნიავი უნანავებდა მწვანე ბალახს. ტოროლა აჭრილიყო ცის კაბადონზე და გალობდა.

შეშფოთდა მზეჭაბუკ ბედია. საფრთხე იგრძნო. ისეთი სიმშვიდე სუფევდა

ცისქვეშეთში, ძილს გვრიდა. იქნებ აქ იმალებოდა საფრთხე...

მტვერი ავარდა სერს გაღმა. საურმე გზაზე შუბის წვერები ამობრწყინდნენ. ცხენოსანთა დიდი რაზმი მოემართებოდა.

დაბალი დვრინით მღეროდნენ მეომრები. ფლოქვთაგან ავარდნილ მტვერში გახვეულიყვნენ.

ახლოს მიეჭრა ყრმა ბედია. ღრმა სევდით აღბეჭდილი, მკაცრი სახეები შეეფეთა. ვერ გაბედა შეხმიანება.

თვალს ადევნებდა, სანამ ჩაივლიდნენ... შუბი და ხმალი, ჯაჭვის პერანგი და ცხენთა ქაფიანი კბილები, მბზინვარე გავა და მტვრიანი ფლოქვები... და ყოველ მხედარს — ჭრილობა მკერდში!

ბოლო მხედარს მიეწია. სადავეში უტაცა ხელი. ჯერაც ბავშვურმა, უწვერულმა სახემ შემოჰხედა. მკერდზე ღრმა ჭრილობა აჩნდა ბიჭს, გულიდან სისხლი სდიოდა წვეთ-წვეთად.

„ვინა ხარ?“ — მღელვარედ ჰკითხა მზეჭაბუკ ბედიამ.

„არაგველნი ვართ სამასნი, მტერი გადმოსულაო სამშობლოჲს სამანებზე...“

ყრმა ბედიამ ხელი უშვა სადავეს, განზე გადგა.

ცხენოსანთა ჯარი თვალს მიეფარა. მტვერი შარასა და ველზე დაეფინა, დაწყნარდა. მზეჭაბუკ ბედია კი იდგა გარინდებული ერთ ადგილას.

სულის სიღრმეში შფოთი მატულობდა. რაღაც ხდებოდა საშიში და გასაოცარი. არ შეიძლებოდა თვითონ განზე გამდგარიყო, არ შეიძლებოდა მხოლოდ თავისთვის, საკუთარ დარდთან თუ სიხარულთან ეცხოვრა.

მზემ შუბის ტარზე ამოიწია, დასცხა. ნიავმა უკანასკნელად გაიფაჩუნა, ვრცელ ტრამალებზე მდუმარება დასადგურდა. ფართოდ განფენილ მდელოს სიხასხასე მოაკლდა.

მზეჭაბუკ ბედიამ თვალები დახუჭა. ბუნებასავით გაირინდა თვითონაც, სიწყნარეში ჩაფლულს, შინაგანი შფოთი აფრთხობდა. ამოუცნობი, კ[illegible]ლური საშიშროება ეპარებოდა სამყაროს. ღამესავით ცდილობდა გადაფარებოდა გაბრწყინებულ ველ-მინდვრებს, გველეშაპივით შთაენთქა მზე და საბოლოოდ მოესპო სიცოცხლე.

შეკრთა. კვლავ არ იყო მარტო. ცხენთა ხვიხვინი და ჩუმი გადალაპარაკება ჩაესმა. რკინის ჩხარუნი მოელანდა.

წამოხტა.

ათიოდ ნაბიჯზე მხედრები შეყოვნებულიყვნენ. ცხრა თეთრ ცხენზე ცხრა ვაჟკაცი იჯდა. ცხრა უნაგირი და მოსართავი ვერცხლით მოეჭედათ. ცხრასავე შინ ნაქსოვი ხამი კაბა ეცვა, უბრალო გლეხური პაჭიჭები. ცხრა სადა ხმალი ერტყათ. ხელთ მოუკაზმავი ფარები და შუბები ეპყრათ. მუზარადები ძვირფასი ქვებით არ იყო შემკული, არც ფერადი ჯიღები ადგათ... ცხრა ვაჟკაცი ერთი ერთმანეთს ჰგავდა, უმცროს-უფროსობითღა განირჩეოდნენ. ყველაზე უფროსს წვერში ჭაღარა შეპარვოდა, ყველაზე უმცროსი ჯერაც პირტიტველი იყო.

უზანგებზე წამოიწია უფროსმა, ხელი მოიჩრდილა, შორეულ სამანებს გახედა.

„ხომ სიმშვიდეა, ყრმაო?“

„სიმშვიდეა თითქოს, ნიავიც არ იძვრის, — ყოყმანით შეეპასუხა მზეჭაბუკ ბედია, — ვინა ხართ, საიდან მოდიხართ?“

„ხერხეულიძენი ვართ გვარადა! მტერი შემოგვესიაო, ამბობენ, გადმოლახაო საზღვრები... დარეკეს ზარებმა და, აჰა, წამოვდექით!..“

მზეჭაბუკმა თვითონაც გახედა ველებს, საეჭვო არაფერი ჩანდა.

„შევფიცეთ, რომ თავი დავდოთ მეფისა და ერისათვის!“ — თქვა უფროსმა ძმამ.

„ვფიცავთ, მხოლოდ ჩვენს გვამებზე თუ გადმოვლენ!..“ — თქვა მეორე ძმამ.

ჯემალ ქირია
ნარადი მხედარი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

„დედაი შეერთოს ცოლადა, ვინც აღთქმის ულალატოს!“ — თქვა მესამემ.

„პაპათა და მამათა ძვლები ელრონას, ვინც მტერს ზურგი უჩვენოს!“ — თქვა მეოთხემ.

„ლაჩარია, ვინც ჭრილობას ზურგში მიიღებს!“ — თქვა მეხუთემ.

„ჩაუქი ისაა, ვინც მკერდით დახვდება მტრის ხმალსა!“ — თქვა მეექვსემ.

„დედამ გზა დაგვილოცა, მამულს უჭირდეს, ცოცხლებიმც ნუ დამიბრუნდებითო!“ — თქვა მეშვიდემ.

„მამაჩვენიც მტერს შეაკვდა, ნათელი დაადგეს მის სულს!“ — თქვა მერვემ.

„ჩემმა სატრფომ, მამულისათვის, გმირო, თავიმც გაგიწირავსო!“ — თქვა მეცხრემ.

მზეჭაბუკ ბედიას თვალზე ცრემლი მოადგა.

ცხარვე გმირს მკერდზე ხმლის ცხრა ჭრილობა აჩნდა.

„მამაცნო, ძალა მოეცეს თქვენს მარჯვენას!“ — ხმა მიადევნა.

უფროსმა ძმამ ცხენი მოსწყვიტა ადგილს, სამხრეთისაკენ გააჭენა. მას მიჰყვა მეორე, მესამე, მეოთხე, მეხუთე, მეექვსე, მეშვიდე, მერვე და მეცხრე — უწვერული...

მზეჭაბუკ ბედია კიდევ დიდხანს იდგა გზისპირას და გაჰყურებდა გზაზე აბოლქვილ მტვერს.

კვლავ ნელა დაეფინა მტვერი. სიმშვიდე და სიწყნარე ჩამოწვა. ფეხები გაებარჯლა მაღალი ძაბვის ელსადენთა კოშკურებს. ტელეგრაფის მავთულები ზუზუნებდა მონოტონურად. გზატკეცილებზე მიიჩქაროდნენ ავტომანქანები.

მზეჭაბუკ ბედიამ უმთავრეს კითხვაზე უკვე იცოდა პასუხი...

გაშალა მაშინ მკლავები, ცის კაბადონზე მიიკარგა... კოხტა-გორისაკენ მიიჩქაროდა კვლავ...

მიწისძვრებს, ომსა და ჟამს დაექცია კოხტას ციხე. ბუმბერაზი ლოდები ახორხლილიყო ერთიმეორეზე, ვითარცა დახოცილ დევთა გვამები. ლოდებს შორის ძეძვი და ნარშავი ხარობდა. სურათი მიტოვებულ, ყველასაგან დავიწყებულ სასაფლაოს ჰგავდა...

მზეჭაბუკ ბედია ლოდზე დაეშვა. მზერა მიმოავლო გაშლილ ველებსა და გორაკებს, რომელთაც გარს ზღუდეებად ევლებოდა ქედები შავშეთისა და ერუშეთისა, მესხეთისა და თრიალეთისა, ჯავახეთის პლატოზე გაწოლილი სამსარის ქედი...

მზის სხივებს განემსჭვალა სივრცე და მირაჟთა ლურჯი ზღვები ლივლივებდნენ ცის კიდეზე.

წელზე ხმალი შეისწორა ყრმამ. ლოდიდან ლოდზე ხტებოდა და ასე მიაშურა ციხის პატარა ეზოს.

ისინი აქ დახვდნენ, ცხრანი ქართლოსიანნი...

ღარიბული სუფრა გაეშალათ, სახელდახელო: ყველი, პური და მწვანილი, ხელადით ღვინო...

ქეიფსა და დროსტარებას არ ესწრაფოდნენ, სახემოღუშულნი ისხდნენ.

არ გაჰკვირვებიათ სტუმრის გამოჩენა. სალამზე სალმით უპასუხეს, ჩაიწჩამოიწიეს, ადგილი მისცეს.

უხმოდ შეუვსეს მომცრო ყანწი.

— დაგვლოცე, მამაი ლეკვო! — ალერსით გაუღიმა კახელმა.

— ჩემდათავად დამილოცნიხართ! ქვეყნის ამბებით ჩანხართ შეწუხებულნი. ღმერთმა საფიქრალიც ნუ მოგიშალოთ, ლონეც!..

ყანწი ფრჩხილზე დაიბერტყა, თავყრილობას თამამად გადახედა:

— ქართლოსიანნო, ამბავი მოვიტანე!

— თქვი, თქვი!..

— ბრძანე!.. — გაისმა აქეთ-იქიდან.

— ხმა დადის, მტერი მოგვპარვიაო ურიცხვი, მოასწორებსო მთასა და ბარს... ბოროტი ღვთაება ჯაგერნაუტის კერპი მოაქვთ თურმე... სიკეთე, სათნოება, სიყვარული, მეგობრობა, კაცთმოყვარეობა, პატიოსნება საფრთხეშია... ბრძოლად გვიხმობენ, ქართლოსიანნო!

— ჰაი, დედასა! — კბილები გააკრაჭუნა ფხოველმა, მუხლზე უროსავით დაიკრა ტორი.

— ბრძოლის ზარი რეკამს! — თქვა ქართლელმა.

— ამხავ ქაუ ამხედლიხ! — დაიქადნა სვანმა.

— აბა, ართო ჯიმალეფი! — დაუმატა ფრთხილმა მეგრელმა.

წამოხტა მხეჭაბუკ ბედია, წრეში შევიდა, ხმალი უწრთობი იშიშვლა.

— ქართლოსიანნო, აჰა, ხელთ მიპყრია ხმალი გრძნეული. ძალუძს მას ბრძოლა ბოროტთან, ოღონდ თქვენი ძალა და სისხლი სჭირდება. აპკურეთ სისხლი, რათა იწრთოს!..

წვერით მიწაში ჩაასო. ხელისგული პირზე აუსვა. ტკივილისაგან გაფითრდა, კვნესა კი არ აღმოხდენია.

ყველამ დაინახა, მხეჭაბუკ ბედიას მარცხენა ხელისგულიდან სისხლმა გადმოსჩქეფა და ხმალს ალისფერი ზოლები შეატოვა.

წამით დუმილი ჩამოვარდა.

მერე ქართლელი ადგა, სათვალე გაისწორა, დინჯად ლაპარაკობდა:

— ჩემი მამა და პაპა ქართლში ცხოვრობენ. იმთვენი სისხლი და ოფლი დაღვარეს, ტკაველი არ დარჩა მიწაზე. ლხინი ბევრი გვინახამს, ჭირიც არ დაგვაკლო საწუთრომ... ამის აქათ, მამძლავრდა ბოროტი ღმერთი, დაძრწიან მისი ჯაშუშები. თვალითა ვერ ვხედამთ, ყურითა არ გვესმის, მივეჩვიეთ ყანაში სარეველას... ქართლოსიანნო, თვალი გავახილოთ, თორე ხვალ და ზეგ დაგვიანდება!

დაიხარა, მარჯვენა შეახო ხმლის პირს. სისხლის ალისფერი ნაკადი დასდინდა ხმალს.

— კახელი ვარ... შობელი, ნათესავნი, ყველანი კახელები მყავანდნენ, ზოგი კახეთ სახლობდა, ზოგი გარე კახეთსა, ზოგი კიდენა ქიზიყსა... სიძე მყავ ინგილო, სულში ჩაიძვრენ, იგეთი ბიჭია, პურ-მარილიანი. იმან მითხრა, საქართველოჲთვინო ჩემი სისხლი წაიღეო... ჩვენ რა?.. ღვინოი გვაქ, პურ-მარილი გვაქ, ყველაფერი გვაქ... ემიტომ ვამბოფ, ძმაი ძმას არ ინდობს, ე ფულ ჰედამს, თავბრუტი ეხვევა ქონებითა, ხოლო სხვა მუშაოფს, მაგრან მაშინ სადა აქ?.. ვინც არ მუშაოფს, კაცო, ფული საიდანაო?. ვენახ მოვლა უნა, სად ეხეტები, შე მამაძაღლო, დაჯე, პატიოსანი პური-ჲჭამე, შენი ოფლითა... გული აგემდღვრევა კაც, ცუდი კარგად როდი გადაიქცა?.. ქართლოსიანნო, ძმებო, კახელნი ხმლით იბრძოდნენ ყოველთვინა, რომა...

აუჩქარებლად შეეხო, ხმლის პირს სისხლი შეატოვა. ტკივილისაგან ოდნავლა შეიჭმუხნა. კახური ქუდიდან შუბლზე გრუზა თმა გადმოეყარა.

— ძმიებო, დედით ჯავახი ვარ, მამით — მესხი, ცოტანი დავრჩით აქანდისინ, მაგრამ ქართლოსიანნი ვართ ჩონაც... იემ თავზე წისქვილი ქვა არ დატრიალებულა, გეყურბანეთ, სხო ყველაფერი... ამრავინ კიდევ ვიტყვი, მარამ ერთისა არ იყვეს, „მარადი ბრძოლა, ეგაა გადარჩენის საშუალება...“ ხმალი ქარქაშში ადრე ჩაგვიგია, ძმიებო!..

ლაზათიანი ჭაბუკი იყო, მოხდენილი. როცა ლაპარაკობდა, თვალთაგან ნაპერწკლები სცვიოდა. დინჯად შეეხო ხმლის პირს, სისხლი ზედ შეატოვა.

— ქევსურ ვარ, შატილიონი. მეწვივნენ ფჴოველნი, სრუყველა, მაჭევენი, მთიულნი, ფშავნი, თუშნი... ცხორი დავხკალ, ლუდ ბევრი ვსვით. მაჭევე უბნობს, ხირჩლა, მიგვიხვიდიდივ ბარად, ნახვიდიდივ ძმებსა-დ უთხრიდივ, მთაჩი ესმითავ სიკეთეი... რაიცალ კაცები, ოჟებ გეგონების, ნიფხვებით ვაჭრობდიან... ეეგრავ, აი!.. მთაჩი უბნობავ, მოკვეთილ იქნავ კაცისძირანი, ლეჩაქ დაიხურავ თავზედა... აბალე, კეჭნაობას შავრჩითავ, ჴრმალს ვეღარ ვხმარობთავ... ჴრმალჩი გამაიცდების ვაჟკაცი...

ულვაშებზე ხელი გადაისვა. ევროპული კოსტიუმი ეცვა, ხევსურული, ჭრელი პერანგი პიჯაკქვეშ. წარბი ოდნავადაც არ შეუხრია, ღიმილით დააცქერდა თქრიალით წამოსულ სისხლს.

ჯემალ ქირია
მარადი მხედარი

ეროვნული ბიბლიოთეკა

მხოლოდ შუბლზე გამოცვარული ოფლის წინწკლები გასცემდნენ ტკივილს.

— მუშან ხვი, უშგულხან... გამზრდელი მასწავლიდა, ჩვენი წინაპრები პირველ დაძახილზე ისხამდნენ ხმალს, გვერდით ედგნენ ძმებს ჭირსა და ლხინში... ლახუბა!.. სიმამაცე იყო ჩვენი კანონი, პატიოსნება, სტუმართმოყვარეობა... ისჯებოდა ბოროტი, ზევდებოდა სიკეთე... მარადის კეთილმა უნდა სძლიოს, ესაა მთავარი...

წარმოსადეგი ვაჟკაცი იყო. ნაცრისფერი სვანური ქუდი ეხურა, ტეხასურა ეცვა. ნელა ლაპარაკობდა. ასევე დარბაისლურად შეეხო ხმლისპირს, მანამ დააყოვნა, სანამ წკანწკარით არ ჩამოიღვრებოდა სისხლი.

— მამით გურული ვარ, დედით აჭარელი... აქანაი რო მოვდიოდი, მღერა მინდოდა... გაზაფხულია, ძმებო, მზე ანათებს. გურია და აჭარა ისთე ჩეიფლო მწვანეში, გუუცინარ კაცს ეემღერება... მარა ამფერი სილამაზე ავს და კარგს ერთნაირად დამალავს? ასი სიკეთე ვერ გამოჩთება, მარა ერთი პაწია უკეთური დგა გზაჯვარედინზე, გაკივის, აქანაი ვარ, ყველამ მნახეთო... ჩვენ კიდომ თვალს ვხუჭამთ... როდემდე ასთე?

ესეც ლაზათიანი ვაჟკაცი იყო, ხმელი და მაღალი. სწრაფი მიმოხრა ჰქონდა. როცა ხმლის პირს შეეხო, უი ნენაო, — თავისთვის ჩაიჩურჩულა. ხელი მაინც არ აუცლია, სისხლი დაანთხია, საკუთარ სულსწრაფობაზე თვითონ გაეღიმა.

— რაჭველი ვარ, ჩემი ქალი ლეჩხუმელია. წელს იმთონი თოვლი მოვიდა, არავის უნახია ყე. ი ცოლი და ბალვები ქვე დარჩნენ სამშობლოში. ჩვენ თაე ვიყავით ყველაკა, შეშას ვჩეხდით. ოდა, ვიჯე ცეცხლიპირას და ვფიქრობდი, რავარცაღა-თქვა ასე უნა-თქვა, ისე რაფერ არი-თქვა... რამთონი მაღიჯი კაცია-თქვა... ბრავალი, ქვე შენი ჭიი, ბრავალი... ჰოდა, ერთათ თუ ვიქენით, დღეს არა, ხვალ მაინც მოვერევით...

ნება-ნება ლაპარაკობდა, არსად მიეჩქარებოდა თითქოს. ზოზინით აუსვა ხმლის პირს ხელისგული, კარგა ხუთი წუთი უყურებოდა, როგორ სდიოდა სისხლი. ტკივილისაგან იჭმუხნებოდა, ჩურჩულით იმეორებდა: „ჰოდა, ქვე შენი ჭიი...“

— იმერელი ვარ, გენაცვალე... რაღაი ასთეა საქმე, ქე ვერ გავჩერდებოდი სახლში, აპა, ახლა უნდა ვაშკაცობა თქვა, მივდექ-მოვდექი, ბოფშები არ დეიმშენ თქვა, შეშა მოვწიკე, ჭადის ქბილი მევიმარაგე და ქე წამოვედი... კიე, მართალი ბრძანდებით, ცამდინ მართალი... აპა, ვაშკაცები ვართ, ულმაშები გვაქ, თავზე ქუდი გვახურია...

სხაპასხუპით ლაპარაკობდა, ცქაფა ჭაბუკი იყო. სიტყვა მომთავრებული არც ჰქონდა, ხელი შეაჭრა ხმლის პირს, სისხლი მოასხურა და ჭრილობა უმალვე ქათქათა ცხვირსახოცით შეიხვია.

— მარგალი ვორექ... ჩემი გვარი სამი ათასი წლისაა. ბერგი და ყამა არ დაგვიგდია, ჩხუპიც ვიცოდით, შრომაც... მა თის იბჩიებუქი, ბევრი რამ არ მომწონს... ამდღარ დღას ფარამ ქორექიდა, კოჩი რექ, წესიერ კაცს რა ფასი ექნება?.. დავგლახავდით, წავხდით, სულის სიწმინდე გვაკლია..., ერთად ძმებო, ლონეს მივუხმოთ, მტერი მოდის, დავხვდეთ!..

სხარტ მეგრელს მჭევრმეტყველობა შვენოდა. ესეც სწრაფად ლაპარაკობდა. ხელისგული რომ დაისერა, ერთი შეიჭმუხნა, მერე ჭრილობა გამოაჩინა და ღიმილით დაუმატა: „აპატონი!“

მზეჭაბუკ ბედიამ ხმალს ხელი მოჰკიდა, ვადამდე მიწაში ჩაიყვანა.

— მიწავ, დედაო! მოეც ძალა ხმალსა გრძნეულსა!

ამოიტაცა, ზე აღმართა. თვალისმომჭრელად აკაშკაშდა წმინდა ხმალი, აზრიალდა, ვითარცა კელაპტარი, ნაპერწკლები სცვიოდა...

— აპა, დამიდექ, ჯაგერნაუტო! — ამაყად შესძახა მზეჭაბუკ ბედიამ.

დასასრული იქნება

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მურად ნებიერიძე

●

ათოვს მოქუფრულ
ნაზამთრალ ბაღებს
და გადასისხლულ დასალიერს
    მიფრენს ყორანი...
ჩამოიფერფლა თებერვალი
მთვარის არილით
და თოვლქვეშ თბება
    ნისლეულ რულში,
რეკავს ენძელა თეთრი ღამიდან.

●

მოქუფრული და უსახური,
ჩემთან მოფრინავს
გათოშილი ღამის ფრინველი
და სივრცეებზე მეჩურჩულება...
ვინ დასძრას ბინდი,
უმოქმედოდ
შეპყრობილ მთებთან?
ვინ შვას თავიდან
იმედები, ჯართად ქცეული?
...
სიცოცხლის ჟინით გამოვრბივარ
ყოველდღიურ მყუდრო ჩიხიდან,
ტანზე ვიხევ შემოთენებას
და ვისთვის ვმღერი,
თუ არა შენთვის,
სიყვარულისგან შეშლილო ქარო.

●

დედავ, მიდიხარ და ფეხშიშველას
აგდევნებია მთელი ქალაქი.
მთები აყრილან
    და მეც მიხმობენ,

ეროვნული
ბიბლიოთეკა

გზას გასდგომიან მუნჯი ტყეები.
გამოიმეტე ლურჯი წვიმები
ამ მანქანების ოკეანეში,
გამოიმეტე ჩემდამი ლოცვა
და მზე მიჩრდილე
ცხელ ასფალტზე
        ამოსულ ყვავილს.

●

ხომ მაინც მოველ
გარდაცვლილი დავიწყებიდან.
შემოგიერთდით
სიხარულის თავბრუდახვევით
და თქვენ წინ ვდგევარ,
მომლოდინე
        საოცრებათა.
მითხარი რამე...
დუმილიდან
ამოტყდი, ქარო!

●

მეფობს სიყვითლის მდუმარება
ირგვლივ ულევი,
ქარი ყვავილებს
და ბელურების ჟივილხივილს
        მიერეკება. —

დილა საყელოაწეული,
ფერმილეული,
ფოთლებს მიდენის,
ჩემს წინ მიხტის და მიციალებს.

სოსო მაჭარაშვილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ონირიული პასაჟები პერსპექტივაში

რომ წარმოვიდგენ
უხალხო ქუჩებს,
უხალხო სახლებს,
უხალხო ქალაქს.
სულს საშინელი
სიცივე ზარავს...
ო, ღმერთო,
არა,
არა,
ეს არა!
და წარმოვიდგენ
უხორცო სუფრას,
ქალ-ვაჟის ხორცზე
დაგეშილ მადას,
გულს ზიზღის გრძნობა
უეცრად ფარავს,
ო, ღმერთო,
არა,
არა,
ეს არა!
კვლავ წარმოდგენა
არ მინდა უკვე;
უღონო ჩხუბის,
ულვინო ლხინის,
უდედო ბავშვის,
უიღბლო გმირის,
მდიდარი მწირის,
მხიარულ ჭირის...
მივიწყებული
მთის და მდელოსი —
უქართველებო
საქართველოსი.

ფერად სიზმრებად

ზოგჯერ ღიმილის
ნამსხვრევები.
ზოგჯერ
ნუგეში.
ვით მარტოობა,
უცხოობა,
მელანქოლია
მიახლოებენ
მოგონებებს
უფრო საამოს.
რაც პირველია,
გულწრფელია,
ახლობელია.
და სიყვარულში
ისახება
ფერად სიზმრებად
შემოქმედების
უმაღლესი
მზის ფეერია.

უნებურად

განშორებისას
ცივმა კოცნამ,
მდარე ღიმილმა,
და სიბნელეში
ნაბიჯების გახმოვანებამ
დამიდასტურეს
სიყვარულის
გარდაცვალება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლერი ბარათელი

თოვლიანი დღე

პატარა დაბა, რომელსაც, წესით, სოფელი უფრო ეთქმოდა, თავიდან ვერაფრით მიიპყრობდა მნახველის ყურადღებას. ერთადერთი მოხრეშილი და მოასფალტებული ქუჩა დროთა განმავლობაში უმოწყალოდ დანგრეულიყო, ამიტომ ზამთარ-ზაფხულ ატალახებულ გზაზე გავლა ჭირდა და მგზავრს შესაშური მოთმინება სჭირდებოდა, რათა ბოლოში გაეღწია.

სხვა მხრივ ყველაფერი ისე იყო, როგორც ყველგან შეიძლება შეხვდეს კაცი. ჩვეულებრივად აქაც ბობოქრობდა წვრილმანი ადამიანური ვნებები: შური, მტრობა, სიძულვილი, სიყვარული... მნიშვნელოვანი და გამორჩეული არაფერი ხდებოდა, მაგრამ დაბის მცხოვრებლებს არც მოწყენისთვის რჩებოდათ დრო. თითო-ოროლა გასართობი და თავშესაქცევი ყოველთვის მოიძებნებოდა. ცოტა ხნით ამით შეიქცევდნენ თავს და მერე, ღვთისა და კაცის შეწევნით, კიდევ გამოჩნდებოდა უფრო სასიხარულო და საამო ამბავი.

ზამთრის დადგომისთანავე დაბაში უსაშველო წვიმები დაიწყო. თოვლი, რომელიც არც მანამდე ყოფილა აქაურებისათვის ხშირი სტუმარი, იმ წელს საერთოდ არ ჩანდა. თუმცა, როგორც ვთქვით, ხშირად წვიმდა. და საკმაოდ ციოდა კიდეც.

დეკემბრის ბოლოს წვიმიანი დღეები ერთმანეთს გადაება. ცენტრალური ქუჩა კიდევ უფრო ატალახდა. მძღოლები აქეთკენ გავლას ერიდებოდნენ, მაგრამ სხვა გზა არ ჰქონდათ (ამ სიტყვების პირდაპირი გაგებით) და იძულებულნი იყვნენ, გაკრიალებული მანქანებით მუხლამდე ტალახსა და გუბეში ევლოთ.

რამდენჯერმე წვიმაში თოვლიც გაურია და ყველამ იგრძნო, რომ სულ მალე აქაურობა თეთრად გადაიპენტებოდა. სხვათა შორის, ამას ადგილობრივი სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი სანდრო მენაფირეც მიხვდა, თუმცა პირველად იყო ამ კუთხეში და აქაური ჰავის თავისებურებასაც, რაღა თქმა უნდა, ნაკლებად იცნობდა.

საღამოხანს სკოლიდან დაბრუნებული სანდრო მოწყენილი იჯდა თბილ ღუმელთან. თუნუქის სახურავზე წვიმა ხმაურობდა. გვერდით ოთახში მასპინძლის ბავშვები რაღაცაზე ხმამაღლა იცინოდნენ. არც ერთი მათგანი ჯერჯერობით სკოლაში არ დაიარებოდა, თორემ უსათუოდ უფრო მეტი რიდი და პატივისცემა ექნებოდათ სანდროსი. ახლა კი უცხო ადამიანს უცბად გაუშინაურდნენ და ზოგჯერ ისე უცერემონიოდ იქცეოდნენ, გაკვირვებული სანდრო ვერაფრის თქმას ვერ ახერხებდა.

დიასახლისი ყასიდად გაუწყრებოდა ბავშვებს, სტუმარს ბოდიშს მოუხდიდა და ამით თავის მოვალეობას ამოწურულად თვლიდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სანდრო აქამდეც აპირებდა უფრო მოსახერხებელ ბინაში გადასვლას, მაგრამ ასე იაფად ძნელად თუ სადმე იშოვიდა ოთახს, ამიტომ თავს იკავებდა. აქაც გაძლებს კაციო, ფიქრობდა. მისი ხელფასისა და შეძლების პატრონი, რა თქმა უნდა, უფრო ხელგაშლილი ცხოვრების უფლებას ვერ მისცემდა საკუთარ თავს.

მასპინძლები პატიოსანი და მშრომელი ადამიანები იყვნენ. დღედაღამ მუშაობდნენ, მაგრამ სანდროს შეტყობით, ამ ოჯახს სიმდიდრის არაფერი ეცხო. სხვა მხრივ, კეთილი ხალხი ჩანდა და სასაყვედუროც არაფერი ჰქონდა.

სანდრო მენაფირე ნელ-ნელა შეეჩვია სკოლას. ადრე რამდენიმე ადგილას ემუშავა და ამიტომ ბავშვებთან ურთიერთობა მაინცდამაინც არ გასჭირვებია, თუმცა მისი გვარი რომელიღაც ენაკვიმატმა მოსწავლემ პირველივე დღეს გადაკეთა და სანდრო მენახირე შეარქვა. ეს ამბავი ჯერ ბავშვებში გავრცელდა, შემდეგ მასწავლებლებმაც შეიტყვეს, გულიანად იცინეს და სულ მალე სანდროც ჩააყენეს საქმის კურსში. სანდროს დიდად არ სწყენია — იცინებენ და გაჩუმდებიანო, იფიქრა.

თავიდან მისი გვარით სკოლის დირექტორიც დაინტერესდა.

— რა გვარი ბრძანდებით? — ორჯერ ჰკითხა დირექტორმა.

— მენაფირე, ბატონო.

ჭევრის მომსწრე და მნახველი კაცი საკუთარ სმენას მაინც ვერ ენდო, საბუთები გამოართვა, დიპლომი დიდხანს ფურცლა და ათვალიერა, ხან სანდროს შეხედა, ხან — დიპლომს და, რას არ გაიგებს კაციო, ჩაილაპარაკა გაოცებულმა.

სანდრო ამ დაბაში აპირებდა დამკვიდრებას. მშობლიური სოფლისაკენ, სადაც უფროსი ძმა ცხოვრობდა ოჯახით, გული არ მიუწევდა. რძალი ყოველთვის გულთბილად ხვდებოდა ერთადერთ მაზლს, მაგრამ სანდრო მათთან მაინც უხერხულად გრძნობდა თავს.

ძმისშვილები ისე იშვიათად ხედავდნენ სანდროს, ბიძა თუ იყო, არც ეგონათ და უცხოსავით უყურებდნენ. სტუმრად მოსულს უხალისოდ და უინტერესოდ ხვდებოდნენ. სანდროც ვერ იჩენდა საჭირო ყურადღებას. მუდამ თავგადახოტრილი, შეუხედავი ბიჭები მაინცდამაინც გულზე არ ეხატა. თუმცა ორივე მისი სისხლი და ხორცი იყო და რომ არ ყვარებოდა, ესეც არ შეეძლო.

— რა ჩამოგვიტანა? — ხმამაღლა ეკითხებოდა უმცროსი, გამხდარი, კნაჭაფეხებიანი ბიჭი დედას.

— გაჩერდი, შე სასიკვდილე! — აწყნარებდა ქალი.

— რაზე ჩამოვიდა? — არ ცხრებოდა ბიჭი.

გვერდით ოთახში მყოფ სანდროს ყველაფერი ესმოდა. შპალერაკრულ, გაცრეცილ კედლებს ათვალიერებდა და სევდიანად ეღიმებოდა. უხერხულ მდგომარეობაში ჩავარდნილი ქალი შვილს აწყნარებდა:

— ბიძაა, შვილო, შენი!..

— რა უნდა, რაზე ჩამოვიდა? — ჯიუტობდა ბიჭი.

სანდრო ამ ბოლო დროს თანდათან უფრო ხშირად ფიქრობდა მომავალზე, საკუთარ ოჯახზე. გრძნობდა, ერთფეროვანი, მოსაწყენი ცხოვრება უნდა შეცვლილიყო, მაგრამ როგორ და რანაირად, წარმოდგენა არ ჰქონდა. ეჩვენებოდა, რომ სხვები სულ იოლად აღწევდნენ ყველაფერს, თავის გულის ჭიას ახარებდნენ და როგორც სურდათ, ისე ცხოვრობდნენ.

დიასახლისმა ოთახში ლობიო, კეცის მჭადი და თხლად დაჭრილი სულუგუნი შემოიტანა. სანდრო დიდად ნასიამოვნები დარჩა ამ მოულოდნელი ძღვენით, მადლობა გადაუხადა და რატომ წუხდებითო, უთხრა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— რა შეწუხებაა... — მორიდებულად თქვა გამხდარმა, შეუხედავმა ქალმა და უხერხულად გაჩერდა შუა ოთახში, — ყურადღებას ვერ გაქცევთ, როგორც საჭიროა. მოუცლელობის ბრალია და უნდა გვაპატიოთ.

— რას ბრძანებთ, პირიქით...

— ამაღამ უეჭველად მოთოვს, — თქვა წასვლისას დიასახლისმა.

— მოთოვს კი... დიდი თოვლი მოვა, — დააზუსტა სანდრომ.

სანამ ქალმა კარი არ გაიხურა, სანდროს საჭმლისთვის ხელი არ უხლია, თუმცა ძალიან შიოდა და ცხელი მჭადის ოხშივარი გამაღიზიანებლად მოქმედებდა მშიერ კუჭზე.

გარეთ ჩამობნელდა. თოვლის ფიფქებმა თანდათან იმატა. მალე წვიმა შეწყდა და ხშირი თოვლი წამოვიდა.

სანდრო გვიან ღამემდე თბილ ღუმელთან იჯდა. რვეულებს ასწორებდა და გულში საამო ფიქრები ულიტინებდა. თბილსა და მყუდრო ოთახში მომავალი არც ისე უიმედო ჩანდა, როგორც ზოგჯერ ეგონა ხოლმე.

●

დილით უეცარმა სითეთრემ თვალი მოსჭრა. მთელი ღამე ხვავრიელად ეთოვა და ახლა მუხლებამდე თოვლი იდო. ეზო ჯერ არ გაეკვალათ. ნაფეხურებიც არსად ეტყობოდა. სიმძიმისაგან დაზნექილი ხის ტოტები მიწას ეხებოდა. გარეთ საოცარი სიწყნარე და სიმყუდროვე სუფევდა.

მასპინძლებს, ალბათ, ისევ ეძინათ, თორემ ბავშვების წრიოკობა აქამდეც გააღვიძებდა სანდროს. ღობის ძირში სიცივისაგან აბუზული ბეღურები დახტოდნენ, საკენკს და სარჩოს ეძებდნენ.

ისევ თოვდა წვრილად. ეტყობოდა, გადაკარებას არ აპირებდა.

სანდრო ფანჯარასთან იდგა და იქიდან ადევნებდა თვალს ამ სურათს. ახლად დანთებული ღუმელი თანდათან თბებოდა. ოთახს გარედან შემოსული შუქი ანათებდა და ყველაფერი გადასხვაფერებული ჩანდა.

მალე ეზოში მასპინძელი გამოჩნდა, ჩექმები და დალიანდაგებული მოკლე პალტო ეცვა. თავზე ყურებიანი ქუდი ეხურა. წვერგაუპარსავი სახე და შავი ტანსაცმელი თეთრ, ქათქათა თოვლთან მკვეთრ კონტრასტს ქმნიდა. იგი საგულდაგულოდ კვალავდა გზას ჭიშკრამდე. თოვლი უცნაურად ჭრაჭუნებდა ფეხქვეშ და ადვილად იტკეპნებოდა. მალე ჭამდე მისასვლელი ბილიკიც გაკვალა. სანახევროდ დაფარული გვიმრა მოასუფთავა, ოწინარი დაბლა დაქაჩა და თოვლი დგაფუნით ჩაცვივდა ძირს. მერე ეზოს ბოლოში მდგარ ჩალის ზვინს მიაკითხა, რამდენიმე კონა გამოაძრო დაბლიდან, მხარზე შემოიწყო და მძიმე ნაბიჯით გამობრუნდა უკან. ჩალის ღერები თოვლზე იფანტებოდა და შავი ლაქებივით აჩნდებოდა ქათქათა ზედაპირს.

ცოლს ახალმოწველილი რძით სავსე ვედრო მოჰქონდა. თბილ რძეს ორთქლი ასდიოდა. ქალი კალოშებით გამოსულიყო გარეთ და ფეხი რომ არ დასველებოდა, ფრთხილად მიაბიჯებდა ღრმა თოვლში.

ხეზე შერჩენილი ქათმები უცნაურად წრიალებდნენ და დაბლა ჩამოსვლას ვერ ბედავდნენ. მერე ზოგიერთი კრიახით ჩაეშვა თოვლში, სამზადი სახლის აივანს შეაფარა თავი და უმალვე საკენკისა და სარჩოს ძებნას მიჰყო ხელი.

ჭიშკართან მდგარი ატმის ხე გვერდზე გადახრილიყო. აგერ-აგერ გადატყდებოდა, თოვლი კი ისევ ემატებოდა. ფიფქები თანდათან გახშირდა. ათ მეტრზე თითქმის აღარაფერი ჩანდა.

სანდრო ეზოში გავიდა, მასპინძელი სავსე კარდალს მიარბენინებდა საღორისკენ და გვერდზე გადახრილი სასაცილოდ ადგამდა ნაბიჯს, ეშინოდა გატკეპნილ თოვლზე ფეხი არ დასხლტომოდა.

სანდრო მიესალმა და გვერდზე გადგა, რათა გზა დაეთმო.

— გამარჯობათ, ჩემო ბატონო! — ზრდილობიანად უპასუხა ერთიანად

ეროვნული ბიბლიოთეკა

დათოვლილმა კაცმა და ცოტა ხნით შეისვენა, რადგან მოეჩვენა, სანდრო რაღაცის თქმას აპირებდა.

— კიდევ მოთოვს, ალბათ... — თავისი ვარაუდი გაანდო სანდრომ.

— კი, მოთოვს, ისეთი პირი უჩანს. — დინჯად თქვა მასპინძელმა, — თუ მოხსნა ცამ პირი, მერე იცოცხლე!.. შეიძლება ერთი კვირა ითოვოს გადაუღებლად...

— ისე, თბილა... არ ცივა, — გაღეღილი მკერდი გამოაჩინა სანდრომ და ღრმად ჩაისუნთქა დილის სუფთა ჰაერი.

— ასე იცის საერთოდ, თუ ცივა, მალე გადაიკარებს, თუ თბილა, დიდი თოვლი მოვა უეჭველად, — განმარტა მასპინძელმა.

სანდროს კიდევ უნდოდა რაღაცის თქმა, მაგრამ შეატყო, სალაფავით სავსე კარდალა არც ისე მსუბუქი იყო, როგორც ერთი შეხედვით შეიძლებოდა მოჩვენებოდა კაცს, გვერდზე შებრუნდა, თოვლს დაწვდა და აივანზე შეყუჟულ ბეღურებს ესროლა რამდენიმე გუნდა. ბეღურები აფრინდნენ და ახლა სხვაგან შეაფარეს თავი.

მალე სამზადი სახლის კარი გაიღო და მასპინძლის უფროსი ბიჭი გამოვიდა. იგი უკმაყოფილო მზერით ათვალიერებდა სანდროს. შემცივნული და აბუზული იდგა გაკვალულ თოვლში და თითით ცხვირს იქექავდა.

— თქვენ დააფრთხეთ? — მორიდებით იკითხა ბიჭმა.

— რა? — განგებ გაიკვირვა სანდრომ, თუმცა უმალვე მიხვდა, რაშიც იყო საქმე.

— ბეღურები...

— კიდევ მოფრინდებიან, ნუ გეშინია! — დაამედა სანდრომ.

—თუ შეაშინებთ, არ მოფრინდებიან, — დაბეჯითებით თქვა ბიჭმა.

— რა იცი?

— ვიცი. მთელი დღე რომ უყარაულო, მაინც არ მოფრინდებიან.

— რომ მოშივდებათ?

— სხვაგან იპოვნიან საკენკს, ამ ადგილს კი არ გაეკარებიან... — გამხდარი, შავთმიანი ბიჭი მოზრდილი ადამიანივით დინჯად და დაკვირვებით ლაპარაკობდა.

— მეტს აღარ ვიზამ!.. — გაიცინა სანდრომ და ბიჭს დათოვლილ თმაზე ხელი გადაუსვა. ძმებს შორის იგი ყველაზე ზრდილობიანად მიაჩნდა და სულაც არ უნდოდა მისი წყენინება.

ბიჭი მიტრიალდა და უხმოდ წავიდა, თავდახრილი მიაბიჯებდა, პატარა ნაფეხურები მკრთალად აჩნდებოდა დატკეპნილ თოვლს.

სანდრო ოთახში შევიდა. ღუმელზე შემოდგმული ჩაიდანი დუღდა. შიგნით საგრძნობლად თბილოდა და ფანჯრის მინებიც შეორთქლილიყო. ღუმელქვეშ გაწოლილი მასპინძლის კატა ნებივრად თვლემდა.

სანდრომ ჩაი დალია, საჭირო წიგნები აარჩია და გარეთ გავიდა. გზა უკვე გაეკვალათ, თუმცა მუხლამდე თოვლში სიარული მაინც ჭირდა. სანდროს სიამოვნებდა ეს უჩვეულო დილა, მონდომებით მიიკვლევდა გზას და არაფრად აგდებდა, ფეხსაცმელი რომ უსველდებოდა შეუმჩნევლად.

თოვლით დახუნძულ ხის ტოტებს შორის ნაცრისფერი, ოდნავ ჩამუქებული ცა ილანდებოდა. ღრუბლები თითქმის არ ჩანდა. ირგვლივ უცნაური სიჩუმე გამეფებულიყო.

ქუჩაში იშვიათად თუ გამოჩნდებოდა მგზავრი. რამდენიმე ბავშვი გაჭირვებით მიიკვლევდა გზას სკოლისაკენ. მათი სიცილი და საუბარი ყრუდ, დაგუდულად ისმოდა და უმალვე წყდებოდა თოვლით სავსე შუკაში. ზოგჯერ ძაღლებიც ყეფდნენ აქა-იქ უხალისოდ და მერე ისევ სიჩუმე ჩამოწვებოდა.

სანდრო მონდომებით მიაბიჯებდა ღრმა თოვლში. ფეხსაცმელი თითქმის ერთიანად სველი ჰქონდა, მაგრამ სიცივეს ვერ გრძნობდა, პირიქით, დასცხა კიდეც და საყელოგაღეღილმა და პალ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტოგახსნილმა შეაღო სკოლის ჭიშკარი. ეზო აჩქარებით გაიარა, კიბე აათავა და დერეფანში არ გაჩერებულა, ისე, პირდაპირ სამასწავლებლოს მიაშურა. ეგონა, არავინ იქნებოდა მოსული, მაგრამ თითქმის ყველანი ადგილზე დახვდნენ. სანდრო გაკვირვებული იყო — ასე ადრე რამ მოიყვანა ეს ხალხი.

სკოლაში ყველანი თოვლზე ლაპარაკობდნენ. იქაურობა გალამაზებული და გადასხვაფერებული ჩანდა. სამასწავლებლოში ცეცხლი დაენთოთ და შიგნით საკმაო სითბო იდგა.

ისტორიის მასწავლებელი, რომელსაც მთელს დაბაში გაუცინარი და უხასიათო კაცის სახელი ჰქონდა დაგდებული, ბუხართან მიმჯდარიყო და წინა ღამით მოსმენილ ანეგდოტს უყვებოდა კოლეგებს.

ყველანი გულიანად იცინოდნენ, თუმცა გაცვეთილ და უხეირო ანეგდოტში სასაცილო და სამხიარულო მაინცდამაინც არაფერი იყო. ალბათ ამ კაცს პირველად ხედავდნენ გაცინებულს და არ უნდოდათ გუნება გაეფუჭებინათ. ეტყობოდა, თვითონ ისტორიის მასწავლებელიც მიხვდა, რომ ვერაფრიშვილი მთხრობელი გამოდგა, მაგრამ დაწყებული საქმის ბოლომდე მიყვანა ჰქონდა გადაწყვეტილი და ჭირის ოფლში იწურებოდა.

ბედად, ზარიც დაირეკა. მოულოდნელად ყველას გაუჩნდა საქმე, ზოგმა ჟურნალი ამოიიღლიავა, ზოგმა პაპიროსის მოსაწევად დერეფანს მიაშურა. მარტოდ დარჩენილი ისტორიის მასწავლებელი, რომელიც საკმაოდ თავმოყვარე კაცი გახლდათ, ყველაფერს მიხვდა და გუნებაში მტკიცედ გადაწყვიტა: რაც მოხდა, ჭკუის სასწავლებელი იქნება ჩემთვის, სხვა დროს არაფრის გულისთვის არ ავმჩატდები და თავს არ გავიმასხრებო.

სანდრომ მეცხრე კლასის ჟურნალი ამოიდო იღლიაში, დერეფანი აჩქარებული ნაბიჯით გაიარა და კმაყოფილი ღიმილით შეაღო კარი.

მთელი კლასი გასუსული იჯდა, რაც, სანდროს მიხვედრით, კარგს არაფერს მოასწავებდა.

ბავშვებს ოთახში თოვლი შემოეტანათ და იქაურობა ერთიანად სველი და ატალახებული იყო. ვიღაცას მაგიდაზე საკმაოდ მოზრდილი თოვლის ბაბუა დაედგა, რომელიც სითბოში დნებოდა და პატარავდებოდა, თან ფორმასაც კარგავდა. ეტყობოდა, თავის დაზღვევის მიზნით იგი დროზე ადრე გამოეფინათ თვალსაჩინო ადგილზე და ახლა მაგიდაზე დაგუბებული წყალი, რომელიც პრიალა ზედაპირზე ვერ ეტეოდა, იატაკზე წვეთავდა.

სანდრო უსიტყვოდ გაჩერდა შუა ოთახში.

წინა მერხზე მჯდარი თაფლისფერთვალებიანი გოგონა, რომელიც აქამდე თავდახრილი იჯდა და წიგნს კითხულობდა, სწრაფად წამოდგა, მაგიდაზე დარჩენილი თოვლი მოხვეტა და გარეთ გაიტანა. შემდეგ მშრალი ნაჭრით მაგიდა მოასუფთავა, გაწურული ნაჭერი დაფის გვერდით დაჰკიდა და სრულიად სერიოზული სახით დაჯდა თავის ადგილზე.

ამის შემდეგ გაკვეთილი ჩვეულებრივად წარიმართა. სანდროს დამნაშავის ვინაობის დადგენა არ უცდია. რასაკვირველია, ბავშვებსაც არ ამოუღიათ ხმა.

ფანჯრიდან დათოვლილი ეზო მოჩანდა. სკოლის დარაჯი სიმძიმისაგან დაზნექილ ნარგავებს ასუფთავებდა. ჯოხის შემოკვრაზე თოვლი ღგაფუნით ცვიოდა ძირს. განთავისუფლებული და ამჩატებული ტოტი კარგა ხანს ქანაობდა ზევით-ქვევით.

შუადღისას კიდევ უფრო მოუხშირა თოვას. დასვენებისას ბავშვები ეზოში ჩადიოდნენ და მუხლამდე თოვლში გუნდაობდნენ. მასწავლებლები აივნიდან ადევნებდნენ თვალს ამ სურათს. ერთი ორჯერ თოვლის გუნდა, ვითომ შემთხვევით, აივანზეც ისროლეს, მაგრამ საყვედური არავის დასცდენია. მხოლოდ დირექტორი ვერ ისვენებდა:

— გაცივდებიან, ბატონო... ან თვალს

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამოთხრიან, ან რაიმე უბედურებას დამართებენ ერთმანეთს. თქვენ რაში გენაღვლებათ, პასუხს მე მომთხოვენ!..

მაგრამ ამით არაფერი შეცვლილა: ბავშვებს გუნდაობა არ მიუტოვებიათ და არც დირექტორს გამოუჩენია მაინცდამაინც საჭირო პრინციპულობა.

სანდრომ უხალისოდ ჩაატარა ბოლო გაკვეთილი. სამასწავლებლოში მხოლოდ პიონერხელმძღვანელი დახვდა. ახალგაზრდა, ლამაზი გარეგნობის ქალი, რომელსაც საკმაოდ პოეტური სახელი — ლილი ერქვა. სანდროს რატომღაც არ მოსწონდა. შეიძლება იმიტომ, რომ ქალი ყურადღებას არ აქცევდა და ახლო ნაცნობობის რაიმე სურვილსაც არ ამჟღავნებდა. ყოველ შემთხვევაში, მისი ქცევა კარგს არაფერს ჰპირდებოდა.

სანდრომ სარწმუნო წყაროებიდან იცოდა, რომ ქალი არავისთან არ მეგობრობდა და არც ოფიციალური საქმრო ჰყავდა ჯერჯერობით.

სამასწავლებლოში სითბო და სიმყუდროვე სუფევდა. ბუხარში გამხმარი შეშა ტკაცუნებდა საამოდ.

ქალი თავდახრილი იჯდა მაგიდასთან და დიდი მონდომებით რაღაცას ინიშნავდა რვეულში.

სანდრომ ჟურნალი შეინახა, დაცარიელებული სამასწავლებლო დაკვირვებით მოათვალიერა და ბუხრის პირას უხერხულად გაჩერდა. წასვლა ვერ გადაეწყვიტა. ქალის მარტო მიტოვება უხერხული ხომ არ იქნებაო, ფიქრობდა.

— სანდრო, ისევ თოვს გარეთ? — მოულოდნელად იკითხა ქალმა, — რა გვეშველება, ასე თუ ითოვა...

— თოვს, კი... გადაღებას არ აპირებს, ეტყობა... — უპასუხა ნასიამოვნებმა სანდრომ. გული უცნაურად აუფანცქალდა. „როდის იყო, სახელით რომ მომმართავდა..." — გაიფიქრა მაშინვე და უნდობლად შეათვალიერა ქალი, რომელსაც თავი არ აუწევია მაღლა და ისევ წინანდელი მონდომებით განაგრძობდა საქმეს.

— შენ მიდიხარ, გეტყობა... თუ არ გეზარება, დამიცადე ცოტა ხანს, მოვრჩები და წამოვალ მეც, — შეეხვეწა ქალი.

— კი, ბატონო, — უპასუხა კიდევ უფრო დაბნეულმა სანდრომ.

ლილი რომელიღაც სქელტანიანი წიგნიდან სუფთად და კოხტად იწერდა რვეულში საჭირო პარაგრაფებს, შემდეგ ფურცლებს დათვლიდა, რვეულს ფრთხილად დახურავდა და გვერდზე გადადებდა. ეტყობოდა, სულ ცოტა, ნახევარი საათის სამუშაო კიდევ ჰქონდა, რადგან რამდენიმე ცალი ხელუხლებელი რვეული ედო წინ და სანდროს, ალბათ, მანამდის მოუწევდა ცდა, სანამ ყველა მათგანი არ შეივსებოდა.

ოთახში თბილოდა, გარეთ თოვდა. ეზოში არავინ ჩანდა. სკოლის დარაჯიც სადღაც წასულიყო და იქაურობა უკაცრიელს ჰგავდა.

სანდრო ბუხართან იდგა და ცეცხლს ეფიცხებოდა. დანაკვერცხლებული შეშა წითლად ღუოდა. სამასწავლებლოში ისეთი სიჩუმე იდგა, სანდრო უხერხულადაც კი გრძნობდა თავს.

— დაჯექი, სანდრო, ფეხზე რატომ დგახარ, — ლილიმ უკან მოიხედა და ღიმილით შეავლო თვალი ბუხართან აწურულ კაცს, — ხომ არ გეჩქარება?

— არა, როგორ გეკადრებათ, — უპასუხა სანდრომ.

ქალის გულწრფელმა ღიმილმა და მზრუნველობამ კინაღამ გული აუჩუყა. ვერასდროს ვერ წარმოიდგენდა, ლილის თუ ასეთი კეთილი ხასიათი ჰქონდა.

— ისეთ დროს დამირეკეს, პირდაპირ არ ვიცი, როდის რას მოვასწრებ... მერე მე გამომიყვანენ დამნაშავეს. არ მინდა, გავილანძღო...

— კი, მასე იციან... — დაემოწმა სანდრო, თუმცა მიახლოებითაც ვერ მოისაზრა, ვის საყვედურობდა და ადანაშაულებდა ქალი.

დერეფანში ფეხის ხმა გაისმა. ვიღაც

მძიმე და ნელი ნაბიჯით მოდიოდა. მალე კარი გაიღო და სამასწავლებლოში ერთიანად დათოვლილი სკოლის დარაჯი შემოვიდა, თან შეშა შემოიტანა და ბუხრის წინ დაყარა.

— ჰაუ, როგორ თოვს!.. — წვერგაუპარსავმა დარაჯმა გაყინული ხელები ცეცხლს მიუფიცხა, ტანსაცმლიდან თოვლი ჩამოიბერტყა და სკამზე უხერხულად ჩამოჯდა.

გამხმარ შეშას ცეცხლი მალე მოეკიდა. ალი აბრიალდა და ნახევრად ჩაბნელებული ოთახი შესამჩნევად განათდა.

ლილიმ რვეული გვერდზე გადადო და მისკენ ზურგით მჯდარ მოხუცს მიაჩერდა.

— ბიძია კაკო, არ აპირებს გადაღებას?

— არა მგონია... ეტყობა, კიდევ მოთოვს ამაღამ...

— რა კარგია!..

— თქვენ რა გენაღვლებათ, სკოლას დახურავენ და იქნებით სახლში გემოზე. მე ვიკითხო, სახურავი თუ მექნა გადმოსათოვლი.

— ჩვენც დაგეხმარებით, — ბავშვური მიამიტობა დაეტყო ხმაში ლილის.

— თქვენი იმედით თუ ვიქენი, რა მომჭირს... — ხელი ჩაიქნია კაკომ.

— რატომ ვითომ... ჩვენი სახლი გადმოვთოვლე ერთხელ, კაკო ბიძია. მამას გეფიცები, — გულწრფელად თქვა ქალმა.

— სახლი სახლია, სკოლა სხვაა, — დინჯად და ავტორიტეტულად განაცხადა მოხუცმა.

სანდრომ გაღიმებულ ქალს შეხედა და მაშინვე იგრძნო, როგორ შეეცვალა წარმოდგენა. ახლა სულ არ ეჩვენებოდა ისე მიუკარება და ამაყი, როგორიც ადრე ეგონა. ქალის ქცევა, ღიმილი, საუბარი, ყველაფერი ბუნებრივი ჩანდა და უფრო გულუბრყვილობის და უშუალობის შთაბეჭდილებას ტოვებდა, ვიდრე სიამაყის.

მოხუცი მალე გათბა. წასვლისას საქმეში გართულ ქალს გადახედა, მერე ბუხართან უსიტყვოდ მდგარ სანდროს შეავლო თვალი და ეზოში გავიდა. თეთრ, ქათქათა თოვლზე იგი წელში ოდნავ მოხრილი მიაბიჯებდა. მოკლედ დახერხილი, თოვლწაყრილი შეშა აივანზე აჰქონდა და მოფარებულში ალაგებდა. ნაფეხურებს თოვლი მალე ავსებდა და აფერმკრთალებდა.

ეროვნული

დათოვლილ შუკაში იშვიათად თუ გაივლიდა მგზავრი. ტრიფოლიატის ძირში ბეღურები დაძვრებოდნენ. შიმშილისაგან შეწუხებულნი ზოგჯერ სკოლის აივანზეც ბედავდნენ გამოჩენას, მაგრამ მალე ხელმოცარულნი ბრუნდებოდნენ უკან. გუნდ-გუნდად დაფრინავდნენ, ჟივჟივებდნენ და სარჩოს ეძებდნენ მონდომებით.

ლილიმ ბოლო რვეულიც გვერდზე გადადო, სანდროს კიდევ ერთხელ მოუხადა ბოდიში და რბილი, ფაფუკი ბეწვით გაწყობილი ქურქი ჩაიცვა. ტყავის ხელთათმნები სწრაფად გაიკეთა, მაგიდიდან რვეულები წამოკრიფა, გაზეთში შეახვია და მარცხენა ხელით გულზე მიიხუტა.

— წავედით? — სანდროსკენ შემობრუნდა ქალი.

— წავიდეთ, კი...

სანდრომ კარის გამოღება სცადა, მაგრამ ლილიმ დაასწრო. თოვლის დანახვაზე ქალი ოდნავ მოიბუზა და ქურქის საყელო ბოლომდე ასწია.

— როგორ თოვს!.. — ლილის თვალები უბრწყინავდა. თმაზე და წამწამებზე უკვე პირველი ფიფქები ეცემოდა. სანდრომ აშკარად დაინახა ოდნავ აწითლებულ ლოყაზე როგორ გადნა ფიფქი და შეუმჩნეველ წვეთად იქცა. ქალმა ხელთათმნიანი ხელით შეიმშრალა ლოყა და რძისფერ ცას ახედა. ფიფქები ნელა, შეუმჩნევლად ეშვებოდნენ ძირს, მაგრამ ისეთი შთაბეჭდილება იქმნებოდა, თითქოს ცა ფეხად აპირებდა ძირს ჩამოსვლას.

სანდროს უხაროდა, რომ მთელი გზა ქალთან ერთად უნდა გაევლო, მაგრამ სიჩუმეც ძნელი ასატანი იყო და ამი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტომ ცდილობდა, რაიმე საინტერესო თემაზე ჩამოეგდო საუბარი.

მთავარ ქუჩაზე თითო-ოროლა გამვლელი თუ გამოჩნდებოდა, თორემ კაციშვილი არ ჭაჭანებდა.

ლილის რამდენჯერმე დაუსხლტა თოვლზე ფეხი. სანდრომ შიშით შეხედა აბორძიკებულ ქალს და მიშველება ვერ გაბედა.

გზაზე ტალახი არსად ჩანდა. თოვლს საიმედოდ დაეფარა იქაურობა. მხოლოდ ზოგიერთ ადგილას ღრმა გუბე ვერ ამოევსო და წყლის ზედაპირზე თოვლის თხელი ფენა ოდნავ ფერშეცვლილი და ჩამუქებული ჩანდა.

ლილი უმნიშვნელო ამბებზე ლაპარაკობდა. სანდრო ქალს ყველაფერში ეთანხმებოდა და ამიტომ სერიოზული საუბარი, რომელსაც იგი თავიდან აპირებდა, არ გამოდიოდა.

ქალი ზოგჯერ ყოველგვარი მიზეზის გარეშე იცინოდა. სანდროც ცდილობდა აჰყოლოდა, მაგრამ ვერ ახერხებდა და თანდათან ბრაზდებოდა საკუთარ თავზე. დიდი ენამახვილობით არასოდეს გამოირჩეოდა, მაგრამ ასე დაბნეულიც იშვიათად ყოფილა.

მოულოდნელად სანდროს თოვლზე ფეხი დაუსხლტა, წაბორძიკდა და თვითონაც ვერ გაიგო, ცალი მუხლით ჩაჩოქილი როგორ აღმოჩნდა გუბეში.

ქალმა პირველად სიცილი ვერ შეიკავა, მაგრამ, როცა ნახა, სანდრო არ ინძრეოდა, შემკრთალი მიუახლოვდა.

— სანდრო!

სანდროს ცალი ფეხი მუხლამდე წყალში ჰქონდა ამოვლებული და საცოდავად იღიმებოდა. თვითონაც გრძნობდა, სასაცილო აქ არაფერი იყო, მაგრამ მისი მიხვედრით, ახლა მხოლოდ ღიმილი უშველიდა, თუკი მის გატანჯულ და სასოწარკვეთილ გამოხედვას ღიმილს დაარქმევდა კაცი.

ლილიმ სცადა მიშველებოდა. ზურგსუკან გაჩერდა და ხელი გაუწოდა. სანდრო წამოდგომას არ აპირებდა. ქალმა დაპირა კიდევ უფრო ახლოს მისულიყო, მაგრამ სველ თოვლზე ფეხი დაუსხლტა და თვითონაც კინაღამ სანდროს ბედი გაიზიარა. ზედ ნაპირზე საცოდავად ასხმარტალდა, თავი რაღაც სასწაულით კი შეიმაგრა, მაგრამ მკერდზე ახუტებულ რვეულებს ვერაფერი მოუხერხა, მხოლოდ უიმედოდ გააყოლა თვალი, სანახევროდ გაშლილი ფურცლები როგორ უწესრიგოდ მიმოიფანტა წყლის ზედაპირზე.

სანდრო მაშინვე წამოდგა. მიხვდა, საქმე უფრო სერიოზულად იყო, ვიდრე თვითონ ფიქრობდა. ლილი უხმოდ დასჩერებოდა რვეულებს, თვალები თანდათან ცრემლით ევსებოდა და ეტყობოდა, მალე ტირილსაც დაიწყებდა.

სანდრო ქალს ამშვიდებდა, სრულიად უადგილო და უმნიშვნელო სიტყვებით ცდილობდა ენუგეშებინა, მაგრამ, ჩანდა, ლილის საერთოდ არ ესმოდა მისი ნათქვამი და ცრემლად იღვრებოდა.

— ახალი ვიყიდოთ, — იპოვა გამოსავალი სანდრომ.

— ვის რაში სჭირდება ახალი... ვის რად უნდა, ვის!.. — კიდევ უფრო უმატა ტირილს ლილიმ.

— ზუსტად მასეთი, მაგის მსგავსი რვეულები იყიდებოდა ამას წინათ მაღაზიაში... ხელად ვიყიდით...

— რას ვიყიდით? — იკითხა ქალმა.

— რვეულებს.

— სად?

— მაღაზიაში. ახალი იქნება სულმთლად...

ლილის ყურადღება არ მიუქცევია მისი სიტყვებისათვის. ჯიბიდან ცხვირსახოცი ამოიღო და ლაპალუპით ჩამოდენილი ცრემლების წმენდას მიჰყო ხელი. — ოხ, ღმერთო ჩემო, რატომ ვარ ცოცხალი!..

დაბნეული სანდრო შემკრთალი შეჰყურებდა ბავშვივით ატირებულ ქალს. გულწრფელად იზიარებდა მის წუხილს, მაგრამ გამოსავალი ვერ ეპოვა და ძალიან უხერხულად გრძნობდა თავს.

ეროვნული

ბუნებრივია, ამ სურათმა გამვლელების ყურადღება მიიპყრო. ჯერ თითოოროლა კაცი შორიახლოს გაჩერდა სეირის საყურებლად. მერე ახლოსაც იკადრეს მოსვლა. მათ შორის ზოგიერთი ლილის ნაცნობი გამოდგა და ქალს დამშვიდება დაუწყეს. თან ცდილობდნენ შექმნილ მდგომარეობაში გარკვეულიყვნენ და ერთიანად დაბნეულ სანდროს ეჭვით ათვალიერებდნენ.

სანდრომ გუბიდან სათითაოდ ამოკრიფა რვეულები. მონდომებით დააწყო და დაალაგა, თუმცა იქვე მიხვდა, პატრონს იგი უკვე არაფერში გამოადგებოდა და თითონაც ტყუილად ირჯებოდა.

სასიამოვნო გარეგნობის ჭაღარა ქალმა, რომელიც უთუოდ ლილის ახლობელი უნდა ყოფილიყო, ატირებული ნათესავი დაამშვიდა, ცრემლები მოსწმინდა, ყველაფერი ხდებაო, უთხრა და მკლავგაყრილი წაიყვანა.

სანდროს დაჭმუჭნილი რვეულები ეჭირა ხელში და უაზროდ იდგა შუა ქუჩაში. ვერაფრით მოესაზრებინა, ამ თოვასა და უამინდობაში რატომ იდგა ერთ ადგილზე, ან ეს ხალხი რატომ ათვალიერებდა ასე ინტერესით და დაკვირვებით.

გამხდარმა მაღალმა მამაკაცმა, რომელიც ყველაზე ბოლოს მოვიდა ამ სასეირო ამბის საყურებლად, რატომღაც სათვალე მოიხსნა, ცხვირსახოცით გაწმინდა და ხალხის გასაგონად ხმამაღლა უთხრა სანდროს:

— მასწავლებელ კაცს არ გეკადრებათ ასეთი საქციელი!..

●

მეორე დღეს მთელმა დაბამ იცოდა ეს ამბავი. თავშესაქცევი და სასეირო შემთხვევა, რასაც ასე მოუთმენლად ელოდა ხალხი, სრულიად მოულოდნელად გაჩნდა და უმალვე ისეთი დეტალებითა და ეპიზოდებით შეივსო, ამ ამბის შემსწრე უფანტაზიო კაცი აუცილებლად გაკვირვებული დარჩებოდა.

სკოლაში ათასგვარი მითქმა-მოთქმა ატყდა. მასწავლებლები ჯერ ჩუმად და განცალკევებით ლაპარაკობდნენ, მაგრამ მალე ცხადი შეიქნა, დამალვას არავითარი აზრი არ ჰქონდა, რადგან ყველამ კარგად იცოდა წინადღით მომხდარი ამბავი. ახლა უკვე სრულიად აშკარად ალაპარაკდნენ. ზოგიერთებმა თავიანთი აღშფოთება დაუფარავად გამოხატეს. ყვებოდნენ მონდომებით, დეტალურად აღწერდნენ ყოველივეს და საკუთარი დასკვნებიც გამოჰქონდათ.

დაკვირვებული კაცი უთუოდ იმასაც შეამჩნევდა, რომ არც ერთი ვარიანტი ერთმანეთს არ ემთხვეოდა. ბევრს ეჭვიც კი შეეპარა: ყველაფერი ტყუილი და მოგონილიაო, მაგრამ ამ მოსაზრების საჯაროდ გამოცხადებას ერიდებოდნენ, რადგან კარგად იცოდნენ, ამით ინტერესს და მომხიბვლელობას დაუკარგავდნენ ყოველივეს, ხალხის გადაჯერებას კი, სულ ერთია, არაფერი ეშველებოდა.

სკოლის დირექტორმა ბევრი იცინა და იმხიარულა.

— ვინ, კაცო, სანდრომ? — კითხულობდა იგი.

— სანდრომ, მაშ!.. — კმაყოფილებით იღიმებოდა ქიმიის მასწავლებელი, რომელსაც თავიდანვე ათვალწუნებული ჰყავდა სკოლაში ახლად მოვლენილი პედაგოგი და რატომღაც დაცინვით უყურებდა ამ მორიდებულ და ხათრიან კაცს.

— რას მელაპარაკები!

— მასეა კი, გრიგორიჩ...

— მომკალი და, ვერ დავიჯერებ!.. — არ ცხრებოდა დირექტორი.

— ხალხს რას გამოაპარებ... რაც ნახეს, იმას ამბობენ, — დარწმუნებით აცხადებდა ქიმიის მასწავლებელი.

დირექტორმა გულწრფელად განაცხადა: ყველაფერს ვიფიქრებდი, მაგრამ თუ მაგ კაცი ასეთ რამეს იზამდა, არ მეგონაო.

ცოტა მოგვიანებით, როცა სიცილი და მხიარულება დაცხრა, როცა დირექ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტორმაც საკმაოდ იჭერა გული ამბის კითხვა-დაზუსტებით, როგორც ოფიციალურმა პირმა, არც თავისი მოვალეობა დაივიწყა და სანდროს ერთი საიმედო თანამშრომლის პირით შეუთვალა: მეც კაცი ვარ, ქუდი მხურავს, კარგის და ავის გარჩევა ვიცი, საკუთარი ხელით დაწერე განცხადება განთავისუფლებაზე და არ გაგაფუჭებო.

სანდრო ისე მოიქცა, როგორც ურჩიეს; თავისი ბარგი-ბარხანა ჩემოდანში ჩაალაგა და ერთ მოწყენილ და ღრუბლიან საღამოს მარტოდმარტო გაემგზავრა დაბიდან.

არ თოვდა, არ წვიმდა. მოყინული, ატალახებული თოვლი დნებოდა. სუსტი ქარი უბერავდა და საკმაოდ ციოდა. ერთი სიტყვით, უგემური და უსიამო ამინდი იდგა.

დრო გადიოდა. მზეს დღითიდღე სითბო და მცხუნვარება ემატებოდა. დაბაში თოვლი გადნა. გაზაფხულის მოსვლა თანდათან საგრძნობი გახდა. ნუშისა და ტყემლის კვირტები დაებერათ. ეზოსა და მინდორს მწვანე, ხასხასა ფერი მოედალა.

ის საცეირო ამბავი, რომელიც იმ წელს ერთადერთი არ ყოფილა, ხალხს მალე გადაავიწყდა. ყოველ შემთხვევაში, სანდროს უკვე აღარავინ ახსენებდა. დაბის მცხოვრებლები ახალ საინტერესო თავშესაქცევს ეძებდნენ და, რასაკვირველია, მათი გულმავიწყობაც არავისთვის უნდა ყოფილიყო საწყენი.

იმ გაზაფხულზე ლილი გათხოვდა. წესიერ და ღირსეულ კაცს გაჰყვა ცოლად.

ის ზამთარი, ის უჩვეულო თოვლიანი დღე დავიწყებას მიეცა. სანდროს იშვიათად თუ გაახსენდებოდა პატარა დაბა და მაშინვე თვალწინ გაუცოცხლდებოდა დიდთოვლობის სევდიანი მოგონება, რომელიც დროთა განმავლობაში თანდათან ფერმკრთალდებოდა და იცრიცებოდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დრო-ჟამი

დღე და ღამე გაყრილია,
დრომ დათენთა ისრები.
არც მამლები არ ყივიან,
წუხს უსიზმრო სიზმრები.
და საათებს შიშით დავცქერთ,
მაცნეს გულცივ ჟამისას,
და მოკვდავნი ამ მიწაზე
დავალთ წამისწამისად.
როს მოვმართავთ ჩვენს ცხოვრებას,
გარბის წუთისოფელი.

სიკვდილშიაც გვსურს ცხონება,
მაგრამ ნუღარ მოველით.
დრო და ჟამი მან გახედნა, —
ქართულ ლექსის მირონმა.
საათს ერთხელ არ დახედა
შმაგმა გალაკტიონმა.
ბოლო წამიც განიმზადა,
საუკუნედ მოისხა,
ჟამმა იცის ჟამისა და
დრომაც იცის დროისა...

ნიკალა

ღვინის რუმბზე ზის სირაჯი მწითური,
ხატავ მას და შემოავლე ვარაყი.
ნიჭის ფასად — სიღარიბე
მდიდრული,
გასამრჯელოდ — ერთი ჭიქა არაყი.
დანამადლი შხამის ლუკმა დააგდე,
მუშამბაზე დაფშვენ სიმწრის ფიალა.
მირზაანის გზა რომ ვეღარ გააგენ,
ლილოს ქარმა უკან მოგატრიალა.
ნათხოვარი ჩოხასავით გაიძრე
ურჩი ბედი, ვით სიკვდილის მზითევი.
კალმახებად გულზე თვითონ დაიწყვე
საღებავში ამოთხვრილი თითები...
რუსთაველზე განფენილა კვირა დღე,
გამოფენის კართან მორცხვად
მოხვედი.
ჩობანს უკრავს ყანწგაწვდილი
მეარღნე
და გიხდიან ქუდებს ყარაჩოხელნი.

თეთრი დუქნის შავი დათვი ფეთდება,
ნარიყალას დაეწურა ცისკარი.
ორთაჭალელ ტურფებს მკერდზე
მტრედები
ძუძუსთავებს უკენკავენ ნისკარტით.
ჩქეფს კახეთის რთველი ზეცის
ღიმილში,
სვამს ბახუსი ჭმუნვა-დარდის
მათრობლად.
თითქოს ზღაპრულ ეტლით დაქრის
თბილისი,
დაჯირითობს ძველი დარდიმანდობა...
ერთ სურათზე სწუხს მწითური
სირაჯი,
სიმწრის ოფლით გაწუწულა ნახატი,
იმზირება ვითარ
სიკვდილმისჯილი, —
დაგამადლა ვინაც ჭიქა-არაყი.

ადრე და გვიან

ადრე დახეულ ტრფიალის გუჯარს
გვიან ნაღვლიან თვალებით ვეძებ.
ადრე მოხმობილ დედოფალ მუზას
გვიან ვუკითხავ მისივე ლექსებს.
ადრე ბრმად მოჭრილ სალამურს,
მკვნესარს,

გვიან დაადნა დამზრალი ბაგე.
ადრე მოიღო ზღართანი თევზმა,
გვიან მოაწყდა დაფლეთილ ბადეს,
ადრე დასეტყვილ ოქროსფერ
ყვავილს
გვიან დასტირის ჭაღარის ვერცხლი,

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ადრე დაკარგულ ბატკანის ბღავილს
გვიან მიბრუნებს საწუთროს მწყემსი.
ადრე დანგრეულ სალოცავს განდე,
გვიან ჭრილობად გახსნილო დარდო,

ადრე შანდალში ჩაღვენთილ სანთელს
გვიან ვანთებ და ისევე ვაქრობ...
...ადრე და გვიან, ადრე და გვიან
გულში მეხლება, ვით ორი ტყვია.

ქვაზე ამოკითხული

ფუტკარი თუ წუწნის ნექტარს,
თაფლს აკეთებს ხალისით.
გველიც ნექტარს ეტანება,
მაგრამ უნდა შხამისთვის.
მწუხარებაც, ნეტარებაც
მეც ერთ ჟამში დამისხით?!

დღე დავკარგე, ღამე ვპოვე,
ვიხსენ ცოდვა მადლითა.
დასაწყისი დავიგლოვე
დასასრულის დარდითა.
მოფრენილი იადონი
ვაი, რა უცებ გაფრინდა.

●

ვარსკვლავებზე ხატიხარ,
თუ ღვთისმშობლის ხატი ხარ,
აღარ მიხსნის დანა პირს,
არ მისრულებ დანაპირს.
ერთი გთხოვე, მეტი რა,
შენს კალთაში მეტირა!

●

უკარება ბაგენი
სიზმრად ვნახე წუხელი:
თვალდახუჭულ ანგელოზს
დაეკრიფა გულხელი.

იმ ძველ ტრფობის საწინდრად
მეხვეოდა აპრილი.
მთვარე ღრუბელს ვარცხნიდა,
ჩემს თმებს — შენი მანდილი.

ინოლა

განა ღამდება,
განა ხმა კვდება,
არა, სავანე იპოვა.
სიცოცხლე იწყება,
სიკვდილი თავდება,
ინოლა!

მწუხარე მიხაკებს,
სევდიან ზამბახებს,
მდუმარე გიტარას უსიმოს
თალხებში მოაქვთ
თეთრი სასახლე,
რომ ხმის დედოფალს უსმინონ.

ნაწნავიანი,
შავბაფთიანი
მისი პატარა ლექსიც

ხალხში დაკარგული,
თვალცრემლიანი
გეძებს იებით ხელში.

წუთისოფელო,
ბედის ამკრეფო,
სხვა ვინ შეიძლებს იმოდენს,
საკუთარ ცხედარს
გულხელდაკრეფილს
თავისი ხმით რომ სტიროდეს:

ეს არი მწარე
და გულსაკლავი,
რაიც ყოფილა ძნელი,
თვითონ იკვნესო
შენი საფლავი,
სხვას კი გაუშრო ცრემლი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

და სუფრის ეშხი
ყველგან გეძებონ
სულს საზიარებ მირონად.
ლოცვა-სიმღერით
კვლავ გადღეგრძელონ,
ინოლა!

ცარიელ სკამზე
მოჩანს გიტარა,
ვით მოგონება მძიმე.
ცრემლებად წყდება
მეგრული ნანა
ხელშეუხებელ სიმებს,

ის გაზაფხულიც
აღარ ანთია,
ფრთა დაუკეცავს იჭვებს,
შერიგებულან,
ერთი დარდი აქვთ
შენთვის ნაჩხუბარ ბიჭებს.

მზერას აპყრობდი
თუმცა ზეცისკენ,
მაინც მიწაზე დარჩი.
გექაჩებოდნენ
ერთმანეთისკენ
და გაწყდი ოქროს ჯაჭვი.

გახსოვს? დაგპირდი,
ლექსს დაგიწერდი,
შენი სიმღერის ეშხით.
ახლა საფლავზე
ბინდი ირწევა
და უკვე აღარ გესმის.

ჩამქრალ თვალებში
მცირე სინათლე
ჩაგრჩა და მანაც გიგლოვა.
შენც ხომ ასეთი
სიმღერა გიყვარდა,
ინოლა!..

მინაწერი გრანელის წიგნზე

ლერი ალიმონაკს

ძველი საყდრის დახავსებულ ლოდზე
სწუხს ბავშვობის ცხარე ცრემლის
წვეთი,

გაყიდულა სოფლად ლურჯი ოდა,
გაფრენილა სადღაც თეთრი მტრედი
და თბილისის უნდო ქუჩის მწირი
თავშესაფარს ობოლ ლექსში ეძებს,
ნახევისარი ძველი პერანგივით
ალიონი აფარია მკერდზე.
მარტოობას ველარ განერიდა,
მწუხარების ახრჩობს ზღვა სამყარო,
ლაზარეთის ღია სარკმელიდან
შემოუშვა ბინდი სასაფლაომ.
წუთისოფლის გადარაზულ კართან
სული შედგა ცხედრის წასაღებად.
მაგრამ არა, ღვთისმშობელის ხატმა
არ ისმინა მისი აღსარება.
შეცბა მტირალ ანგელოსის ფრთები,
უცოდველი კრავის წმინდა სისხლი.
სიკვდილის წინ დაემალა ღმერთი,
არ ეღირსა მწუხრის პარაკლისი.

და მოვიდა აღსასრულის წამიც,
ველარც თვისი ლექსი შეეწია.
მხოლოდ ერთხელ ჩამორეკა ზარი
პეტრე-პავლეს მდუმარ ეკლესიამ.
ცხედარს ქარში გაჰყვა კუბოს
ჩრდილი,

ზიარების ულვთოდ მაძებარი
და სამარე დარჩა დედა-თბილისს,
როგორც ჯვარცმულ ქრისტეს
ნატერფალი...

შენ აქ დგახარ, შვილზე უფრო
ღვიძლი,

და აპკურებ ცრემლში ნაზავ მირონს
ადრე ჩამქრალ ტანჯულ
წინაპრისთვის

მომტირალად გვიან გაჩენილო.
ღაღადისად გესმის წიგნის ლოცვა.
და სამოთხის ჩიტი ჯვარზე გალობს
გაგიმარჯოს, დაღამებულ მგოსნის
საუკუნო გათენების ჟამო!

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მერაბ მიხელიძე

ინტერნატში მომხდარი ამბავი

ინტერნატში ახალმოსული ბიჭი დანახვისთანავე არ მომივიდა თვალში. როგორც შემდეგ გავიგე, ფშაველი ყოფილა, თურმე კოჯრის სკოლა-ინტერნატში სწავლობდა და ხეიბარმა დედამ თბილისში გადმოიყვანა: ეგებ ეშველოს და უკეთ ისწავლოსო.

ერთიანად შავი, თმააბურძგნილი იყო, ლოყები გამობერვოდა და უცებ რომ შეხედავდით, იფიქრებდით, უსტვენსო. ამიტომ თანაკლასელებმა „მეზურნე" შევარქვით, სინამდვილეში კი ფიროუზი ერქვა.

ყოველთვის განმარტოებული, არავისთან ამხანაგობდა, არც კი გველაპარაკებოდა. ასეთი უგერგილო, მოუხეშავი და დამუნჯებული ჯერაც არავინ მენახა. მეტისმეტად ზარმაცი, უკაცრავად სათქმელია და, ყველაფერს ფეხებზე იკიდებდა. ორებით აჭრელებულს, გაკვეთილებზე კი არა, გამოცდებზეც ძალით მოათრევდნენ. გაიპარებოდა, ინტერნატის ღობის გადაღმა ხევში ჩაჯდებოდა და იყო თავისთვის. წესიერად არავის შეხედავდა და ილად არაფერი გაუცვლებდა. თავი რომ მოგეკლათ, სიტყვას ვერ დააცდენინებდით, რაც უნდა მიგემოქმედათ, მის ყურადღებას ვერ მიიპყრობდით. მერე და მერე ყველა მიეჩვია მის ახირებულ ხასიათს. ყურადღებასაც აღარავინ აქცევდა. მე კი კვლავინდებურად ნერვებს მიშლიდა მისი დანახვა და ვცდილობდი, რაიმეთი გამეღიზიანებინა.

ერთხელაც უმიზეზოდ ავუხირდი. თვითმომზადების შესვენება იყო. კლასში ერთი აურზაური გვქონდა. საერთო ღრიანცელს გამოცალკევებული ფიროუზი, როგორც ჩვეოდა, თავისთვის იჯდა და წიგნს კითხულობდა. ვიცოდი, გაკვეთილების მომზადებით თავს არ შეიწუხებდა. ერთხანს შორიდან ვუყურე, მერე მივედი და ვკითხე, რას კითხულობ-მეთქი. ხმა არ გამცა — ეტყობა, დიდად არც მას ვეპიტნავებოდი. ჯეკ ლონდონის „მარტინ იდენი" ეჭირა. მე წარბი შევიკარი: „გიჯობს, გაკვეთილები იკითხო!" — მივახალე გამომწვევად და დაველოდე, რას იზამდა. უნდა გენახათ, რა მოუვიდა: გაიფხორა, გამობერილ ლოყებზე სისხლი მოაწვა და თვალები აემღვრა. სიამოვნებიას გრძნობამ დამიარა სხეულში; გახელებულმა წიგნი გამოვგლიჯე და აღარ ვაძლევდი.

— დამიბრუნე წიგნი, — ჩაილაპარაკა თავისთვის.

რა ბიჭი ვიყავი, დამეჯერებინა!

წამოდგა და ჩემკენ გამოემართა.

— მომეცი წიგნი! — გამიმეორა ცხვირწინ ატუზულმა. კლასი ჩაჩუმდა. ყველა ჩვენ შემოგვაცქერდა. დავიბენი. უხერხულობის გასაფანტავად წიგნი მერხისკენ მოვისროლე, მაგრამ მერხს გადასცდა და იატაკზე დაეცა. ფიროუზი კანკალმა აიტანა, თვალები გაუფართოვდა და ხელები მომუშტა. თქმით კი არაფერი უთქვამს, შეტრია-

ლდა, წიგნი აიღო, თავის ადგილს დაუბრუნდა და, თითქოს აქ არაფერიო, კითხვა განაგრძო. ახლა, როცა უკვე მთელი კლასი გვიყურებდა, აგრე ითოლად თავს ვეღარ დავანებებდი. მერხთან მივიჭერი, მინდოდა ისევ გამომეტაცა წიგნი; მაგრამ, რასაც სრულიად არ ველოდი, ის მოხდა: უცებ წამოხტა, საყელოში ჩამაფრინდა და შემანჯღრია. სიბრაზისაგან ლოყები დამეწვა, სწრაფად ჩავკარი ხელი, ის იყო, მჯიღი უნდა მეთავაზებინა, იდაყვი სამელნეს გავარტყი, სამელნე ძირს დაენარცხა და აპრიალებული იატაკი იისფრად დაითხაპნა. ამ დროს ზარიც დაირეკა. ბიჭები მოგვცვივდნენ და გაგვაშველეს.

აღმზრდელმა შემოსვლისთანავე შენიშნა იატაკზე დაღვრილი მელანი და მრისხანედ მოავლო კლასს თვალი. როცა წამოვდექი და განვაცხადე, მე გავტეხე-მეთქი, გაკვირდა. თავი უკმაყოფილოდ გადაიქნია.

— თვითმომზადების შემდეგ დარჩები და იატაკს მოწმენდ! — თქვა ოდნავ მომბალმა.

ფირუზს გავხედე. ბოლმა მავსებდა და გული საგულეს არ მეტეოდა, — ეს რა მიყო-მეთქი ამ მეზურნემ. რატომღაც ვფიქრობდი, მოვიდოდა და პატიებას მთხოვდა. თქვენც არ მომიკვდეთ! ზარის დარეკვისთანავე წიგნი ღლიაში ამოიჩარა და სხვებთან ერთად ეზოში სასეირნოდ გაუტია. მე კი სანაგვეზე გატეხილი შუშა მოვძებნე და იატაკის ფხეკას შევუდექი.

ვახშმის საყვირი კარგა ხნის მიცემული იყო, სასადილოში რომ შევედი. ბიჭებს ჩემთვის ადგილი შეენახათ და თანაგრძნობით შემომცქეროდნენ. მეზურნე მეექვსეკლასელებთან ერთად უჯდა მაგიდას, მის ზურგსა და გაბურძგნილ თმას რომ შევცქეროდი, სისხლი მემღვრეოდა — წარმოვიდგინე, როგორი სიმშვიდითა და გულმოდგინებით ამოძრავებდა გამობერილ ლოყებს და რისხვით ვივსებოდი.

ჭირის დღესავით შემძაგდა ამ ამბის შემდეგ. სხვებსაც არავის ეპატიებოდა — არც მოსწავლეებს და არც მასწავლებლებს. ყური მოვკარი, გარიცხვას უპირებენო. მაშ რა იქნებოდა, ერთი გაკვეთილიც კი არასოდეს მოეყოლა!

დღითიდღე უფრო გულჩათხრობილი ხდებოდა და არავის ეკარებოდა. დიდ შესვენებაზე და ვახშმობის წინ სადღაც გაქრებოდა და თავიც რომ მოგეკლათ, ვერსად იპოვიდით. ზოგჯერ ღამესაც არ ათევდა საძინებელში. აღმზრდელის გაგიჟებას არაფერი აკლდა.

ერთ დღეს ისეთი რამ შეემთხვა, ვინც კი გაიგო, სიცილით გაიგუდა.

მაშინ ხანში შესული დირექტორი გვყავდა. დერეფანში მივდიოდი სადილობის წინა დიდ შესვენებაზე და ვუსტვენდი. საპირფარეშოდან ფირუზი გამოვიდა და ერთმანეთს შევეჩეხეთ. წამით შევდექი, მერე თვალი მოვაცილე და არხეინად გავაგრძელე სტვენა. ამ დროს კაბინეტიდან დირექტორი გამოვიდა. წამსვე გავჩუმდი. განრისხებული ჩანდა, — სტვენა გაეგო. ჯერ მე შემათვალიერა, მერე ფირუზი. აკი ვთქვი, ტუჩები და ლოყები ისე ჰქონდა გამობერილი, იფიქრებდით, უსტვენსო. დირექტორსაც ეგონა, ის უსტვენდა, ყურში ხელი ჩაავლო და დატუქსვა დაუწყო. დიდი ჯიუტი ვინმე ბრძანდებოდა ეს „მეზურნე“ და ხმა არ გაუღია.

— რატომ უსტვენ! — უყვიროდა დირექტორი და კაბინეტისაკენ მიათრევდა.

კაბინეტიდან მესმოდა, როგორ „ამკობდა“: უდისციპლინოს, ზარმაცს, გამოუსწორებელს უწოდებდა, სკოლიდან გარიცხვით ემუქრებოდა;

ეს ამბავი მოვყევი კლასში, სიცილით დაიხოცნენ.

●

მალე ინტერნატში ახალი დირექტორი მოვიდა, ახალგაზრდა კაცი. მკაცრი სახე ჰქონდა და ბევრი ლაპარაკი არ

რადიშ
თორდია



ეროვნული
ბიბლიოთეკა



ეროვნული
ბიბლიოთეკა







ეროვნული
ბიბლიოთეკა

ბელა ბერძენიშვილი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

უყვარდა. მის დანახვაზე ყველანი ისუსებოდნენ და ჩურჩულს ატეხდნენ ხოლმე. უცნაური ჩანდა: დილით ადრე მოდიოდა და ჩვენთან ერთად ვარჯიშობდა; ინტერნატელებს ხან კლასების მიხედვით, ხანაც სათითაოდ იბარებდა კაბინეტში და ყველას რაღაცას ესაუბრებოდა. სიგარეტის მწეველებიც დაიბარა, სთხოვა: სიგარეტს თავი დაანებეთ, მეც დავანებებო თქვენთან ერთად.

მოუთმენლად ველოდი, როდის დამიბარებდა, მაგრამ ეს, ვგონებ, არც უფიქრია და ცოტა არ იყოს, გული მწყდებოდა.

ერთ დღესაც ფირუზი დაიბარა. დავინტერესდი და კაბინეტის წინ დავიწყე განგებ ხეტიალი. ვფიქრობდი, ერთს მაგრად შეაფუცხუნებს-მეთქი. ყვირილი არ გამიგია, მაგრამ რომ გამოვიდა, მეზურნე თავჩაქინდრული და გვარიანად შეწითლებული იყო. დირექტორი კარებამდე გამოჰყვა, თან რაღაცას ეუბნებოდა.

იმ დღეს ფირუზი თვითმომზადების შემდეგ კლასში დარჩა. გამიკვირდა, ასე არასოდეს გაუკეთებია. ალბათ, დირექტორის შეეშინდა და მეცადინეობა გადაწყვიტა-მეთქი, გავიფიქრე. დერეფნის კუთხეში ავიტუზე და დაველოდე. მინდოდა მენახა, რას აკეთებდა. როცა ყველაფერი მიწყნარდა, კარი გაიღო და გამოვიდა. ნელა გადაჭრა დერეფანი, კიბეზე დაეშვა და სარდაფში ჩავიდა. გავვოცდი. ფეხაკრეფით მივედი მოაჯირთან და გადავიხედე. რაღაცას ეძებდა. გაფაციცებით ვადევნებდი თვალს.

ფირუზმა სარდაფის კუთხიდან სანთელი და ასანთის კოლოფი გამოაძვრინა და უცებ კედელში გაუჩინარდა. ცოტა არ იყოს, შევშინდი. ეზოში გამოვვარდი. გული ძალუმად მიცემდა. მინდოდა ბიჭებთან მივსულიყავი და ყველაფერი მეამბნა, მაგრამ თავი შევიკავე. ვიფიქრე, მოდი ჯერ თავით ბოლომდე გავიგებ, რა ხდება-მეთქი.

მეორე დღეს ინტერნატში ერთი ალიაქოთი ატყდა. ჯერ იყო და, [illegible] საბან-ლეიბი დაიკარგა, მერე წიგნების თარო, დღეს კი, როცა ეს ამბავი უკვე დავიწყებას მიეცა, ბიოლოგიის კაბინეტიდან სხვადასხვა ფრინველთა ფიტულები გაქრა. ატყდა ერთი ამბავი. დიდხანს იმტვრიეს თავი, დირექტორიც აღელვებული ჩანდა. ვერაფერი გააწყვეს, დამნაშავე ვერ იპოვეს. ერთი სული მქონდა, როდის მოვიდოდა დიდი შესვენება. ღრმად ვიყავი დარწმუნებული, რომ ამ ამბავს გუშინდელ ჩემს მიერ ნანახთან რაღაც კავშირი ექნებოდა.

დიდ შესვენებაზე შეუმჩნევლად ჩავედი სარდაფში. ბნელოდა. სანთელი ვიპოვე და შუქი იმ მხარეს მივიტანე, სადაც წუხელ ფირუზი გაუჩინარდა. მოზრდილი შესასვლელი გამოჩნდა. შევედი და ოთახში აღმოვჩნდი. სანთლის შუქზე მოვათვალიერე იქაურობა. ვერაფერი დავინახე ქაღალდის დამწვარი ნაგლეჯების გარდა. მარჯვნივ, კედელში ხვრელი იყო. ამ ხვრელში გავძვერი და კანალიზაციისა და გათბობის შეფუთულ მილებში ამოვყავი თავი. ნესტის სუნი იდგა, სული მეხუთებოდა. საეჭვო ვერაფერი შევნიშნე, მაინც გავფოფხდი წინ. მილები გარშემო უვლიდნენ სკოლის შენობის საძირკველს. მათ შორის პატარ-პატარა ოთახებივით იყო ამოშენებული. გზადაგზა ვჩერდებოდი და სულს ვითქვამდი. ბოლოში რომ გავედი, შევნიშნე, ერთი „ოთახი“ ჭერამდე, ესე იგი, პირველი სართულის იატაკამდე იყო ამოშენებული. ვიღაცას იქვე დაყრილი ნარჩენი აგურები დაეწყო ერთმანეთზე. გამეხარდა. „ოთახს“ მოვუარე და კედელსა და ჭერს შორის დატანებულ გადასაძრომში შევყავი თავი.

ყველაფერს ფარდა აეხადა.

აი, თურმე სად ქრებოდა ფირუზი და ვინ იყო ის უჩინარი, ინტერნატის ნივთებს რომ იპარავდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საზანდლეიში ძირს გაეგო. კედლებზე კი ფიტულები და ორი სანთელი დაემაგრებინა, „ოთახში“ გადავძვერი. წიგნების თაროც აქ იყო. ზედ წიგნები, ლიმონათის ბოთლები და გამხმარი პური ეწყო, „მარტინ იდენიც“ აქ შეენახა. იქვე ეყარა რვეულები და ავტოკალამი.

გახარებული, თანაც შეცბუნებული გამოვბრუნდი უკან. ტანისამოსი გავიფერთხე და ეზოში გამოვედი. ერთი სული მქონდა, ყველაფერი სააშკარაოზე გამომეტანა. გული აჩქარებით მიცემდა...

ის დრო იყო, მეოთხედი იწურებოდა. ფირუზი უნდა გაერიცხათ. დირექტორი აყოვნებდა საქმეს. ირწმუნებოდა, გამოსწორდებაო. მე კი გულში მეცინებოდა, თან ბრაზი მერეოდა. დირექტორი ისე იქცეოდა, თითქოს ჩემს არსებობას საერთოდ ვერ ამჩნევდა. ადრე დარწმუნებული ვიყავი, ცოტა ხანში მასაც ისე დავეხატებოდი გულზე, როგორც ყველა სხვა მასწავლებელსა თუ აღმზრდელს. უფრო მეტიც, რატომღაც სხვებზე უფრო მკაცრად მიყურებდა და მგონი თვალშიაც არ მოვდიოდი. ფირუზს კი კვირაში ბარე სამჯერ დაიბარებდა ხოლმე, ლამისაა, მეგობრად გაიხადა. გულზე ვსკდებოდი, რა იცოდა, ვისთან ჰქონდა საქმე, რა იცოდა, აღზრდის ეს მხსნელი „მეთოდი“ ფირუზისათვის წყლის ნაყვა იყო!

ვითმინე და ვეღარ მოვითმინე. გადავწყვიტე, ყველაფერი მეთქვა. ერთი პირობა კი შემებრალა, მაგრამ ისეთი გაყინული და უტიფარი გამომეტყველება ჰქონდა, ისე გაბღენძილი დადიოდა, რომ საბოლოოდ დავასკვენი, არაფერი დამემალა. მინდოდა სარდაფში დავდგომოდი თავს, მაინტერესებდა, რას იზამდა. სანთელი ვიყიდე და ხელსაყრელ შემთხვევას დაველოდე. ერთ დღეს, როცა თავის ადგილსამყოფელში დავიგულე, სარდაფში ჩავედი. რის ვაივაგლახით მოვფოფხდი ამოშენებულ „ოთახთან“. შეუმჩნევლად რომ მივპარვოდი, სანთელი ჩავაქრე. უცებ ლაპარაკი შემომესმა. გავშრი, ყურებს არ დავუჯერე. ერთ ადგილას გა[illegible] ოფლმა დამასხა. „დირექტორი“, — გავიფიქრე შეშინებულმა. გონება ვერაფრით მომეკრიბა, ხახა გამიშრა, გულისბაგაბუგი გამქონდა. როგორც იქნა, გავბედე, კანკალით შევიჭყიტე „ოთახში“ და სანთლის შუქზე ადვილად გავარჩიე მათი სახეები. ნამდვილად დირექტორი იყო, ერთიანად ამოგანგლული იჯდა ფირუზის გვერდით სახანდლეიაზე. მეტად აღელვებული ჩანდა. ეტყობა, კარგა ხანია საუბრობდნენ. ფირუზი ლაპარაკობდა, ყოველგვარი შიშისა და მორიდების გარეშე, ძალდაუტანებლად, მშვიდად, თითქოს თანატოლს ესაუბრებაო. გაფაციცებით მივუგდე ყური, სმენა გავამახვილე და სიტყვებიც გავიგონე.

— მესამე კლასამდე მართლაც ჭირის დღესავით მეჯავრებოდა წიგნები და სამუდამოდ დავიმკვიდრე ზარმაცის და უვიცის სახელი. მაგრამ შემდეგ წიგნმა მიმიზიდა. ვგრძნობდი, რომ მასში წერია ის, რაც ჩემს ცნობისმოყვარეობას აკმაყოფილებს და რასაც ადვილად ვითვისებ. ჩუმად დავიწყე მეცადინეობა და ვხედავდი, ყველაზე უკეთ ვიცოდი გაკვეთილები. ყველა იმას მიტენიდა თავში: სულელი ხარ და დოყლაპიაო. შვიდი წელია ასე გრძელდება. ერთხელ შესანიშნავად ვიცოდი გაკვეთილი. მეშინოდა, მაგრამ შიში დავძლიე და ხელი ავწიე. გავედი და ვერაფერი ვთქვი, სირცხვილით დავიწვი. მასწავლებელს ეგონა, მომატყუაო და გავცეცხლდა. ამის შემდეგ რაც არ უნდა კარგად მცოდნოდა, ხელს ვეღარ ვწევდი. ჩუმად კი ისევ ვმეცადინეობ. აქაც, მოვედი თუ არა, ყველამ იცოდა, ოროსანი ვიყავი, ბევრს ალბათ ცოტა შერყეულიც ვეგონე. თავიდან ხან სად და ხან სად, შემდეგ კი აქ ვმეცადინეობდი ხოლმე. მაგრამ არა იმისთვის, ნიშანი მიმეღო. ყველა საგანი მიყვარს და ყველა თქვენს ხუთოსანზე მეტიც გამეგება. ამას ტრაბახით რომ არ ვამბობ, თქვენც იცით.

გაოგნებული ვისმენდი. პირველად

ეროვნული ბიბლიოთეკა

მესმოდა ფიროუზისაგან ამდენი ლაპარაკი.

— რა უნდა ქნა, რომ გაგრიცხოთ? დედა მაინც არ გებრალება? — ჰკითხა დირექტორმა.

— დედა?! დედა როგორ არ მებრალება, — წარმოთქვა დაბნევით, მერე ჩუმად დააყოლა, — მასაც ისეთი ვგონივარ, როგორიც სხვებს. დაე, ეგონოს, მას ხომ, როგორიც არ უნდა ვიყო, მაინც ვეყვარები. არც სხვებივით დამცინებს არასოდეს, — ფიროუზმა თავი დახარა. ცოტა ხნის შემდეგ ისევ სწრაფად აიხედა, — და თუ რაღაცას ვსწავლობ, მხოლოდ დედის გულისთვის, სხვა არაფერი მადარდებს. ოღონდ ის მიხვდეს, რომ მისი შვილი სულელი არაა... თქვენ პირველი ხართ, ვისაც ასე ველაპარაკები. თავიდანვე რომ შემხვედროდა ვინმე თქვენისთანა, ალბათ... თუმცა ჩემთვის ასე უმჯობესია. რა საჭიროა, ვიღაცას უმტკიცო, სხვაზე ნაკლები რომ არა ხარ, ეცადო, შენი ცოდნა სხვას დაანახო... რაც შეეხება გარიცხვას, ზღვაზე წავალ, სასწავლებელში. დედა შებრალება, მაგრამ რა ვქნა, ან, შეიძლება, სამხატვროზე ჩავაბარო, თუ როგორმე ატესტატი ავიღე. უფრო ზღვაზე წავალ... თქვენ ხომ ნახეთ ჩემი ნახატები.

დირექტორი შეიშმუშნა.

— რას ფიქრობ მაინც, ორიანებს რომ გიწერენ იმაში, რაც გისწავლია და იცი? — ჰკითხა ფიროუზს.

— არაფერს. თუ მოახერხა მასწავლებელმა და დაფასთან გამიყვანა, დავდგები და თითქოს სამყაროს წინაშე ვარ, სამყაროს ვეკითხები: „ხომ ვარ მე მართალი!“—„მართალი ხა-არ...“ მპასუხობს ვიღაც უხილავი. „ხომ ვიცი მე გაკვეთილი!“ — ვყვირი და ცრემლი მეძალება. „იცი, ი-ც-იი!!!“ — მპასუხობს ისევ.

დირექტორი ჩაფიქრებული იჯდა. მე ნერწყვის გადაყლაპვას ვერ ვასწრებდი.

— სული მეხუთება, — თქვა დირექტორმა, — როგორ ძლებდი ან როგორ მეცადინეობდი აქ. ყველაფერი თავი და ბოლო შენ ყოფილხარ და მიმალავდი. ქურდობაც გცოდნია! — მერე რაღაც წიგნს ჩაჰკიდა ხელი. „მარტინ იდენი“ იყო.

— მოგწონს? — ჰკითხა.

— ძალიან.

— მწერლობას ხომ არ აპირებ?

— შეიძლება.

— არ გამოვა! — ვერ მოითმინა და იყვირა დირექტორმა. — ასეთი გზით შორს ვერ წახვალ! არავის ჯერ ასე არ გაუკეთებია. მე ვიცი ეს და უნდა დამიჯერო. კაცმა რომ გკითხოს, სწავლობ! კარგი, ეგ მეცა მჯერა, რადგან თვითონ დავრწმუნდი. მაგრამ ეს არაკმარა. ასეთი სისტემა ჯერ არ შემოუღიათ. სკოლა იმიტომ არსებობს, დაანახო მასწავლებელს, რომ სწავლობ და შეფასება მიიღო. ეს ასეა და შენ ვერ შეცვლი...

— არც ვაპირებ შეცვლას. უფლება მაქვს, ჩემს თავს თვითონ მოვუარო. ვიქნები კარგი მეზღვაური. რა სავალდებულოა ხუთებზე სწავლა.

— მშიშარა ხარ და სხვა არაფერი! — იყვირა დირექტორმა, — იქნებ ვთქვა მშობელთა კრებაზე. — კვლავ მოლბა ცოტა ხნის შემდეგ, — ან მასწავლებლებს ვუთხრა. დამიჯერე, ასეა საჭირო. შენ ჯერ პატარა ხარ და ვერა ხვდები.

— არა! — წამოენთო ფიროუზი, — ძალიან გთხოვთ, არ მინდა. გადავიკარგები სადმე, როგორც ეს ერთხელ გავაკეთე და ამის მიზეზი ახლა თქვენ იქნებით. მე ყველა მეჯავრება, მეც ვერავინ მიტანს. კიდევ ერთი დასაცინი საბაბი მიეცემათ. ყველანი ერთნაირები არიან. გაბღენძილები დადიან და სინამდვილეში არავის არაფერი ესმის.

— როგორ შეგიძლია ასე ილაპარაკო! — განრისხდა დირექტორი.

— დიახ, — წამოიძახა ფიროუზმა, —

ეროვნული ბიბლიოთეკა

ყველაზე მეტი ვიცი, ყველაზე მეტი, ყველა თქვენს ხუთოსანზე მეტი!

ცოტა ხანს ჩუმად იყო. შემდეგ თვალები მოიწმინდა, — აი, ალბათ თემურის შემდეგ, — დაუმატა ბუტბუტით.

სისხლი გამეყინა. მერე უცებ ცივმა ოფლმა დამასხა და რწყილივით დამირბინა მთელს სხეულში.

თემური ინტერნატში ჩემს მეტს არავის ერქვა.

— სხვებს კიდევ ეგა სჯობს, — ამბობდა ფირუზი, — თავიდან მეჩხუბებოდა, ვერ მიტანდა, მაგრამ, ვგონებ, ახლა გული მოუბრუნდა ჩემკენ. მან პირველმა მიმახვედრა, რომ გადაჭარბებულად ვაფასებდი ჩემს თავს. მინდოდა მასთან დამეგობრება, დარწმუნებული ვიყავი, ყველაფერს მიმიხვდებოდა. მაგრამ ესეც ვერ გავბედე. ის რომ გაკვეთილს ყვება, სუნთქვა მეკვრის და გულისცემა მიჩქარდება. ისე გარკვევით ლაპარაკობს, ისე თავისუფლად, თავი არარაობად წარმომიდგება ხოლმე და მართლაც ასეა. მე ხომ ამის უნარი არა მაქვს...

...მეტი აღარაფერი გამიგია. მუხლები მეკვეთებოდა. როგორ მოვიკრიბე ძალა და როგორ გამოვფოფხდი უკან, აღარ მახსოვს...

ის დღე იყო და ის.

ავადმყოფივით დავდიოდი და მთელი დღეობით ხმას არავის ვცემდი. შუბლი მტკიოდა და მიხურდა. ყველას ავად ვეგონე და კითხვებს მაყრიდნენ, პასუხს რომ ვერ ღებულობდნენ, მხრებს იჩეჩავდნენ. მასწავლებლებიც ეჭვის თვალით შემომცქეროდნენ, მაგრამ არაფერს მაგრძნობინებდნენ. უკვირდათ ჩემი ასეთი გადაგვარება.

საბან-ლეიბი, წიგნების თარო, ფიტულები თავ-თავიანთ ადგილებზე „დაბრუნდნენ". მაგრამ მე ამისათვის აღარ მცხელოდა, რადგან ეს „საოცრება", რომელზეც მთელი ინტერნატი ლაპარაკობდა, ჩემთვის გამოცანა აღარ იყო.

ფირუზს არავითარი ცვლილება არ ეტყობოდა. ვერაფრით გამებედა მასთან მისვლა და დალაპარაკება.

დირექტორის მალული მზერა კი დავიჭირე ერთხელ. ეზოში ვიჯექი განმარტოებით, ის აღმზრდელებთან ერთად სეირნობდა და ვიგრძენი, როგორ გამოაპარა ჩემკენ თვალი.

მეოთხედი მიიწურა. მშობელთა კრება იყო. დირექტორიც ესწრებოდა.

მაქეს და მადიდეს. დედაჩემს ცრემლი გადმოსცვივდა სიხარულისაგან. და მე ·ლოყები მეწვოდა უსაშველოდ.

მალე ფირუზის ჯერი დადგა.

ხეიბარი დედა სახეს ხელებში მალავდა, თვალს ვერ უსწორებდა სხვა მშობლებს. თითები უკანკალებდა და გულამოსკვნილი იკვნეტდა ტუჩებს. გატრუნულნი ვისხედით და თითოეული ჩვენგანი გრძნობდა, როგორ უწვავდა ცრემლი თვალის გუგებს.

თვალებგაფართოებული, შეურაცხყოფილი ფირუზი ფეხზე იდგა. სიამაყე ლოყებსა და უპეებს მოსწოლოდა, ნესტოები ებერებოდა.

დირექტორს თავი ჩაექინდრა, თითებს მაგიდაზე ათამაშებდა, ნერვიულად უსმენდა მასწავლებლებს.

განაჩენი გამოტანილი იყო: ინტერნატში არ გააჩერებდნენ. დედას შესთავაზეს, პროფტექნიკურში გადაეყვანა, სადაც რაიმე ხელობას შეისწავლიდა.

ფირუზი იდგა და ხმას არ იღებდა. თავი შეებრუნებინა და ფანჯარაში იცქირებოდა. ჩემთვის რომ შემოეხედა... ერთხელ მაინც... მაგრამ ის უსაზღვროდ ამაყი იყო...

ყველამ დუმილით დატოვა კრება. მე გული გამქრობოდა დ ყელი მისივდებოდა.

ფირუზი, დედამისი და დირექტორი საკლასო ოთახში დარჩნენ...

დედაჩემმა მაკოცა, ღიმილით გამო-

მეშვიდობა, ხვალ გამოგივლით, მითხრა მზრუნველად.

ტირილი მინდოდა და ბნელ კუთხეს ვეძებდი. ეზოში ჩემი თანაკლასელები შეკრებილიყვნენ, ფირუზზე მსჯელობდნენ.

— დედა მაინც რატომ არ ებრალება, სულელია! — გავიგონე ვიღაცის ხმა. ახლოს მივედი და მთქმელს სახეში ჩავხედე. მას შეეშინდა და უკან დაიხია. ბიჭები შემომეხვივნენ.

— ვინ არის სულელი! — ვიყვირე და აკანკალებული ხელებით ყელში ვწვდი, — ვინ არის სულელი! — ვიმეორებდი ყვირილით და ვანჯღრევდი.

— გაჩუმდით, დაგვინახავენ! — აჩოჩქოლდნენ ბიჭები, მაგრამ აღარაფერი მესმოდა.

— ვინ არის სულელი! — გავიძახოდი და ასფალტზე გაგორებულს მუშტებს ვუშენდი.

ძლივს გაგვაშველეს. განცვიფრებულნი და შეშინებულნი ახლოს ვერ მეკარებოდნენ. შევტრიალდი და გავიქეცი. გაზონებს მოვეფარე და ბალახზე დავემხე. დიდხანს ვტიროდი იქ, სანამ არ დავიღალე. ძალა რომ გამომელია, წამოვჯექი. სიბნელე იყო. თვალები მეწვოდა ტირილისაგან. ინტერნატის მესერს გავცქეროდი, მის გასწვრივ ჩამწკრივებულ მაღალ ალვის ხეებს და და რაღაც ახალს ვიმეცნებდი, ჯერ კიდევ შეუცნობელსა და ჩაუწვდომელს, რაღაცას, ბურუსით მოცულს, რაშიც ჩემს თვალს ჯერაც არ ჩაეხედა.

●

ეს იყო მეშვიდე კლასში. მას შემდეგ წლები გავიდა. სკოლაც დავამთავრე, უნივერსიტეტიც. ახლა ინსტიტუტში ვმუშაობ. ფირუზი ბათუმში წავიდა — საზღვაოსნო სასწავლებელში. ამბობდნენ, დირექტორი დაეხმარაო. ერთხანს ტანკერებს დაყვებოდა სხვადასხვა ქვეყნებში, მერე თბილისში ჩამოვიდა და სამხატვროზე ჩააბარა. ერთი წელი ისწავლა, მიატოვა და ისევ ზღვას დაუბრუნდა.

...ბევრი რამ განვიცადე მას შემდეგ, მაგრამ ვგონებ, იმაზე მეტი არა, რაც მაშინ, ბნელ სარდაფში, დროის სულ მცირე მონაკვეთში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

დილარ ივარდავა

ოდიში

სულ ახლოს, გვერდით, მწვანე
ბალახზე
თრთის შეღამება იონჯისფერი...
კვიცი მინდორზე აწყობს მალაყებს —
ტობავარჩხილი სიმშვიდეს მღერის.

პირაღმა ვწევარ — ვითვლი
ვარსკვლავებს,
მუხლებზე ვართავ სირმათა
ხლართებს
და მთვარე — მაფას მოჭრილი
მკლავი,
მინდორზე აფენს სისხლისფერ
ნათელს.

უცნაურია:
მიმწუხრის ჟამს ცხენების რემა,
რამ შემაყვარა ვერცხლისფერი მათი
ჭიხვინი,
უცნაურია:
გაღვიძება ველური გენის:
მამლის ყივილი
ბრონეულად მკერდს მომეხალა.

უხსოვარ ჟამით მოვდიოდი, რომ
დამენახე,
მეც შემძლებოდა შენთან ერთხელ
დღით გაოცება —
ჩემი ძარღვები —
ჭიგოდქმნილი ძველი ვენახი,
გარს შემომეჭდო აწ წარმართულ
სულის ლოცვებად!

ხომ შეგძლებია ფრთა მომჭრა და
მაქციო მონად,
ნურვის ჰგონია
აღტაცება არ რჩება ბოლოს,
მიაყურადე: მარადმწვანე
ბიბლიურ ქორალს —
გაღმერთებ, დედავ,
თუნდაც ქვებით
უფსკრულს ჩამქოლონ!

ფიქრები ნოქალაქევში

პროფ. პარმენ ზაქარაიას

არცა მეფე ვარ, არცა ვასალი,
უბრალოდ ციხის ვარ მონაშალი,
ხვინჭა ვარ, კენჭი, ან კიდევ ლოდი,
ამდენი ხანი შენ მოგელოდი.
შენ მოგელოდი — უნდა გამენდო
ჩემი წარსული საპერგამენტო.
იქნებით გულქვა — ხელი დამადოთ
და თქვათ: არ ხარო საანდამატო!
მანდ წარსულზე რომ გეფუსფუსებით,
თავად მეყრება ტანს ბუსუსები.
წარღვნაშიც მიტომ გამოვიარე,
კარგად დახედოთ ჩემს მწველ იარებს.
შორეთს წასულა ჩემი ბატონი,
დამშლია ციხე საგუმბათონი...
ჩუ, აჭიხვინდა ცხენების რემა —
არარაობის გაქრობად, რღვევად.
მიმაჩნის ფუჭად სიტყვა მავანის,
მზეს ენივთება ყველა ის განძი,

ეროვნული ბიბლიოთეკა

მირიად წლების გაუძლო მანძილს,
მწედ რომ მიიჩნევს შთამომავალი.
ასე ნელ-ნელა ამოიწვართა
წარსული ჩვენი — კოლხეთის ცათა!
მარად ხელსაპყრი, გაუხუნარი,
მოგვეფონება ალხში რტოებად —
ვინღაა ახლა წამის სტუმარი,
ვინმეს აქ თავი ემარტოება?!
ეს მიწა კოლხთა ტრფობით კარლია,
ქართველთა სისხლი, მზე და ძარღვია
და, რაც ურიცხვი მასში განძია,
გულგამგლეჯველი მტრისთვის
რაზეა?!
სულ იშრიალე, ხევ სიცოცხლისავ, —
მზესთან ასულო ყურძნის მტევანო,
და ტანზე ისევ მწვანე ზღვას ისხამ,
ძალგულოვანთა სატახტრევანოვ!
...განიხვნა მიწა უამრავ განძთა
და, რამაც, რამაც დღეს მოაღწია —
ტკივილმა,
სევდამ,
ცრემლებმა,
განცდამ —
ახლა უკვდავგყო — მზესთან აგწია!
აგწია, რადგან მცონართა ნიღაბს
ვარჩევთ, როგორაც ადრე
ვარჩევდით, —
რა ვუყოთ, დადის მიწაზე ვიღაც
კიდევ მზაკვრული ეშმას კვართებით.
მაგრამ შენ სულო, არარაისის
იცი გაქრობა, ცხადზე ცხადია,
შენი სევდა და შენი ხალისი
დღეს უკვდავების განაცხადია!
...არცა მეფე ვარ, არცა ვასალი,
ნოქალაქევის ვარ მონაშალი.

•

ჯერ დაიცადეთ!
ის მოვა მალე,
მოვა მუსიკის მღვრიე ზვირთებით
და მწუხრი როცა დახუჭავს თვალებს,
იმ გაზაფხულზე მეც არ ვიქნები.
ჩაიქუფრება ფორთოხლის ბაღი
კეხრონი ქარის ყვითელ ოხვრით და
ზღვას აატალღებს დასავლის თალი
და დამწუხრდება ჩემი კოლხიდა.
ზარი დაჰკივლებს მონასტრის
პორტალს,
დღე გაილევა ქარის ხველებით
და მეც ვიქნები სიმწვანის შფოთვა
ზღვარდაუდები კოლხთა ველების.
მაგრამ ჯერ კიდევ ბრწყინავს ალმასი
და ჟრუანტელი ძარღვებში მივლის,
ჯერ ზვარაკი ვარ გრემის, არმაზის
და მეცხოვნედ ვჭირდები თბილისს.
ასეა, ასე! ხმალი და ფარი —
მისი ვიყავი, ვარ და ვიქნები,
სანამ კოლხური მიწა და ქარი
არ გამანედლებს პონტოს ზვირთებით.

•

ძველი სიმღერა — ჟრჟოლის
მომგვრელი —
დროს გალეულს და ტკივილს
მახსენებს,
მღერის ვიღაცა...
ასე მოგვეჩმა
თვალწინ წარსულის გზა გადასერეს...
ამ სიმღერას სურს პირველყოფილი
მინდვრის ყვავილის შრიალი მოწნას.
ხმა გაფრენილი და გაყოფილი
კვლავ აღავლინოს უნაზეს ლოცვად.
ვიღაც სიმღერას მოსთქვამს თუ
მღერის?
ამ დროს უცაბედ რად მაგონდება:
გადაჭდობილი გედების ყელი,
როგორც ვედრება,
როგორც გოდება!

ეროვნული ბიბლიოთეკა

დრომ ვინ დაინდო — მოსათიბავი
უკვე მოთიბეს — მოთიბულია!
დიდი ხანია გახდა იგავი —
გული?
— ჰო, გული მაინც გულია,
რადგანაც, თურმე, ხსოვნა არ კვდება,
მომავალს ცინცხალ ეკამათება.

ძველი სიმღერა — ცრემლის
მომგვრელი —
დროს გალეულს და ტკივილს
მახსენებს,
მღერის ვილაცა...
ასე მოგვეძმა
თვალწინ წარსულის გზა გადასერეს!..

●

მითხარი მაინც
რა დავარქვალ
ამ განშორებას —
ცრემლის,
წუხილის თუ გოდების
განმეორება,
ისევ ვიაროთ
წუთისოფლის ტანჯულ მონებად,
ქარი წაიღებს
ქარბოძებულ ქარის ქონებას?!

განოლილია ლაინერი —
ზეცის ვეშაპი,
ვითარ ზღაპარში
შენს თავს მალე წამართმევს,
ვიცი,
გამოსავალი?
არას ვხედავ —
რას არ ვეცადე,
ზეცას მიელტვის,
ზეცას, რაიც არ ქმნილა მიწის!..

თითების ბადეს სინოტივე
დაჰკრავს ცრემლების —
მკლავდეს როდემდე
განშორების საშინელება —
სანთლად,
სანთლადაც
ბედს დაფერფლილს
შემოევლები?!
დაიღვენთები,
სხვა კი აბა,
რა გეშველება!
ჰა, გადიქუხებს ლაინერი
და დაინგრევა
სულის სიმშვიდის ეკლესია,
წმიდა ხატები...
აწ გეკითხები:
— როგორც ფერფლი
ადამს და ევას,
მოვაკლდებით თუ
ორნივ
ტანჯვად მივემატებით?!

●

მუქ შინდისფერ თუ ფორთოხლისფერ აეროპორტში,
ნაშუადღევის მოქვითინე ქარების ჩანგზე,
რომლებიც ჯერაც ალხს ებრძვიან
აგვისტოს მზეში —
თეთრი,
სულ თეთრი ლაინერი დაგლოდებია...
საღამოს, ვიცი, ჩვენ ორთავე დავუბრუნდებით
მას, რასაც ღმერთიც ველარ შეცვლის აწ და მარადის.
თვითმფრინავი კი თეთრი, თეთრი შენ გელოდება
და ამოხდება მალე ბაგეს სიტყვა: „მშვიდობით!“
დანისლულ თვალებს დაბლა ვხრით და
თითქოს ჩვენ ვეძებთ

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მას, რასაც ჯერაც სხვა არ ჰქვია,
სხვას არ ეკუთვნის,
ჩვენია, მაგრამ
სულ მალე კი სხვისი გახდება!!!
ამ წამებს, რასაც ჯერაც კიდევ წამწამნი თვლიან,
ვისაკუთრებთ და... ბაგეს ზვავი მერე მოსწყდება:
— მშვიდობით!
— მშვიდობით!
— მშვიდობით!
— მშვიდობით!
ორხივე მხარეს გქონდეს „მშვიდობა“!
ჯერ კი აქა ხარ!
მიემგზავრები,
თუმცა გულით კი ვხედავ, გწადია:
რომ დარჩე ჩემთან!
(სანახევროდ მაინც დარჩები!)
მერე ცხოვრება ყველა წესით ხომ გაგრძელდება,
მასში ვერ ვნახავთ გზნებას ჩვენსას —
მოკვდება „ჩვენი“!
რა არის მაინც უმთავრესი:
მიღწეული თუ მიუღწეველი?!
სად მიიჩქარი?
თუმცა ორივე
სხვადასხვა მხარეს გავრბივართ ისე —
არც ერთ ჩვენთაგანს ხომ აღარ ესმის რატომ და
რისთვის?

თურმე:
შუაგზაზეა განშორება მძიმეზე მძიმე!

რევაზ დანელია

იავნანას ფრთები — საქართველო

ამოფრინდი იავნანას მოხატულ
ფრთებით,
ვაზის ფერებით
და მდინარის ღვარში ჩამალულ
სინათლეს უხმე
და ეს სინათლე
და ეს სინათლე დაღლილ მინდვრებში
ნაბლისფერ ხბორებივით
ჩუმად გალალე!

ამოფრინდი იავნანას მოხატულ
ფრთებით,
ამოფრინდი დილის ცვარ-ნამით,
ამოფრინდი ვაზის ფერებით...
საქართველო ვარ, შენ გენაცვალე!

ტყის იუმორესკა

მიიქციე პირი იქითკენ,
უძოს უძოსფერ ტყეში
სულს ითქვამს სუროსფერი ცა,
სულ მთლად სუროსფერი ცა.

(გუშინ იმდენი კაკბები ხოცეს,
გუშინ იმდენი კაკბები ხოცეს
მიდამოებზე ქოროღლის ცინის,
რომ მინად წვიმა ჩამოხორხოცდა...)
. . . .
. . . .
მიიქციე პირი იქითკენ,
იმ ხავსიან უძოს კლდისაკენ,
მიიქციე...
კლდის გულიდან სისხლი მოჟონავს.

ვედრების მარცვალი

აცხონე, ღმერთო, ვინც მიიცვალა გუშინ,
ზარდე ბუდიდან ამოფრენილი ჩიტბატონა —
ჭიაკოკონას ცეცხლივით მოთამაშე.

ნაჯახაოს ლამაზ ქალებში
არ დააშრო, ღმერთო, წყურგილე
და ალერტის თეთრ გალავანსაც
უშრიალე ტანთბილი ჭადრები.

კერიის მადლით და ღიმილით დღე გამიხარე
მზე გამიხარე, ღმერთო მაღალო,

ეროვნული
ბიბლიოთეკა

დიდი მზე ჭერის ალმოდებული,
დამილოცე პატარა შუკაც
და გაალიმე ისევ კვირტივით
ზამთრის თევსავით მოწყენილი ჩემი სოფელი.

აცხონე, ღმერთო, ვინც მიიცვალა გუშინ,
ზარდე ბუდიდან ამოფრენილი ჩიტბატონა —
ჭიაკოკონას ცეცხლივით მოთამაშე.

მწიფე ღრუბელი

(ფრაგმენტი)

ჰაერმა ყელი მოიღერა,
ჩამოენთო ცისკიდემდის მწიფე
ღრუბელი.

ტყეების მაღალ და მწვანე კედელს
თბილმა ქარმა თავი მიადო,
დაექანა დუმილისაკენ.

წვიმამ ქუჩაში გაიარა
ჯიშიანი ქალბატონივით.

ლანდი

მდინარეზე ლანდი გადაიჩეხა.
მე მეცოდება ყველაზე მეტად
ლანდი კი არა,
ლანდის პატრონი.
ბედნიერია...
ლანდი უკვე გადაიჩეხა.

საქართველოა შენი ქალაქი

ტარიელ აფციაურს

შენც შეგეძლო ჩემსავით ქალაქში მოსვლა,
შენც შეგეძლო ჩემებრ ლექსი გეწერა
და შეგეღო რედაქციის კარი ჭრიალით.
შენ ლექსსაც კარგსა და მშვენიერს დაწერდი, —
ამოვიკითხე შენს მაღალ შუბლზე,
რომელიც ჰგავდა სინათლის მინდორს,
ამოვიკითხე შინდის იმ კომბალზე,
რომელსაც მკვეთრად ეტყობოდა ნათითარები.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

შენც შეგეძლო ქალაქში ჩემსავით მოსვლა,
მაგრამ ჩიტებივით ჟღურტულა მთები —
მწვანე ფიქრები, კიდევ არაგვი,
სულ მიფრინავს და მაინც თითქოს აფრენას
ლამობს,
აღარ დაავდე,
არ დასტოვე სახლი და კარი,
ბომბორა ძაღლი —
შავი არაგვივით მოთხუპნული
და თვალმკვესარე.
არ გამოჰყევი ჩქარ მატარებელს,
მა-ტა-რე-ბელს — ავტომანქანას...

შენც შეგეძლო ჩემსავით ქალაქში მოსვლა,
მაგრამ თოვლი, თოვლი — სინათლე
და მთები, მთები,
ცად აფრენილნი ჩიტებივით
და ციხე-კოშკი,
საიდანაც
ორი ათასი წლის კაცი
შუბლს
ხორბლისფერი ხელით იჩრდილებს,
არ დასტოვე,
არ დააგდე ხე ტანმაღალი!..

შენც შეგეძლო ჩემსავით ქალაქში მოსვლა.
გამოყვებოდი ავტომანქანას,
ანდა ფეხით წამოხვიდოდი,
ისე ახლოა თბილისქალაქი,
ქალამანიც აღარ გაგიცვდებოდა,
მოაღწევდი ქალაქამდე ბოლოსდაბოლოს.
ქალაქელობას რაღა უნდა,
თავშიშველიც იოლად ივლიდი!

შენც შეგეძლო ჩემსავით ქალაქში მოსვლა,
შენც შეგეძლო ჩემებრ ლექსი გეწერა
და შეგელო რედაქციის კარი ჭრიალით.
შენ ლექსსაც კარგსა და მშვენიერს
დაწერდი, —
ამოვიკითხე შენს მაღალ შუბლზე,
რომელიც ჰგავდა სინათლის მინდორს,
ამოვიკითხე შინდის იმ კომბალზე,
რომელსაც მკვეთრად ეტყობოდა ნათითარები.
. . . .
ღრმა აღარაა და ღრმაა მაინც
ქართულ ცასავით შენი არაგვი,
ხელში გიჭირავს სინათლე — კრავი,
საქართველოა შენი ქალაქი!

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ღამეები

ჩემი სახლის იზრდება ჩრდილი,
ჩემი სახლის მოკლდება ჩრდილი.
ღამეები მიდიან სადღაც.
ღამეების ხმაური მესმის,
ღამეების უხმო ხმაური.
დაგეშილი წითელი დარდი,
დარდი დათვისოდენა
თითქოსდა მხრებით,
მხრებით მიაქვთ,
ისე მიდიან.
ღამეებო, წინ გაიხედეთ.
არ ჩავარდეთ
ვარსკვლავების წითელ გუბეში!!!
. . . .
ჩემი სახლის იზრდება ჩრდილი,
ჩემი სახლის მოკლდება ჩრდილი.

ხარი

შეწითლებულ ცის, დილის ცის ჰაერს
ხარმა აჭკრა ლამაზი რქები
(მინაზე ცვარი —
ბალახის ცრემლი,
ვერცხლისფერი ცვარი განიბნა)...
დილის ცის ჰაერს,
შეწითლებულ დილის ცის ჰაერს,
ხარმა აჭკრა ლამაზი რქები,
მერმე თავი მაღლა აღიღო
და გაფრინდა მწვანე მთებისკენ.

ნუ გადაუხვევთ სიყვარულის გზას

ოქროსფერ ნათელს
ამოანთებს ჯეჯილიდან ცისფერი ქარი.
ცა ივლის ცაზე ვარსკვლავების მოუქნელი
ფეხისგულებით,

ცა ივლის ცაზე.
იფრიალებს ჯეჯილის დროშა
გაკემსილი სისხლის სხივებით.
ვიღაცა ხეპრე წამოროშავს:
„რაღა დროშა და რაღა ჯეჯილი"...
ცას მიაწერენ მერმე კაცები
ათასჯერ ნათქვამს,
მაგრამ მაინც ულამაზეს ორიოდ სიტყვას:
„ნუ გადაუხვევთ სიყვარულის გზას".
მარცვალივით აღმოცენდება ბაგეზე ღიმი.
ბედნიერი ვარ, მოეწონებათ
ეს ერთადერთი (თუ ოთხადოთხი) ჩემი
სტრიქონი:

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჯეჯილივით მღერის ქარი
და ზღვასავით მიქანაობს,
ჯეჯილივით მღერის ქარი,
ქარი ზღვათა მენავე...
ოქროსფერ ნათელს ამოანთებს ჯეჯილიდან
ცისფერი ქარი.
ცა ივლის ცაზე.
ჯეჯილის ტალღებს
გადაკოცნის მწიფე სხივები:
„ნუ გადაუხვევთ სიყვარულის გზას".
„სიყვარულის გზას დაადექით".
ოქროსფერ ნათელს ამოანთებს ჯეჯილიდან
ცისფერი ქარი?
აწრიალდება ქალბატონის ფერადი ხორცი,
გამოკეტილი ყვითელ სამოსში,
აწრიალდება და ნებიერ კოცნის მოვარვარე
ცეცხლს
გულზე დააყრის ვნების შეშას
(მაპატიოს ქალბატონმა,
მშვენიერმა ქალბატონმა,
რამეთუ ლექსში გამოვაჭენე),
ამღერდება მთვრალი თავთავი,
დაილვრება სინათლე ისევ
და ღამის პეპლების მოლლილ ფერივით
შემოადნება დილას რიჟრაჟი.

ოქროსფერ ნათელს
ამოანთებს ჯეჯილიდან ცისფერი ქარი,
იფრიალებს ჯეჯილის დროშა,
იფრიალებს და ცა ლამაზი... —
„ნუ გადაუხვევთ სიყვარულის გზას".

მთვარის სხივებზე წარწერილი სტრიქონები

ნინოს

1. კუზიანი მიწა

მოფარფატებს ნუშფერა ფიფქი.
სასაფლაოს კუზიან და ძვირფას
მიწას
გადააფარა ღმერთმა საბანი
ალაგ თეთრი, ალაგ ცისფერი.

მოფარფატებს ნუშფერა ფიფქი.
ღამე გრძელია და უთავბოლო.
ყივის მამალი.
მამლის ფრთებზე სხივი მიბობლავს.
ხეებზე თოვლი აყვავებულა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თოვლის ყვავილო, ნათელისთვის
დიდი მადლობა!

ზეციდან ქარიც ჩამოფრენილა,
ოღონდ რატომღაც აღარ იცინის,
ვით სასაფლაოს ძვირფასი მინა —
ალაგ თეთრი და ალაგ ცისფერი.

თოვლი თენდება. თენდება თოვლით.
თბილია თოვლი. ვით სასაფლაო.
თოვლი თენდება. თენდება თოვლით.
სასაფლაოს კუზიან მიწას
გადაუსვა ხელი უფალმა.
კ უ ზ ი გ ა ს წ ო რ დ ა.

2. ია სარეცელზე

ამ სარეცელზე ია-ია სუნთქავდა გუშინ,
ამ სარეცელზე ესვენა ბავშვი,
ჯერ კიდევ ბავშვი... ხელებყვითელი.
ახლა, მინდა თუ არა,
ამ სარეცელზე მე უნდა დავწვე,
მე კი არა,
უნდა დაწვეს ჩემი სხეული.

ამ სარეცელზე ია-ია სუნთქავდა გუშინ.

3. სისხლის ყვავილი

ნაფეხურები რძისფერი მტრედის
ისე თბილია, ვით შენი შუბლი,
ისე თბილია, ვით ცრემლი დედის,
ვით ივნისი და ივნისის მწუხრი.

ხვალ მწვანე ფერი ისევ იმღერებს.
მწამდი, მიყვარდი...
მწამხარ, მიყვარხარ...
შენა ხარ ჩემი მწვანე სიბერე,
შენა ხარ ჩემი სისხლის ყვავილი!

4. ღიმილის გზა

ცამ მოიღელა ლამაზი მკერდი
და... სოფლის გზაზე ჰყვავის ხმაური,
სოფლის გზა ზუსტად შენებრ
იღიმის...
შენ შენი ღიმით ხარ უცნაური,
ხარ საყვარელი შენი ტირილით.

აყოლებ თვალებს ფოთლების რხევას,
(ბროლის ყელს ხაზად იღერებს
დილა...)
ვაზის გალობის ლამაზი თვეა,
შენ გზა ღიმილის გქონოდეს, ცირა!

ნოდარ შამანაძე

პოეტ ნოდარ შამანაძეს ორმოცდაათი წელი შეუსრულდა. „ცისკრის" რედაქცია ულოცავს მას ამ ღირსშესანიშნავ თარიღს და უსურვებს წარმატებებს, როგორც შემოქმედებით მუშაობაში, ისე პირად ცხოვრებაში.

რაც შემაყვარე

გამყარე ყველა სიტკბო-სიმწარეს,
ყველა სიცილს და ნაღილს გამყარე,
გადამასწავლე,
რაც შემასწავლე,
რაც შემაყვარე,
გადამაყვარე.
რაც გულს აღმბეჭდე, დამამახსოვრე,
სულ ერთიანად გადამავიწყე, —
მერე მომკალი,
მომკალი მერე,
მერე მომკალი და დამამიწე!

●

დედავ, სიცოცხლის მზედ გაშლილო,
ბადიშთან მოლუღუნე ქედანო,
მამა რომ მომიკვდა,
მაშინაც
ვტიროდი: — ვაიმე დედაო!..

იტყვი

დღეს მოასწარი:
დატკბე იქნება
და სიყვარულით გული ილესო.
თორემ დღე მოვა,
დღე დაგიდგება,
ამ დღეზე იტყვი,
ნეტა, იმ დღესო!..

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მინდა

ჩამოურბინა ქარმა მნათობებს,
ზეცა ღრუბლებით მოაკალოვა;
მზე შუაღამით მინდა მათბობდეს,
თორემ მზე დილით ისეც ამოვა.
უფლის საუფლო ცვარს არ იძლევა,
ჩამომბუბუნებს ბრაზით ელია;
არ მსურს ცხოვრება შენ გამიძნელო,
თორემ ცხოვრება ისეც ძნელია.
დარჩენილ დღეებს შუაზე მიყოფს,
რაც მწარე ფიქრი გამეფიქრება;
მინდა სიცოცხლის შარბათი იყოს,
სიკვდილის შხამი ისეც იქნება.

უნდა მაცალო

დაისის მზეო დამცხრალო,
ცოტა ხანს უნდა მაცალო,
ფიქრი და დარდი მამძიმებს,
თითქოს მკიდია საცალო.
არც იმედისგან გამცალო,
არცა დარდისგან გამცალო,
ჩემი კუთვნილი სასმისი
უნდა ბოლომდე დავცალო.

ვერ მოშლი

ღმერთო, იქნება კი გნებავს,
რომც არ ინებო, ვერ მოშლი
დიდი სიმღერის დინებას
პატარა საქართველოში.
ღმერთო, ნუ დაგეზარება,
რომც დაგეზაროს, ვერ მოშლი
დიდი ზარების ზარობას
პატარა საქართველოში.
ღმერთო, ნუ მოგეწყინება,
რომ მოგეწყინოს, ვერ მოშლი
დიდი მზის ამობრწყინებას
პატარა საქართველოში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მანანა ზაზიკაშვილი

ფიროსმანი

ციდან სიმღერით ჩამოვა მთვარე,
გადისირმება ატმის კვირტები,
ცისარტყელა რომ გაახელს თვალებს,
მინდვრებზე თბილი შუქი ინთება.
ისევ რძისფერი ეწვევა ქალაქს,
დაეფინება ქუჩებს სიგრილედ,
აჟღივლდებიან ჩიტები ალბათ,
შველიც ჩამოვა ბარად სირბილით.
დიდი ქალაქის მზიანი ქუჩა
დგას და რესტორნის გვერდით
ყაყანებს, —
გახედე, გზაზე ურმები თუ ჩანს,
ალბათ ჩამოაქვთ მინა აყალო...
დგას ფიროსმანი ქალაქის კართან, —
რომ მზის სხივები გადმოგვაყაროს!!!

ეროვნული ბიბლიოთეკა

ახალი სახელები

ვიოლა კანკიას (ფანქველაშვილის) პაწაწინა მოთხრობების გაცნობისას ჩემი ყურადღება მიიპყრო, უპირველეს ყოვლისა, ახალგაზრდა ავტორის გულწრფელობამ, თხრობის უშუალობამ და სიცხადემ. ვიგრძენი სტრიქონსა და სტრიქონს შუა ჩასაფრებული ტკივილი, რომლისოდაც სიტყვას, როგორც არ უნდა მოიქნიო, მადლი არა აქვს. ვისაც თავისი დღე და მოსწრება არა სტკენია რა და ია-ვარდით მოფენილ გზაზე მოაბიჯებს, აბა მის მწერლობას ვინ რა უნდა დაუჯეროს!

თვალში მეცა სხვა რამეც: გულში ღრმად ჩამარხული ავტორისეული სიყვარული მოყვასისადმი, თვით იმისადმიც კი, ვინც მთელი თავისი ცხოვრების წესით ამას ყველაზე ნაკლებ იმსახურებს. მე ვგულისხმობ გაუმაძღარ, მუდამ სხვის დასაჩაგრავად და თავისი უძირო სტომაქის ამოსაყორავად შემართულ გერასიმეს, პირველი მოთხრობის მთავარ მოქმედ პირს, სანამ ცოცხალი იყო, ყველა რომ შეავიწროვა, კლდეც რომ დაანგრია და ნაწილ-ნაწილ გაჰყიდა, მერე კი იმავე კლდემ ქვეშ მოიყოლა და დამარხა, რითაც სოფელს ახალი საზრუნავი — მისი უღირსი წევრის გაპატიოსნება და მიწისათვის მიბარება ააცილა.

ავტორს სევდას გვრის ამის გახსენება. მას ენანება გერასიმე, ენანება, რომ ის ასეთი იყო, რომ ცხოვრება, რომელიც კაცს ერთხელ ეძლევა, უაზროდ გაფლანგა, სიმდიდრის მოხვეჭას გადააყოლა და სააქაოდან უდროოდ თუ დროულად წასვლის შემდეგ კეთილი სიტყვით მოსაგონარი არავის დაუტოვა.

ვ. კანკიას ყველა მოთხრობა პირველ პირშია დაწერილი. ავტორი თითქოს შორეული ბავშვობის ნაღვლიან ამბავს გვიყვება. იგი სიტყვაძუნწია, მორცხვი და თავდაჭერილი. სიტყვების უკან ნამდვილი, შეულამაზებელი ცხოვრება, ადამიანთა ყველაზე სანუკვარი ურთიერთობები მოჩანს, მკითხველის გულის სიმებს რომ ეხებიან და წრფელ გამოძახილს იწვევენ.

● ● ●

მერაბ კერვალიშვილის მოთხრობა „ბონდო“ მკითხველის ასევე სერიოზულ ყურადღებასა და დაინტერესებას იმსახურებს. მ. კერვალიშვილი ლაღად და თავისუფლად წერს. ამავე დროს მშვენივრად იცის, ხელში კალამი რისთვისაც აუღია. მის ფრაზაში ჩაქსოვილი ირონია და მსუბუქი იუმორი თხრობას სიცოცხლეს მატებს, გმირებს სხვადასხვა განზომილებაში წარმოგვიდგენს და ავტორის მოქალაქეობრივ პოზიციასაც საცნაურს ხდის.

ამ ნიჭიერად დაწერილი სატირული ნაწარმოების ტრაგიკული ფინალი მე, ცოტა არ იყოს, ხელოვნურად და მოულოდნელად მომეჩვენა. მოულოდნელობა კარგი როდია, როცა ის მოვლენების და ხასიათის განვითარების ლოგიკიდან არ გამომდინარეობს. უმჯობესი ხომ არ იქნებოდა, წერტილის დასასმელად ავტორს სხვა სიუჟეტური სვლა აერჩია?

რევაზ ჯაფარიძე

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ვიოლა კანკია

გ ე რ ა ს ი მ ე

ᲘᲓᲣᲛᲐᲚᲘ, საოცარი ხმებით ივსება სოფელი. აშრიალდება ხეები, აწრიალდება გომურში მიძინებული საქონელი, მთისკენ დაძრულ ნახირს ძაღლები ყეფით მიაცილებენ. ზევით, მოწისლულ სივრცეში ძლივს იხაზება სოფლის ეს ერთადერთი მოდარაჯე მთა. დილას უცნაური ხმებით გაღვიძებული პირველად ამ მთას ვხედავ ხოლმე. დავინახავ თუ არა, ყოველთვის ერთი და იგივე მახსენდება. დიახ, ერთი და იგივე...

მაშინ, განთიადისას ეს იდუმალი ხმები კი არა, კატო ბებოს ქოთქოთი მაღვიძებდა.

— რა ვქნა, ქა, რას გადამეკიდა ეს გაუმაძღარი კაცი! ეს მიწის მგელი! ჩემს ადგილშიც აღარ მასვენებს...

აბა, ამის შემდეგ რაღა გამაჩერებს ლოგინში. უკვე ვიცი, რომ ჩვენს გულღრძო მეზობელს რაღაც ახალი სიავისათვის წყევლის ბებიაჩემი.

— შეხე, ერთი, — მეუბნება ბებო, როცა აივანზე გამოსულს მხედავს, — შეხე, რა უქნია მამიშენის დარგული მსხლისათვის ამ არგასახარელს, ამ მიწის მგელს... ტოტები ჩემი ეზოსკენ არისო და შეუჭრია, სულ აუკაფავს, აიკაფოს მაგის პირისახე, როგორც ეს ხე ამიკაფა. ჩემი გოგის დარგულია, მისი ნახარებია, შვილი რომ აღარ მყავს, ის არ მეყოფა? ამ ხეში ჩემი გოგის სახეს ვხედავდი, რაღაც იმედს მაძლევდა და დახე, რა უქნია მაგ არგასახარელს, მაგასა?

ბებოს დაღარულ სახეს რაღაც უცნაური ჩრდილი ეფინება. შავი ხილაბანდის კიდეთი თვალებს იმშრალებს...

ეჰ, ბევრი ჩვენი თანასოფლელი აატირა გერასიმემ...

აი, ამაზე ვფიქრობ, როცა სოფელზე მომდგარ მოდარაჯე მთას გავყურებ. მახსენდება აწითლებული, ნაყვავილარი სახე... ყრუ, გულში ჩახვეული ხითხითი... და რაც უფრო მეტს ხითხითებდა, უფრო მეტ სიავეს ჩადიოდა ეს კაცი.

ჯერ იყო და, თებროს ძალით წაართვა ადგილი.

შენ რად გინდაო?! შენ რა ადგილის მომვლელი ხარო? აი, შენი ქმარი რომ დაბრუნდება ომიდან, მერე ვნახოთო, მე გავცემ პასუხსო.

არ დაბრუნდა თებროს ქმარი ომიდან. კურსკის მიწამ მიიბარა ვაჟკაცი... ვალმოხდილი კაცი.

რაკი ქმრის ჩამოსვლის იმედი გადაუწყდა თებროს, საბჭო გაახსენა, კანონი გაახსენა გერასიმეს...

შენც არ მომიკვდე, ვის დაუგდო ყური, ვის დაუჯერა... გერასიმემ მაინც თავისი გაიტანა, თებროს ადგილში ბოსელი ჩადგა და თავისი სახედრებიც შიგ შერეკა.

ამით არ დამთავრებულა გერასიმეს ზეიმი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბოსლის ჩადგმა გერასიმემ თებროს თიკნის მწვადებით აღნიშნა.

თავზე ხელაღებული კაცი იყო გერასიმე. არავისი ეშინოდა, ცოდო-მადლი არ იცოდა. თუ რამე მოეწონებოდა, თვალს რამეს დაადგამდა, ვიდრე თავისად არ დაიგულებდა, არ მოისვენებდა.

შენ რად გინდაო, — იტყოდა და მორჩა, საქმე გათავებული იყო.

ყველას ბაღში შეძვრებოდა, საუკეთესოს მოკრეფდა. ვედროს გაავსებდა და თან დააყოლებდა: — ჯერ მე და რაც დარჩება შენო!

თუ ვინმე რამეს ეტყოდა, შეედავებოდა. საშინელი შესახედავი იყო ამ დროს. თვალებს მოუსვენრად აბრიალებდა, სიმინდის ფუჩეჩივით შეყვითლებული ულვაშები უთრთოდა.

მინდორში და ღობის ძირში თუ ხასხასა ბალახი გაჩნდებოდა, მისი იყო. აბა, გაებედა და მოეთიბა ვინმეს, — ქორსავით დააცხრებოდა...

მისი შიშით ძროხა ვერავის გაედენა საბალახოდ;

შეშა ვერავის დაემზადებინა, თივა ვერ დაედგა საზამთროდ; პური ვერ მოემკო: თონე ვერ გაეხურებინა...

შეწუხდა სოფელი... ზურგი შეაქცია გერასიმეს...

— სოფელი დაგჭირდება, გერასიმე, — ეუბნებოდნენ ცხოვრებაგამოვლილი ბერიკაცები. — ნუ ავიწროებ მეზობლებს. დრო დაგიდგება, ავკაცობა დაგტანჯავს და მერე უკვე გვიან იქნებაო.

— თქვენ, თქვენ დამჭირდებით? თქვე წყალწაღებულებო, თქვენი დახმარება ვის სჭირდებაო. — ფართო, გამომწვევი ნაბიჯით გაივლ-გამოივლიდა ორღობეში, ჩაიხითხითებდა და გაძვრებოდა ხოლმე.

გერასიმეს საქციელი საზღვარს გადასცილდა, საბჭოში რომ დაიბარეს, მერე მთლად გადაირია;

რაო! მეზობლებს ვავიწროვებო? როგორ მიბედავთო! — პირიდან დორბლებს ჰყრიდა;

ხომ იცით, მე გერასიმე ვარ და გერასიმე ყოველთვის მართალიაო!

ამის შემდეგ ჩვენი ეზო ამოიჩემა განსაკუთრებით.

დღეს დილაუთენია ამდგარიყო... ღობე უნდა შევაკეთოო და აეშალა ახალი ღობე...

თან იმუქრებოდა: მე თქვენ გიჩვენებთ, როგორ უნდა გერასიმეს დაბრიყვება, დამუქრებაო, მე თქვენ გასწავლით რა კაციც ვარო და ღობე ზედ ჩვენს ქოხს მოადგა.

ასე მინდაო, ასე გამეხარდებაო.

საწყალი ბებიაჩემი, ეს ჩია ქალი მთლად დაპატარავდა, ფეხებში ჩაუვარდა გერასიმეს: — ნუ დამღუპავ, ჩემი შვილის დარგული მსხალი... საშვილიშვილო კაკალი ხომ შენსკენ მოხვდებაო.

— არა უშავს, ჩემიც იქნება და შენიცო.

ეჰ, გულღრძო, გაუმაძღარო კაცო. რა ძალამ გარდაგქმნა, რა ძალამ დაგაკარგვინა ადამიანის სახე?..

შინ უფრო უარესი იყო გერასიმე. უნდა გენახათ, რა დღეში ჰყავდა გერები. უჭმელ-უსმელებს დაატარებდა. დილიდან ღამემდე ამუშავებდა. ზამთარზაფხულს ფეხშიშველი დასდევდნენ სახედრებს.

— ე ბაღლები მაინც შეიცოდე! — ეტყოდნენ მათი საცოდაობით გულდათუთქული მეზობლები.

მადლობა მითხრან, თავშესაფარს რომ ვაძლევო! — გაგულისებით ჩაიბურტყუნებდა გერასიმე...

...სოფლის ბოლოს, ხევის იქით მთა მოჩანს.

ვიწრო ბილიკი მიიკლაკნება მთისაკენ...

ოდესღაც ეს მთაც თავისად დაიგულა გერასიმემ.

თავის სახედრებით უთენია მიემართებოდა ხევისაკენ;

მთიდან სამშენებლო ქვას ეზიდებოდა და სოფელ-სოფელ ყიდდა... აქაც გაუმაძღარი იყო გერასიმე...

ვიოლა კანკია
მოთხრობები

არც ზომა იცოდა და არც წონა. თხრიდა და თხრიდა მთას გაუთავებლად...

ერთ დღეს სოფელი საშინელმა გრიალმა ააფორიაქა.

გულგამოცლილმა მთამ ველარ გაუძლო დაწოლას...

აღარ დასჭირდა სოფლის სამსახური გერასიმეს. მთამ დამარხა.

...მზის ნათელი თანდათან ეფინება სოფელს. იფანტება ხეობაში ჩამოწოლილი ნისლი. შარაზე ღმუილით მიდის ნახირი.

აივანზე ვდგავარ და მთას გავყურებ...

რაღაც სევდა მეუფლება... ხომ გულღრძო კაცი იყო გერასიმე, ხომ სისხლი გაუშრო სოფელს, მისი დაღუპვა მაინც ეწყინა ყველას.

...ახლა ის მსხალი ჩვენს ეზოშია მოქცეული.

დგას ამაყად. მწიფს ნაყოფი. დილის ნიავი ნელა აქანავებს მის მძლავრ ტოტებს...

მ ო ლ ო დ ი ნ ი

ნაკვეთი ძირკვებითაა სავსე. დედა სამსახურიდან მოვა თუ არა, იქითკენ იჩქარის. მეც თან მივყვები. დედა გულიანად მუშაობს, წერაქვით ძირკვებს თხრის, დროდადრო შემომხედავს და ილიმება:

— ასეა, შვილო, უშრომლად არაფერი კეთდება... ცოტაც და, ყამირს ვეღარ ვიცნობთ... ისეთ გულს გახსნის, ლობიოსა და კარტოფილის გარდა, სიმინდიც უხვად გვექნება.

— მზესუმზირასაც დავთესავთ? — ვეკითხები.

—აბა?! — ოფლს იწმენდს დედა და ისევ იმარჯვებს წერაქვს.

— მეც მოგეხმარები, — ვეუბნები და ლორლს ერთ ადგილას ვახვავებ... მეცოდება დედა. ერთი წუთით მოცლა არა აქვს. ჯერ სამსახური, მერე ნაკვეთი, ნაკვეთს რომ მორჩება, გვიანობამდე ზის და ქსოვს.

აი, ომი მალე დამთავრდება, მამა და პაპა შინ დაბრუნდებიან და დედასაც აღარ მოუწევს ამდენი შრომა. გუშინწინ ნინოს მამა დაბრუნდა. დიდი სიხარული ჰქონდათ! დედამ თამარმა ქათამი დაკლა. ნინომ მამამისის ჩამოტანილი კონსერვები მაჩვენა და შემპირდა, შენც გაჭმევო.

— დედა, მამა ჩვენც ჩამოგვიტანს კონსერვებს!?

დედა სადღაც ჩემს მიღმა იყურება. მერე შუბლზე ჩამოშლილ თმასისწორებს.

— აუცილებლად ჩამოგვიტანს... — ამბობს ნაღვლიანად, ვხედავ, როგორ უფითრდება სახე და ვფიქრობ: „მე რომ არ ვყავდე, რა ეშველებოდა დედას? როგორ შეძლებდა ამდენი საქმის გაკეთებას? აი, სონია დეიდაანთ რამდენი ვინმე ეხმარება: — გიორგი, ვახტანგი, თინა, მერაბი... აგერ ბარნაბაანთ ავიღოთ — რა ბევრნი არიან. დიდი ადგილი აქვთ, გაშლილი, სწორი. იმათ, ალბათ არ სჭირდებათ ამდენი მუშაობა, როგორც ჩვენ..."

რა ლამაზი დედიკო მყავს, რა მოხერხებულად ატრიალებს წერაქვს. მე მგონი, გიორგი ბიძიაც კი ვერ აჯობებს მუშაობაში.

— გეყო, გოგო, მუშაობა, — ამბობს გიორგი ბიძია. — გეყო, ხომ ხედავ, შებინდდა. — მიდის და თან თავისთვის ბუტბუტებს. — ქალი კი არა, ვაჟკაცია, ვაჟკაცი, რას უძლებს მაინც! საკვირველია, საკვირველი!

— დედა, გესმის, ყველა წავიდა, აგერ გიორგი ბიძიამ რა ხანია გაიარა, აღარც ბარნაბაანთ ხმა ისმის, დაბნელდა, დედა, მეშინია.

— რისი, შვილო?

— ტურები კივიან. წავიდეთ, რა.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

— კარგი, წავიდეთ, შე მშიშარავ, შენა, წავიდეთ. ეს წერაქვი და ურიკა ბარდებში დავმალოთ. ხვალ დაგვჭირდება.

წინსაფარს იხსნის და ოფლიან სახეს იწმენდს. მივაგორებ ურიკას და თან ხევისაკენ ვიყურები. ძალზე ახლოს ისმის ტურების კივილი. თითქოს აგერ უკვე გვერდით იყვნენ. დედა კოკას ანჯღრევს, დარჩენილი წყლით ხელებს ვიბანთ და მივდივართ.

ეს ერთი ხანია, მეზობლის სარდაფში ვცხოვრობთ.

მახსოვს, როგორ მოინგრა ჩვენი სახლი. რაღაც საშინელი ზრიალი გაისმა. დედამ ერთი კი შეჰკივლა, ხელში ამიტაცა და გარეთ გამოვარდა. ჭერი ჩამოწვა. მტვრის კორიანტელში კარგა ხანს ვერც კი ვხედავდით ჩვენს სახლს. დედა მიხუტებდა და ტიროდა...

— რა ვქნა, რა გვეშველება, ჩემო გოგონი, აწი სად ვიცხოვროთ, სად? — მეკითხებოდა და მიხუტებდა, მეგონა, გამგუდავდა.

მალე მეზობლები მოგროვდნენ, დედას ამშვიდებდნენ. დაიწყეს ნივთების გადარჩევ-გადმორჩევა. მაგიდა და სკამები საერთოდ აღარ ვარგოდა, მხოლოდ რკინის საწოლი გადარჩენილიყო. საწოლი და ლოგინი ვასო ბიძიამ თავის სარდაფში გადაიტანა. მას შემდეგ მათთან ვცხოვრობთ. თვითონ ვასო ბიძიასაც ძალიან უჭირს ცხოვრება. გაუჭირდება, აბა რა იქნება, ისიც ჩვენსავით მარტოდ შრომობს. იმ დღეს დედა ეუბნებოდა:

— ვასო ბიძია, კვირა დღეს მაინც დაისვენე, ხომ ხედავ, ჯანი აღარ მოგდევს, ამ მიწამ ყველა დაგვაბერა.

— ეჰ, რას ამბობ, შვილო, ამ მადლიანი მიწის იმედითა ვარ, თორემ ბალღები შიმშილით დამეხოცებოდნენო.

დღეს ჩვენს უბანს რაღაც მხიარულება ეტყობა. რაც ნინოს მამა ჩამოვიდა, მას მერე უბანში ხშირად იკრიბებიან მეზობლები და ათას საინტერესო რამეს ყვებიან. აი, დღესაც, ეზოს ჩრდილში სხედან და გაცხარებით რაღაცაზე კამათობენ. დედას ვეხუტები, ვეხუტები და თან მეზობლებს მივჩერებივარ. მინდა გავიგო, რაზედ ლაპარაკობენ. ამ დროს ეზოში შემორბის დეიდა მერი და დედას უყურებს, უყურებს და სახე უცინის...

— მამა! მამა ჩამოვიდა! — ყვირის დედაჩემი და გარბის. გარბიან სხვებიც. მეც მიხარია, გავრბივარ და გავიძახი: მამა, მამა ჩამოვიდა! ჩემი მამიკო ჩამოვიდა, ჩემი!

უცებ ვხედავ, დედაჩემი ჩერდება.

— არა, შვილო, შენი მამა კი არა, ჩემი მამა ჩამოვიდა...

ის დღე დედას სიხარულის დღე იყო. მე კი მთელი ღამე ვტიროდი, მეც მინდოდა მამა.

დ ე დ ა

კვირა დღეა. ყველა ბაზრისაკენ მიიჩქარის. რაღაც გამოსარჩენს მოელის. მამლის პირველ ყივილზე ვდგებით მე და დედა. უშველებელი ფუთა გვაქვს გამზადებული. წინა დღით დედამ მეზობლებს ჩამოუარა, ძველმანები მოაგროვა გასაცვლელ-გასაყიდად. ჩვენს ფუთას პაპამ ომში ნაქონი ძველი შინელიც დაუმატა, რომელსაც ფეხის დაკარგვის მერე ომის სახსოვრად სათუთად ინახავდა.

დედა მაგრად მფუთავს თავის ძველ შალსა და პალტოში, შემდეგ კი გაუკვალავ თოვლში მივუყვებით გზას.

ბაზარი ხალხითაა გაჭედილი.

— ლილა, ლილა, სინკა, ლილო! — ისმის ხმა.

ზემოთ თიხის ჭურჭელია ჩამწკრივებული: დოქები, ფიალები, ჯამები. მეთუნეები სხედან და უცდიან მყიდველს. აქეთ მთელ ჩაყოლებაზე ძველმანები

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ყიდიან. ჭრელაჭრულებითაა მოფენილი ბაზარი. იქითა მხრიდან კი ქარს მადის აღმძვრელი სასიამოვნო მწვადის სუნი მოაქვს.

დედამ მოხუცები მისწი-მოსწია, ფუთა დადო და ზედ ჩამომსვა.

დღე მიიწურა, ბაზარი დაცარიელდა. ერთ ადგილზე ჯდომით ხელ-ფეხი ისე გამყინოდა, რომ ვეღარ ვინძრეოდი.

დედა დაღონებული დაბრუნდა. ხელებს მისრესდა და თბილი ცრემლები ხელებზე მეცემოდა. მივხვდი, რომ ვერაფერი გაეყიდა. დაღონებულები სავსე ფუთით უკან დავბრუნდით.

მთელი დღის ნაშიმშილევი ძლივსღა მივათრევდი ფეხებს.

— ცოტაც მოითმინე, ჩემო გოგონი. ამ აღმართს ავალთ და ჩვენი სახლიც გამოჩნდება, — ბუნდად მესმის დედას ხმა.

სახლს რომ მივაღწიეთ, უკვე კარგა ხნის შეღამებული იყო. პაპა ღუმელთან იჯდა და გვიცდიდა. ღუმელზე თოვლის თბილი წყალი იდგა. გავთბით, ფეხები დავიბანეთ, ცოტა შევნაყრდით და დავწექით.

დედა მეხვეოდა და მეორე დღისათვის ათას რამეს მპირდებოდა.

მთელი ღამე ფიქრში გავატარე. ვხედავდი, დედას უჭირდა, რომ მას მარტო აღარ შეეძლო ოჯახის რჩენა. იმ ღამეს მტკიცედ გადავწყვიტე მუშაობა დამეწყო.

დილაუთენია გამომეღვიძა.

პაპა, დედა სად არის?

დედა, შვილო... — პასუხის გაცემა უჭირდა პაპას.

დედა და ჩვენი მეზობელი მარგო ქალაქს წავიდნენ. ორ დღეში დავბრუნდებითო...

გავიდა ორი დღე, ერთი კვირა, მაგრამ დედა აღარ დაბრუნებულა.

თამარი მასწავლებელი და მეზობლები რაღაც თანაგრძნობით მექცეოდნენ, ხან რა მოჰქონდათ და ხან რა. მე კი არაფრის გაგება არ მსურდა; არავინ არ მინდოდა. ყველას გავურბოდი, ბავშვებთანაც აღარ ვთამაშობდი. ვიკეტებოდი ოთახში, ვიღებდი ომში დაკარგული მამის სურათს და ვტიროდი...

●

შუა ზამთარია. სოფელი თოვლის თეთრი სუდარით არის დაფარული. სახლების საკვამურებიდან ზანტად ამოდის კვამლი, თითქოს შესცივნიაო. სოფელში შიმშილი და სიცივეა დასადგურებული.

პაპას ქურა აენთო. ოთახში ნავთის სუნი ტრიალებდა, მაგრამ სითბო ჯერ არ იგრძნობოდა. ლოგინიდან სწრაფად წამოვხტი. წინდები ამოვიცვი და ფანჯარაში გავიხედე. თოვლს ემატა, ფიფქების სიმძიმისაგან ხეები წელში მოხრილიყვნენ.

ერთი ჭიქა უშაქრო ჩაი დავლიე, წიგნები ჩანთაში ჩავყარე და გარეთ გამოვედი.

— შვილო, ნინუცა, მოიცა, გაგაცილებ. ძალიან მოყინულია, დავარდები, — მესმის პაპას ხმა.

— არ მინდა, პაპა, არა, არ დავვარდები!.. — ვყვირი და გავრბივარ.

ჭიშკარს არ ვიყავ გაცილებული, რომ ყავარჯნის რახუნი გავიგონე. მოვბრუნდი. საწყალი პაპა ძირს გაშოტილიყო.

— აბა, პაპა, რად გინდოდა, რომ გამოხვედი, რად?! ხომ ხედავ, მუხლები აღარ მოგდევს; შენ კი შენსას არ იშლი.

პაპა გარინდებული და გაჩუმებული მომშტერებოდა. ცოტა არ იყოს, შემეშინდა, ტირილი დავაპირე...

— პაპა, პაპიკო, ადექი, რა! — შევევედრე შემკრთალმა.

— ხო, შვილო, ახლავე, თავი გამიბრუვდა ცოტა, ეტყობა, მაგრად დავარტყი. — ძლივ-ძლივობით წამოვაყენე ცალ ფეხზე და ყავარჯენი მივაწოდე.

●

ღამეა. სოფელი მიჩუმებულა, თითქოს მყუდრო ძილს მისცემიაო. ხანდისხან თუ ისმის ძაღლების მისუსტებული ყეფა.

პაპა დღეს გვიან დაბრუნდა სოფლის საბჭოდან. მის დაბერებულ, დამჭკნარ სახეს იმედის იერი დაჰკრავს. არც კი

ეროვნული ბიბლიოთეკა

მამჩნევს, ისე მისცემია რაღაც ფიქრს. ერთი კოვზი. შვინდის შეჭამანდი მოვხვრიპე და ლოგინში ჩავწექი.

ექვსი თვეა დედა არ მინახავს, მისი ალერსი არ მიგრძვნია; როგორ მენატრება მისი სახე, მისი ღიმილი, მისი თბილი ტანი, მისი ჩურჩული: ჩემო იმედო, ჩემო ერთადერთო, ჩემო პატარა გოგონი...

რა კარგად ვცხოვრობდით.

ნეტავ როდის დაბრუნდება დედა?! ხომ შეიძლება სულაც არ დაბრუნდეს?

ნუთუ ეს შესაძლებელია? ნუთუ პატარები უდედმამოდ იზრდებიან? ნუთუ დედას აღარ დამიბრუნებენ?! — ის ხომ მე მეკუთვნის, მე, მე...

მის ტანსაცმელს ვეხვევი... ამით ვიოკებ სიყვარულის ჟინს. თვალებს ვხუჭავ, თვალწინ მიდგება აშოლტილი ტანით, წითელი ხაკისფერი კაბითა და თეთრი „ბასანოშკებით". ხელებს მიწვდის, გავრბივარ... თვალებს ვახელ და სიცარიელეა.

— დედა! ჩემო დედა! — ვყვირი...

პაპა მაწყნარებს და მპირდება — აი, ერთ კვირაში ძროხა მოიგებს. რძე და მაწონი გაგვიჩნდება, ფულს ვიშოვნი. ქალაქს წაგიყვან და გაჩვენებ დედასო.

ის ღამე თეთრად გავათენე. საშინელი და ტკბილი ზმანებები თავიდან არ გამრმდიოდა.

●

ხალხით გაჭედილი დერეფანი მე და პაპამ ძლივს გავარღვიეთ და სასამართლო დარბაზის წინ გავჩერდით.

თვალებით დედას დავეძებ.

— შვილო, ნინუცა, ამ კართან გავჩერდეთ, დედა აქ არის.

სახელურს უნებლიედ ჩავეჭიდე, სიხარულის თრთოლვამ ამიტანა.

კარი უეცრად გაიღო, ჩემდაუნებურად დარბაზში აღმოვჩნდი.

— დედა! ჩემო დედა! — მილიციონერი წინ გადამეღობა, გავუსხლტი და დედას ჩავეკონე. მთელი ტანით ვცახცახებდი, ვეხვეოდი და ხელებზე ვკოცნიდი.

— როგორ გამხდარხარ, შეცვლილხარ, ჩემო დედა...

დედა მიხუტებდა და მამშვიდებდა...

...ზარის ხმაზე მოვიხედე. ხალხით გაჭედილი დარბაზი ჩვენ შემოგვყურებდა.

ფეხზე წამოვდექი და დავინახე გრძელ მაგიდასთან მდუმარედ მდგომი მოსამართლე და მსაჯულები.

დედა არ მიცილებდა და იხვეწებოდა:

ეს ერთხელ მაპატიეთ ჩემი პატარა ბავშვისათვის, ჩემი მოხუცი მშობლებისათვის. ქოხი თავზე გვენგრეოდა, შეკეთება მინდოდა, შევცდი, შემაცდინეს, ნასესხები ფულით ცოტა წვრილმანი ვიყიდე გასაყიდად...

დარბაზში სიჩუმე სუფევდა. ბუნდოვნად მესმოდა მოსამართლის ხმა:

— მოქალაქე თამარ ივანეს ასულ თვალჭრელიძეს მიესაჯოს თავისუფლების აღკვეთა...

დედას გული წაუვიდა.

— დედა! ჩემო დედიკო, მიშველეთ, მომეხმარეთ, დამიბრუნეთ ჩემი დედა! — ვევედრებოდი დარბაზში მჯდომ ხალხს.

დედა გულწასული იჯდა და დახუჭული თვალებიდან ცრემლები სდიოდა.

მოსამართლე განაგრძობდა კითხვას..

— მცირეწლოვანი ბავშვისა და მოხუცი, დავრდომილი მშობლების გამო თვალჭრელიძეს პატიმრობა შეეცვალოს პირობითი სასჯელით.

დედამ თვალები გაახილა, უგონოდ შემომხედა, — დაგღუპე, შვილო... მაპატიე...

— არა, დედიკო, გაგათავისუფლეს, წავიდეთ, დედიკო!..

სად? სად წავიდეთ, შვილო... აწი არაფერი მეშველება...

— არა, დედიკო, სახლში გიშვებენ, სახლში, ჩვენ სახლში... აწი მეც მოგეხმარები, აღარ დაგჭირდება ქალაქში სიარული, ჩემო დედიკო...

დედა გონს მოეგო და შეშინებულმა შეხედა მსაჯულებს...

მათ სახეზე თანხმობა და დუმილი იხატებოდა...

ვიოლა კაჭაია

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ქილა მაყვალი

ნუთუ ჩვენ ერთმანეთი როდისმე უნდა დაგვეკარგა? ჩვენ ხომ უბრალო ამხანაგები არ ვიყავით. ჩვენ ხომ ბედნიერ, გალაღებულ ბავშვობამ არ დაგვაახლოვა. ჩვენ ხომ ძალიან მსგავსი ოჯახური გაჭირვების ბედს შევჩიოდით ერთმანეთს და ერთიმეორის სიხარულზე ვფიქრობდით.

ნეტავ ერთხელ მაინც დაფიქრებულხარ და გიფიქრია ჩვენს სოფელზე, ჩვენს ბავშვობაზე, ერთად გატარებულ ნაოცნებარ დღეებზე?! მე მგონი, არა. შენი ცხოვრებიდან რატომღაც სამუდამოდ ამოშალე წარსული, რატომ და რისთვის, ეს კი დღესაც ვერ გამიგია.

ჩემი ფიქრი და ოცნება კი სულ ჩვენს ბავშვობას დასტრიალებს.

მახსენდება, ჩვენ, პატარა ბავშვებს როგორ გვტანჯავდა გაჭირვება. ყოველ დილას დავდიოდით ჭინჭარზე და გვიხაროდა ცხელი კერძი გვექნებაო. ჩვენი დედებისათვის თბილი ღუმელი მაინც რომ დაგვეხვედრებინა, როგორ დავდიოდით გაუკვალავ თოვლში შეშის მოსაგროვებლად. როგორ ვაგროვებდით თხილს ზამთრისათვის.

შენ ხელთათმანები გქონდა, მე კი არა. შენ პატარაობიდანვე კეთილი იყავ და შენს ერთ ხელთათმანს მე მაცმევდი ხოლმე. ხელებს მიორთქლავდი, შალს მაგრად მახვევდი, რომ არ შემცივნოდა...

სკოლაში უჩემოდ არ მიდიოდი. თავგატეხილის დაღმართზე ციგით ვეშვებოდით. შენ წინ იჯექი, მე უკან. მეშინოდა, რომ არ გადავვარდნილიყავით და ხელებს მაგრად გხვევდი... შენ კი გიხაროდა, იცინოდი, იცინოდი გაუთაფშლად და ციგას უფრო მაგრად მიაქანებდი...

მახსენდება მაყვლის საკრეფად სიარული.

ერთხელ პაპანაქება სიცხეში თქვენამდე ფეხშიშველა ამოვედი და ცხელ ასფალტზე ისე დამწვოდა ფეხები, რომ ძლივსღა მოვაღწიე. შენ შენი ძველი კალოშები ჩამაცვი და ისე წავედით... ჩარექიანი ქილები რომ ავავსეთ, გულმა ვეღარ გამიძლო და ჭამა დავიწყე. შენ კი ვერ გაგემეტებინა და მთხოვდი, სახლამდე მომეთმინა.

უკან რომ ვბრუნდებოდით, გზაზე მანქანამ გამოიარა, მგზავრებმა გვკითხეს: მაყვალს ხომ არ ყიდითო. უნებლიეთ ჩემ ქილას დავხედე, რომელსაც ცარიელი ძირი მოუჩანდა, შენი კი მოეწონათ. გამოგართვეს მაყვალი და ფულს ელოდებოდი, იმათ კი დაქოქეს მანქანა და წავიდნენ.

სიცილი ამიტყდა, ასე რომ მოგატყუეს. მთელი დღის ნაწვალები წაგართვეს, მაგრამ როცა დავინახე, რომ შენს გაფითრებულ სახეს ღიმილიც კი არ დაჰკრავდა, გონს მოვედი. ძალიან შემეცოდე, აღარ ვიცოდი, როგორ დამეწყნარებინე და გთხოვდი ჩემი ქილიდან მაინც გეჭამა ცოტა...

შენს კეთილ თვალებში მოზღვავებული ცრემლი დავინახე, რომელიც არ გინდოდა შემემჩნია და დაკაწრულ სისხლიან ხელებს უკან მალავდი. შენ უკვე ვაჟკაცობდი და თავი ისე გეჭირა, თითქოს ჩემზე ბევრად უფროსი იყავ.

რას ნიშნავს, რომ ბავშვი ვიყავი და ცხოვრებას არ ვიცნობდი...

ჩემო დიდო და პატარა

...შენ ახლა ალბათ ტკბილად გძინავს. ნეტავ თუ გრძნობ რამეს. როგორ გეფერები, გეფერები, როგორც პატარა, თოთო ბავშვს. ჰო, თოთო ბავშვს, ჩემო კარგო. ჩემი შენდამი დამოკიდებულება ძალიან წმინდაა; იმდენად წმინდა, რომ ხან ფიქრისაც კი მეშინია, ალერსისაც... ხომ გამოგიცდია, შენ სისხლსა და ხორცს, ახლად დაბადებულ ბავშვს მშვიდად, წყნარად რომ სძინავს და შენ

ყოველი მოძრაობის გეშინია, არ გააღვიძო, ძილი არ დაუფრთხო... თორემ გაახელს თავის უმანკო თვალებს, ჭკვიანურად შემოგხედავს და გაგიწყრება...

...მაგრამ ხან ასეც ხდება. მთელ შენს მომავალს, სიხარულს, სიყვარულს, ცხოვრებას გადაალევ შენს სისხლსა და ხორცს და ბოლოს იმედები გიცრუვდება. გიცრუვდება, რადგან ეს შენი უმანკო ბავშვი უმიზეზოდ ავდება. რაც გინდა გაუკეთო კარგი, ველარ აწყნარებ და ბოროტდება...

ასეა, ჩემო კარგო. დავდივარ და ყოველი გადადგმული ნაბიჯის მეშინია. გიფრთხილდები. გიფრთხილდები, სიმშვიდე არ დაგირღვიო, გული არ გატკინო, შეურაცხყოფა არ მოგაყენო. შენ კი ამას ვერ გრძნობ, უმიზეზოდ შმაგდები და ბოროტდები...

...რატომ, ჩემო კარგო? მითხარი, რატომ?! მე ჩემი პატარა მინდა, რომელიც გაუთავებლად, სასიამოვნოდ ტიკტიკებს.. დიახ, ტიკტიკებს და ამ ტიკტიკით ბედნიერად გრძნობ თავს.

ჩემო ძვირფასო! მშიერ-მწყურვალე უბედურ დედას როდესაც თავისი უმანკო ბავშვის ტიტინი ესმის, ყველაფერი ავიწყდება. დაფიქრდი? ეს ჩემო კარგად იცი, მაგრამ ამ ბოლო დროს აღარაფერი გინდა გაიხსენო. რაღაცას გაუთავებლად კვანძავ და კვანძავ. ახვევ ძაფის გორგალს შლი და ურევ. ურევ ისე, რომ ახვევა გაგიჭირდება, გაგვიჭირდება, გაგვიჭირდება; ჩემო კარგო! ველარ გამოვხსნით თუ არ დავწყვიტეთ, დაწყვეტილი ძაფი კი რისი მაქნისია?!

ჩემო კარგო, იქნებ ახლა გრძნობ ყველაფერ ამას. ტკბილ ძილს არ დაგიფრთხობ... იძინე, ჩემო პატარავ... მაგრამ ყველაზე დიდი უბედურება ეგ არის, რომ ზოგჯერ არ შეგიძლია დახედო შენს პირმშოს, თუ როგორ დაჰკიაფობს ტკბილი ღიმილი.!.. მაგრამ საოცრება ის არის, რომ მე ძალმიძს გიყურო, როგორ გძინავს, როგორ სუნთქავ, გახურავს თუ არა, ყველაფერს თვალი ვადევნო... გიკვირს? იქნებ გეცინება კიდევაც?! ნუ გაგეცინება...

იძინე, ჩემო პატარა და დიდო ბავშვო, იძინე ტკბილად... მშვიდად... სათუთად ვეამბორები შენს თვალებს... ტკბილი ძილი, ჩემო ძვირფასო ადამიანო, ტკბილი ძილი, ჩემო დიდო და პატარა ბავშვო...

პაპამ დაიძინა

ჩვენ სილნალის გაღმა ვცხოვრობთ. „ორთაჭალას" ეძახიან. მის დაბურულ მოსახვევში გამოსვლის ბავშვებს ძალიან გვეშინია. ამბობენ, იქ ჭინკები ბუდობენო.

სკოლაში პაპას მაგივრად ბებო მაცილებს. ზევით არ ვიყურები, მეშინია... მგონია აი, სადაცაა ჭინკა გადმოხტება და სასწაულებს დაატრიალებს-მეთქი...

კარგა ხანია, რაც პაპა ლოგინად ჩავარდა... საჭმელსაც აღარ ჭამს. დედა ეუბნება ბებოს დღეები დათვლილი აქვს, ცოტა უნდა შევემზადოთო.

წუხელ ღამე ვუთიე პაპას. ვერ მოვისვენე, ჰაერი არ მყოფნიდა. ჩვენი სახლის პატრონის სახედარი მთელი ღამე ბალახს ჭამდა გაუთავებლად. ნაკელის სუნიც გამოდიოდა. დედას რამდენჯერ ვთხოვე, ერთი პირი ალიზით მაინც ავტიხროთ კედელიო, მაგდამ დედამ მითხრა, შვილო, თვეში ოთხ თუმანს რომ ვაძლევთ, ისიც ზედმეტია ამ სარდაფისთვის, კედლის აყვანას სჯობია, ცოტა ფულს თავი მოვუყაროთ და ერთი ალიზის ქოხი ჩავდგათ ჩვენს ნასახლარშიო.

საწყალი პაპა საშინლად ხროტინებდა. შემეცოდა, ერთი სუფრის კოვზი შავი ღვინო პირში ძალით ჩავასხი. ღვინის გადაყლაპვა და პაპას დასვენებაც ერთი იყო. დედას ვახარე, პაპამ დაიძინა-მეთქი. დედა მოვარდა და ტირილი დაიწყო:

ისე დაიძინოს ჩვენმა მტერმა, როგორც პაპამ დაიძინაო...

ეროვნული ბიბლიოთეკა

მერაბ კერვალიშვილი

ბონდო

ბონდო ბალდავაძე ტაქსის შოფერი იყო. თავისი კოლეგებისაგან დიდად გამოირჩეოდა თავაზიანობითა და კარგი სიტყვა-პასუხით. მართალია, ხურდას, როგორც წესი, არც ის აბრუნებდა, მაგრამ თუ ზედმეტს არ დაუტოვებდნენ, სხვებივით კი არ შეიტყობდა წყენას, პირიქით, ძლივშესამჩნევი ირონიული ღიმილით თვითონვე უხდიდა მადლობას. ამ დროს გულში ყოველთვის ერთი და იგივე აზრი უტრიალებდა: „რა იცი, ვინ ოხერია? ორი კაპიკის გულისათვის ხომ არ გავიფუჭებ საქმეს!..“ ასეთი რამ, საერთოდ, იშვიათად ხდებოდა და ბონდო მეტწილად კმაყოფილი იყო მგზავრების გულუხვობით. მიჰქონდა მთელი დღის ნაშოვარი ოჯახში და ცხოვრობდა თავისთვის... განსაკუთრებით უყვარდა საღამოობით, ცვლიდან თავისუფალ დროს ტელევიზორის წინ დივანზე წამოწოლა. ცოლი ბავშვებს დააძინებდა და მერე გვერდზე მიუჯდებოდა. იჯდა ცოლ-ქმარი, ქალაქის ახალ ამბებს არჩევდნენ და თან ცალი თვალით ტელევიზორს უყურებდნენ.

იმ დღეს ბონდომ საღამო ხანს დაამთავრა მუშაობა. ტაქსი გარაჟში დააყენა და თავისი „ჟიგულით“ ნელ-ნელა გამოყვა ქუჩებს. ადრიანი გაზაფხული იდგა და ბუნება გასათხოვრად მომწიფებულ გოგოს ჰგავდა. ბონდო განსაკუთრებით მგრძნობიარე არასოდეს ყოფილა, მაგრამ ახლა დროის ცვალებადობას მასზეც ემოქმედა. ცოტა არ იყოს, არეულ გუნებაზე გახლდათ. საჭის მინა ბოლომდე დაეწია და სიამოვნებით ისუნთქავდა სუფთა ჰაერს. „ეჰ, ახლა რომ თვრამეტი წლის ვიყო!“ სინანულით ინატრა თავისდაუნებურად. მართალია, ზუსტად არც თვითონ იცოდა, რისთვის უნდოდა მაინცადამაინც თვრამეტისა ყოფილიყო, მაგრამ გული დაწყდა, ასე შეუმჩნევლად რომ გავიდა წლები.

„სოიუზპეჩატის“ ჯიხურთან შეჩერდა. გადავიდა, გაზეთები იყიდა და ისევ მანქანაში ჩაჯდა. ის იყო უნდა დაძრულიყო, რომ თვალში მოხვდა მსხვილი სათაური: „ავტომოჯირითის დასასრული“. ბონდოს, საერთოდ ასეთი რამეები აინტერესებდა, ამიტომ წასვლა გადაიფიქრა და კითხვას შეუდგა.

წერილი ბოლომდე არც კი ჩაეთავებინა, რომ ჩახველება და ხათრიანი დაძახილი მოესმა:

— მეგობარო!..

თავი უკმაყოფილოდ ასწია და ასე, 18-19 წლის ბიჭი დაინახა, ბიჭი რაღაცნაირად აწურული იდგა და უხერხულად იღიმებოდა. ბონდოს არ ესიამოვნა, კითხვა რომ შეაწყვეტინეს, მერე ხმა დაიბოხა და ისე იკითხა, რა იყო, ბიჭოო, რომ აშკარად გამოხატა უპირატესობა,

ეროვნული ბიბლიოთეკა

რომელსაც, მისი აზრით, მანქანა და ათიოდე წლით მეტი ასაკი ანიჭებდნენ.

— თუ ძმა ხარ, ახალსოფელში უნდა წაგვიყვანო.

ბონდომ მხოლოდ ახლა შეამჩნია, რომ ბიჭი მარტო არ იყო. შორიახლოს ლამაზი გოგო იდგა და მუდარანარევი მოლოდინით იყურებოდა მისკენ. „რა არიან ნეტავი ერთმანეთის“? — პირველად ეს გაიფიქრა ბონდომ და გოგოს დააკვირდა. იმანაც ისე მომხიბლავად და პატივისცემით გაუღიმა, რომ აიმღვრა კაცი. მერე უცბად გადაწყვიტა ყველაფერი: „ახალსოფლამდე კაი დიდი გზაა, წავიყვან, რას ვკარგავ? ერთიოც მანეთს მაინც მომცემენ!“ თავს არ გამოუტყდა, თორემ ბონდოსთვის ისიც ძალიან სასიამოვნო იყო, ეს დიდთვალება გოგო რომ ეჯდებოდა მანქანაში და სარკეში მის მზერასაც დაიჭერდა ხანდახან.

— დასხედით, — წყნარად თქვა ცოტა ხნის ფიქრის შემდეგ.

გოგო ნელა წამოვიდა მანქანისაკენ.

— იცი, რა? ვერ მოგატყუებ და... მე... ფული არა მაქვს... — გაუბედავად ჩაილაპარაკა ბონდოს ყურთან დახრილმა ბიჭმა.

— აპა? — გაოცდა ბონდო.

— იქ რომ ჩავალთ, მამაჩემი მომცემს ალბათ...

— ფული თუ არ გაქვს, რა მიგარბენინებს, შე კაცო, სოფელში?

— რა ვიცი, — აილეწა ბიჭი. — ყველაფერი უცბად მოხდა... ეს გოგო ცოლად ვითხოვე და ხომ უნდა წავიყვანო სახლში? — მერე რომ შეატყო, ბონდო ყურადღებით და თითქოს თანაგრძნობითაც უსმენდა, იგი უკვე თავის მომხრედ ჩათვალა და გათამამდა: — წაუსვლელობაც არ გამოდის, მაგის მშობლები დაგვიწყებენ ძებნას და ატყდება ერთი ამბავი!..

— მოიტაცე და მიაპარებ, ხომ? — სრულიად მოულოდნელად მკაცრი ხმით იკითხა ბონდომ და მოიღუშა. ამან ისე დააბნია მისთვის უცნობი კაცის თანაგრძნობაში უკვე დაჯერებული ბიჭი, რომ კარგა ხანს ხმა ველარ ამოიღო.

— რა ვქნა აბა? — თქვა მერე და გაწითლდა: — მაისში ჯარში მივდივარ, სანამ იქიდან ჩამოვალ, მაგას კი გაათხოვებენ...

„ეს კია სწორი! ამისთანა გოგოს ვინ მოაცდევინებს ორ წელიწადს შენთვის“, გაიფიქრა ბონდომ, თავი გადააქან-გადმოაქანა და თქვა:

— არა, ძმაო, არა! რა ვქნა, თქვენი გულისთვის შარს ვერ გადავეკიდები, დამანებეთ თავი!

უკანასკნელი სიტყვები ისე იყო ნათქვამი, თითქოს ბონდოს ძალიან უნდოდა დახმარებოდა და წუხდა, გარემოება რომ არ აძლევდა ამის საშუალებას.

ეს მაშინვე იგრძნო ბიჭმა, ღია ფანჯარაში ხელი შეჰყო, ბონდოს მკლავი დაუჭირა და ხვეწნით უთხრა:

— კარგი რა, თუ კაცი ხარ! ჩვენ რომ წაგვიყვანო ამას, ჯერ ერთი, ვინ გაიგებს და, მეორეც, გინდა გაიგონ, ძალით ხომ არ მიმყავს ეს გოგო, თავისით მოდის, ვერ ხედავ?

„ცოდვაა, — გაიფიქრა ბონდომ, — წავიყვან, მარა შარში რომ გავეხვიო? არა, კაცო, არა... რა იცი, რა ამბავი ატყდება!“ — მერე ბიჭს თვალი მოაცილა და გოგოსკენ გაიხედა, რომელიც ბონდოს ბოლო სიტყვების გაგონებისთანავე ცივად გატრიალდა და ისევ ხესთან გაჩერდა, ჩვეული მოძრაობით გრძელი თმა უკან გადაიყარა, თავი მაღლა ასწია და ბონდოს დამცინავი ღიმილით გადახედა.

„ამას ჰგონია შემეშინდა!“ — გული დაწყდა ბონდოს და, ცოტა არ იყოს, დამცირებულად იგრძნო თავი. თანაც გოგოს ღიმილმა რაღაც არასასიამოვნო მოაგონა, მაგრამ კერძოდ რა, ამას უცბად ვერ მიხვდა.

— არავინ გყვარებია? ძმურად გამიგე, რა... — ამასობაში თავისას განაგრძობდა ბიჭი.

„სად მინახავს ეს ღიმილი, სად?“ — ტვინს იჭყლეტდა ბონდო. მერე მოაგონდა: ნუნუ იღიმებოდა ასე... ნუნუ პირველი გოგო იყო, ბონდოს რომ უყვარდა. რამდენიმე წლის განმავლობაში, ყოველ საღამოს, ბალიშზე თავს დადებდა თუ არა, დაძინებამდე სულ ნუნუზე ფიქრობდა. ხანდახან ესიზმრებოდა კიდეც და მეორე დღეს თავი უბედნიერეს კაცად მიაჩნდა. გოგო ძალიან ლამაზი იყო და ბონდოს ვერ ამჩნევდა. შეიძლება ყველაფერსაც ხვდებოდა, მაგრამ, ყოველ შემთხვევაში, გარეგნულად არაფრით გამოხატავდა. ვერც ბონდო იჩენდა მაინცდამაინც შესაფერ მარიფათს და ამასობაში ძვირფასი დრო იკარგებოდა.

როცა ნუნუ მეათე კლასში გადავიდა და სოფლის ბიჭებში ძალიან გახშირდა მისი სახელის ხსენება, ბონდო მიხვდა, თუ არ ივაჟკაცებდაა, ანგელოზივით გოგოს მალე გამოუჩნდებოდა პატრონი. ბევრი ფიქრის და ყოყმანის შემდეგ ბონდოზე დახვდა სკოლიდან მომავალ გოგოს იმ განზრახვით, რომ ყველაფერში გამოტყდომოდა.

მოქანავე ბონდოზე წონასწორობის შესანარჩუნებლად უშნოდ ფეხებგაჩაჩხულ ბონდოს გოგომ განგებ ხაზგასმული გაკვირვებით შეხედა, გრძელი წამწამები ამაყად აზიდა და ისე მშვიდად უთხრა, გეიწიე იქით, ბიჭოო, რომ ბონდო წახდა, მთელი გაბედულება უცბად დაკარგა და სახელურს აეკრა. ნუნუმ ჩანთა გულზე აიხუტა და ჩაიარა. ხიდის ბოლოში რომ გავიდა, შემობრუნდა და აგერ, ამ გოგოსავით დამცინავად ჩაიღიმა. სულ ეგაა შენი ვაჟკაცობაო! თითქოს იმ ღიმილით ამას ეუბნებოდა სახელურზე ატმასნილ ბიჭს. ბონდოს ეს ამბავი ყოველთვის უსიამოდ ახსენდებოდა. „რომ არ გამეშვა, რას იზამდა. ნეტავი?“ ხშირად ეკითხებოდა შემდეგ საკუთარ თავს და საბოლოოდ ერთი და იგივე დასკვნამდე მიდიოდა: „არაფერს. რა უნდა ექნა? ვერ ვივარგე მაშინ!“

ამ გატაცებული თუ შეყვარებულის თავის ნებით წაყოლილი გოგოს ღიმილმა ახლაც ძველი გულისტკივილით გაახსენა ბონდოს.

— დასხედით! — ისეთი ხმით თქვა უცბად, თითქოს ვიღაცა დუელში გამოიწვიაო.

ბიჭი გაიბადრა, უკანა კარს ეცა, გამოაღო და გოგოს ხელი დაუქნია.

— მადლი. თამუ, მივდივართ!

გოგო ნელა წამოვიდა მანქანისკენ. ბონდოს თვალს არ აშორებდა, თან ისე თბილად უღიმოდა, რომ კაცი, ცოტა არ იყოს, დაიბნა და უხერხულობის დასაფარავად მანქანა ჩართო. მერე, როცა ბიჭმაც დიდი ამბით ჩამოართვა ხელი, იმდენად კარგ კაცად მოეჩვენა საკუთარი თავი, გული მოეწურა სიამოვნებისაგან.

„ესეც ცოდვა იყო, საწყალი! — გაიფიქრა ბონდომ ბიჭის მისამართით. — დაიტანჯებოდა ჩემსავით!“

კაცმა რომ თქვას, ბონდოს ამ ბოლო დროს ათასში ერთხელ თუ გაახსენდებოდა ნუნუ, ისიც მაშინ, როცა ცოლი გულს მოაყვანინებდა. ახლა კი საკუთარ თვალში ეს, ცოტა არ იყოს, დაუფიქრებელი და არაპრაქტიკული საქციელი რომ გაემართლებინა, თავი უიღბლო სიყვარულის მსხვერპლად წარმოიდგინა და გულიც კი აუჩუყდა.

ბიჭმა ბონდოს თანხმობა თავისი სიტყვების ძალას მიაწერა და რამდენჯერმე თავმომწონედ გადახედა მანქანის კუთხეში მიყუჟულ გოგოს.

მანქანა რბილად მიჰყვებოდა ასფალტიან გზას. საკუთარი გაბედულებით გაამაყებული ბონდო გამომწვევად ატრიალებდა საჭეს, ცდილობდა, რაც შეიძლება, მარჯვედ ეტარებინა მანქანა, თავს აწონებდა უკან მჯდარ გოგოს. მალე წვიმა დაიწყო, ასფალტი დასველდა და ბონდომ კიდევ უფრო მეტად დახვეწა თავისი მოძრაობა. დიდი სიჩქარით მიჰქროდა სახიფათო მოსახვევებში და ოსტატურად ასწრებდა სხვა მანქანებს. მერე, გოგო რაღაც მოწყენილი ზის,

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოეჩვენა, რადიო ჩართო და სასიამოვნო მელოდია დაიჭირა, რაც, უნდა ითქვას, იშვიათად გაუკეთებია სხვა მგზავრებთან.

მანქანაში სითბო და სიმყუდროვე იყო.

ბონდომ სიჩქარე შეანელა, შეეცადა გამოეცნო, თუ რა აზრის იყო გოგო მასზე „ალბათ ფიქრობს: ნამდვილი ვაჟკაცი ყოფილა, სხვებს კი არა ჰგავს, რომ შეეშინდათ და ჩვენი წამოყვანა ვერ გაბედესო! ნეტავი თუ მოეწონვარ? არა, რატომ არ მოეწონები, მაგალითად! მაგის გაჩეჩილ საქმროს ალაო ვჯობივარ? ვინ იცის, შეიძლება ჩემი ცოლის ბედს შენატრის კიდევაც!“

სარკისაკენ გაიხედა. გოგო და ბიჭი ერთმანეთს გადახვეოდნენ. გოგოს თვალები მილულული და ბიჭის ლოყას ალერსიანად უხახუნებდა ცხვირს.

„შენატრის, კი... აბა არა!“ — მწარე ნერწყვი გადაყლაპა ბონდომ.

— კი მარა, — თქვა ბონდომ ისე, რომ შეყვარებულები შეკრთნენ. — შე კაცო, რომ მიგყავს ეს ანგელოზივით გოგო სახლში, იციან მაინც შენიანებმა?

— ა, — დაიბნა გივი. — არა, არ იციან...

— ბიჭო, რომ არ შეგიშვან სახლში, რას შვრები მერე?

— რატომ არ შეუშვებენ? — ლაპარაკში ჩაერია თამუნია და სარკიდან ისევ გაუღიმა ბონდოს. „ასეთი გოგო გავყევი და სახლში არ შეუშვებენ? როგორ გეშლება ეს, ბონდო!“ — ამბობდა მისი თავდაჯერებული ღიმილი.

„ამის მოწყობილია ყველაფერი!“ — — დაასკვნა ბონდომ და მერე ხმამაღლა იკითხა:

— რა ვიცი, ასე უცბად რომ მიადგებით, შეიძლება გული მოუვიდეთ, წინასწარ რატომ არაფერი გვკითხეთო და შეიქმნება ერთი ამბავი. მერე რაღას იზამთ?

— აბა რა უნდა ვქნათ? — უმწეოდ იკითხა გივიმ.

— არა, ბოლოს შეგირიგდებით, ერთი-ორი თვის შემდეგ, მარა ახლა რომ გამოგისტუმრონ გარეთ, წვიმაში? — ბონდო თითქოს რაღაცის სამაგიეროს უხდიდა გივის და თავს ირთობდა მისი დაბნეულობით.

— მართლა, გივი, რა უნდა ვქნათ? — ბიჭის უმწეობა გოგოსაც გადაედო და ღიმილი სახიდან გაუქრა.

ბონდოს ისევ შეეცოდა ისინი, „აფსუსია ამათი დაშორება!“ — გაიფიქრა და მერე ნუნუც მოაგონდა. „ასეა, მაშინ რომ ვინმეს ეთქვა, ნუნუს მოგატაცებინებო, ხომ სულ სხვანაირად წავიდოდა საქმე? წავიყვანდი მამიდაჩემთან გურიაში, იქ კიდევ ელიმა და ეცინა, რამდენიც უნდოდა!“

— ესაა ჩემი ჩასახვევი, — ფიქრი შეაწყვეტინა გივის, ცოტა არ იყოს, შეშფოთებულმა ხმამ. — ის სახლია ბოლოში, განათებული რომ მოჩანს...

ბონდომ სოფლის ვიწრო შუკაში ჩაუხვია. მანქანა სახლიდან მოშორებით გააჩერა და შუქი გამორთო. მერე უკან მოატრიალა თავი.

— ასე უცბად მისვლა არ ივარგებს! — ნელა თქვა და ჩაფიქრდა, — თქვენ აქ მომიცადეთ, მე გადავალ და მამაშენს მოველაპარაკები.

— რაზე? — ანგარიშმიუცემლად იკითხა გივიმ, რომელსაც უკვე ხმა უწყდებოდა.

— რაზე და საერთაშორისო მდგომარეობის განმუხტვაზე! — ვითომ იხუმრა ბონდომ, მაგრამ თამუნია და გივი ისე იყვნენ თავგზააბნეულები, რომ ხუმრობა ცოტა უადგილო გამოვიდა. მერე თვითონაც იგრძნო ეს და რბილად ჩაილაპარაკა: — რაზე უნდა ველაპარაკო, თქვენზე, რა თქმა უნდა!

— რა კარგია! — შვებით ამოისუნთქა გოგომ, — თქვენ ნამდვილად გააკეთებთ ამას, სხვებივით კი არ დაიწყებთ ყველაფრის გართულებას...

ბონდომ სხვებში გივი იგულისხმა და

თავისი უპირატესობის ასე აშკარა აღიარებით გამაყებულმა ღრმად შეისუნთქა ჰაერი. მერე უხერხულობის დასაფარავად საჭეს რამდენიმეჯერ მსუბუქად დაჰკრა გაშლილი ხელისგული.

— კი მარა, რას ეტყვით? — დაზუსტება მოინდომა გივიმ, რომელსაც გოგოს ნათქვამისათვის არავითარი ყურადღება არ მიუქცევია.

— მაგი მე ვიცი! — მოწყალედ გაუღიმა ბონდომ. — შენ მარტო ის მითხარი, სად მუშაობ და რას აკეთებ. დანარჩენი ჩემზე იყოს...

თამუნია ამ ლაპარაკში ბონდოსკენ იყო დახრილი და გაფაციცებით უსმენდა მათ საუბარს. კაცი ლოყაზე და კისერზე გრძნობდა მის მხურვალე სუნთქვას და მანქანიდან რომ გადადიოდა, ისეთ გუნებაზე დადგა, მზად იყო ამ გოგოს გულისათვის თუნდაც აქეთ მოეტაცა გივის მამა, ცოტა უცნაური სახელი — დიოგენი რომ ერქვა.

ორიოდე ნაბიჯი გადადგა თუ არა, წყლიან გუბეში ჩავარდა და წინდები დაუსველდა. „ფუჰ, რას ვერევი ამ სხვის საქმეში?“ — გაიფიქრა, მაგრამ მაინც განაგრძო გზა, თუმცა საკმაოდ შენელებული ენთუზიაზმით. ჭიშკართან ფრთხილად მივიდა და დაიძახა:

— მასპინძელო!

სახლიდან ჩამიჩუმი არ ისმოდა.

— მასპინძელო, დიოგენ ბატონო!

ისევ არავინ ჩანდა. ამასობაში ბონდოს თმაში დაგროვილმა წვიმის წყალმა გზა იპოვა და ნელ-ნელა ჩაჟონა საყელოში.

— მასპინძელო, დიოგენა! — იყვირა უკვე გამწარებით.

— რომელი ხარ? — როგორც იქნა, აღირსეს პასუხი.

— სტუმარი ვარ, გამომხედე ერთი წუთით, შე კაცო!

საწვიმარმოსხმული კაცი ეზოში ჩამოვიდა და ჭიშკარი გააღო.

— გამარჯობათ! — ბონდო შეეცადა, რაც შეიძლება თავაზიანად მისალმებოდა მასპინძელს, — მე გივის ოსტატი ვარ ფაბრიკიდან... აქეთ ვიყავი და თქვენმა ბიჭმა სიტყვა დამაბარა [illegible]

ეროვნული ბიბლიოთეკა

— მობრძანდი, ბიძიკო, რავა, გლახა ამბავი ხვარაფერია?..

— არა, ბატონო! პირიქით, კაი ამბავია ძალიან.

სტუმარ-მასპინძელი ლაპარაკით შევიდა სახლში.

●

— მამაშენი მართლა რომ ძალიან გაბრაზდეს, მერე რა ვქნათ, გივი? — ჩურჩულით იკითხა გოგომ.

გივი ქალის გატაცებაში ადრე მხოლოდ ლამაზ, რომანტიკულ მხარეს ხედავდა და ვერასოდეს წარმოედგინა, თუ ეს საქმე ამდენ მომაბეზრებელ წვრილმანთან იქნებოდა დაკავშირებული. ამიტომ უკვე ყველაფერი აღიზიანებდა, იჯდა ახლა ჩუმად მანქანაში და ნანობდა თავის საქციელს: „რა ჯანდაბად ავიჩემე ქალის მოტაცება! ვყოფილიყავი ჩემთვის, ვინ მაძალებდა? წავივლიდი ჯარს და მამაჩემი მერე თვითონ მომაყვანინებდა ცოლს. ეს თამუნია რაა მაინცდამაინც იმისთანა... უკეთესს ვერ ვნახავდი ვითომ? მამაჩემმა რომ სახლში არ შეგვიშვას ახლა, სად მიდიხარ მერე? არა, მე ხომ ვიცი მაგის ხასიათი, ერთ ამბავს ატეხავს!.. ანდა ამ ბონდოს საიდან მივცე ფული?“

— გივი, გესმის, გივი! — მხარი წაჰკრა თამუნიამ.

— რა გინდა? — გამოერკვა გივი.

— რა ვქნათ-მეთქი?

— რა ვიცი მე.

— გივი! — თამუნია უკვე სლუკუნებდა.

— ოოხ! კაი რა, თამუ, ნუ ტირი! გვეშველება რამე, აბა რა იქნება... — გივი ახლა თავის გაბრაზებას ნანობდა და გულში იხუტებდა გოგოს, რომელიც უფრო უმატებდა ტირილს.

მალე ჭიშკარი გაიღო. ეზოდან ბონდო, დიოგენი, გივის დედა გამოვიდნენ და გეზი მანქანისაკენ აიღეს. გივის მთელი სხეული დაეძაბა და თამუნია კიდევ უფრო მაგრად ჩაიკრა გულში,

ეროვნული ბიბლიოთეკა

თითქოს მის წართმევას უპირებდა ვინმე.

ბონდო მანქანას გივის მხრიდან მიუახლოვდა და უკანა კარი გამოაღო.

— რაფერ არის საქმე, ბონდო? — ძლივსგასაგონად თქვა გივიმ.

ბონდომ ხმამაღლა გაიცინა.

— გადმოდით, გადმოდით, ნუ გეშინიათ!

შორიახლოს გაჩერებულმა დიოგენმა ერთი კი შეავლო თვალი შვილსა და სარძლოს და კვლავ ბონდოს შეხედა.

ბონდომ ისევ გაიცინა და დიდი ამბით დაიწყო;

— ა, დიოგენ ბატონო, ჩაიბარე შენი შვილი და რძალი, დალოცე... — და კინაღამ შეიგინა, რადგან წვიმის წყალმა ისევ მონახა გზა მისი კისრისაკენ. „გადავყვები მე ამათ ამბავს“—გაიფიქრა ნაღვლიანად და ცხვირსახოცი ამოიღო.

დიოგენი ჩუმად იდგა. მერე ცოლს მიხედა, რომელიც თვალებით ჭამდა სარძლოს და ხმადაბლა, მაგრამ მკაფიოდ თქვა:

— შედით, ბიჭო, სახლში!

თვითონ ბონდოს ხელკავი გამოსდო და თითქმის ძალით შეაბრუნა ჭიშკრისაკენ.

●

ბონდო მხოლოდ მეორე დღეს, დილით დაბრუნდა ქალაქში. დიოგენმა თავისი ბიჭის „ოსტატს“ საბარგულში ძალიძალათი ჩაულაგა ქათმები, ხაჭაპურები და ხილი. წინა სავარძელთან საფერავით სავსე ოცბოთლიანი ბოცაც ჩადგა. ბონდომ ერთი ორჯერ იუარა, არა, ბატონო, ნუ წუხდებითო, მაგრამ მერე მასპინძელი რომ აღარ მოეშვა, დიდად აღარც მას გამოუდვია თავი. ჩამოგვაკითხე ხშირად, ჩვენი ოჯახის მოკეთე ხარ შენ აწიო, უთხრა დიოგენმა გამომშვიდობებისას.

ბონდო ახალშეუღლებულებს გადაეხვია. თამუნიას რომ კოცნიდა, აშკარად იგრძნო მუხლებში სისუსტე...

●

ბონდო სახლში მივიდა. დიოგენის ძღვენი გადმოალაგა, ცოტა დაისვენა და გარაჟში წავიდა. ნაშუადღევს მეორე ცვლაში უნდა გასულიყო სამუშაოდ.

ავტოსატრანსპორტო კანტორის ეზოში კანტიკუნტად იდგა ტაქსები. ნელი ნაბიჯით მიმავალი ბონდო ყველას ხელის აწევით ესალმებოდა. ზოგიერთ მანქანასთან ცოტა ხანს ჩერდებოდა კიდეც.

ბენზინის ჩამოსასხმელ აპარატთან ახალაძე წამოეწია.

— ბონდოს გაუმარჯოს!

— გაგიმარჯოს, ახალაძე, რავა ხარ?

— რავა ვიქნები, ბონდო, ექვსი თვის უმუშევარი კაცი!

ახალაძის ტაქსი კარგა ხნის წინათ ჩამოწერეს. ამ ამბის შემდეგ რამდენიმე ახალი მანქანა მოვიდა, მაგრამ ახალაძეს რატომღაც არც ერთი არ შეხვდა. ახლა ბონდო იყო მისი იმედი...

— ველაპარაკე პოლიკარპოვიჩს... — თქვა ცოტა ხნის ფიქრის შემდეგ ბონდომ.

— მერე? — მოუთმენლად ჰკითხა ახალაძემ.

— მერე, ხომ იცი, ტყუილა ახლა ვინ რას გაგიკეთებს...

— რაო, რა მინდაო მაინც?

— მანქანაში ახალი იაპონური მაგნიტოფონი მინდა ჩავდგაო, მითხრა ვითომ სხვათა შორის, მოსკოვში ბიჭისთვის ხუთასი მანეთი მაქვს გასაგზავნიო.

— ვახ, კაცო! არ გადავყევი ამ საქმეს? რა ამბავია, სად ვიშოვო ახლა ამდენი ფული, ექვსი თვეა უმუშევარი ვაგდივარ!

— მე რას მიყვირი? მე მინდა რამე თუ? არ გინდა, ნუ გინდა, ბატონო! — ბონდომ წასასვლელად გადადგა ნაბიჯი.

— მოიცა, ბონდო თუ კაცი ხარ! რა გეწყინა, რა იყო? შენზე არ მითქვამს არაფერი. — გზა გადაუჭრა ახალაძემ და გააჩერა. — კი, ბატონო, ვიშოვი სადმე ამ ოხერ ფულს, აბა რა იქნება?

7. „ცისკარი“, № 7.

— მუთაქა გაჭერი, ახალაძე, მუთაქა! — ჩაიცინა ბონდომ.

— რომელი მუთაქა? — ვერ გაიგო ახალაძემ.

— შენი ქვისლი რომ რაიაღმასკომის თავმჯდომარე იყო, გახსოვს?

— რავა არ მახსოვს!

— აპა ისიც გემახსოვრება, მაშინ რომ სულ ახალ მანქანებზე იჯექი?

— კი, მარა... რა...

— ჰოდა მაშინ ნაშოვარი ფული რომ გაქვს შენახული შიგ, ის მუთაქა გაჭერი!

— კაი, კაცო, ნუ გიყვარს ასეთი ხუმრობა! — აშკარად გულს მოეშვა ახალაძეს, ეტყობა, რაღაც უფრო ცუდს მოელოდა.

— ასე, ახალაძე, წადი ახლა. შენ იცი. ის ამბები გააკეთე, მე რომ გითხარი. მოვა ამ კვარტლის ბოლოს ტაქსები და დაგაწყებინებენ მუშაობას...

— შენ აგაშენა ღმერთმა, ბონდო! მადლობელი ვარ ძალიან! რავარც კი მოგვარდება მაგ საქმე, მაღარიჩი ჩემზე იყოს და ვიქეიფოთ ერთი რჯულზე!

— კაი, კარგად იყავი.

— კარგად, გენაცვალე!

„ესეც ასე! — კმაყოფილებით გაიფიქრა ბონდომ. — პოლიკარპოვიჩს იაპონური მაგნიტოფონიც ეყოფა. მეტი რა უნდა, ისედაც ფულში იხრჩობა! ხუთასი მანეთი და რესტორანში ქეიფი არც მე მაწყენს! კაი ფეხზე ავდექი, ხომ იცი დღეს!"

●

ცოტა ხნის შემდეგ ბონდო თავის ჩვეულებრივ საქმიანობას შეუდგა ქალაქში. ამ დროს, საერთოდ, ტაქსით მგზავრობის მსურველი იშვიათად თუ გამოჩნდებოდა, მაგრამ იგი მაინც ჯიუტად დაჰყვებოდა ხალხისაგან დაცლილ ქუჩებს.

ერთი ყრუ შესახვევიდან ყვითელი „ჟიგული" გამოდიოდა. უცბად წინ შავმა კატამ გადაურბინა. მძღოლი ალბათ ცრუმორწმუნე იყო, შეკრთა და სწრაფად დაამუხრუჭა. მერე სარკმლიდან გამოყო თავი და მარცხნივ [illegible]: გადაათვალიერა. ცოტა იყოყმანა, მაგრამ მაინც ვერ გაბედა წასვლა. მოტორი გამორთო და შეიცადა, იქნებ პირველმა სხვა ვინმემ გაიაროსო.

ორიოდე წუთის შემდეგ მოედანზე ტაქსმა მოუხვია, თამამად გადაჭრა კატისაგან ტაბუ დადებული გზა და გაჩერდა. ეს ბონდო ბაღდავაძე გახლდათ, რომელსაც ბოლოს და ბოლოს მაინც ეშოვა კლიენტი. ცრუმორწმუნე მძღოლს გზა გაეხსნა და ისიც სწრაფად გავარდა დანავსული შესახვევიდან.

ამის მერე ბონდო ცენტრში გავიდა. უნივერმაღის წინ ტაქსი გააჩერა და საქარე მინის წმენდა დაიწყო.

საქმეს რომ მორჩა, ჩვარი გაფერთხა და ის იყო მანქანაში ჯდებოდა, აკაკიევიჩის სიდედრს მოჰკრა თვალი. ხანში შესული სქელი ქალი ბაზრის მხრიდან მოდიოდა და ხელში ორი ჩანთა ეჭირა. ჩანთებიდან ხახვის კუდები და კიდევ რაღაც ნავაჭრი მოჩანდა.

„რა დატვირთულა საწყალი! მაგის სიძე ზის საწყობში თავისთვის და გვატყავებს შოფრებს. ბაზარში კიდევ სიდედრს დაატარებს, თვითონ რავა ეკადრება! სად შეუძლია ამას ამხელა ჩანთების ტარება?" — ისე გაიფიქრა ბონდომ, ვითომ ძალიან წუხდა საწყობის გამგის სიდედრის ჯანმრთელობაზე. შემდეგ მარცხნივ მოხვევის სიგნალი მისცა და დაძვრა დააპირა, მაგრამ უცებ რაღაც აზრმა გაუელვა და შეჩერდა. ცოტა ხანს დაფიქრდა, მერე მანქანა ხელა დაძრა და მძიმედ მიმავალ ქალს დაეწია.

— გამარჯობათ, ქალბატონო ანიკო! — გულღია მხიარულებით მიესალმა ქალს სარკმლიდან.

— უი, ბონდო! — ისე შეიცხადა ქალბატონმა ანიკომ, თითქოს თავის დღეში ვერ წარმოიდგენდა ბონდოსთან ამ ქალაქში შეხვედრას. — საიდან სადაო, რავა ხარ ბიჭო?

— რა გვიშავს, ვცოცხლობთ, ვჯახირობთ! — ბონდო მანქანიდან გადმოვიდა და ქალს ჩანთები ჩამოართვა, —

ეროვნული ბიბლიოთეკა

გასატეხი თუ არაფერია ამაში, უკან ჩავაწყობ საბარგულში.

— გასატეხი რა უნდა იყოს, მარა რაზე წუხდები, ბატონო, აგერ არ ვცხოვრობ, ახლოს?

— ვიცი, ქალბატონო ანიკო. ერთხელ ვყოფილვარ თუ ორჯერ თქვენთან? პირადად თქვენი გამომცხვარი ხაჭაპურის გემოს რა დამავიწყებს! აბა მობრძანდით, დაბრძანდით!..

ბონდომ ქალი მანქანაში ჩასვა, კარი მიუხურა და თვითონ სწრაფად მიუჯდა საჭეს.

აკაკიევიჩის სახლამდე მართლაც ცოტა მანძილი იყო დარჩენილი, მაგრამ ბონდო განგებ შორი გზით წავიდა. ათას რამეზე ელაპარაკა ქალბატონ ანიკოს. ძალიან უქო სიძე: ჭკვიანი და მეგობრებისათვის თავდადებული კაციაო, ეგ რომ არ იყოს, ჩვენი გარაჟის საწყობს რა ეშველებოდა, ვინაა სხვა იქ საქმის გამკეთებელიო. ბოლოს, როცა სახლს მიადგნენ, თავისი ხელით მიუტანა ჭიშკრამდე მძიმე ჩანთები. ქალმა საფულეს გახსნა დააპირა. ბონდო უცბად დასერიოზულდა და სახეზე უზომო გულისტკენა გამოეხატა. ქალს თვალებში შეხედა და ყრუ, სინანულნარევი ხმით უთხრა:

— რავა გეკადრებათ, ქალბატონო ანიკო, ჩემი პირველი ძმაკაცის იგივე დედისაგან ფულს ავიღებ? მაშინ ნურც ყოფილა ბონდო ბაღდავაძე ცოცხალი!

— დიდი მადლობა, შენი ჭირიმე, გაგახაროს ღმერთმა!

— კარგად ბრძანდებოდეთ, ქალბატონო!

ბონდომ ადგილიდან მოწყვიტა ტაქსი. „გაგახაროს ღმერთმაო? ჰმ, ეს რა მითხრა! ღვთის იმედად ჩემი მტერი იქნა! მაგას სჯობია შენს სიძეს მოუყვე დღევანდელი ამბავი. გაბერე და გააზვიადე ისე, რავარც იცით ქალებმა. ხვალ ან ზეგ საბურავების გულისთვის რომ მივადგები, იცოდე, უარის თქმა ვერ გაბედოს, ქალბატონო ანიკო!..“

პიკის საათი ახლოვდებოდა. ბონდო ცენტრალურ ქუჩას მიჰყვებოდა ცარიელი ტაქსით. მერე ის იყო სადგომისაკენ გადაუხვია, რომ ტროტუარის კიდესთან ქალი და ორი კაცი შეამჩნია. ბონდომ ყოველი შემთხვევისათვის სვლა შეანელა და ხელიც აუწიეს. როცა გაჩერდა, კაცებიდან უფრო ხნიერი მისკენ გამოემართა, წინა კარი გააღო და სალონში თავი შეჰყო.

— გამარჯობა შენი!

— გაგიმარჯოს! — უპასუხა ბონდომ და მაშინვე მიხვდა, სადმე შორს წაყვანას რომ თხოვდა ეს კაცი. არც შემცდარა.

— ახალსოფელში წაგვიყვან?

— ახალსოფელში? — შეყოყმანდა, ბონდო. „რა ყველა ახალსოფელში მიდის?“ — გაუელვა თავში.

— ჰო, რა, თუ ძმა ხარ, აუცილებელი საქმეა...

— „წაყვანით კი წაგიყვან, მარა გააჩნია, რას მომცემ“, — გაიფიქრა ბონდომ. ხმამაღლა კი ყოყმანით თქვა:

— არ შემიძლია, გარაჟში უნდა ვიყო თორმეტ საათამდე... თანაც გზები არ ვარგა...

— კაი ერთი, თუ კაცი ხარ! რა გზებია ახლა იმისთანა უსაშველო? ვაჟკაცურად გეუბნები, არ ინანებ...

— რას იძლევი? — მობეზრდა ბონდოს ორაზროვანი ლაპარაკი.

— შენ რამდენი გინდა? — არ ჩამორჩა კაციც.

— ოცდაათი მანეთი!

კაცმა ამოიოხრა და თვალი თანამგზავრებისაკენ გააპარა. ისინი მოლოდინით უყურებდნენ.

— კაი, ჯანდაბას! — ჩაიბურდღუნა ბოლოს და იმ ორს ხელით ანიშნა, მოდითო.

ბონდო კარგ ხასიათზე დადგა. ტაქსი ადგილიდან დაძრა და სწრაფად გააქანა გზაზე.

მგზავრები ცხვირპირჩამოშვებულები ისხდნენ და ხმას არ იღებდნენ. ის კაცი,

ბონდოს რომ მოელაპარაკა, წინ იჯდა დანარჩენები — უკან.

ქალაქს გაცდნენ თუ არა, წვიმის წინწკლები დაასხდნენ საქარე მინას, მაგრამ ასფალტმა დასველებაც კი ვერ მოასწრო ისე ანაზდეულად შეწყდა წვეთების ცვენა.

— კაი ახლა, თავს ნუ მოიკლავთ დარდით!.. ჩავალთ, ბატონო, ადგილზე და გავიგებთ ყველაფერს — თქვა ბონდოს გვერდით მჯდომმა და ნახევრად უკან შებრუნდა.

— ეჰ, რაღა დროს, კოწია, რაღა დროს! რა ეშველება აწი!... — ქალს ტირილი გაერია ხმაში და ცრემლები ცხვირსახოცით მოიწმინდა.

„ალბათ, მოუკვდათ ვინმე!“ — გაიფიქრა ბონდომ და რაც შეიძლება სერიოზული სახის მიღებას შეეცადა.

— სულ შენი ბრალია ყველაფერი! — მოულოდნელად ბრაზით ჩაულაპარაკა უკან მჯდარმა კაცმა ქალს:—ჩემი კაი გოგო, ჩემი ჭკვიანი გოგოო, უძახე და, ა ბატონო, რა გვიქნა შენმა ჭკვიანმა გოგომ!

— კაი, დაწყნარდი ალექსანდრე! რა მოხდა, შე კაცო, ახლა ასე ყოფილა მოდაში და რას იზამ! თამუნია ისეთი გოგო არ არის, სირცხვილი გვაჭამოს...

„თამუნიაო!“ — ბონდომ ამ სახელის გაგონებაზე კინაღამ საჭე გაუშვა ხელიდან.

— რა ვიცი, კოწია, რა ვიცი! ვინაა, რა დედ-მამის შვილია ის ბიჭი, არ უნდა ვიცოდეთ ჩვენ? იქნებ ცოცხალიც აღარაა ჩემი გოგო... — ქალს ისევ გული ამოუჯდა.

— ეგ თავიდან უნდა გეფიქრა, შვილს რომ ატუტუცებდი, მაშინ! — ბოღმით ჩაილაპარაკა ალექსანდრემ და და სიგარეტი ამოიღო.

ბონდოს მათი ლაპარაკი უკვე აღარ ესმოდა. „ესენი თამუნიას ეძებენ? ბედი არ გინდა, რაღა მე შემხვდნენ, კაცო? რა ვქნა ახლა? ვუთხრა, ვეღარ წამოვალო? კი ვეტყვი, მარა მიზეზად რა ეშმაკი მოვიგონო!“

გზა შეუბრალებლად მოკლდებოდა. ბონდო თანდათან ანელებდა სვლას და გამალებით ეძებდა გამოსავალს. ათასმა ფიქრმა გაუელვა თავში, მაგრამ ვერც ერთს ვერ ჩაეჭიდა. ბოლოს მანქანის გაჩერება, კაპოტის ახდა და მოტორში ჩაკირკიტება გადაწყვიტა, იქნებ ამასობაში რამე მოვიგონოო. ის იყო საჭე მარჯვნივ მიატრიალა და ფეხი მუხრუჭისაკენ წაიღო, რომ ერთი მხსნელი აზრი ამოუტივტივდა გონებაში და დამშვიდდა: „გუშინ ჩემი მანქანით ვიყავი, ახლა ტაქსით რომ მივალ, ვინ მიცნობს? ამგენის დანახვისას ვითომ ჩემი დარდი ექნებათ დიოგენას და გივიას? მივიყვან ამ ხალხს, მოშორებით ჩამოვსხამ, ფულს გამოვართმევ და წამოვალ უკან!“

ბონდო ისევ გამხიარულდა. საკმაოდ ტაქტიანად ჩაერია მგზავრების საუბარში და თამუნიას ოჯახის ამბების მოსმენის შემდეგ თავისი აზრიც გამოთქვა თანამედროვე ახალგაზრდობაზე. ამასთან ერთად ისიც კი შეძლო, მოხერხებულად მიხმარებოდა კოწიას განერვიულებული მშობლების დაწყნარებაში.

ცოტა ხნის შემდეგ ახალსოფელშიც შევიდნენ. ბონდოს, რა თქმა უნდა, არ გაუმხელია თუ დიოგენის სახლის გზა იცოდა. ისევ კოწიამ გაიკითხ - გამოიკითხა და მოყვრის ჭიშკარსაც მალე მიაყენა მნქანა.

— შენ აქ მოგვიცადე თუ კაცი ხარ. — თხოვა კოწიამ ტაქსიდან გადმოსვლისას.

— არა, ძმაო, მომეცი რავარც მოვილაპარაკეთ და გამიშვი. თქვენს ამბავში ნუ ჩამრევთ ახლა მეც ...

— რას ამბობ, ბიჭო, შენ? — გული მოუვიდა კოწიას. — ჩვენ აქ დარჩენას ვაპირებთ, თუ? სად ვეძებო ტაქსი მერე ამ გადასაკარგავში? მოგვიცადე ცოტა ხანს!

ბონდომ გაბრაზებით დაარტყა ხელი საჭეს. მერე მანქანა მოშორებით გადააყენა და გაჩერდა. „ერთი მაგათი ფულიც... წავალ!“ გაიფიქრა პირველად, მაგრამ შემდეგ შეყოყმანდა: „ამდენი ტყუილა ვიარე?“. არადა, ისიც აინტერესებდა, რით გათავდებოდა ყველაფე-

რი. ჭიშკრისაკენ გააპარა თვალი. ეზოდან უკვე გამოსულიყვნენ დიოგენი, მისი ცოლი და გივი. ბონდომდე ნაწყვეტ-ნაწყვეტად აღწევდა ფრაზები. ცოტა არ იყოს, დაბნეული დიოგენი სახლისკენ ეპატიჟებოდა მოულოდნელ სტუმრებს.

— არსადაც არ წამოვალ მე! აქ მომიყვანეთ ჩემი შვილი, უნდა ვნახო ცოცხალია თუ მკვდარი...—თითქმის დაიკივლა თამუნიას დედამ.

—ცოცხალია, ბატონო, და ძალიან კარგადაც გახლავთ! — რაც შეიძლება თავაზიანად, დაბალი ხმით დაამშვიდა დიოგენმა. — მობრძანდით და თქვენ თვითონ ნახეთ თუ არ გჯერათ...

— არა, აქ გამოვიდეს! უნდა გავიგო, რანაირად მოხიბლეთ და მოაჯადოვეთ ისე, რომ დედ-მამა დაავიწყეთ...

—არა, ბატონო, რომელი ჯადოქრები და კუდიანები გვნახე ჩვენ. უბრალოდ...

—თამუნია, გამოდი, შვილო გარეთ! — ტირილნარევი ხმით დაიძახა ქალმა, რომელიც არავითარ ყურადღებას არ აქცევდა დიოგენის ახსნა-განმარტებებს. კაცები ამასობაში უხერხულად იშმუშნებოდნენ და ჩუმად იდგნენ. აღარ იცოდნენ რა ექნათ. ქალი დედა იყო და გრძნობების გამომჟღავნებას ვერ უშლიდნენ, არადა, ეს უკანასკნელი არც ლაპარაკს აცლიდა ვინმეს და არც აზრის გამოთქმას.

უცებ სახლის კარი გაიღო და თამუნია გამოვიდა. სიჩუმე ჩამოვარდა. გოგო ცოტა ხანს შეჩერდა ზღურბლზე და მერე ნელი და მტკიცე ნაბიჯით წამოვიდა დედისაკენ.

— დედა! — თქვა მბრძანებლურად.

— თამუნია, შვილო, რა გინდა აქ? ვინ მომტაცა შენი თავი, ვინ? მოდი ჩემთან, უნდა წაგიყვანო აქედან! არ გიშვებენ, ხომ?

— კაი, დედა ერთი! ვინ მომიტაცებდა, მე წამოვყევი თვითონ...

ამის გაგონებაზე ყველანი ერთხმად ალაპარაკდნენ. ბონდომ ველარ გაარჩია, ვინ რას ამბობდა. თამუნიამ ატირებულ დედას ხელი მოხვია და სახლში შეიყვანა. კაცებიც მიჰყვნენ.

ბონდო გაუნძრევლად იჯდა. არ იცოდა, რა გაეკეთებინა. უფულოდ წასვლა არ უნდოდა და ისევ მოცდა. ამჯობინა ყველაფერს. დაახლოებით ერთი საათი გავიდა. შებინდდა. ბონდოს მოსწყინდა უქმად ჯდომა, მანქანის კარი გამოაღო, გადმოვიდა და იქვე გაიარ-გამოიარა. უცბად ეზოდან კოწია, დიოგენი და გივი გამოვიდნენ. ბონდო გაშეშდა. პირველად გავიქცევიო, გაიფიქრა, მაგრამ ესეც ველარ მოახერხა. მერე ტანში უსიამოდ შეაჟრჟოლა და ცივმა ოფლმა დაასხა.

კოწიამ შორიდანვე მხიარულად დაუქნია ხელი. „რა ვქნა?“, თავში ისევ ეს კითხვა დაუტრიალდა ბონდოს, მაგრამ პასუხი არ ჩანდა. ამასობაში დიოგენა ახლოს მივიდა, ბონდოსკენ ნაბიჯი გადადგა და დაჟინებით დააკვირდა:

— ბონდო არა ხარ, ბოშო, შენ?

ბონდომ უხმოდ დაუქნია თავი და საცოდავად გაუღიმა.

— საიდან გაჩნდი აქ, შე კაცო?

— შენც იცნობ, დიოგენ ბატონო? ამისი ტაქსით მოვედით ჩვენ! — უდარდელად თქვა კოწიამ.

— ტაქსით? კი მარა...

ბონდო გამშრალი იდგა. დიოგენისათვის თვალი ვერ გაესწორებინა და მახეში გაბმულივით გრძნობდა თავს. კოწიას ამათი ვერაფერი გაეგო და გაოცებული ხან ერთს გადახედავდა, ხან მეორეს.

ბონდო ნელა მიჰყვებოდა გზას ახალსოფლიდან ქალაქისაკენ. დაღლილი იყო და ძილიც ეკიდებოდა.

...პირველად დიოგენი, ცოტა არ იყოს, დაიბნა, გივის გუშინდელი „ოსტატი“ დღეს ტაქსის შოფრის როლში რომ მოევლინა, მაგრამ მალე გაერკვა სიტუაციაში და ისედაც უხერხულ მდგომარეობაში ჩავარდნილ ბონდოს აღარაფერი ჰკითხა. მხოლოდ ეს იყო, რომ

ხაზგასმული შინაურულობით ჩამოართვა ხელი, თვალი ჩაუკრა და ეშმაკური ღიმილით უთხრა:

— არა უშავს, ბიძია, რა მოხდა მერე. იცვლის ხალხი პროფესიებს. აპა, რავა!

შემდეგ კი არაფრით არ მოეშვა და სახლში თითქმის ძალისძალათი შეიყვანა.

ოთახში ახლად დამოყვრებულების გარდა, დიოგენის მოკეთე-მეზობლებსაც მოეყარათ თავი. მხოლოდ თამუნია და დედამისი არ ჩანდნენ, ეტყობა, ცალკე ოთახში განმარტოებულიყვნენ. მძახლები უკვე თითქმის შერიგებოდნენ ერთმანეთს, მაგრამ უშუალო საუბარს ჯერაც ვერ ახერხებდნენ. ისხდნენ, კანტიკუნტად თუ იტყოდნენ რამეს და უხერხულად იშმუშნებოდნენ. ბონდოს მოულოდნელმა გამოჩენამ ყველასათვის სასურველი გამოცოცხლება გამოიწვია. მერე, როცა მისი ეშმაკობაც მხიარულად გაამჟღავნა ოჯახის უფროსმა, ყველამ ბევრი იცინა. შეიძლება ითქვას, ამ ამბავს იმაზე მეტი ყურადღება დაუთმეს, ვიდრე ეკუთვნოდა და სიცილიც აშკარად გადაჭარბებული იყო. მაგრამ სხვანაირად ვერც იქნებოდა, რადგან ბონდოს თავგადასავალმა მათი უხერხულობა გაფანტა და სალაპარაკოდ ორივე მხარისათვის უხიფათო თემაც აპოვნინათ. საბოლოოდ ბონდო ერთხმად იქნა აღიარებული კეთილ, ჰუმანურ კაცად და იმდენი აქეს, რომ გუნებაზეც მოიყვანეს.

სახელდახელოდ გაშლილ სუფრაზე პირველი ჭიქა დიოგენმა ასწია. ოჯახის გაბედნიერების სადღეგრძელო შესვა და ალავერდი თამუნიას მამასთან გადავიდა, რომელიც ჯერ კიდევ თავშეკავებით იჯდა და წარბს არ ხსნიდა, თუმცა სასმისი მაინც ბოლომდე დალია და თავის მხრივაც ვიღაცას გადაულოცა. რამდენიმე ჭიქის შემდეგ სუფრის წევრებს ნელ-ნელა სითამამე მოემატათ და ყველანი თანდათან გამხიარულდნენ.

ბონდომ ისევ მოიწყინა. იჯდა თავისთვის, უსმენდა გაჭიანურებულ სადღეგრძელოებს და მოუსვენრად წრიალებდა. „კი, მარა როდემდე გაგრძელდება? ესენი მგონი, ახლაც არ აპირებენ ფულის მოცემას!“ ფიქრობდა ის. მერე, წავალო გადაწყვიტა, მაგრამ ასე უცბად წამოხტომა და გაქცევაც ეუხერხულა. უფრო შესაფერის მომენტს დაუწყო ლოდინი. ამ ყოყმანში იყო, რომ მოულოდნელად თავის სახელს მოჰკრა ყური. დიოგენი ფეხზე წამომდგარიყო და ბონდოს, როგორც თამუნიასა და გივის გაბედნიერებაში უანგარო ხელისშემწყობის, სადღეგრძელოს სვამდა.

— შენ, ბონდო, არ გეწყინოს, ბიძია, აქ რაღაცას რომ გეხუმრებიან, — თქვა მან. — ძალიან ეშმაკურად კი გამოგივიდა ყველაფერი, მარა, მე რომ შენზე სიმართლე გავიგე, იმის შემდეგ უფრო გაფასებ! რატომო, შეიძლება გაგიკვირდეს, ხომ! იმიტომ, ჩემო ბატონო, შენ რომ მართლა ოსტატი ყოფილიყავი, ცოტათი მოვალე მაინც იქნებოდი ჩემს ბიჭზე გეზრუნა, მარა სულ უცხოსათვის ამხელა დახმარების გაწევა ყველას კი არ შეუძლია! კეთილი გული გქონია, ბიძია, უფულოდ ვინ მიგიყვანს და მოგიყვანს ახლა, ისიც ამისთანა საშარო საქმეში? იხარე, ჩემო ბონდო, სადაც არ უნდა წასულიყავი, სიკეთე დაგეთესოს და მოგემკოს ყველგან!

— გაუმარჯოს!

— ბონდო იცოცხლე!

— კაცურ კაცს ვადღეგრძელებ!

ახმაურდნენ უკვე შეზარხოშებული სუფრის წევრები, რომლებსაც ღვინის გავლენით ბონდო უაღრესად რომანტიკულ პიროვნებად ეჩვენებოდათ და ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ მისი სადღეგრძელოს უფრო ლამაზად წარმოთქმაში.

ბონდოს, საერთოდ, დიდ ბედნიერებად მიაჩნდა საყოველთაო ყურადღების დამსახურება, მაგრამ, უნდა ითქვას, რომ ამ მხრივ იშვიათად უმართლებდა. ახლა კი, ასეთი აღიარების შემდეგ საბოლოოდ აიღო ხელი ადრიანად წასვლაზე და უხერხულობის გრძნობაც გაუქრა. მისი სადღეგრძელოს ჩამოთა-

ვების შემდეგ გვარიანად გამხიარულდა და სამადლობელიც ღირსეულად მოიხადა. მერე, როცა სუფრასთან ხალხი ახმაურდა და ზოგიერთმა წამოიმღერა კიდეც, ბონდომ გიტარა მოითხოვა და საკმაოდ სასიამოვნოდ შეასრულა პოპულარული სიმღერა, რითაც სტუმარ-მასპინძლის კიდევ უფრო მეტი მოწონება დაიმსახურა.

ქეიფის ეშხში შესულ ბონდოს, რა თქმა უნდა, არც ის დარჩენია საწყენად, როცა მის გვერდით მჯდომმა კოწიამ სხვების შეუმჩნევლად გასამრჯელო ჩაუცურა ჯიბეში. მართალია არ დაუთვლია, მაგრამ თვალის ერთი შევლებითაც მიხვდა, ფული შეპირებულ ოცდაათ მანეთზე მეტი რომ იყო.

ცოტა კიდევ რომ დალია, ბონდომ თამუნიასაკენ ცქერას მოუხშირა. გოგო მის მოპირდაპირედ იჯდა და ხანდახან, განსაკუთრებით მაშინ, როცა ბონდო მღეროდა, ღიმილით იხედებოდა მისკენ. „მოვწონვარ მგონი მე ამას! აპა რას მიცინის ასე?“ — ფიქრობდა ბონდო და ვერ ხვდებოდა, პირიქით რომ იყო. თვითონ მას მოსწონდა თამუნია და გოგოს ჩვეულებრივ ქცევას, რომელსაც სხვა დროს, ალბათ, ყურადღებას არც კი მიაქცევდა, ახლა განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებდა. ისეთ გუნებაზე იყო, სასურველს რეალობად იღებდა და ყველაფერს თავის სასარგებლო ახსნას უძებნიდა. ახლა უკვე ენანებოდა თამუნიას გამეტება გივისათვის. „სადა აქვთ ამ გოგოებს ჭკუა? — ფიქრობდა გულდაწყვეტილი. — რამ მოაწონა მაინცადამაინც ეს გივი, როცა კაი ბიჭებით სავსეა ჩვენი ქალაქი!“ ბონდო „კაი ბიჭებში“ აშკარად არა, მაგრამ ქვეშეცნეულად, რა თქმა უნდა, საკუთარ თავსაც გულისხმობდა, მიუხედავად იმისა, რომ ცოლიც ჰყავდა და შვილებიც.

ქალების განურჩევლობისა და დაუფიქრებელი ხასიათის გამო ბონდო ნელ-ნელა სევდიან გუნებაზე დადგა. მისი წასვლის დრო რომ მოვიდა, ისეთი შეგრძნება დაეუფლა, თითქოს ვიღაც ძვირფასსსა და ახლობელს ტოვებდა აქ. ახმაურებულ სუფრის წევრებს ფა[illegible] კავებული, ოდნავ ნაღვლიანი ღიმილით გამოეთხოვა და მასპინძლების თანხლებით ეზოში გავიდა. დიოგენი რაღაცას ელარაკებოდა ქორწილის შესახებ, აუცილებლად ჩამოდიო, ანამუსებდა, მაგრამ ბონდო არ უსმენდა. ჭიშკართან ყველასათვის მოულოდნელად დაიხარა, თამუნიას ხელი დაუჭირა და ზედ ძველი არისტოკრატივით ნაზად ეამბორა. გოგო ისე დაიბნა, განძრევაც კი ვერ მოახერხა. ბონდომ ერთხელ კიდევ ჩახედა თვალებში ომში მიმავალი კაცის მზერით, მერე დიოგენს და გივის თავის დაკვრით გამოემშვიდობა და მანქანისკენ წავიდა.

გზაზე ნელა მიმავალი ბონდო თანდათან შედიოდა როლში, თითქოს საკუთარ თავს გამოეყო და შორიდან უცქეროდა მთელ ამ სცენას.

„მიდის ამაყად და მოხდენილად ვაჟკაცი კაცი ლამაზი ქალისაგან, ვიზედაც უარი იმიტომ თქვა, რომ პატიოსანია... ქარი პირსახეში ხვდება და თმას უწეწავს, გეგონება, მისი გაშვება არ უნდა, მარა ის მაინც მიდის...“ ფიქრობდა ბონდო და რაღაც უჩვეულო, ამაღლებულ გუნებაზე დგებოდა. გაუთვითცნობიერებლად ცდილობდა თავი ისე დაეჭირა, როგორც ტელევიზორში ნანახი ფილმების გმირები იქცეოდნენ ასეთ სიტუაციებში.

ამასობაში მანქანასთან მივიდა, კარი გამოაღო, ჩაჯდა და ფიქრი გააგრძელა:

„აი უკვე მანქანაში ზის. ხელები უკანკალებს, გასაღები ვერ მოურგია... ბოლოს ერთხელ კიდევ მიიხედა იქით, სადაც „ის“ დარჩა...“ — და ბონდომ მისივე სცენარის თანახმად, ის იყო თავი მიაბრუნა, რომ მოულოდნელად მანქანის კარი დიოგენმა გააღო. ბონდო უსიამოვნოდ გამოერკვა. „რაღა უნდა?“ — გაიფიქრა შეცბუნებულმა.

— ბონდო, ბიძია, ჩემი მოყვრისათ-

ვის ხომ არ გამოგირთმევია ფული? — დაბალი ხმით ჰკითხა დიოგენმა.

ბონდო გაისუსა. „რას აპირებს?“ — გაუელვა თავში. მერე გაახსენდა, გასამრჯელო კოწიამ სხვებისათვის შეუმჩნევლად რომ ჩაუდო ჯიბეში.

— არა, ბატონო! — ისე უპასუხა, თვალიც არ დაუხამხამებია.

— მერე სად მიდიხარ, შე კაცო? მართალია, ოქრო გულის პატრონი კი ყოფილხარ, მარა, ეს მანქანა ბიძია, სახელმწიფოსია და შენს ნებაზე ვინ გარონიებს? ა, ორმოცდაათი მანეთია აგერ და ჩეიდევი ჯიბეში!

— არა, დიოგენ ბატონო, არა! ფულის ამღები ვარ შენგან?

— კაი, ბიძია, მაგაზე აღარ თქვა არაფერი! — დიოგენმა ფული კალთაში ჩაუგდო, მშვიდობით მგზავრობა უსურვა და კარი მიუხურა. ტაქსი ნელა დაიძრა ადგილიდან.

ბონდომ სიჩქარეს მოუმატა, საზურგეზე არხეინად გადაწვა და გაიღიმა. საფერავით შებრუებულ თავში სასიამოვნო ფიქრები ეშლებოდა.

„არა, ნამდვილად კარგ ფეხზე ავდექი დღეს, ხომ იცი! უუ, რა გოგოა თამუნია! რაფერ გამოვიდა სახლიდან შეხედე? ნაღდად მაგის შეცდენილია ის საწყალი გივი. აფსუს, ვის ხელშივარდებიან თავისი ნებით ეს ანგელოზივით გოგოები!“

საფერავშერეული სისხლი ტკბილად ჩუხჩუხებდა ძარღვებში და ბონდოს აზრებს უბუნდოვანებდა. მერე თანდათან სითბო მოაწვა თვალებთან და, რატომღაც მანქანის ფარებით განათებული სივრცე გაიცრიცა. ნელ-ნელა შეუმჩნევლად გაქრა სადღაც. ნელ-ნელა მოეხუჭა ქუთუთოები და ის იყო, თამუნიაც დაინახა...

გოგო ამაყად თავაწეული გამოვიდა სახლიდან ჭიშკართან მდგარ გივის ერთი კი გახედა და ბონდოსკენ წამოვიდა აჩქარებული ნაბიჯით. ახლოს რომ მივიდა, ბონდომ დაინახა, რომ ეს თამუნია კი არა, ნუნუ იყო. ოღონდ გოგო ახლა თბილად იღიმებოდა და კაცს რაღაც გამოუცნობი იმედი ჩაესახა.

— სად იყავი აქამდე, ბონდო, რატომ ვერ გაბედე ჩემი მოტაცება? — ჩურჩულით უთხრა ქალმა და სახე ახლოს მიუტანა.

— რა ვიცი, ვერ გაგიბედე, ნუნუ... მე მეგონა...

— ცოტა მშიშარა ყოფილხარ, ბონდო!

— არა ვარ, ნუნუ, მშიშარა! მე მეგონა, არ გიყვარდი და იმიტომ...

— მერე ვინ გითხრა, რომ მიყვარხარ? — დამცინავად ჩაიღიმა გოგომ, მიტრიალდა, ბონდი გადაიარა და წავიდა.

— სად მიდიხარ, ნუნუ, მოიცა ცოტა ხანს... რაფერ გავძლებ მე აწი უშენოდ? მართლა მიყვარხარ ძალიან, ნუნუ!..

ამ დროს მოულოდნელი მსხვრევის ხმა და ჭახანი მოესმა თუ იგრძნო, ვერ გაარჩია. იმავე წამს საჭე ცოცხალივით ამოუსხლტა ხელიდან და მკერდში ეტაკა. შუბლშიც თითქოს რაღაც მძიმე საგანი ჩაარტყეს...

ბონდო ბაღდავაძე აღარ არსებობდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

წერილები

გურამ ასათიანი

სათავეებთან

კარი მეორე

ქართული სულის ესთეტიკური ბუნებისათვის

„ქართული სულის“ თავისებურებათა კვლევისას ორი ასპექტია გასარჩევი:

I — როგორ აისახა ჩვენი ეროვნული ხასიათი მხატვრულ შემოქმედებაში (ფოლკლორში და მწერლობაში), რა ცნობები დაგვიტოვეს მის შესახებ საქართველოს მემატიანეებმა და ზნეთაალმწერლებმა.

II — როგორ გამოვლინდა ეს „სული“ ესთეტიკურად, როგორი მხატვრული ფორმები მთილო მან, კერძოდ, ჩვენს სიტყვაკაზმულ მწერლობაში.

აქამდე ჩვენ ძირითადად საკითხის პირველ მხარეზე გვქონდა გამახვილებული ყურადღება, თუმცა მეორესაც არაერთგზის შევეხეთ. ახლა დროა უკანასკნელის საგანგებოდ განხილვისა.

ისევ სათავეებს მივმართოთ.

მ. ბახტინი, რომელმაც შედარებით მოკლე დროის მანძილზე მთელი მიმდინარეობა შექმნა საბჭოთა ლიტერატურისმცოდნეობაში, სიცოცხლის უკანასკნელ წლებში განსაკუთრებით ინტენსიურად მუშაობდა ევროპული აღორძინების ფუნდამენტურ პრობლემებზე.

თავისი ცნობილი წიგნის „ფრანსუა რაბლე და შუასაუკუნეებისა და რენესანსის ხალხური კულტურა“ ესთეტიკურ კონცეფციას მან საფუძვლად დაუდო, კერძოდ, ფრანგი ისტორიკოსის ჟ. მიშლეს მოსაზრება იმის თაობაზე, რომ „აღორძინების ხანის მხატვარი ჩვეულებრივ, ხალხური სტიქიიდან კრეფს სიბრძნეს“, ხოლო ყველგან, „სადაც ჯერ კიდევ ვერ პოულობს, თვითონვე წინასწარმეტყველებს, გვპირდება, მიმართულებას გვაძლევს“ და, რომ „სწორედ ამაში იხსნება მთელი თავისი სიდიადით საუკუნის გენია და წინასწარმჭვრეტი ძალისხმევა“.

უნდა ითქვას, რომ ეს რენესანსული მიდრეკილება დიდად დამახასიათებელია რუსთაველის საუკუნის ქართველ ხელოვანთათვის. მაგრამ უფრო ნიშანდობლივია ის გარემოება, რომ ჩვენი ორიგინალური სასულიერო მწერლობაც, განსაკუთრებით პროზა, მთლიანად არ უარყოფს ხალხის „სტიქიურ“ სიბრძნეს, არამც და არამც არ იჩენს კონფესიურ ზიზღს ან ქედმაღლობას ამ სტიქიისადმი, პირიქით, ძალიან ხშირად ეწაფება მის ამოუწურავ სიმდიდრეებს, პირველ რიგში, ხალხური ენის მდიდარ ხატოვანებას, ხოლო ისეთი კლასიკური ნიმუში ამ მწერლობისა, როგორიც მერჩულეს „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებაა“, დღემდე გვანცვიფრებს კლერიკალურ-წოდებრივი ცრურწმენებით შეუზღუდველი, ფართო დემოკრატიული თვალსაწიერით.

რაც შეეხება „დაპირებას“ და „წინასწარმეტყველებას“ (იქ სადაც, მხატვარს არ შეუძლია თვით სინამდვილიდან აიღოს მშვენიერების მზა ნიმუშები), ასეთი მიდრეკილება მყარ ტრადიციად მოსდევს ჩვენს მწერლობას ჯერ კიდევ შუასაუკუნეების ჰიმნოგრაფიული პოეზიიდან. ეს ტრადიცია არა თუ არ შენელებულა საუკუ-

დასასრული. დასაწყისი იხ. „ცისკარი“ № 5, 6.

ნების მანძილზე, სულ უფრო ძლიერდებოდა და ფართოვდებოდა მთელი რიგი ობიექტური მიზეზების ზემოქმედებითაც. საჭიროა ოღონდ შევნიშნოთ, რომ „დაპირებანი“ იცვლიდნენ თავიანთ შინაარსს: იმას, რაც საეკლესიო მწერლობას იმიერ ქვეყანაში ეგულებოდა, საერო ლიტერატურა ცხოვრებაშივე ეძებდა, მოვლენათა რეალურ მსვლელობაში ცდილობდა შეენიშნა, წინასწარ განეჭვრიტა, ან ადამიანის გონებისა და შემოქმედი ნება-სურვილის დაუშრეტელ შესაძლებლობებში აღმოეჩინა.

„დაპირების“ პათოსი დამახასიათებელი თვისება იყო თვით ჩვენი ეროვნული ცხოვრებისა მისი განვითარების ყველაზე ტრაგიკულ მომენტებში და შემთხვევითი არ არის, რომ ჩვენი XIX საუკუნის მწერლები სამომავლოდ შთამაგონებელი, წინასწარმეტყველური სახეების შესაქმნელად ასე ხშირად მიმართავენ წარსულის სულიერ რეალიებს.

ცხოვრებისეული მასალის მიმართ ჰუმანისტური, რენესანსული დამოკიდებულების კიდევ უფრო მნიშვნელოვან ნიშან-თვისებად (რის ჩანასახობრივ ფორმებსაც მ. ბახტინი შუასაუკუნეებშიც შენიშნავს) მიჩნეულია განსაკუთრებული გულისყური ქმნადობის (აღმოცენების, ჩამოყალიბების) პროცესისადმი — სახელდობრ, ისეთი ხილვა და წარმოსახვა საგნისა „როდესაც ამა თუ იმ ფორმაში მოცემულია (ან მინიშნებულია) ცვლილების ორივე პოლუსი — ძველი და ახალი, მომაკვდავი და აღმოცენებადი, მეტამორფოზის დასაწყისიც და დასასრულიც“.*

ცხოვრების მიმართ ჰუმანისტური ინტერესის ამგვარმა დეტერმინირებამ ქართველი მკითხველის მეხსიერებაში, შესაძლოა, ბუნებრივად გამოიწვიოს ბავშვობიდან ჩაბეჭდილი სტრიქონები:

რა ვარდმან მისი ყვავილი
გაახმოს, დაამჭკნაროსა,
იგი წავა და სხვა მოვა
ტურფასა საბაღნაროსა...

რომ არაფერი ვთქვათ თვით რუსთაველის პოემაზე, სადაც ობიექტური და სუბიექტური მოვლენები ძალიან ხშირად სწორედ ქმნადობის — ერთმანეთში გადასვლის მომენტში წარმოისახება, ან უფრო გვიანდელ ლიტერატურულ ნიმუშებზე, მაგალითად, დავით გურამიშვილის მიერ უაღრესი ექსპრესიით განცდილ და გამოხატულ სიკვდილ-სიცოცხლის წინააღმდეგობრივ მთლიანობაზე, ან ნიკოლოზ ბარათაშვილის ლირიკულ ხილვებზე, რომელთა მნიშვნელოვანი ნაწილი სწორედ „დაუმთავრებელ, ამჟამად მიმდინარე მეტამორფოზის“ შეგრძნებას გვიქმნის, აუცილებელია აღინიშნოს, რომ თვით ის ნაწარმოები, რომლის 1500 წლისთავი მთელი ქართული მწერლობის იუბილედ იქცა, თავისი შინაარსით სწორედ ცვალებადი, მუდმივი მოძრაობისა და განახლების პროცესში მყოფი სამყაროს გამოვლენათა მხატვრული ფიქსაციის თავისებურად კლასიკური ნიმუშია.

იაკობ ხუცესის ყურადღების მთავარი საგანი სწორედ ის კრიზისული მომენტია ერის ცხოვრებაში, როდესაც ეპოქალური გარდატეხა (როგორც სოციალურ-სარწმუნოებრივი, ასევე ზნეობრივ-ფსიქოლოგიური მიმართულებით) ძალთა უმძაფრეს პოლარიზაციას იწვევს ამ სინამდვილის ერთ კონკრეტულ უჯრედში — ვარსქენ პიტიახშის ტრაგიკულად აწეწილ ოჯახში. ეს ორგანიზმი უკვე განწირულია დასარღვევად, მაგრამ იაკობ ხუცესის მოთხრობაში სწორედ ის მომენტია ფიქსირებული, როდესაც ის ჯერ კიდევ წინააღმდეგობრივ, ორპოლუსოვან მთლიანობად წარმოგვიდგება.

ევოლუციური რიგის მოვლენათადმი ესოდენ გამახვილებული ინტერესი მხოლოდ „შუშანიკის წამებაში“ როდი შეინიშნება; ერთი მდგომარეობიდან მეორეში გადასვლის, სინამდვილის თვისობრივ სახეცვლილებათა ასახვის თვალსაზრისით არანაკლებ საგულისხმოა აგრეთვე „გრიგოლ ხანძთელის“ შინაარსი. ავტორის ყურადღების ცენტრში აქაც იმ ახალი ცხოვრების, იმ სამომავლო, აქტიური წარმონაქმნის აღმოცენება დგას, რომელიც თავის სასიცოცხლო გზას სულიერად დრომოჭმულ, გაქვავებულ (ავტორის თვალსაზრისით) ძალებთან უშუალო ორთაბრძოლით იკაფავს.

რისი მანიშნებელია ყოველივე ეს?

ნუ ავჩქარდებით.

ქართული მწერლობის ესთეტიკური სუბსტრატის დასადგენად აუცილებელია მისი მონაცემების განხილვა და გააზრება ჩვენი კულტურის მთლიან კომპლექსში.

ყოველ სულიერად განვითარებულ ერს აქვს მხატვრული თვითგამოხატვის თავისი, განსაკუთრებული ხერხი ანუ ფორმა, რის საფუძველზეც განისაზღვრება არა მხოლოდ მისი მაღალი, მარადი, გარდუვალი ყოფიერების თავისებურება, არამედ მისი ყოველდღიური ცხოვრების, ყოფის უწვრილმანესი თვისებებიც.

სწორედ ეს გარემოება ჰქონდა მხედველობაში, კერძოდ, ბორის პასტერნაკს, როდესაც მან მიზნად დაისახა ჩაწვდომოდა „საქართვე-

* მართალია, ამ შემთხვევაში მ. ბახტინს მხედველობაში აქვს რაბლეს გროტესკული სახეები, მაგრამ მისი შეხედულება, შეიძლება ეპოქის ლიტერატურულ ძეგლთა უფრო ფართო წრეზეც გავრცელდეს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლოს, როგორც ფორმას“, ანუ როგორც ესთეტიკურ ფენომენს.*

სად არის საძიებელი საიდუმლო ამ მუდამ ცვალებადი, მოძრავი, მაგრამ სიღრმეში, საყრდენთა საყრდენში მაინც თავისთავადი „ფორმისა?“

ამის შესახებ ბევრი ყურადსაღები აზრია გამოთქმული, რომელთა შორის ჩვენს განსაკუთრებულ ინტერესს უკანასკნელი დროის ძიებები და ჰიპოთეზები იწვევენ.

ჩვენგან ახლახან წასული შესანიშნავი მხატვარი სერგო ქობულაძე თავისი ცხოვრების უკანასკნელ ორ ათეულ წელიწადს ინტენსიურად მუშაობდა ქართული სახვითი ხელოვნების (განსაკუთრებით ხუროთმოძღვრების) შინაგან კანონზომიერებათა დასადგენად. შუასაუკუნეობრივი არქიტექტურის ფართო კომპაქტიულმა შესწავლამ (სკრუპულოზურმა დაკვირვებებმა, ურთულესმა გამოთვლებმა) ის მიიყვანა ფუძემდებლურ აზრამდე, რომ იმდროინდელი ჩვენი ეროვნული ძეგლების უმნიშვნელოვანეს ნაწილს საფუძვლად უდევს ეგრეთწოდებული „ოქროს კვეთის“ პრინციპი.

სიმპტომატიურია ერთი დამთხვევა: ჩვენი დროის ერთ-ერთმა უდიდესმა ორიენტალისტმა, აწ განსვენებულმა აკადემიკოსმა გიორგი წერეთელმა (ასევე თავისი ცხოვრების უკანასკნელ წლებში, „შეჯამების ჟამს“) ამავე სტრუქტურის ელემენტები შენიშნა ქართული კლასიკური პოეზიის ვერსიფიკაციულ წყობაში. მისი დაკვირვებით, ვეფხისტყაოსნის სტროფების ნახევარზე მეტს სწორედ ეს პრინციპი უდევს საფუძვლად.

უნდა აღინიშნოს, რომ ს. ქობულაძე და გ. წერეთელი განსხვავებული აზრისა იყვნენ „ოქროს კვეთის“ (ანუ „ღვთაებრივი პროპორციის“ მთავარი ატრიბუტის) წარმომავლობის შესახებ.* მათი განმსჯელის როლში გამოსვლა პირადად მე გაუმართლებელ კადნიერებად ჩამეთვლებოდა. ამის გამო მხოლოდ ორ არასადავო გარემოებაზე შევაჩერებ მკითხველის ყურადღებას.

1) აღორძინების ხანაში „ოქროს კვეთის“ იდეის მაუწყებლად სპეციალისტები ლეონარდო და ვინჩის აღიარებენ, ხოლო „ღვთაებრივი პროპორციისადმი“ მიძღვნილი ტრაქტატის ავტორია ლეონარდოსავე მეგობარი, ცნობილი იტალიელი მათემატიკოსი ლუკა პაჩოლი.

2) ამ პროპორციის მრავალრიცხოვან სპეციფიურ თავისებურებათა შორის უმთავრესია ერთი ნიშანი: ეს „ღვთაებრივად“ მონათლული პრინციპი სინამდვილეში წარმოადგენს ადამიანისთვის ყველაზე ახლობელი პროპორციების უკუფენას სახვით ხელოვნებაში (კერძოდ, არქიტექტურაში), ანუ ადამიანური საწყისის ტრანსპლანტაციას მხატვრული ნაწარმოების სტრუქტურაში.

ყოველივე ზემოთქმულის შუქზე ძნელი აღარ უნდა იყოს იმის გაგება, თუ რატომ აღძრავენ ჩვენში თავისი იერით ძველი საქართველოს საკულტო ნაგებობანი (მათი ყველაზე ეროვნული, კლასიკური ნიმუშები) არა ღვთისმოშიშ განწყობილებას, არა ულმობელი (ეგვიპტური) სწორხაზოვნებით მოგვრილ ელდას ან, პირიქით, მორჩილად ჩარგვალებულ კონტურების დამაშოშმინებელ ნეტარგანწყობას, არც პირქუში სიდიადის, არც მძიმე მასისმიერი, უძრავმდებარე წონადობის ან, პირიქით, ყოველგვარი ხორციელებისგან გათავისუფლების, სრული უწონობის შეგრძნებას, არამედ თავისი შინაარსით უფრო ადამიანურ განცდას, რაც თან ახლავს ბუნებასთან ბედნიერი კავშირის დამყარების, მისი ჩანაფიქრის ჰარმონიული, ბუნებრივი განვითარებისა და სრულქმნის ილუზიას.

თითქმის ყველა ეს ჩვენამდე სასწაულით მოღწეული ტაძრები, აქამდე რომ უალერსებენ ადამიანის თვალს და სულს (არა ძრწოლვის მომგვრელის, გაუგებარის, არამედ, რაღაც იდუმალ-მშობლიურის მოახლოვებით) თითქოს იმასაც გვაუწყებენ, რომ ჩვენს, ადამიანურ ხელებს უფლება აქვთ და ძალაც შესწევთ სრულჰყონ ბუნების სახე, ოღონდ ისე, რომ მის ფარულ ზრახვებს არ უღალატონ, ძალდატანებით არ შელახონ მისი პირველქმნილი არსი.

ქართული ხუროთმოძღვრების ერთი მთავარი ნიშანი — მიწასთან (ბუნების წიაღთან) გაგანუყოფლობა — ნივთიერი გამოხატულებაა ქართული სულის ღრმა ნდობისა ბუნების მიმართ, რომელიც, მისი თვალსაზრისით, თავად შეიცავს მშვენიერებისა და სიკეთის საწყისებს. მაგრამ ამავე დროს თავისი სტრუქტურით ის მკვეთრად განსხვავდება არა მხოლოდ უცხო და შორეულ, არამედ მომიჯნავე (ყველაზე ახლობელ) ფორმისგანაც. ვინაიდან მისი „ბუნებისგან განუყოფლობა“ არ ნიშნავს ნიადაგთან ჩაკვრას, ჩაბჯენას, წიაღთა მიზიდულობით ჩამკვრივებას; პირიქით, მიწიდან დაძრული მასა უნდა ამაღლდეს, წამოიმართოს, ფრთები შეისხას, ცის კაბადონს უნდა შეუდგეს ცხოველსვეტად, შემაერთებელ ხიდად უნდა იქცეს ორ სამყაროს შორის, ოღონდ ისე, რომ არც მეორე უკიდურესობად, ნიადაგსმოწყვეტილ, დედამიწისგან განტოლვილ, გაუცხოებულ, ხორცდაკარგულ გოთიკად არ იქცეს.

აქაც თითქოს ადამიანის მოძრაობაა განმეორებული, უფრო ზუსტად, ადამიანის რენესან-

* სამწუხაროდ, ამ სურვილს, რომელიც პასტერნაკმა პაოლო იაშვილს გაანდო პირად წერილში, სრული განხორციელება არ ეწერა.

* თუმცა ამის გამო მათ შორის ოფიციალურ პოლემიკას არ ჰქონია ადგილი.

სული იდეალის მიზანსწრაფვა, რასაც მისი (ადამიანისვე) ორბუნებოვანების შეგნება უდევს საფუძვლად, ანუ იმის რწმენა, რომ ადამიანი ერთდროულად მიწისაცაა და ცისაც.

ივანე ჯავახიშვილი ოცდაათიანი წლების ნაკლებად ცნობილ ნარკვევში „ადამიანი ძველ — ქართულ მწერლობასა და ცხოვრებაში“, რომელიც რამდენიმე ათეული წლით წინ უსწრებს საბჭოთა ლიტერატურისმცოდნეობაში უკანასკნელ დროს წამოწყებულ ანალოგიურ კვლევაძიებას, კერძოდ ლ. ლიხაჩევის ცნობილ ნაშრომს „ადამიანი ძველი რუსეთის მწერლობაში“, საგანგებოდ შენიშნავს, რომ შუასაუკუნეების საქართველოში „ადამიანი ითვლებოდა „საპრველად გრძნობადისა და გონებისა მეფობისად“, გრძნობისა და გონიერების სამყაროსა და ნიჭის შემაერთებლად. ეს თვისება ადამიანს თვით ღვთაების ხატებას ამსგავსებდა“.*

დიდად ნიშანდობლივია, რომ წინწკლებში მოქცეული სიტყვები ივ. ჯავახიშვილს მოტანილი აქვს დავით აღმაშენებლის „გალობანი სინანულისანი“-დან. ადამიანის დანიშნულების ამგვარი გააზრება სავსებით კანონზომიერია ქართული „ოქროს ხანის“ კარიბჭეებთან მდგარი პიროვნებისგან. „გრძნობადი“ (ჩვენს შეგრძნებებში უშუალოდ მოცემული) და „გონიერი“ (გონების თვალით მისაწვდომი) საწყისების ურთიერთშეკავშირება, მსოფლმხედველობრივი თვალსაზრისით, საგულისხმო ვარიაციაა მიწიერის (რეალურის) და ზეციურის (იდეალურის) შეერთებისა, რაც ძველი ქართული წყაროებისავე მიხედვით ადამიანის უმაღლეს მოწოდებად წარმოისახება.

ყოველივე ზემოაღნიშნული, ჩემი აზრით, საკმარისი პოსტულატია ერთი ფუნდამენტური მოსაზრებისათვის: ქართული ესთეტიკური ბუნება თავის ყველაზე მნიშვნელოვან, მხატვრულად ყველაზე სრულქმნილ გამოვლინებებში დასაბამიდანვე ამჟღავნებს განსაკუთრებულ მიდრეკილებას რენესანსული (ჰუმანისტური) იდეალებისა და თვითგამოხატვის შესაბამის ფორმებისაკენ.

გაადამიანურება მეტ-ნაკლებად დამახასიათებელი, მუდამ მოქმედი, არსებითად წარმმართველი ტენდენციაა ძველი ქართული მწერლობისა, საერთოდ ქართული ხელოვნებისა, მისი განვითარების ყველა ესთეტიკურად სრულფასოვან საფეხურზე.

ეს ტენდენცია სხვადასხვა ნაირსახეობით იჩენს თავს: ხან, როგორც რელიგიურ-მისტიურ მოტივების საერო, ჰუმანური შინაარსით დატვირთვა, ხან — თვით ადამიანის ღვთაებრივ არსებად (დემიურგად, შემოქმედად) წარმოსახვა, ხანაც (სახვით ხელოვნებაში), როგორც ამა თუ იმ მხატვრული ამოცანის საკუთრივ ადამიანურ საწყისთა მიმართ მაქსიმალურად შესატყვისი პლასტიკური გადაწყვეტა.

კიდევ ერთხელ, ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ ჰუმანისტური პრობლემატიკისადმი გამახვილებული ყურადღება, რაც ჩვენი საერო პოეზიის კლასიკურ ქმნილებათა განუყოფელი ნიშანია, გარკვევით შეიმჩნევა სასულიერო მწერლობის უმნიშვნელოვანეს ძეგლებშიც და, მიუხედავად გასაგები რეგლამენტაციისა, სულ უფრო ღრმავდება დროთა მანძილზე (საკმარისია ამ მხრივ „შუშანიკისა“ და „გრიგოლ ხანძთელის“ შედარება, რათა ნათელი გახდეს, თუ როგორ წაიწია წინ ამ ნაკადმა რამდენიმე საუკუნეში).

სწორედ დასაბამიდან მოქმედი, სიღრმისეული, მზარდი, აღმავალი ჰუმანისტური სულისკვეთება იფარავდა ჩვენი სიტყვაკაზმული მწერლობის დიდოსტატებს (საერთოდ ქართული მხატვრული აზროვნების განვითარების მთავარ გეზს), როგორც ორთოდოქსული ქრისტიანობის უაღრესობათაგან, რაც ყოველივე „ხორციელის“ (მატერიალური გაფორმების, განსხეულების) მიმართ დაუთმობელ ზიზღში უნდა გადაზრდილიყო, ასევე მეორე უკიდურესობისაგან, რაც ფორმის (გარეგანი იერის) აღმოსავლურ კულტთან იყო დაკავშირებული.

დამახასიათებელია, რომ ჩვენს პოეზიაში ამ ორი უკიდურესი ტენდენციის მომძლავრება, როგორც წესი, მხოლოდ მისი განვითარების კრიზისულ მომენტებში, ან უბრალოდ დაცემის, დაკნინების პერიოდებში შეინიშნებოდა ხოლმე.

როგორც ხედავთ, ქართული სულის ესთეტიკურმა განხილვამაც (ისევე როგორც ქართული ხასიათის ანალიზმა) მეტად სადა დასკვნამდე მიგვიყვანა. ბოლოს და ბოლოს აქაც იგივე დავადგინეთ: რომ მისი მთავარი, არსისმიერი თვისება ადამიანურობაა.

ასეთი მარტივი მოსაზრება, შესაძლოა, დამაღონებელი აღმოჩნდეს მკითხველთა ერთი ნაწილისთვის, მათთვის, ვინც ამ ხასიათშიც და ბუნებაშიც უწინარეს ყოვლისა განმასხვავებელ კოლორიტს ეძებს.

პირადად მე ასეთ სევდას არ ვგრძნობ. პირიქით, „ადამიანურობა“ მისი მაღალი გაგებით არცთუ ხშირი მოვლენაა კაცობრიობის სულიერი ევოლუციის მრავალათასწლოვან გზაზე. უფრო მეტიც: მთელი რიგი ეპოქების ხელოვნება სწორედ ამ საწყისის უკანა პლანზე გადატანის, ან სულაც ჩახშობის ნიშნითაა აღბეჭდილი.

„ადამიანურობის“ შეზღუდვა გამჭოლ მოქმედებად გასდევს კაცობრიობის ხანგრძლივ სულიერ დრამას. მხოლოდ „რჩეული“, გარკვეულ შემოქმედებით დონეს მიღწეული ეს-

* ივ. ჯავახიშვილი, ქართული ენისა და მწერლობის საკითხები, 1956, გვ. 133.

თეტიკური ცნობიერება აჩერხებს ამ შეზღუდვისა და ცალმხრივობის ხუნდებისგან გათავისუფლებას, რათა ჰარმონიულად განვითარებული, სრულქმნილი არსების მშვენიერი სახე იხილოს.

როგორც ადრეც აღვნიშნეთ, ყველა დიდგზაგამოვლილ ეროვნულ კულტურას აქვს თავისი ზენიტის საათი. ქართველი ხალხის ესთეტიკურ განვითარებაში ეს ჯერ-ჯერობით რუსთაველის ჟამია. ბუნებრივია ამის გამო, რომ სწორედ ვეფხისტყაოსანი წარმოადგენს იმ ქმნილებას, რომელშიც კლასიკური სისრულით გამოვლინდა ქართველი ხალხის შემოქმედი ბუნების თავისებურება, არა მხოლოდ ეპოქის მიერ განსაზღვრულ კონკრეტულ, ისტორიულ სამოსელში, არამედ გაცილებით უფრო ხანგრძლივმოქმედი „ონთოლოგიური“ ასპექტითაც.

ჩანართი VII

ვეფხისტყაოსანი და ქართული კლასიკური პოეტიკა

რუსთაველის პოემა ისეთი რანგის ნაწარმოებია, რომელმაც ბიძგი უნდა მისცეს ლიტერატორთა მთელი თაობების შეერთებულ შრომას, ისევე, როგორც ინგლისში შექსპირის დრამატურგიამ, ან გერმანიაში გოეთეს და შილერის მემკვიდრეობამ აუცილებელი გახადა ლიტერატურის თეორეტიკოსთა და მკვლევართა მთელი სკოლების აღმოცენება.

უპირველეს ყოვლისა, დასაზუსტებელია ის კრიტერიუმები, ესთეტიკური შეფასების ის შესატყვისი მასშტაბი, რის გარეშეც ყოველი განზომილება, რომელსაც ჩვენ პრაქტიკული ანალიზისას მივმართავთ, შესაძლოა, პროკრუსტეს სარეცლად იქცეს ამ ნაწარმოებისათვის.

ბუნებრივია, როდესაც ქართული მეცნიერების სხვადასხვა დარგის წარმომადგენლები „ვეფხისტყაოსნის“ შინაარსს განიხილავენ სპეციფიკური თვალსაზრისით. რუსთაველის პოემა, როგორც ეპოქის ინტელექტუალური ცხოვრების სარკე, როგორც „სიბრძნის ზღვა“, მრავალი ასპექტით არის საინტერესო. მისი საშუალებით შესაძლებელია დაახლოებით მაინც დადგენილ იქნას მეცნიერული ცოდნის ის დონე, რომელიც XI—XIII სს. საქართველოში იქნა მიღწეული.

მაგრამ მიუტევებელი შეცდომაა, როცა „ვეფხისტყაოსანში“ ეძებენ ამა თუ იმ ფილოსოფიური მოძღვრებისა თუ სისტემის უბრალო მხატვრულ ტრანსკრიპციას. რადგან რუსთაველის პოემა არის არა განყენებული ფილოსოფიური აზროვნების პოეტურ ენაზე გადატანის შედეგი, არამედ სამყაროს მხატვრული დაუფლების, მისი შემოქმედებითი „დაძლევისა“ და გარდასახვის დამოუკიდებელი, გენიალური ცდა.

ვეფხისტყაოსნის იდეები გამომდინარეობენ, უწინარეს ყოვლისა, რუსთაველის მხატვრული, პოეტური მსოფლმხედველობიდან. პოეზია აქ იკავებს ფილოსოფიის ადგილს და მხოლოდ და მხოლოდ საკუთარ კანონებს ემორჩილება. ამის გამო, პოემის დედააზრი საძიებელია არა ცალკეულ სენტენციებში, არა აფორისტულ სტრიქონებში, არამედ ნაწარმოების დასრულებულ მხატვრულ მთლიანობაში, იმ საბოლოო ესთეტიკურ ზემოქმედებაში, რომელსაც პოემა ახდენს ჩვენზე თავისი განსაკუთრებული „ირაციონალური“, მხატვრული ლოგიკით.

როგორც გენიალური პოეტური ქმნილება „ვეფხისტყაოსანი“ ეკუთვნის იმ ნაწარმოებთა რიგს, რომლებშიც „მითოლოგიის ნათელჭვრეტა და პოეტის ინტუიცია წინ უსწრებს ფილოსოფოსთა ნააზრევს“.

რუსთაველის მხატვრული კრედოც ისევე, როგორც პოემის მსოფლმხედველობრივი კონცეფცია, ამოიკითხება არა პირდაპირი მსჯელობის სახით ჩამოყალიბებულ ავტორისეულ დეკლარაციებში (ეს რომ ასე იყოს, ყველაფერი ძალზე მარტივი გახდებოდა), არამედ იმ იდუმალ წესში, რომლის მიხედვითაც ეს ჯადოქრული შთაგონებით ნაგები ხელთუქმნელი შენობაა წამომართული.

„ვეფხისტყაოსნის“ მხატვრული აღნაგობის, მისი რთული არქიტექტონიკის გასაგებად ლიტერატურული არითმეტიკის უბრალო კანონები არ გამოდგება. ეს მაღალი პოეტური ხელოვნება თავის გასაშიფრავად მოითხოვს უფრო რთულ და ტევად კატეგორიებს, იმ „უმაღლეს მათემატიკას“, რომლის ელემენტები ჩვენი საუკუნის ლიტერატურულმა თეორიამ შეიტანა თავის სამეცნიერო არსენალში და რის მეოხებითაც თითქოს თავიდან იქნა ამოხსნილი კლასიკური მემკვიდრეობის უმნიშვნელოვანეს მხატვრულ ქმნილებათა არაერთი საიდუმლოება.

შემთხვევითი არ არის, რომ სხვა გამოჩენილ უცხოელ მეცნიერებთან ერთად, თანამედროვე ევროპული ლიტერატურისმცოდნეობის ერთ-ერთმა მესვეურმა მორის ბოურამაც თავის წიგნში „შთაგონება და პოეზია“ სპეციალური პარაგრაფი უძღვნა რუსთაველის პოემას. მართალია, მისი გამოკვლევა ძირითადად პოპულარული მანერით არის დაწერილი, მაგრამ ამ ჩარჩოებშიც კი იმდენი ზუსტი დაკვირვებაა მიმობნეული, რომ რუსთველოლოგიის წინაშე აქ თითქოს თვალნათლივ იშლება ზოგიერთი ახალი პერსპექტივა. გაგახსენებთ მის სიტყვებს.

„ვეფხისტყაოსანი“ ისეთი ქართული ნაწარმოებია, — წერს ბოურა, — საიდანაც ერთნაირად მოიხილება აღმოსავლეთიცა და დასავლეთიც და მაინც იგი წმინდა ეროვნული ხასიათისაა“. სიზუსტისათვის უნდა ითქვას, რომ აქ

ბოურა საკითხის მხოლოდ ერთ ასპექტს გულისხმობს — იდეალური სიყვარულის კულტს, რომელიც მისი სიტყვით „ყველაზე მეტად იყო აკლიმატიზირებული“ რუსთაველის დროინდელ საქართველოში.

საერთოდ, ჩვენი ფიქრით, ბოურა ერთგვარად ზღუდავს „ვეფხისტყაოსნის“ ეპოქალურ მნიშვნელობას, როდესაც საუკუნის ზნე-ჩვეულებებზე წერს. მაინც სიტყვა „ეროვნული“ მას ისეთ კონტექსტში აქვს ნახმარი, რომელიც თავისთავად მოითხოვს აზრის უფრო ღრმა და უფრო მრავალმხრივ განვითარებას.

„ვეფხისტყაოსნის“ ეპოქალური და ეროვნული ხასიათი მართლაც აქსიომატურია. მაგრამ, როდესაც ჩვენ ამ საკითხზე ვმსჯელობთ, ხშირად მხედველობაში გვაქვს ისეთი მომენტები, რომლებიც მხოლოდ გაშეშვევებულ კავშირში იმყოფებიან მხატვრულ შემოქმედებასთან. „ეპოქალურში“ ჩვეულებრივ ვგულისხმობთ ისტორიული რეალიების ანარეკლს, ხოლო „ეროვნულში“ — ხასიათების ნაციონალურ წარმომავლობას და განსაზღვრულ ზნეობრივ იდეალებს. მაგრამ, ხომ ცხადია, რომ რუსთაველის პოემა, როგორც მხატვრული ნაწარმოები, წარმოადგენს არა მხოლოდ ეროვნულ-ისტორიული სინამდვილის ანარეკლს, და საერთოდ, არა იმდენად ზუსტი ასახვის შედეგს, რამდენადაც თავისუფალი შთაგონების, შემოქმედების ნაყოფს.

და აი, მთავარი კითხვა, რომელიც რუსთაველის პოემის საკუთრივ ლიტერატურული ანალიზის დროს დგება ჩვენს წინ:

შემოქმედების რა ფორმებში, რა ესთეტიკური ნ..რსახეობით, რა კონკრეტული მხატვრული იერით გამოვლინდა „ვეფხისტყაოსანში“ მისი წარმომშობი ერისა და დროის სული?

ასეთი კითხვა საგრძნობლად აფართოებს რუსთაველის პოემის, როგორც ეპოქალური ნაწარმოების, შესწავლისა და შეფასების ჰორიზონტს. რადგან ერთი საუკუნის მასშტაბი ამ შემთხვევაში აშკარად ვიწრო ხდება.

„ვეფხისტყაოსნის“ საერთაშორისო რეზონანსი, რომელიც ჩვენს თვალწინ სულ უფრო ხელშესახებ ფორმებს იძენს, გაპირობებულია არა მხოლოდ მისი ავტორის მიერ გამოხატული ზ..გადსაკაცობრიო ე. წ. მარადიული აზრებით და იდეალებით. მსოფლიო კულტურის საგანძურში ის თავის კუთვნილ ადგილს იკავებს, უწინარეს ყოვლისა, როგორც ორიგინალური პოეტური გენიის, აბსოლუტურად თვითმყოფი და, ამავე დროს, უნივერსალური ხასიათის მხატვრული მსოფლმხედველობის გამოვლინება.

რუსთაველის პოემა, ისევე, როგორც „გილგამეშიანი“, „ილიადა“, „შაჰ-ნამე“ და „ღვთაებრივი კომედია“, წარმოადგენს ერთ-ერთ უაღრესად მნიშვნელოვან გზაჯვარედინს კაცობრიობის ესთეტიკური განვითარების ისტორიაში.

თუ ჰეგელის მიერ ჩამოყალიბებული ხელოვნების ფორმების ყველაზე უნივერსალურ კლასიფიკაციას დავეყრდნობით, შეიძლება ითქვას, რომ ეს არის გარკვეული ფაზა. ერთი საფეხურთაგანი ამ ევოლუციისა, მაგრამ სწორედ სიტყვა „გზაჯვარედინი“ უფრო ზუსტად გამოხატავს „ვეფხისტყაოსნის“ ადგილს და მნიშვნელობას კაცობრიობის მხატვრული გათვითცნობიერების გზაზე.

რუსთაველის ესთეტიკურ სამყაროში გადაჯვარედინებულია ხელოვნების განვითარების სამივე ჰეგელისეული სახეობა — სიმბოლური (ძველი აღმოსავლური), კლასიკური და რომანტიკული ფორმები.

არსებობს სახვითი ხელოვნებისა და სიტყვაკაზმული მწერლობის მთელი რიგი ეპოქალური ნაწარმოებებისა (უმნიშვნელოვანესნი მათ შორის ჩვენ უკვე დავასახელეთ), რომელთა მხატვრულ შინაარსში ტიპიური, დასრულებული სახით გამოვლინდა ესთეტიკური ევოლუციის თითოეული ამ ფაზის თავისებურება.

რუსთაველის პოეტური ხელოვნება, ამ თვალსაზრისით, უჩვეულო გამონაკლისს წარმოადგენს. აქ თითქოს ერთდროულად მოიპოვება ყველაფერი — ხელოვნების თითოეული ამ ფორმისათვის ნიშანდობლივი თითქმის ყოველი ელემენტი და, ამავე დროს, არც ერთი მათგანი არ გამოირჩევა იმდენად, რომ მას დომინანტური მნიშვნელობა მიენიჭოს.

აშკარად აღმოსავლური წარმომავლობის სიმბოლიკა აქ ბუნებრივად თანაარსებობს ცოცხალ, კლასიკური სიზუსტით ჩამოკვეთილ სახეებთან. გაბედული ჰიპერბოლიზმები არ არღვევენ საერთო პროპორციების მკაცრ სისადავეს, ხოლო რომანტიკულ ირონიას მუხთალი საწუთროს მიმართ ასევე ბუნებრივად ცვლის ხილული სამყაროთი აღტაცების წარმართული პათოსი.

თუ ჩვენ თანმიმდევრულად გავყვებით თითოეულ ამ ფენას, რომლებიც პოემაში ხან მომიჯნავე, ხან კი ურთიერთგადამკვეთი ხაზების სახით გვხვდება, შესაძლოა რამდენიმე თითქმის ერთნაირად განვითარებული პარალელური რიგის დადგენა.

ასე მაგალითად, „ვეფხისტყაოსნის“ კავშირი აღმოსავლურ კულტურასთან (როგორც უძველესი ეპოქის, ისე შედარებით გვიანდელი დროის ძეგლებთან) შეიძლება ამ თვალსაზრისით განხილულ იქნას, როგორც ერთ-ერთი მკვეთრად გამოკვეთილი მხატვრული განშტოება. ხელოვნების დასაწყის სიმბოლურ ფორმასთან რუსთაველის პოეტიკა დაკავშირებულია მთელი რიგი, როგორც ადვილად გასარჩევი, ისე თითქმის უხილავი ძაფებით. აქ პირველ რიგში უნდა ითქვას ე. წ. ასტრალურ პლანზე, რომელიც მთელ პოემას გასდევს (ეს უაღრესად მდიდარი და მრავალსახოვანი სისტემა ასტრალური სიმბოლოებისა ქართველ რუსთველოლოგთა სპეციალური კვლევის საგნადაც

ეროვნული ბიბლიოთეკა

იქცა); იგივე ითქმის ვარდისა და ბულბულის, ძვირფასი ქვების, „კეთილშობილი“ მცენარეებისა და ცხოველების სიმბოლიკაზე.

ამ სტერეოტიპული პოეტური ნიშნების დიდ ნაწილს საუკუნეთა სიღრმეში მივყავართ. ისინი უფლებას გვაძლევენ ვივარაუდოთ, რომ აქ, ჩვენს წინ არის არა მხოლოდ უდავო საბუთი „ვეფხისტყაოსნის“ ავტორის თანადროულ აღმოსავლურ პოეზიის ტრადიციებთან უშუალოდ ზიარებისა, არამედ ნაციონალურ ნიადაგზე მომხდარი, ბევრად უფრო შორეული და ღრმად-მდებარე ზოდების თავისებური კრისტალიზაციის შედეგიც. ოღონდ ორივე შემთხვევაში ეს დროთა მანძილზე შემუშავებული სიმბოლური სახეები პოემაში გამოყენებულია, როგორც ნედლი მასალა, რომელიც პოეტური შემოქმედების განსაკუთრებულ პრიზმში გადატყდება და ორიგინალურ ელფერს იძენს.

დაახლოებით ახეთსავე დამოკიდებულებაშია პოემის სიუჟეტური აღნაგობა აღმოსავლური მითოლოგიის იმ ტრანსფორმირებულ ნამსხვრევებთან, რომლებიც „ვეფხისტყაოსნის“ ზოგიერთი მოტივის პირველად საფუძველს უნდა წარმოადგენდეს. ეს უკვე საკითხის სხვა ასპექტია და ჩვენ საილუსტრაციოდ მხოლოდ ერთ დამახასიათებელ მაგალითს მოვიტანთ.

„ისკანდერ-ნამეში“ ნიზამეს ასეთი ამბავი აქვს აღწერილი: მაკედონიის ხელმწიფეს, რომელმაც მრავალი ქვეყანა დაიპყრო, საბოლოოდ. „რუსთა“ ჯართან მოუხდა შერკინება. არა ერთი სახელოვანი მხედარი ეღუპება მას ამ ბრძოლაში, რადგან მოწინააღმდეგეთ ყველაზე კრიტიკულ მომენტებში ბრძოლის ველზე გამოჰყავთ უცნაური არსება, რაღაც ადამიანის მსგავსი ურჩხული, რომელიც თავზარს ცემს და მუსრავს ალექსანდრეს ლაშქარს, დაღონებული მეფე ბრძენკაცებს მოუხმობს რჩევისათვის. ერთი მათგანი ალექსანდრეს უყვება, რომ ასეთი ურჩხულები დედამიწის კიდეზე ცხოვრობენ, ქვესკნელივით ბნელ ადგილას, რომელსაც მზის სხივი არასოდეს ეკარება.

ალექსანდრე მაინც ამარცხებს ამ საზარელ არსებას, მაგრამ არ კლავს მას, პირიქით, ბორკილებს ახსნევინებს და ნადიმზეც მოიპატიჟებს.

ასეთი რაინდული სულგრძელობით გაოცებული ურჩხული რამდენიმე წუთით უჩინარდება და შემდეგ ალექსანდრესთან მოჰყავს მშვენიერი ქალი — ნისტან დარჯიხანი, რომელიც მის (ურჩხულის) პატრონებს ჰყავდათ დატყვევებული. მომდევნო თავებში აღწერილია ისკანდერისა და ტყვეობიდან დახსნილი ნისტან დარჯიხანის სიყვარულის ამბავი.

როგორც ცნობილია, ნისტან დარჯიხანი სპარსულ ენაზე ქვეყნად ულამაზესს ნიშნავს. ეს სახელი უცნობი არ არის აღმოსავლური მწერლობისათვის. ნიზამის პოემაში მისი თავგადასავლის დაკავშირება ადამიანის მსგავს ურჩხულთა სამყაროსთან და მოტაცებისა და [illegible]ობის მოტივთან აშკარად მიგვანიშნებს საერთო მითოლოგიურ პირველწყაროზე, რომლის შორეული ექო შემონახულ იქნა XII საუკუნის ორ პოეტურ ძეგლში.

როგორც რუსთაველს, ისე ნიზამისაც აღმოსავლური მითოლოგიის ეს თავისებური რუდიმენტი გამოუყენებიათ მხატვრული თვალსაზრისით სავსებით დამოუკიდებელი ამოცანის განსახორციელებლად.

გარდა აღნიშნული მოტივით განსაზღვრული შორეული ნათესაობისა, ნესტან დარეჯანის სახეს თითქმის არაფერი აქვს საერთო ნისტან დარჯიხანის სახესთან და თვით ეს მოტივიც ამ ორ პოემაში სრულიად სხვადასხვა მიმართულებით არის ტრანსფორმირებული. თუ ნიზამისთან ურჩხულთა სამყარო სავსებით ინარჩუნებს თავის ზღაპრულ, ფანტასტიკურ პირველბუნებას, რუსთაველის პოემაში ქაჯეთის მოტივი უკვე შესამჩნევად დემითოლოგიზებულია. ფატმანის სიტყვით, ქაჯნი იგივე კაცნი არიან, ოღონდ „გრძნებისა მცოდნენი.“

„ვეფხისტყაოსნის“ პოეტური შინაარსის კავშირი კლასიკურ (ანტიკურ) სამყაროსთან კიდევ უფრო რთული და მრავალსახოვანია.

აქ კიდევ უფრო მკვეთრად უნდა გაიმიჯნოს საკითხის ორი მხარე: ერთის მხრივ, ბერძნული მითოლოგიის, მწერლობისა და ფილოსოფიის, საერთოდ ანტიკური კულტურის ცალკეული მოტივების კვალი რუსთაველის პოემაში და, მეორეს მხრივ (რაც ჩვენთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია), კლასიკური ესთეტიკის ძირითად პრინციპთა მოქმედება „ვეფხისტყაოსნის“ მხატვრულ სისტემაში.

თუ პირველი ასპექტი შედარებით ნათელია და სავსებით ექვემდებარება ფილოლოგიურ სტატისტიკას, მეორეს გაცილებით უფრო რთულ კანონზომიერებათა სფეროში გადავყავართ.

XII საუკუნისათვის ელინური სამყაროს მემკვიდრეობა (ბიზანტიური კულტურის ზემოქმედებით გამეშვევებული) საკმაოდ ინტენსიურ გავლენას ახდენდა არა მხოლოდ ქართულ პოეზიაზე, არამედ მთელ აღმოსავლურ მწერლობაზეც. მართალია, რუსთაველთან ეს ნაკადი ბევრად უფრო მკაფიოდ და მრავალრიცხოვანი შეხების წერტილებში მჟღავნდება, ვიდრე, მაგალითად, იგივე ნიზამისთან, მაგრამ ამ მხრივ თვისობრივი სხვაობის დადგენა მაინც ძნელია.

აღმოსავლური პოეზიის ფონზე „ვეფხისტყაოსანი“ მკვეთრად გამოირჩევა არა გაღმოღებული მოტივების მეტნაკლებობით, არამედ სამყაროს ესთეტიკური ხილვისა და გააზრების ძირითადი წესის სიახლოვით ხელოვნების კლასიკურ იდეალთან.

ზურამ ასათიანი
სათავეებთან

სამყარო, ხილული ქვეყანა, რუსთაველისათვის წარმოადგენს შემოქმედი სულის დასრულებულ, ჰარმონიულად სრულყოფილ განსახიერებას. სინამდვილის მყარ, მატერიალურ ფორმებში (და ამდენად პოეზიაშიც, როგორც სულიერი ქმედების სფეროში) იდეის მატერიალიზაცია მიმდინარეობს ამ უმაღლესი ჰარმონიის მწყობრი და ნათელი კანონების შესაბამისად.

მშვენიერება აქ გამოაშკარავებულია თავის ობიექტურ, ხორციელ ფორმაში და პოეზიის ქვეყანაც ყოველი თავისი გამოვლინებით იდეალურისა და მატერიალურის ამ განუყოფელი კავშირის, ამ ურთიერთშესატყვისობ· კანონს ემორჩილება. სინათლისაკენ, დასრულებისკენ, შინაგანი მთლიანობისკენ ამ ღრმა და ძალუმი მისწრაფებით, ყოველგვარი ამორფულისა თუ ნებისმიერად დანაწევრებულისადმი აშკარად გამოვლენილი მხატვრული იდიოსინკრაზიით, „ვეფხისტყაოსნის“ ავტორი თანმიმდევრულად ახორციელებს თავის ესთეტიკურ მრწამსს: „აპოლონის საწყისი“ აქ აშკარად იმარჯვებს „დიონისეს საწყისზე“, ჰარმონია საბოლოოდ იმორჩილებს ქაოსის ძალებს.

შეიძლება ითქვას, რომ „ვეფხისტყაოსანი“ შუასაუკუნეების ის ერთადერთი მხატვრული ძეგლია, რომელშიც კლასიკური პოეტიკის სული მთელ რიგ ნაკვთებში შენარჩუნებულ იქნა თავისი აუმღვრეველი სახით და ეს მით უფრო საგულისხმოა ჩვენთვის, რომ ამავე ნაწარმოებში უკვე თვალნათლივ არის გამოხატული რომანტიკული ესთეტიკის არაერთი ძირითადი ნიშანთვისებაც.

ქრისტიანული მსოფლმხედველობა რომ ერთი იმ მთავარ ბურჯთაგანია, რომელსაც „ვეფხისტყაოსანი“ ემყარება თავისი შინაარსით, ეს აზრი უკვე საკმაოდ დამაჯერებლად იქნა დასაბუთებული რუსთველოლოგიურ ლიტერატურაში.

ჩვენთვის მთავარია დავადგინოთ ზემოქმედების ის ძირითადი სფერო, რომლის ჩარჩოებშიც გამოვლინდა ქრისტიანობის გავლენა რუსთაველის პოეტურ აზროვნებაზე.

უპირველეს ყოვლისა, ცხადია, რომ ასეთი ნაწარმოები ვერ შეიქმნებოდა რომანტიკული იდეალიზმის გარეშე. „ვეფხისტყაოსანი“ იმ ნაწარმოებთა რიგში დგას, რომელთაც განსაკუთრებით ცხადჰყვეს რომანტიზმის გაცხოველებული ინტერესი ადამიანის შინაგანი სამყაროსადმი, ხოლო ამ პოემის ძირითად პათოსს იდეალურისკენ, სულიერი სრულყოფისკენ სწრაფვა შეადგენს.

რომანტიკული იდეალიზაციის კვალი მკაფიოდ ჩანს „ვეფხისტყაოსნის“ მთავარი გმირების ხასიათებში. ისევე როგორც შუასაუკუნეების კურტუაზული ლიტერატურის პერსონაჟები, რუსთაველის გმირებიც გარკვეული თვალსაზრისით გაიდეალებულ სახეებს — სიმბოლოებს წარმოადგენენ. მათ მოქმედებაში [illegible]რად გამოხატულია სიკეთის, ეთიკური სიწმინდისა და ამაღლების რაინდული იდეალები და უნდა ითქვას, რომ ამ იდეალებს ისინი საოცარი გრაციოზულობით ახახიერებენ.

„ვეფხისტყაოსნის“ არქიტექტონიკა ძირითადად ეპიკური ჟანრის კანონებს ემორჩილება. მაგრამ პოემაში არის ადგილები, რომლებიც შეიძლება თავისუფლად იქნას მიჩნეული ლირიკულ გადახვევებად. თუმცა ეპიკური ჟანრის მოთხოვნილება ფორმალურად ყოველთვის დაცულია — ლირიკული ელემენტი პოემაში, გარდა შესავლისა და დასასრულისა, ჩვეულებრივ რომელიმე პერსონაჟის მონოლოგის, „წიგნის“, „ანდერძის“, „ლოცვისა“ ან „საუბრის“ სახით შემოდის.

უნდა ითქვას, რომ რუსთაველის პოემაში დიდი ნაწილი ამ თავისებური ლირიკული გადახვევებისა, თავისი შინაარსით და ფორმით აშკარად რომანტიკული ხასიათისაა.

რომანტიკული აღსარების შედევრია „წიგნი ნესტან-დარეჯანისა საყვარელთან“, აქ სიყვარულისა და სიკეთის ჭეშმარიტი სამყარო უკვე მკვეთრად არის დაპირისპირებული რეალურ სინამდვილესთან და ზეციურისკენ ექსტატიური ლტოლვა სოფლის „შრომისგან“, ამქვეყნიური ყოფისგან სრულ განთავისუფლებას, „დახსნას“ მოითხოვს.

პოეტური თვალსაზრისით ეს ქართული რომანტიზმის, რომანტიკული მსოფლგაგების პირველი მანიფესტია, რომელიც მარცვალივით შეიცავს თავის თავში ბარათაშვილისა და ბარათაშვილის მომავალ ხილვებს.

„ვეფხისტყაოსნის“ გმირთა ლირიკული სამყარო თავისებურია არა მხოლოდ თავისი შინაარსით, არამედ გამოხატვის განსაკუთრებული სტილითაც.

თუ ეპიკური თხრობა პოემაში, როგორც წესი, ე. წ. „დახურულ ფორმას“ ემორჩილება. ე. ი. ყოველთვის შინაგანად დასრულებული და, ამავე დროს, საერთო სიუჟეტურ რკალში გაერთიანებული პერიოდებისაგან შედგება. ლირიკული გადახვევების სტილი ზოგჯერ ე. წ. „გახსნილი ფორმის“ ელემენტებსაც შეიცავს. ემოციური პათეტიზმი აქ ხშირად იწვევს ფრაგმენტულ მანერას, აზრის არათანმიმდევრულ, არასწორხაზოვან, მთელ რიგ შემოხვევებში, წყვეტილ ასოციაციურ განვითარებას. ჭეშმარიტებისაკენ ლტოლვა აქ ინტუიციურია. ცალკეულ პასაჟებში ამის შედეგად წარმოიშვება ერთგვარი დისპროპორცია მთელსა და შემადგენელ ნაწილებს შორის.

განსაკუთრებით გამოირჩევა, ამ მხრივ „ვეფხისტყაოსნის“ შესავალი, რომელშიც პოეტური აზრის განვითარება ისეთი ნახტომებით მიმდინარეობს, ისე მოულოდნელად გადადის ერთი საგნიდან მეორეზე, რომ ზოგიერთი ადგილი პირველი წაკითხვისას დამოუკიდებელი ფრაგ-

მენტის შთაბეჭდილებას ტოვებს ჩვენში. რომანტიკული სტილისათვის დამახასიათებელი პათეტიზმი, რიტორიკული ფიგურები, პლეონაზმები უხვად მოიპოვება ავთანდილის ანდერძსა და ლოცვებში, სადაც ეს სტილი ავტორის ტექსტშიც გადადის და სრულიად შეესაბამება გმირის რომანტიკულ განწყობილებებს.

„ვეფხისტყაოსნის“ სიუჟეტს დრამატული კოლიზია უდევს საფუძვლად. რაც თავისებურ გავლენას ახდენს პოემის მთავარი გმირების სულიერ მდგომარეობაზე. ეს უკანასკნელნი თითქმის გამუდმებით დაძაბულ, ეკზალტირებულ მდგომარეობაში იმყოფებიან. შესაძლოა, სწორედ ამგვარი შინაგანი მდგომარეობის ხაზგასასმელად აღვრევინებს რუსთაველი ამდენ ცრემლს თავის პერსონაჟებს.

ეს სისხლნარევი ცრემლის ტბორებიც. რომლებიც „ვეფხისტყაოსანში“ თითქმის ყოველ ნაბიჯზე დგება, თავისებური გამოხატულებაა რომანტიკული ხასიათის უზომობისა, ისევე, როგორც პოემის გმირების ესოდენ ხშირი „ბნედვა“ და „ცნობას მიხდომა“.

ამრიგად, რომანტიკული ნაკადი რუსთაველის პოეტურ სამყაროში ისეთივე ღრმა და მძლავრი მდინარების სახით წარმოგვიდგება, ისევე ვრცლად არის განფენილი პოემის მხატვრულ შინაარსში, როგორც აღმოსავლური სიმბოლიკისა და კლასიკური პოეტური აზროვნების ფორმები.

საჭიროა აღინიშნოს, რომ ჩვენ აქამდე შეგნებულად დავანაწევრეთ და ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად განვიხილეთ ეს სამი ძირითადი ფენა რუსთაველის პოეტიკისა, რის გამოც ბუნებრივად შეიძლება წარმოიშვას არასწორი შეხედულება პოემაში მათი განცალკევებული ან ეკლექტიკური ნაერთის სახით არსებობის შესახებ; სინამდვილეში კი ჩვენთვის მთავარია სწორედ ის, რომ რუსთაველის პოეტური ხელოვნება თავის მთლიანობაში აბსოლუტურად მოკლებულია ეკლექტიზმის ნიშნებს, ვინაიდან აქ ჩვენს წინ არის შინაგანად სავსებით მთლიანი და ოვიომყოფადი გენიის მიერ განხორციელებული ჭეშმარიტი სინთეზი, ორგანული შერწყმა მხატვრული აზროვნებისა და წარმოსახვის პოლუსური ფორმებისა.

სამი პარალელური რიგი, რომელსაც ჩვენ აქ შევეხეთ, მხოლოდ პირობითად, ანალიზის შედეგად გამოირჩევა პოემაში. პრაქტიკულად კი მათი შემადგენელი ელემენტები „ვეფხისტყაოსანში“ ერთ განუყოფელ მთლიანობას ქმნიან და ეს მთლიანობა იმდენად მყარია, რომ ხშირ შემთხვევებში მისი პირობითი დანაწევრებაც კი უაღრეს სირთულეებთან არის დაკავშირებული.

ასე მაგალითად, სიმბოლიკა ამ სიტყვის ფართო გაგებით, რუსთაველთან იმდენად რთული პოეტური სისტემის სახით წარმოგვიდგება, გამოხატვის იმდენად მრავალსახოვან ფორმებს და საშუალებებს მოიცავს, რომ ზოგჯერ ამ ტიპის ერთი და იგივე კომპონენტი შეიძლება თავისი წარმოშობით დაკავშირებულ იქნას სრულიად სხვადასხვა ესთეტიკურ ფორმებთან. განსაკუთრებით ეს ეხება საკუთრივ სიმბოლურ (ე. ი. აღმოსავლური წარმომავლობის) ფორმებს და გვიანდელ რომანტიკულ სიმბოლიკას.

მაგალითად, ვარდი, როგორც სიმბოლო, „ვეფხისტყაოსანში“ აშკარად ატარებს აღმოსავლური პოეტიკის ნიშანს, მაგრამ, როგორც ვიცით, ვარდის ალეგორიული გააზრება ტიპიური მოვლენაა აგრეთვე დასავლეთის რაინდული პოეზიისათვისაც (გავიხსენოთ, თუნდაც, გიიომ დე ლორისის „ვარდის რომანი“).

კიდევ უფრო რთულ ასპექტში ვლინდება რუსთაველთან ხელოვნების კლასიკური და რომანტიკული იდეალებისა და შესაბამისი მხატვრული ფორმების ურთიერთკავშირი.

ამ განუყოფელი ერთიანობის მსოფლმხედველობრივი საწყისი ფორმულირებულია პოემის პირველივე სტროფში:

რომელმან შექნა სამყარო
ძალითა მით ძლიერითა,
ზეგარდმო არსნი სულითა
ყვნა ზეცით მონაბერითა,
ჩვენ, კაცთა მოგვცა ქვეყანა,
გვაქვს უთვალავი ფერითა,
მისგან არს ყოვლ. ხელმწიფე
სახითა მის მიერითა.

სული, რომელიც სამყაროს არსს წარმოადგენს, რუსთაველისათვის ზეცით მონაბერია, ის არის შემქმნელი ქვეყნად „ყოვლისა ტანისა“, ყველა სიკეთისა და სილამაზის. მაგრამ ქვეყანა მშვენიერია არა მხოლოდ თავისი ციური წარმომავლობით, არამედ იმითაც, რომ „ჩვენ, კაცთა მოგვეცა“ და „გვაქვს უთვალავი ფერითა“.

„უთვალავი ფერის“, როგორც სამყაროს ერთ-ერთი ძირითადი ნიშანთვისების. აქცენტირება პოემის დასაწყის სტროფში (აქცენტი აქ სრულიად აშკარაა) უბრალო შემთხვევითობას არ წარმოადგენს.

თვით ქართული სიტყვა „სამყარო“ რაც ნიშნავს „მყართა“ ქვეყანას. ე. ი. იმას, რაც არის, არსებობს, მყოფობს, ე. ი. სიცოცხლის ჭეშმარიტ არსთან არის დაკავშირებული და, ამავე დროს (გვიან შეძენილი სემანტიკის მიხედვით) მყარია, ნივთიერია, თითქოს აშკარად შეიცავს თავის თავში ამ ორი ურთიერთგამსჭვალავი ცნების ერთიანობას.

ზეცა, რომელმაც თავისი უკვდავი სული შთაბერა და სიცოცხლით აღავსო „ზეგარდმო არსთა“ ქვეყანა, გამუდმებით იხმობს „ვეფხისტყაოსნის“ გმირებს. როგორც შეყვარებულ ავთანდილს მზისთვის, რუსთაველსაც თვალი ვერ მოუწყვეტია იდუმალ გზებით მოარულ ციურ

ზურაბ ასათიანი
სათავეებთან

სხეულთა სამყოფელისთვის; მაგრამ ვეფხისტყაოსანში არანაკლებ ძლიერი მიზიდულობა აქვს ადამიანის ირგვლივ ვეფხვივით გართხმულ ხილულ ქვეყანასაც.

ეს „უთვალავი ფერით“ სავსე სამყარო ასევე გამუდმებით უხმობს და უყივის თავის გზებზე რუსთაველის გმირებს, ასევე თვალისმომჭრელად კაშკაშებს, ფერისცვალობით, „მზიანჩრდილებით“, წითელ-შავი ალმებით იტაცებს ადამიანის მზერას. ძოწ-მარგალიტის, სტავრის და ოქსინოს, გაზაფხულზე ქვეყნად დაღვრილი სიმწვანისა და ცრემლით დათრთვილული ვარდების ციმციმი თითქოს კადნიერად ეპაექრება ციურ მნათობთა შორეულ ციაგს. და ეს დაუშრეტელი, საყოველთაო მიწიერი სხივოსნობა თითქოს მართლა იმას ნიშნავს, რომ „ჰგავს თუ ცა მოდრკა ქვეყანად“ და დედამიწამაც „ვით მზემან დაყვნა მჭვრეტელთა თვალნი ნათლისა ჩენითა“.

როგორც აღვნიშნეთ, სწრაფვა იდეალურისკენ, სრულყოფისკენ, ციურისკენ, წარმოადგენს რუსთაველის პოემის ძირითად პათოსს. ცალკეულ მომენტებში იდეალური აქ უკვე დაპირისპირებულია მატერიალურთან, როგორც აბსოლუტური სინათლე, აბსოლუტური სიკეთე და მშვენიერება: ეს რომანტიკული დუალიზმი განსაკუთრებით სუბიექტურ ასპექტში იჩენს თავს და ამა თუ იმ პერსონაჟის გარკვეულ სულიერ მდგომარეობასთან არის დაკავშირებული.

მაგრამ, თუ პოემის იდეურ-მხატვრულ შინაარსს მთლიანობაში განვიხილავთ, აქ უკვე სხვა სურათი გადაიშლება ჩვენს წინ.

იდეალური რუსთაველთან სინამდვილეში არსად არ რჩება კონკრეტული, ემპირიული განხორციელების გარეშე. პირიქით, აქ იგი თანმიმდევრულად მატერიალიზებულია.

რომანტიკული და კლასიკური მსოფლგაგების სინთეზი, როგორც ჰარმონია სულიერსა (რომელიც უკვე აშკარად ამჟღავნებს თავის აბსოლუტურ ბუნებას) და ხორციელს შორის, რუსთაველის პოეტურ ხელოვნებაში მრავალსახოვანი მხატვრული ფორმებით არის რეალიზებული.

დავიწყოთ უბრალო ილუსტრაციით: თუ მაგალითად, ნესტან-დარეჯანის წერილს დამოუკიდებლად განვიხილავთ, ეს უკანასკნელი თავისი შინაარსით რომანტიკული განწყობილების ტიპიურ ნიმუშად შეიძლება ჩაითვალოს.

მაგრამ არ უნდა დავივიწყოთ, რომ პოემის ეს თავი („წიგნი ნესტან-დარეჯანისა საყვარელთან“) გარკვეულ მიმართებაშია ნაწარმოების მთელ კონტექსტთან. ეს არის მხოლოდ ერთი ნაწილი, ერთი შტრიხი იმ მთლიანობისა, რომელსაც ამ შემთხვევაში ნესტან-დარეჯანის ხასიათი წარმოადგენს. მართალია, ნესტანის სახე, ისევე როგორც „ვეფხისტყაოსნის“ სხვა მთავარი გმირების სახეებიც, უთუოდ იდეალიზებულია და გარკვეულ სიმბოლურ აზრსაც შეიცავს პოემის ჩანაფიქრის მიხედვით, მაგრამ თავის კონკრეტულ მოქმედებაში, თავისი შინაგანი ბუნების პრაქტიკულ გამოვლინებებში ეს ხასიათი ბევრად უფრო ფართო და მდიდარია, ბევრად უფრო ცოცხალ მიწიერ თვისებებში არის გახსნილი, ვიდრე ეს შეიძლებოდა რომანტიკული იდეალის უბრალო განსახიერების შედეგად ყოფილიყო მიღწეული.

გავიხსენოთ, ხასიათის როგორ სიმტკიცეს, რა ძლიერ ვნებას, რა მძვინვარე ქალურ ბუნებას ამჟღავნებს ნესტანი ტარიელთან პირველი შეხვედრისას.

სწორედ სატრფოს ამ განრისხებულ სახეში გაიხსნა ტარიელისათვის პირველად მისი ბუნება, რამაც მას ვეფხვის ტყავი აარჩევინა თავისი დაკარგული სიყვარულის ნიშნად.

კვლავცა მითხრა: „რას გეუბნევი
მტყუანსა და შენ მართალსა?
დიაცურად რად მოვლორდი?
მე დავუწვავ ამით ალსა...

ასეთი სტილი სრულიად უცხო იყო კურტუაზული ლიტერატურის პერსონაჟთა გალანტური მეტყველებისათვის. აქ ლაპარაკობს ქალის შიშველი ვნება, რომელიც ნამდვილი ვეფხვური დაუნდობლობით გამოირჩევა, როცა მის სიყვარულს წინააღმდეგობები ეღობებიან: „მიპარვით მოკალ სასიძო“ — ურჩევს თავის სატრფოს ახალგაზრდა ქალი და ეს სიტყვები ნაკარნახევია არა სასოწარკვეთით მოცული გონების წამიერი დაბნელებით, არამედ მოქმედების ზუსტად გათვალისწინებული გეგმით.

ნესტანის ხასიათს აქ არაფერი აქვს საერთო ქალური სათნოების ქრისტიანულ იდეალთან; მისი საქციელი იმ იმპულსებით არის გამოწვეული, იმ მძაფრი და ღრმა ვნებების სამყაროს განეკუთვნება, რომელიც ახალ დროში სტენდალმა აღწერა თავის იტალიურ ქრონიკებში.

ვნების სიმძაფრე აქ განაპირობებს პრაქტიკული მოქმედების მაქსიმალიზმს, რომელიც ცივი გონების ჩარევასაც მოითხოვს, რათა დასახული მიზანი წარმატებით იქნას მიღწეული და ნესტანი საკმაოდ ვერაგულ გზას ირჩევს თავისი საწადელის ასასრულებლად:

ჩემი ყოლა ნუცა გინდა,
სიყვარული, ნუცა წდომა,
ამით უფრო მოგეცემის,
სამართლისა შენ მოხდომა.
ქნას მეფემან ყელმოტეხით
შემოხვეწა შემოკვდომა...

ქაჯთა ტყვეობაში მოხვედრილ ნესტანში (როდესაც მისი სული უკვე ეზიარა ნამდვილ ტანჯვას და უსასოობას) ვნების სამძაფრეს თანდათან ძლევს უფრო ღრმად გაცნობიერებული, საბოლოოდ მომწიფებული გრძნობა. მისი სიყვარული აქ უფრო ქალურია, უფრო რბილი და

ეროვნული
ბიბლიოთეკა

სათუთი; თუ ადრე იგი ტარიელისაგან კატეგორიულად მოითხოვდა ფათერაკთან დაკავშირებულ საგმირო მოქმედებას, ახლა გულწრფელად ევედრება მას, თავი აარიდოს უაზრო ხიფათს:

ნუთუ ესენი გეგონენ
სხვათა მებრძოლთა წესითა?!
ნუცა მე მომკლავ ჭირითა,
ამისგან უარესითა,
შენ მკვდარსა გნახავ, დავიწვი,
ვითა აბედი კვესითა:
მოგშორდი, დამთმე, გულითა,
კლდისაცა უმაგრესითა.

ნესტანის ქალურ ნდომას არ დაუკარგავს თავისი სიძლიერე, მაგრამ მას შეემატა სევდანარევი სინაზის, ზრუნვის, მეურვეობის ელფერი. ტარიელი მისთვის ისევ საოცნებო მიჯნურია და, ამავე დროს, ახლობელი, ძვირფასი ადამიანიც.

როგორც ვხედავთ, აქ ჩვენს წინ არის არა მხოლოდ ხასიათი, არამედ მისი ბუნებრივი, ფსიქოლოგიურად, მხატვრულად კანონზომიერი განვითარებაც.

ნესტანისა და ტარიელის სიყვარულის ამბავს, თუ მას ზოგადი, სიმბოლური ხასიათის სქემად წარმოვიდგენთ, შუა საუკუნეების ლიტერატურაში შეიძლება რამდენიმე საგულისხმო პარალელი მოეძებნოს. დანტეს „ღვთაებრივი კომედიის“ მთარგმნელმა, გამოჩენილმა ქართველმა მწერალმა კონსტანტინე გამსახურდიამ, ერთმანეთს დაუკავშირა ქაჯეთის ციხისა და ჯოჯოხეთის მოტივი. მისი აზრით, ორივე შემთხვევაში ჩვენ საქმე გვაქვს ადამიანის ქვესკნელში ჩასვლასთან დაკავშირებულ მითოსის თავისებურ პოეტურ განვითარებასთან. დანტე მხოლოდ ჯოჯოხეთისა და სალხინებლის გავლის შემდეგ აღწევს იმ მაღალ სფეროებს, სადაც მას სათაყვანებელი ბეატრიჩე ეგებება; ტარიელისთვისაც ნესტანთან შეერთება შესაძლებელი ხდება მხოლოდ ბნელეთის ძალებთან პირისპირ შეხვედრისა და შერკინების შედეგად.

ასეთ პარალელს, რასაკვირველია, უფრო პოეტური ჰიპოთეზა უდევს საფუძვლად, ვიდრე მეცნიერული დაკვირვება. მაგრამ დანტესა და რუსთაველის შეპირისპირება სხვა, უფრო არსებითი ასპექტითაც არის შესაძლებელი.

აკადემიკოს ალ. ბარამიძეს თავის მონოგრაფიაში „შოთა რუსთაველი და მისი პოემა“ გაზიარებული აქვს რამდენიმე საბჭოთა და უცხოელი ლიტერატორის თითქმის ერთსულოვანი მოსაზრება, რომელიც ამ ორი პოეტის ჰუმანისტური იდეალების თავისებურებას ეხება. ამ თვალსაზრისით, სხვაობა აქ ზუსტად არის დადგენილი. ჩვენთვის მთავარია აქცენტის გადატანა საკუთრივ ესთეტიკური იდეალების სფეროში.

თუ „ახალ ცხოვრებაში“ ბეატრიჩე, რომელსაც ავტორი ადრე სიცოცხლით სავსე მშვენიერ ქალწულად გვიხატავს, შემდეგ თანდათან კარგავს თავის კონკრეტულ, ადამიანურ თვისებებს და საბოლოოდ იმ იდეალიზებული, მიწიერი შინაარსისაგან სრულიად განწმენდილი სახით წარმოგვიდგება, როგორც ის „სამოთხეში“ არის აღწერილი, თუ ამ შემთხვევაში ყველაფერი მხატვრულ აბსტრაგირებას, სიმბოლოდ ქცევას ემსახურება — „ვეფხისტყაოსანში“ ნესტანის სახე თავის განვითარებას დიამეტრალურად საწინააღმდეგო მიმართულებით აღწევს.

ისევე როგორც თინათინი, ნესტანიც რუსთაველთან დასაწყისში ციური მნათობის დარად გამოიყურება. ემპირეაში დანტეს წინაშე გამოცხადებულ ბეატრიჩეს მსგავსად, მისი სახეც „მზის მოწუნარ ნათელში“ არის გახვეული.

ტარიელთან შემდეგი შეხვედრებისას ჩვენ მას უფრო ახლო მანძილზე, უფრო ფრთო პლანით ვხედავთ, მაგრამ მისი სახე კვლავ იდუმალებით არის მოცული: „ოდენ ტკბილად შემომხედნის ვითარმცა რა შინაურსა“ (სიმბოლიკის თვალსაზრისით აქ აღსანიშნავია მწვანე ფერიც, რომელიც თან ახლავს ნესტანის გამოჩენას, როგორც საკუთარი ფერწერული მოტივი).

შეიძლება და რუსთაველს აქ დაესვა წერტილი ნესტანის დახასიათებისათვის, რადგან სიუჟეტის სიმბოლური სქემის გასავითარებლად, იდუმალების ეს რომანტიკული შარავანდედი სრულიად საკმარისი იყო, მაგრამ სწორედ ამ მომენტიდან პოემის ეს ერთ-ერთი ძირითადი სახე თანდათან ცოცხლდება და მკაფიო კონტურებს იძენს. ნესტანის ყოველი გამოჩენისას ჩვენ მის ხასიათში ახალ, მოულოდნელ თვისებებს აღმოვაჩენთ.

სიმბოლო თანდათან თავისუფლდება აბსტრაქტული სამოსელისგან და ინდივიდუალური შინაარსით, ცოცხალი ნაკვთებით გამდიდრებულ დასრულებულ მხატვრულ სახედ — ხასიათად იქცევა.

დაახლოებით ანალოგიურია „ვეფხისტყაოსანში“ სხვა მთავარი სახეების განვითარებაც.

უკანასკნელ დროს ქართულ რუსთველოლოგიაში გამოითქვა აზრი, რომ რუსთაველის მთავარი პერსონაჟები არ წამოადგენენ ლიტერატურულ ხასიათებს, ამ სიტყვის ჩვეულებრივი გაგებით, რის გამოც მიზანშეუწონელია, მაგალითად, ავთანდილისა და ტარიელის სახეების ურთიერთდაპირისპირება. ასეთი შეხედულება უთუოდ საყურადღებო თეორიული წანამძღვრიდან გამომდინარეობს. მართლაც, თავის საფუძველში პოემის ორივე ეს სახე რომანტიკული ეპოქისათვის დამახასიათებელ ერთგვაროვან პრინციპს ეყრდნობა. ტარიელიცა და ავთანდილიც რუსთაველისათვის, უწინარეს ყოვლისა, რაინდული სულის იდეალურ განსახიერებას წა-

ᲖᲣᲠᲐᲛ ᲐᲡᲐᲗᲘᲐᲜᲘ
ᲡᲐᲗᲐᲕᲔᲔᲑᲗᲐᲜ

ეროვნული ბიბლიოთეკა

რმოადგენს, ასეთია ორივე ამ სახის ძირითადი ესთეტიკური მოდელი, რაც აღნიშნული თვალსაზრისის მიხედვით ხასიათების იდენტურობას უნდა იწვევდეს. მაგრამ აქ თავისთავად სწორი თეორიული წანამძღვარი აშკარა წინააღმდეგობაში ექცევა ლიტერატურულ ფაქტთან, რადგან მეთოდოლოგიურად იგი არასაკმარისია „ვეფხისტყაოსნის“ მხატვრული სპეციფიკის გარკვევისათვის.

ცხადია, აქ საქმეს ვერ შველის მტკიცება, რომ ტარიელი და ავთანდილი სხვადასხვა თვისებებს კი არ ამჟღავნებენ პოემაში, არამედ, მხოლოდ სხვადასხვანაირად მოქმედებენ, რადგან ისინი ავტორის მიერ განსხვავებულ სიტუაციებში არიან ჩაყენებულნი. ასეთი არგუმენტი უსაფუძვლოა, თუნდაც იმ ცნობილი ჭეშმარიტების გამო, რომ „ვეფხისტყაოსნის“ რანგის ნაწარმოებში სიტუაციის შერჩევა შემთხვევითობაზე არ არის დაქვემდებარებული.

ჩვენს მიერ განხილულ თვალსაზრისში გამორჩენილია შემოქმედებითი პროცესის ერთი მთავარი, საკვანძო მომენტი, რომელშიც განსაკუთრებით თვალნათლივ მჟღავნდება რუსთაველის პოეტური ხელოვნების თავისებურება.

აქ მთავარია ის, რომ ძირითადი მოდელის, ლიტერატურული ჩონჩხის პრაქტიკული მხატვრული ხორცშესხმისას, რუსთაველი არსებითად სცილდება რომანტიკული სიმბოლიკის პრინციპებს, ან, უფრო ზუსტად რომ ვთქვათ, საოცრად აფართოებს მის ჩარჩოებს და ამ ახალ ფარგლებში თვისობრივად ახალი, ორიგინალური ესთეტიკური იდეალის განხორციელებას აღწევს. ავთანდილისა და ტარიელის თავგადასავალი (პოემის ძირითადი მხატვრული კონცეფციის თვალსაზრისით) რომ სიმბოლურია, ამ აზრის აქცენტირება უთუოდ ერთ ერთი ძირითადი წინაპირობა უნდა იყოს „ვეფხისტყაოსნის“ ესთეტიკური ანალიზისას, მაგრამ კიდევ უფრო მნიშვნელოვანია ის, რომ მხატვრული განხორციელების პროცესში „ვეფხისტყაოსნის“ მთავარი პერსონაჟები თითქმის უკლებლივ კონკრეტულ სახეებად, ცოცხალ ხასიათებად იქცევიან და, რაც მთავარია, ეს თავისებური მხატვრული კანონზომიერება თავს იჩენს არა მხოლოდ ერთ კერძო სფეროში — მისი მოქმედებით გაპირობებულია „ვეფხისტყაოსნის“ პოეტიკის ყველაზე არსებითი ნიშან-თვისება.

რუსთაველის პოეტურ სამყაროში, საერთოდ, პირობითი ნიშნები, იდუმალთა, გადატანითი მნიშვნელობის შემცველი სიმბოლოები — თითქოს თვალნათლივ ცოცხლდებიან, ახალ სულს იდგამენ, ახალი, სრულყოფილი არსებობისათვის ილვიძებენ.

იდეალური, განყენებული, აქ გამუდმებით მიილტვის თავისი ხორციელი განსახიერებისაკენ, მატერიალურისაკენ, ხოლო მატერია ასევე გამუდმებით იჭრება იდეათა სფეროში და თავის ცოცხალ, თბილ ფორმებს კარნახობს მათ.

მაგალითად, როდესაც რუსთაველი ამბობს:

რა ვარდმან მისი ყვავილი
გაახმოს, დაამჭკნაროსა,
იგი წავა და სხვა მოვა
ტურფასა საბაღნაროსა...

ეს მისთვის მხოლოდ დიდაქტიკური ალეგორია როდია. ეს არის ამავე დროს უმძაფრესი პოეტური შთაგონებით მოპოვებული, შემოდგომის მზისა და ნაწვიმარი მიწის სუნთქვით გაჟღენთილი ცოცხალი პოეტური სახე, რომელსაც გარდა გადატანითი მნიშვნელობისა, თავისი საკუთარი დამოუკიდებელი მხატვრული სიცოცხლეც გააჩნია.

როდესაც თავისი ქვეყნიდან ტარიელის საძებრად მეორედ წამოსულ ავთანდილს ასმათთან საუბრის დროს აღმოხდება:

პატრონი ჩემი გამზრდელი,
ღმრთისაგან, დიდად ცხოველი,
მშობლიური, ტკბილი, მოწყალე,
ცა წყალობისა მთოველი...

ეს სიტყვები აქ წმინდა სიმბოლურ ფუნქციას როდი ასრულებენ. მასში გამოხატულია სამშობლოდან გადახვეწილი ადამიანის უშუალო განცდაც, მშობლიურ გარემოსადმი გამძაფრებული სიყვარული.

გავიხსენოთ, როგორ აღწერს რუსთაველი ავთანდილის წასვლას გულანშაროთ:

მოწურვილ იყო ზაფხული,
ქვეყნით ამოსვლა მწვანისა,
ვარდის ფურცლობის ნიშანი,
დრო მათის პაემანისა;
ეტლის ცვალება მზისაგან,
შეჯდომა სარატანისა.
სულთქვნა, რა ნახა ყვავილი
მან, უნახავმან ხანისა,
აგრგვინდა ცა და ღრუბელნი
ცროდეს ბროლისა ცვარითა;
ვარდთა აკოცა ბაგითა,
მითვე ვარდისა დარითა;
ბრძანა: „გიჭვრეტ თვალითა,
გულ-ტკბილად შემხედვარითა,
მისად სანაცვლოდ მოვილხენ
თქვენთანა საუბარითა“.

აქ დახატულ სურათში თითქმის ყოველი სახე ფარულ, გადატანით აზრსაც შეიცავს და თუ ჩვენ ამ ხაზს გავყვებით, შეიძლება სიმბოლური მეტყველების მთელი რიგი ფორმების დადგენა. აქ გამოყენებულია ასტრალური სიმბოლიკაც, ფერთა სიმბოლიკაც, ან, თუ შემუშავებულ ტერმინოლოგიას მივმართავთ, ვარსკვლავთმეტყველებისა და ფერთამეტყველების ფორმები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მაგრამ, ამავე დროს, პოემაში აღწერილ მთელ ამ სურათს თავისი უშუალო მხატვრული აზრიც აქვს. ავთანდილი აქ ცოცხალ ყვავილებს ეალერსება, დიდი ხნის უნახავ ცოცხალ ვარდებს კოცნის და გარდა მღელვარე წინათგრძნობისა, რომელიც სატრფოსთან მოახლოებული პაემანის მოლოდინით არის გამოწვეული, მის სულს ბუნების განახლების ცოცხალი სურათიც ალაღებს.

„აგრუგვინდა ცა და ღრუბელი ცროდეს ბროლისა ცვარითა“ — ეს სახე აქ გმირის სულიერი მდგომარეობის გამომხატველი პირობითი ნიშანიცაა და, ამასთან ერთად, გაზაფხულით აღორძინებული ქვეყნის, სტიქიონური მოვლენის პოეტურად ადეკვატური, ზუსტი და უშუალო გარდასახვის შედეგიც.

ამ თვალსაზრისით, რუსთაველის პოემა, რომელიც მკვეთრად არის დაკავშირებული რომანტიკულ მსოფლგანცდასთან, ამავე დროს, მკაფიოდ გამოირჩევა თავისი ეპოქის ლიტერატურულ ფონზე უაღრესად თვითმყოფი პოეტური სისტემის სახით.

თუ, მაგალითად, იგივე დანტესთან ალეგორიული მეტყველების ფორმებს ძირითად მომენტებში აბსოლუტური ხასიათი ენიჭებათ, „ვეფხისტყაოსანში“ ეს ხერხი ხშირად მხოლოდ შეფარდებითია.

„ღვთაებრივი კომედიის“ შესავალში უსიერი ტევრიდან გამოსულ დანტეს სამი ცხოველი ხვდება გზაზე: ლომი, ძუ მგელი და ვეფხვი.

როგორც ბნელი ტყე, ისე სამივე ეს მტაცებელი, აქ მხოლოდ პირობითი ნიშნებია, რომლებიც ადამიანური ყოფისა და ხასიათის სხვადასხვა აბსტრაგირებულ თვისებებს გამოხატავენ, საინტერესოა, რომ ვეფხვი დანტესთან ავხორცობას განასახიერებს. რუსთაველისათვის ვეფხვი, როგორც სიმბოლო, სრულიად სხვა შინაარსის გამომხატველი ნიშანია; მაგრამ მთავარია არა ეს.

„ვეფხისტყაოსანში“ სულდგმულთა სამყარო, ისევე როგორც საერთოდ, მთელი ობიექტური სინამდვილე, ორ ძირითად მხატვრულ ასპექტში არის გახსნილი. ესაა, „სამხმარე“, სიმბოლური ფონი მთავარი მოქმედებისა და, ამავე დროს, ეს არის თავისთავადი მხატვრული სინამდვილეც, დამოუკიდებელი პოეტური ინტერესის საგანიც.

ამის მკაფიო მაგალითია „ვეფხისტყაოსნის“ ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მეტაფორული სახე ვეფხვიც, რომელიც აქ. პირველ რიგში სიმბოლურ ფუნქციას ასრულებს, მაგრამ გარკვეულ კონტექსტში ამასთან ერთად ცოცხალი, თავისთავადი სახითაც გვევლინება.

ასე გამოიყურება იგი, კერძოდ, ტარიელისაგან ლომ-ვეფხვის დახოცვის ეპიზოდში. მართალია, ვეფხვის სახეს აქაც შენარჩუნებული აქვს თავისი მთავარი პოეტური ნიშანი — ნესტანთან მსგავსება, მაგრამ სიმბოლიკა, როგორც ხერხი, აქ აშკარად უკანა პლანზე იწევს და უშუალო პოეტურ წარმოსახვას უთმობს ადგილს.

გამოჰრიდნა ვეფხმან გული, —
დედათამცა გამოჰრიდნეს
ლომი მედგრად გაეკიდა,
იგი ვერვინ დაამშვიდნეს...
ხრმალი გავტყორცნე, გადვიჭერ,
ვეფხი შევიპყარ ხელითა...
მის გამო კოცნა მომინდა,
ვინ მწვავს ცეცხლითა ცხელითა;
მიღრინვიდა და მაწყენდა
ბრჭყალითა სისხლთა მღვრელითა.
ველარ გავუძელ, იგიცა
მოვკალ გულითა ცხელითა...

სიმბოლოს ცოცხალ სახედ ქცევა, როგორც თავისებური მხატვრული კანონზომიერება, ერთ-ერთი ქვაკუთხედია რუსთაველის პოეტიკისა. რომანტიკული მიდრეკილება აბსტრაგირებისკენ აქ, როგორც წესი, განზავებულია, შინაგანად გაწონასწორებული კლასიკური სწრაფვით იდეის თანმიმდევრული სრული მატერიალიზაციისაკენ.

ამ თვალსაზრისით, სავსებით მართალია მორის ბოურა, როდესაც შუასაუკუნეების დასავლურ ლიტერატურასთან, კერძოდ, ფრანგულ რომანტიზმთან შედარებისას ხაზგასმით აღნიშნავს, „ვეფხისტყაოსნის“ ავტორისათვის დამახასიათებელ რეალობის თავისებურ გრძნობას.

„აქ ერთმანეთს უპირისპირდება — წერს ბოურა, — რუსთაველის სალი დამოკიდებულება კაცობრიობის მიმართ და ფრანგების ტენდენცია, ყველაფერი აბსტრაქციად და ალეგორიად აქციონ. მართალია, თავად რუსთაველი თავის პოემას „ალეგორიულს“ უწოდებს, მაგრამ იგი ისე საფუძვლიანად ამუშავებს თითოეულ თემას, რომ ჩვენ უშუალო წარმოდგენების მიღმა არასოდეს ვეძებთ სხვა აზრს“.

ბოურას მოსაზრება ზუსტ დაკვირვებას ეყრდნობა. მაგრამ თვით შედარება აქ ცალმხრივია. რადგან ყურადღების ცენტრში მხოლოდ განმასხვავებელი ნიშანი დგას. საკმარისია „ვეფხისტყაოსანს“ სხვა კუთხით შევხედოთ და ეს კონტრასტი მაშინვე დაკარგავს თავის აბსოლუტურ მნიშვნელობას.

თუ რუსთაველის პოემას კლასიკური ხანის ნიმუშებს შევუპირისპირებთ, აღმოჩნდება, რომ ბოურას მიერ აღნიშნული სხვაობა შინაგანი ნათესაობის მარცვალზე არის აღმოცენებული.

„ვეფხისტყაოსნის“ სახეებს უკვე აშკარად ეტყობათ კლასიკური წარმოდგენებიდან რომანტიკულ სფეროში გადანაცვლების, მათი თავისებური გადანერგვის ნიშანი.

რუსთაველის პერსონაჟები, მიუხედავად მათი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხასიათების ეპიკური მთლიანობისა, რაც მათ კლასიკურ ეპოსთან აკავშირებს, პიროვნების სულიერი ცხოვრების ასახვის თვალსაზრისით უკვე ახალ საფეხურს მოასწავებენ. ხასიათის შემადგენელ პლასტებად დანაწევრება აქ უკვე სახეზეა და მხატვრის ახალ შემოქმედებით ამოცანას განაპირობებს.

ავთანდილის ხანგრძლივი ოდისეა, რომელიც ზოგიერთი გარეგანი ნიშნით (ფათერაკებით, ცდუნებებით) ჰომეროსისა და ვერგილიუსის გმირთა თავგადასავალს ეხმაურება, არსებითად ახალი ხასიათის შინაგანი მოძრაობებით არის გამდიდრებული.

სხვათა შორის, უნდა ითქვას, რომ გონების პრიმატი ავთანდილის სახეში მხოლოდ შეფარდებითია. საერთოდ, ხასიათის კლასიკური ერთგვაროვნება აქ საგრძნობლად არის დარღვეული.

ავთანდილი ძალზე ხშირად იწევს ირაციონალურისაკენ, ძალზე ხშირად ნებდება საკუთარი სულის ქვეცნობიერ ძალებს, ძალზე ადვილად გადადის ექსტაზში და სპირიტუალურ კავშირს ამყარებს „ცასთან“, შეიძლება ითქვას, რომ ასეთი რომანტიკული „გადავარდნები“ მას უფრო ხშირად ემთხვევა, ვიდრე ტარიელს.

ავთანდილის ხასიათში არანაკლები რაოდენობით მოიპოვება იმ ამაფეთქებელი ნივთიერების მარაგი, რომელსაც ყოველ წუთში შეუძლია საბოლოოდ მოწყვიტოს მისი ალტკინებული სული მიწიერ მიზიდულობას.

ბასრი ინტელექტით დაჭილდოებულ რაინდში ეს მძაფრი სულიერი ძვრები ხშირად იწვევენ შინაგანი დრამატიზმის შეგრძნებას. და მაინც, ავთანდილის ხასიათი მთლიანია. სწორედ ეს „ერთიანობა“, რომელსაც ბოურა რუსთაველთან შენიშნავს, მჭიდროდ აკავშირებს „ვეფხისტყაოსანს“ კლასიკური პოეზიის იდეალებთან.

ავთანდილის ხასიათის ჰარმონიული მთლიანობა თვალნათლივ არის გამოვლენილი მის მოქმედებაში, რომელსაც ყოველთვის მიზანშეწონილი, გონიერად მოტივირებული, დასრულებული ხასიათი აქვს.

შინაგანი ჭიდილის, „გადავარდნის“, ექსტატიური ამაფრენის ენერგია აქ, როგორც წესი, თავის ბუნებრივ გამოსავალს პრაქტიკულ, რეალურ ქმედებაში პოვებს და, სწორედ ამ გზით, შესატყვის ფორმაში განხორციელებული, დასრულებული მთლიანობის სახით წარმოგვიდგება.

მთლიანობა, შინაარსის და ფორმის სრული ჰარმონია ერთიანად გამსჭვალავს „ვეფხისტყაოსნის“ მთელ მხატვრულ ქსოვილს, იგი გამოხატულია როგორც სახეებისა და მეტაფორული სისტემის, ისე სიუჟეტური კომპოზიციის ზუსტ სიმეტრიებში.

კლასიკური ზომიერებისა და სისადავის დახვეწილი გრძნობა „ვეფხისტყაოსანში“ გამუდმებით აწესრიგებს, როგორც ნაწარმოების ძირითად ფაბულურ სტრუქტურას, ისე მისი უმცირესი შემადგენელი ნაწილების ჰარმონიულ წყობასაც.

მაგრამ ეს ჰარმონია, ეს მთლიანი, თავის თავში დასრულებული, ნატიფ კონტურებში გადაწყვეტილი, მკვიდრად ნაგები შენობა ამავე დროს გამდიდრებულია შინაგანი პერსპექტივის სამყარო, თითქოს უსასრულობაში გატყორცნილი სიღრმით.

ჩვენ უკვე აღვნიშნეთ ე. წ. „დახურული“ და „გახსნილი“ ფორმის ელემენტთა თანაარსებობა „ვეფხისტყაოსანში“, როდესაც რომანტიკული სტილის ნიშნებზე მოგვიხდა საუბარი, საინტერესოა მათი ურთიერთშეფარდების, ურთიერთდამოკიდებულების ძირითადი წესის დადგენა.

თუ ჩვეულებრივ (განსაკუთრებით ეპიკური თხრობისას) რუსთველური სტროფის ჩარჩოებში მოქცეულია თავისუფლად გაშლილი პერიოდი, რომელიც, როგორც შინაარსით, ისე სტილითაც არსებითად ერთგვაროვან მთლიანობას წარმოადგენს, სამაგიეროდ პოემის ლირიკულ ნაწილებში მეტყველების მწყობრ მდინარებას ხშირად ცვლის თავისებური „ტეხილი“ სტილი. არა მხოლოდ სტროფები, არამედ ცალკეული სტრიქონებიც კი, ზოგჯერ ხაზგასმით დანაწევრებულია. აზრის განვითარება აქ თითქოს წყვეტილ ხაზს მისდევს. ასეთი სტილით ჩვეულებრივ გამოხატულია პერსონაჟის სულიერი აფორიაქება, ან განწყობილების თავისებური კონფლიქტური ელფერი.

ასეთია, მაგალითად, ცნობილი სტროფი, სადაც ავთანდილი თავის სიუზერენს ჭაბუკური ალფრთოვანებით უმტკიცებს სიყვარულით ამაღლების იდეას:

წაგიკითხავს, სიყვარულსა
მოციქულნი რაგვარ წერენ?
ვით იტყვიან, ვით აქებენ?
ცან, ცნობანი შეაჯერენ.
„სიყვარული აგვამაღლებს“
ვით ეჟვანნი ამას ჟღერენ,
შენ არ სჯერხარ. უსწავლელნი
კაცნი ვითმცა შევაჯერენ!

სტრიქონის ორ დამოუკიდებელ კომპონენტად დაშლა, აზრის სწორხაზოვანი მდინარების ნაცვლად „პუნქტირული“, წყვეტილი მანერის გამოყენება, რაც შინაარსის ემოციურ სიმძაფრეს აძლიერებს, შეიმჩნევა ნესტან-დარეჯანის წერილშიც:

შენ საყვარელო, ნუ სჭმუნავ
ჭმუნვითა ამისთანითა,
ჩემი სთქვა: სხვათა მიჰხვდათ
იგი ალვისა ტანითა,
არამ სიცოცხლე უშენოდ!
ვარ აქამდისცა ნანითა.
ან თავსა კლდეთა ჩავიქცევ.
ანუ მოვიკლავ დანითა

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაძაბულობა აქ თავის ზენიტს მესამე სტრიქონში აღწევს, რომელიც თითქოს შუაზე გაწყვეტილი პათეტიკური მახვილით.

აშკარა ემოციურ კონტრასტზე არის აგებული შემდეგი სტროფი ნესტანის წერილიდან:

მე სიკვდილი აღარ მიმძიმს,
შემოგვედრებ რადგან სულსა,
მაგრამ მენი სიყვარული,
ჩავიტანე, ჩამრჩა გულსა;
მომეგონოს მოშორვება,
მემატების წყლული წყლულსა;
ნუცა მტირ და ნუცა მიგლოვ,
ჩემო, შენთვის დაკარგულსა.

აქ სიმძიმილისა და ნუგეშის მოტივი შეუმჩნევლად ცვლის ერთმანეთს, განწყობილება ორი საპირისპირო ემოციური ნაკადისაგან შედგება; შინაარსის ერთგვაროვანი თანმიმდევრობა აშკარად დარღვეულია, რადგან იგი წინააღმდეგობრივ სულიერ მოძრაობებს გამოხატავს. პოეტური მეტყველების ალოგიზმი ამ სტროფში გაპირობებულია ქვეცნობიერი იმპულსების უაღრესად ძალუმი მოქმედებით.

მაგრამ რუსთაველის სტროფში შინაგანი წინააღმდეგობა საბოლოოდ მაინც ყოველთვის დაძლეულია. ურთიერთსაპირისპირო, დისონანსური ელემენტები აქ პოეტური კონტრაპუნქტის პრინციპით უთანხმდებიან ერთმანეთს და მთლიან ემოციურ გამმას ქმნიან.

ეს უჩვეულო ჰარმონია თავის პოეტურ გამოხატულებას პოვებს რუსთაველის სტროფის დასრულებულ მთლიანობაში, რომელიც ყოველთვის მკვიდრად არის შეკრული და ფოლადისებური ნაჭედობით გამოირჩევა.

„ვეფხისტყაოსანი“ სამყაროს მხატვრული დაპყრობისა და დაუფლების კლასიკური ნიმუშია. შეიძლება ითქვას, რომ „დაუფლება“, რომელსაც აქ ავტორი პოეტური ნათელჭვრეტის, მხატვრული ინტუიციის გზით აღწევს, თანაბრად განვრცობილია ორ სიბრტყეში — „ვეფხისტყაოსანი“ ერთნაირად მასშტაბური ნაწარმოებია, როგორც ადამიანის გარემომცველი ობიექტური რეალობის, ასევე მისი შინაგანი ცხოვრების წვდომის თვალსაზრისითაც.

ქვეყანა, რომელსაც რუსთაველი წარმოსახავს, დასრულებულია თავის თავში, მაგრამ, არამც და არამც, არ არის შეზღუდული. ადამიანი ლაღად გასცქერის სამყაროს და მის გარშემო, ყოველმხრივ, გრანდიოზული სივრცე იშლება. სინამდვილე რუსთაველის პოემაში მოცულია „მთლიანად“. ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲘ ᲐᲔᲠᲗᲘᲐᲜᲔᲑᲡ ᲧᲕᲔᲚᲐᲤᲔᲠᲡ. ის თითქოს ყოველთვის მშობლიურ, შინაურ გარემოცვაში იმყოფება. აქ ყველაფერი მისია, მზეც და ბალახიც, ვარდისფურცლობის ნიშანი ისევე გასაგებია და ახლობელია მისთვის, როგორც ეტლის ცვალება მზისაგან.

სამყაროს მთელი დაუსხამი მშვენება თითქოს ერთი ბეჭდის რგოლშია მოთავსებული და განუყრელად თან სდევს, ძვირფასი გზნებით ათბობს, ეალერსება წუთისოფლის სწრაფმავალ სტუმრებს.

ქვეყანა, რომელსაც რუსთაველის გმირები საკუთარი სულის სიღრმეში ატარებენ, არანაკლებ დიადი და უსასრულოა. სივრცეები აქაც თვალუწვდენად იშლებიან და ადამიანი უკვე განცვიფრებით ჩასცქერის მის თვალწინ გახსნილ ახალ უფსკრულთა სიღრმეს. მან უკვე იგრძნო საკუთარ „სურვილთა დიადობანი“, უკვე მიხვდა რომ მისი ნდომის გარდუვალობა, მისი სწრაფვა მარადიული სინათლისკენ განუზომლად აღემატება ჩვეულებრივი, მიწიერი არსებობის შესაძლებლობებს.

ნესტანისა და ავთანდილისათვის ეს ტრაგიკული შეუსაბამობა მთელი შინაგანი სისავსით იხსნება სულიერი აღმაფრენით გამოწვეულ ნათელხილვის წუთებში:

ღმერთსა შემვედრე, ნუთუ კვლა
დამხსნას სოფლისა შრომასა,
ცეცხლსა, წყალსა და მიწასა,
ჰაერთა თანა ძრომასა,
მომცეს ფრთენი და აღვფრინდე,
მივჰხვდე მას ჩემსა ნდომასა!
დღისით და ღამით ვჰჭვრეტდე
მზისა ელვათა კრთომასა*.

—ევედრება ნესტანი თავის სატრფოს. ხოლო თინათინის მიჯნური ხანდახან მზის სინათლესაც გაურბის, რათა ღამეულ სიმარტოვეში პირისპირ დარჩეს თავისი სიყვარულით აღზევებული სულის წინაშე.

ღამე ალხენდის, მზე სჯიდის,
ელის ჩასვლასა მზისასა...
აწ ვერ ვიტყვი მაშინდელსა
მე მის ყმისა ნაუბარსა,
რას უბნობდის, რას მოთქმიდის,
რას ტურფასა, რაზომ გვარსა.

— გვაუწყებს რუსთაველი თავისი გმირის სულიერი მდგომარეობის შესახებ და ამ სიტყვებიდან მცირე მანძილიღა რჩება ქართული რომანტიზმის ცნობილ სტრიქონებამდე:

---

* „ვეფხისტყაოსნის“ ეს სტრიქონი ჩვენი ფიქრით, აშკარად დაკავშირებულია ბიბლიის ერთ მეტად მნიშვნელოვან ადგილთან: „და ვთქვა ვინმცა მცნა მე ფრთენი ვითარცა მტრედისანი და ავფრინდე მე და განვისვენო“ — ეს სწორედ ის ადგილია „დავითნიდან“, რომელიც განსაკუთრებით ახლობელი აღმოჩნდა ქრისტიანული მსოფლშეგრძნებისთვის.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნამდვილი ტრფობა გინა რას
სიტყვით ეძებდეს, ვერ ჰპოვებს,
რათა გამოსთქვას თვის გრძნობა
და მისთვის ოხრავს, მდუმარებს...

მაგრამ „ვეფხისტყაოსანში" საბოლოოდ მაინც აღდგენილია თანხმობა ადამიანის სუბიექტურ სამყაროსა და მის გარემომცველ ობიექტურ სინამდვილეს შორის. რუსთაველის გმირთა ყველაზე ამაღლებული წადილი, ყველაზე რომანტიკული იდეალები აქ, ამქვეყნად, პოვებენ თავიანთ განხორციელებას, სულისმიერი სინათლე და ჰარმონია აქ სძლევს უკუნეთისა და ქაოსის ძალებს, მშვენიერება აქ სახიერდება ცოცხალ, სრულყოფილ სახეებში.

„ვეფხისტყაოსანში" მიღწეული ჰარმონია ესთეტიკური თვალსაზრისით უკვე შესამჩნევად განსხვავდება ხელოვნების კლასიკური იდეალისგან.

ეს არის თვისობრივად ახალი, განსაკუთრებული თანხმობა, რომელიც კლასიკური და რომანტიკული იდეალების ჰარმონიულ შეერთებას გულისხმობს.

როგორც ცნობილია, რუსთაველის პოეტური მემკვიდრეობა ქართული მწერლობის კლასიკური ხანის კანონზომიერი დაგვირგვინებაა. აქ უკვე საბოლოოდ გაფორმებული, დახვეწილი სახით წარმოგვიდგება მხატვრული მსოფლმხედველობის ის თავისებური ფორმა, რომელიც საუკუნეების მანძილზე ყალიბდებოდა ქართველი ხალხის მატერიალურ და სულიერ კულტურაში. ხელოვნების არსებითად განსხვავებული ფორმების ურთიერთგადამკვეთი მოქმედება თვალნათლივ გამოვლინდა უკვე წინა ეპოქების მხატვრულ ძეგლებში, მაგრამ ეროვნულ ნიადაგზე მათი საბოლოო შერწყმა — ჭეშმარიტი სინთეზი — ხელმისაწვდომი აღმოჩნდა მხოლოდ ისეთი ტიტანური შესაძლებლობის ხელოვანისათვის, რომელიც ქართულ კულტურას მისი ოქროს ხანის დასასრულს მოევლინა.

რუსთაველის მხატვრულ სისტემაში გენიალური უბრალოებით არის გადაჭვარედინებული პოლუსური უკიდურესობები — წარმართული და ქრისტიანული, აღმოსავლური და დასავლური, ანტიკური და შუასაუკუნებრივი, კლასიკური და რომანტიკული ფორმები.

ეს უჩვეულო ჰარმონია გამოხატავს ქართული შემოქმედი გენიის თავისებურებას, რომელმაც თავისი განვითარების უმაღლეს საფეხურზე სწორედ ამ უნივერსალური სახით გამოავლინა საკუთარი თვითმყოფობა.

სწორედ ამის გამო, „ვეფხისტყაოსანი", როგორც ეროვნული იდეალის სრულქმნილი განსახიერება, ჩვენ წარმოგვიდგება ერთ მნიშვნელოვან გზაჯვარედინად კაცობრიობის ესთეტიკური განვითარების მრავალსაუკუნოვან გზაზე.

არსებობს მხატვრული შემოქმედების რამდენიმე ფუნდამენტური ტიპოლოგიური ნიშანი, რომელთა შესაბამისი ცნებები ახალი დროის ესთეტიკამ შემოიტანა ხმარებაში.

ჩვენი საუკუნის დასაწყისისათვის (ჰეგელისა და შილერის ცნობილი კლასიფიკაციების შემდეგ) დასავლურ ხელოვნების ფილოსოფიაში განსაკუთრებით გახმაურდა ნიცშეს მოძღვრება ორი საწყისის — „აპოლონურისა" და „დიონისურის" შესახებ.

ბერძნული პანთეონის პერსონაჟები გამოყენებულ იქნენ არა მხოლოდ ანტიკური ხელოვნების (კერძოდ, ბერძნული ტრაგედიის) დასახასიათებლად, არამედ, საერთოდ, მხატვრული შემოქმედების მთავარ სახეობათა დასადგენადაც.

„აპოლონური", საწყისი, ამ კონცეფციის მიხედვით, ნიშნავს დაახლოვებით იგივეს, რასაც „კლასიკური" ჰეგელის ესთეტიკაში, ან „მიამიტური" შილერისაში, ანუ ნათელს, გონებით გაწონასწორებულს, ჰარმონიულს, ხოლო „დიონისური" — სტიქიურს, ქვეცნობიერს, დისჰარმონიულს, ანუ ზოგიერთი ნიშნით „რომანტიკულის" მონათესავე საწყისს.

ამ ახალმა კატეგორიებმა ბევრი საგულისხმო მოვლენა და ასპექტი გაანათა ხელოვნების ისტორიაში, თუმცა ზოგიერთი რამ საკმაოდ არ-ივდარია კიდეც.

აპოლონსაც და დიონისესაც (განსაკუთრებით მეორეს) ბევრი მიმდევარი გამოუჩნდა, როგორც დასავლეთში, ასევე ჩვენშიც. სიმბოლიზმის მედროშეებმა, ცხადია, ქვეცნობიერების ღვთაებას მიანიჭეს უპირატესობა.

სხვათა შორის ეს კატეგორიები გამოყენებულ იქნა ესთეტიკური თვითგამოხატვის ეროვნული მოდელების გასარკვევადაც.

ქართული ესთეტიკური მსოფლგაგება, როგორც სამყაროს მხატვრული და გააზრების ყველა სხვა სრულფასოვნად გამოვლენილი ეროვნული მოდელი, უთუოდ შეიცავს ორივე ამ საწყისის ნიშნებს. მათი თავისებური გამოვლინების არაერთი მაგალითი შეინიშნება, კერძოდ, რუსთაველის პოემაში.

მაგრამ „ქართული სულის" ემბლემად არცერთი ამ ღვთაებათაგანი არ გამოდგება.

ბერძნული პანთეონიდან ჩვენთვის გაცილებით უფრო ახლობელია სხვა სახე, რომელიც დასავლური მწერლობისა და სხვითი ხელოვნების ოსტატებისგან განსხვავებით, გასული საუკუნის ესთეტიკოსებს რატომღაც ჩრდილში დარჩათ.

ეს გახლავთ პრომეთე ანუ ჩვენივე — „კავკასიის მთებზე მიჯაჭვული" ამირანი.

პრომეთეული საწყისი იმ სახით, როგორც ის წარმოიშვა და საუკუნეების მანძილზე დაკრისტალდა კულტურული კაცობრიობის ცნობიერებაში (ესქილედან შელიმდე) ბევრ მნიშ-

ვნებლოვან მხარეს ხსნის ქართული ხასიათის თვითმყოფ შინაარსში.

ეს არის ყველაზე ზუსტი და ყველაზე მრავლისმომცველი ემბლემა ამ ხასიათისა.

შემთხვევითი არაა, რომ ჩვენმა XIX საუკუნემ სწორედ ეს სახე ირჩია თავისი სულისკვეთების სიმბოლოდ.

მართალია, ჯაჭვაწყვეტილ ამირანში ეპოქის მხოლოდ ერთი კონკრეტული იდეა განსაგნდა — ქართველი ხალხის მომავალი განთავისუფლება („მოვა დრო და თავს აიშვებს"...), მაგრამ ამ სახესთან დაკავშირებული სიმბოლიკა სხვა მხრივაც მიესადაგება „ქართული სულის" ძირეულ ნიშანთვისებებს.

...აპოლონისა და დიონისეს მსგავსად, პრომეთეც ღმერთია (უფრო ზუსტად, ტიტანი), მაგრამ, ოლიმპოს მკვიდრთაგან განსხვავებით, ის არ ჯერდება თავის ღვთაებრივ ხვედრს. მისი მეორე სტიქია და სამყოფელი მიწაა, ხოლო მთავარი საწადელი — მიწისშვილთა თანამდგომობა. ამდენად ის ორბუნებოვანი არსებაა: ერთდროულად „ცისაც" არის და „მიწისაც" („ვნუგეშობ ამით, მიწას მიწურად და ცას ციურად მივეთავაზი"). მისი მაღალი სული დედამიწაზეა დანარცხებული და მხოლოდ მიწიერ ტანჯვაში შეიცნობს ბოლომდე თავის რაობას, მხოლოდ ამ მიწაზე განცდილი წამება ხსნის მთელი სისრულით მისი მოწოდების სიდიადეს. ეს მიწა რომ „კავკასიის მთებია", ანუ ის ადგილი, რომლის მოსახლეობას დღენიადაგ ათასი უვავ-ყორანი უჯიჯგნიდა გულმკერდს, ამას ნულარ გამოვედევნებით. სამაგიეროდ ერთ საგულისხმო გარემოებაზე ღირს ყურადღების შეჩერება: შუასაუკუნეებში, როდესაც პრომეთეს ქრისტეს წინამორბედად სახავდნენ, ეკლესიის ერთი მამათაგანი, ტერტულიანე მის ისტორიას „კავკასიურ ჯვარცმას" უწოდებს.

პრომეთე სილაღის ღმერთია, უფრო მეტად, ვიდრე აპოლონი, ვინაიდან მისი სილაღე ნასაზრდოებია არა ღვთაებრივი კეთილდღეობით, ან ღვთაებრივივე ხელშეუხებლობის შეგნებით, რასაც ბუნებრივ აკომპონიმენტად თან ახლავს ღვთიური საკრავებისა და ციკადების დამაშომინებელი კეთილხმოვანება, არამედ ტანჯვით და ამ ტანჯვაში განმტკიცებული სიცოცხლის დაუთმობელი რწმენით.

ეს არის არა ნებიერის ნეტარ-განცხრომა, არამედ ჯოჯოხეთგამოვლილი სულის სიმხნევე („ქირთა შიგან გამაგრება"...).

პრომეთე დაბადებით მეამბოხეა („მებრძოლი შავის ბედისა"...), შეურიგებლობის, შეუგუებლობის, შეუპოვრობის სული, პირველი ურჩი ვასალი, პირველი ანტიკონფორმისტი კაცობრიობის ისტორიაში. უკვე ესქილეს ტრაგედიაში ის ვერ იტანს ვერავითარ ჩაგვრას, შევიწროებას, თვითშეზღუდვას — ვერაფერს, რაც პიროვნების შინაგან თავისუფლებას, ცოცხალ აზრს ან ბუნებრივ სწრაფვას ახშობს, ვერ ურიგდება ვერავითარ აკრძალვას, მაშინაც კი, როცა დესაც ამკრძალავი ნიშანი უზენაესის ნებასურვილის გამომხატველია, ვერავითარ მორჩილებას, თავსმოხვეულ წესრიგს, ქვეშევრდომლურ თვინიერებას.

პრომეთე ყოველგვარი ტირანიის უპირველესი მოძულეა და ამის გამო „[illegible]" — თვითმპყრობელთა თვალში (ჰესიოდეს მიხედვით მან პირველად ძევსი დაკლული ხარის გაყოფისას მოატყუა).

და პრომეთეუსი თავდავიწყებამდე ერთგულია თავისი კაცთმოყვარული მრწამსისა.

პრომეთე უკანონოდ მიმტაცებელია (ღვთიური ცეცხლის). ის ძარცვავს ყველაზე შეძლებულ მესაკუთრეებს, ჰეფესტოს და ათენას, რათა ნაპარავი უპოვართ მოახმაროს („მდიდარს ართმევს, ღარიბს აძლევს"...).

პრომეთე ყველაზე ადამიანური ღმერთია ბერძნული პანთეონისა, ყველაზე უხვი და გულჩვილი; მან არ იცის, რაა სიკერპე ან ქედმაღლობა ღვთისშვილთა მიმართ.

პრომეთეს ამაყი მარტოობა იძულებითია და ამდენად ძირეულად განსხვავებული მანფრედისა და ბრანდტის განდგომისაგან. მარტოობა მისი უმძიმესი ხვედრია და არა თვითგანაჩენი, ეს არის ყველაზე დიდი სასჯელი, რომელიც მას უზენაესმა ძალამ გარდმოუვლინა, ვინაიდან პრომეთეს სწორედ ადამიანთა საერთო სამყოფლისკენ, მიწიერ თანამოძმეთაკენ უწევდა გული.

პრომეთე სინათლის მოციქულია, „მზის წილია", ბედნიერების მაცნე და მახარობელია. ის იმის გამოც მიიჩქარის თავისი ცეცხლოვანი ნადავლით ადამიანებისკენ, რომ უმცეცხლოდ — უსითბოოდ და უსინათლოდ — არ წამს ნამდვილი ყოფიერება, კაცთა მოდგმის არსებობის აზრი (ჯერ კიდევ ესქილეს ტრაგედიაში პრომეთესთვის ბედნიერება, ბედნიერი ადამიანი წარმოუდგენელია სიამაყისა და დამოუკიდებლობის გარეშე, კაცთმოყვარეობა მისთვის თავისუფლებისმოყვარეობის სინონიმია).

ბედნიერების ნაპერწკალი პრომეთეს ზესკნელიდან მიწაზე ჩამოაქვს, რომ აქ გაათბოს დამზრალი გულები, აქ აზიაროს უკვდავების, შვების, ჰარმონიის განცდას, აქ შეუქმნას მათ იდეალის, სრულქმნის, ავსების ილუზია.

ის ცოცხალი ხიდია ცასა და დედამიწას შორის, ცხოველი სვეტი, მართალია, დამეხილი, მკერდგაპობილი, მაგრამ მაინც ამაყად მზირალი, ლაღი, მოკისკასე, სიცოცხლის უწყვეტობისა და მარადი აღორძინების ნაუწყებელი...

არ ვიცი, როგორ შეიძლება ყველა ამ ატრიბუტის ერთ ეპითეტში ჩატევა, არა და ვგრძნობ, რომ მთლიანი სახე დაიქსაქსა დეტალებში. ყველაზე ლაპიდარული მაინც თვით სიმბოლოა:

პრომეთე, პრომეთეოსი, ამირანი.

ესქილეს „მიჯაჭვული პრომეთე“, გოეთეს პრომეთე — დემიურგი, ბაირონის პრომეთე — ცეცხლოვანი გონება, შელის „ახსნილი პრომეთე“. ყველა ეპოქა თავისას უმატებდა პრომეთეოსის სახეს. აკაკი წერეთელმაც „თორნიკე ერისთავში“ ბიზანტიიდან შინ მომავალ ქართველთა ლაშქარს თავისი ათქმევინა...

პრომეთეს და ამირანის სახეების იდენტურობაზე სხვადასხვა აზრი არსებობს. უეჭველია მათი ნათესაობა.

უეჭველია ისიც, რომ ამირანის სახე სათავეს იღებს ქართული კულტურის უძველესი შრეებიდან.

ჩვენ არაფრის მისაკუთრებას არ ვაპირებთ. ბევრი რამ, რაც პრომეთე-ამირანის სახეს ქართული ხასიათის ემბლემატურ ნიშნებს სძენს, მთელი დასავლური სამყაროს, საერთოდ მთელი კაცობრიობის კუთვნილებაა. მით უკეთესი, თუ ეს ნიშნები ესოდენ მკაფიოდ გამოვლინდა ქართულ ნიადაგზე. ეს იმას მოწმობს, რომ ჩვენი სულიერი ბიოგრაფიის გზები დასაბამიდანვე საკაცობრიო ცხოვრების აღმავალ გეზს მისდევდა.

●

პრომეთეს სახის გაგებისთვის დიდად საყურადღებოა კიდევ ერთი თვალსაზრისი.

აპოლონური და დიონისური საწყისების დაპირისპირებას ასეთი შეხედულება უდევს საფუძვლად: ძველ ბერძნებს კარგად ესმოდათ ბუნების (სამყაროს, ქვეყნიერების) მთელი სისასტიკე და საშინელება; აპოლონის კულტი მათ დასჭირდათ იმისთვის, რომ ამ პირველქმნილი ბუნებისთვის ანუ პირველყოფილი ღმერთების (ტიტანების) მახინჯ საუფლოსთვის ლამაზი ფარდა გადაეფარებინათ. ასეთი საფარველის როლს ასრულებდა მათი „სიზმარი“ (ოლიმპო) — ახალი ღმერთების, მშვენიერი, ნათელი, სილოცხლისმოყვარული არსებების მოდგმა, რომლებიც თავიანთი იერით აპოლონურ საწყისს განასახიერებდნენ.

დიონისე ყოველივე ამის საპირისპიროდ ბუნებასთან დაბრუნებას ნიშნავს — ბუნების ქაოსთან, დისჰარმონიასთან, ტანჯვასთან, სიმახინჯესთან შეერთებას, რაც დიონისური „თრობის“ საშუალებით შვებად უნდა იქცეს.

ასეთი შეხედულების კონტექსტში პრომეთეს სახე ახალი შუქით ნათდება. მთავარი აქ ისაა, რომ პრომეთე, ბერძნული მითოლოგიის მიხედვით, არის არა ახალი ღმერთი (ოლიმპიელი), არამედ ტიტანი (ანუ ძველ ღვთაებათაგანი), ე. ი. სწორედ პირველყოფილი, საფარველგადაუხურავი, ნამდვილი, შეულამაზებელი ბუნების სახიერება.

საკვირველია, რომ „აპოლონ-დიონისეს“ კონცეფციაში გამორჩენილია ეს გარემოება. პრომეთესთან დაკავშირებით აქ აღნიშნულია მხოლოდ მისი ღვიძლისმკორტნელი ფრინველი — უსამართლობის აღმსრულებელი ძალა. მაგრამ ბუნება თავისი წიაღიდან აღმოაცენებს არა მხოლოდ არწივს („ძერას“), როგორც ბოროტების და სისასტიკის ადეპტს, არამედ სიკეთით ძალმოსილ პრომეთესაც.

პრომეთე ბუნების პირველქმნილი წიაღიდან ჩნდება.

ამრიგად, პრომეთეს სახეში შემონახულია ძველისძველი ადამიანური რწმენა იმისა, რომ თვით ბუნებაში არსებობს და მოქმედებს ჰუმანური საწყისი.

საინტერესოა ერთი დამთხვევა: დიონისეს მსგავსად, პრომეთეც ტანჯული („სხეულდაფლეთილი“) არსებაა. მაგრამ დიონისესგან განსხვავებით ის არის არა ტანჯვის და თვითგვემის, არა წამებაში შვების მაძიებელი ღვთაება, არამედ ტანჯვასთან შეურიგებლობის, ბედნიერების, უფრო ზუსტად, ბედნიერებისთვის მებრძოლი ღმერთი.

პრომეთეს (ისევე როგორც ჩვენს ამირანს) სწამს ბუნების „კეთილზნიანობა“; ეს რწმენა კი უაღრესად ახლობელია ქართული მსოფლგაგებისთვის, მისი განვითარების უძველესი სტადიიდანვე.

ასეთია, კერძოდ, ჩვენი კოსმოგონიის ყველაზე ადრეული და ყველაზე მარტივი მოდელი:

მზე დედაა ჩემი,
მთვარე — მამა ჩემი;
წვრილ-წვრილი ვარსკვლავები
და და ძმაა ჩემი.

ქართველი კაცი შინაურად გრძნობს თავს დაუსაბამო სამყაროში.

ყოფიერების ამგვარი გააზრება ყველაზე იოლად ჩვენი ხასიათის უბრალოებით შეიძლებოდა ახსნილიყო, მაგრამ ასეთი ახსნა თავის მხრივ დიდი გულუბრყვილობა იქნებოდა.

უბრალოება (მიამიტობა), გარკვეული დოზით, ყოველგვარი პოეტური მსოფლგაგების საფუძველშივე იგულისხმება. ქართული პოეზიაც ამ მხრივ გამონაკლისს არ წარმოადგენს.

მაგრამ ყოფიერების სიღრმისეული გააზრება ქართველი ხალხის მხატვრულ შემოქმედებაში ასე მარტივად როდი გამოიყურება.

ჩვენს ძველებს ბერძნებზე არანაკლებ ესმოდათ, როგორც სოფლის ულმობელი წარმავლობა („ბინდისფერია სოფელი, თანდათან უფრო ბინდდება“), ასევე მუხანათური ფანდები („ესე ასეთი სოფელი, არვისგან მისანდობელი“) და მწარე უკუღმართობაც („რას გვაბრუნებ, რა ზნე გჭირსა?“), მათ თვალს არც დროის მსახვრელი მოქმედება დარჩენია შეუმჩნევლად („ჩვენს ნასახლარზეც ოდესმე ბალახი ამობინდება“) და არც სტიქიონური ძალების მტრული, დაუნდობელი დამოკიდებულება ადამია-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნის მიმართ (რაც ღვთისშვილთა სისხლის მოყვარულ დევების სახეებში გამოიხატა).

„წუთია წუთისოფელი, ცნობას არ გვაცლის ძმისასა...“

ამბობს ჩვენი გლეხკაცი და მაინც:

„თავსა სევდასა ნუ მისცემ, გულს ხავსი მოეკიდება“.

რა არის ამ „სევდის“ მოსაგერიებელი საშუალება? სად ეგულება მისი წამალი ქართველ კაცს?

რასაკვირველია, ღვინოშიც, თავდავიწყებაშიც (ანუ დიონისურ „თრობაში“), ასევე — თავის მიერვე შეთხზულ მშვენიერ ილუზიებშიც (ანუ აპოლონურ „სიზმარში“).

მაგრამ ა რ ა მ ხ ო ლ ო დ!

ძველი ბერძნებისაგან განსხვავებით, ქართველ ხალხს თავისი მითოლოგია სამყაროს შემზარავი უფსკრულების ლამაზ საფარველად არ გამოუყენებია. მწუხარების, სიავის, საშინელების (დისჰარმონიის) აღნაბეჭდები სავსებით შენარჩუნებულია მისი უძველესი გადმოცემების ჩვენამდე მოღწეულ ნამსხვრევებშიც.

მაგრამ მთავარი აქ ის არის, რომ სიმახინჯის მძიმე ზოდების ქვეშ მისი მზერა მუდამ არჩევდა მშვენიერების მჭვირვალ მარცვლებსაც, ხოლო უკუნეთის წიაღში სინათლის მიუკვლეველი საბადოები ეგულებოდა.

ეს სინათლე, როგორც გველეშაპის ფაშვში მომწყვდეული მზექაბუკი (იგივე ამირანი!) მუდამ მზად იყო თავის დასახსნელად, ანტისინათლის, ანტიბედნიერების, ანტისილამაზის სქელ გარსთა გასაპობად, საკუთარი არსის გამოსამზეურებლად.

პრომეთეს მოქმედების დედააზრიც ხომ სწორედ ეს არის — ცეცხლის, სინათლის, სიცოცხლის პირველწყაროს გამოგლეჯა ადამიანთადმი მტრული ძალების საუფლოდან.

შეიძლება ითქვას, რომ ქართულმა კულტურამ თავისებური აკუმულაცია მოახდინა „კავკასიური ჯვარცმის“ ყველა ადგილობრივი მოტივისა და მსოფლიოს ამ რეგიონის ხალხთა ოდინდელი სულისკვეთების მხატვრულად სრულქმნილი, საკუთრივ ლიტერატურული ხატი შესძინა საკაცობრიო კულტურას. ამ მხრივ საგულისხმოა, არა მხოლოდ ის ფაქტი, რომ, გასაგები მიზეზის გამო, ზოგადკავკასიურმა ფოლკლორულმა სიუჟეტმა თავის დროს მხოლოდ საქართველოში მიიღო ლიტერატურული გაფორმება (სარგის თმოგველის „ამირან დარეჯანიანის“ სახით), გაცილებით უფრო მნიშვნელოვანია ის გარემოება, რომ მთელი ჩვენი კლასიკური ხანის პოეზია არსებითად ამ სულისკვეთების გამომხატველია, ხოლო პირველ რიგში და ყველაზე მკაფიოდ ეს მის დამაგვირგვინებელ ნაწარმოებზე ითქმის. რუსთაველის პოემის მთავარი იდეაც ხომ სამყაროსადმი პრომეთეულ დამოკიდებულებას ასახავს — სინათლისა და ბედნიერების სათავე აქაც ბნელეთის ტყვეობიდან მოელის გამოხსნას (საგულისხმოა ამ მოტივის გვიანდელი გააზრებაც, რომლის მიხედვით ეს გამოხსნილი სინათლე ეროვნული ოცნების ახდომას მოასწავებს).

ქართული წარმოდგენა სამყაროზე ამბივალენტურია — იგი ერთნაირად ხედავს ავსა და კარგს, ანუ სინამდვილის ორმაგ კანონზომიერებას, ორბუნებიანობას, ხოლო ოპტიმიზმის (სიკეთისა და სილამაზის რწმენის) საფუძველი მისთვის თვით ბუნებისმიერი, ობიექტური ჭეშმარიტებაა (და არა „თრობა“ ან „სიზმარი“).

ზემოთ უკვე ითქვა ქართული ხასიათის თავისებური არტისტიზმის გამო (რაც ხშირად „გამოგონილი“ ბედნიერებით, ბედნიერების ხელოვნური სუროგატებით ტკბობაშიც ვლინდება). მაგრამ ეს თვისებაც თავისი მსოფლმხედველობრივი შინაარსით ბუნებისმიერია, ვინაიდან ქართული ხასიათი „ამაღლებულს“ და „მშვენიერს“ არსებულ რეალობაშივე ხედავს.

თავად ბუნებაა, მისი ღრმა რწმენით, „უთვალავ ფერთა“ ანუ მრავალსახოვნების, მრავალფეროვნების, მრავალკონტრასტულობის, მრავალწილბიანობის უპირველესი შემოქმედი.

ამის გამოა, რომ ზეიმს (ლხინს, თამაშს, „სახიობას“) ის თვით ბუნებისაგან სწავლობს, ოღონდ არა როგორც ქაოსს და დისჰარმონიას (დიონისური ორგიების დარად), არამედ როგორც ბუნებისავე წესისა და კანონზომიერების გამოვლინებას.

სიცოცხლის სწორედ ასეთი გაგება იძლევა პასუხს იმ კითხვაზე, რომელიც ჩვენ ადრე უპასუხოდ დავტოვეთ:

რატომ ვერ ურიგდება ქართველი კაცი სიკვდილს? ანუ: რატომ ვეკუთვნით ჩვენ იმ ხალხთა რიგს, რომლებიც შედარებით ძნელად თმობენ ამქვეყნიურ არსებობას.

ნიშცეს რწმუნებით, ძველ ბერძნებს სულის სიღრმეში არაფრად ულირდათ სიცოცხლესთან განშორება, ვინაიდან მათ კარგად იცოდნენ მისი ნამდვილი ფასი (უფასურობა). ამ ლოგიკისმიხედვით, სიკვდილი იმას უნდა ეძნელებოდეს, ვინც გადაჭარბებული აზრისაა სიცოცხლის კეთილისმყოფელ არსზე, მარტოოდენ სიკეთეს ხედავს ამქვეყნიურ არსებობაში.

ჩვენი დამოკიდებულება სიკვდილისადმი ამ ლოგიკას მხოლოდ ნაწილობრივ ექვემდებარება. სიცოცხლის დაუთმობლობის მთავარი მსოფლმხედველობრივი მიზეზი აქ მის შესახებ გულუბრყვილო წარმოდგენა კი არ არის (სამყაროს, როგორც სავსებით რეალიზებული, აბსოლუტური სიკეთის გაგება), არამედ მისი პოტენციური შესაძლებლობების ოდინდელი, საუკუნეებში შენარჩუნებული რწმენა.

რაც შეეხება საკუთრივ ოპტიმისტურ მსოფლშეგრძნებას, ეს უკანასკნელი ზემოხსენებული ორმაგი კანონზომიერების შესაბამისად ვლი-

ნდება. სიკეთე და ბოროტება, ისევე როგორც სინათლე და სიბნელე, ამ თვალსაზრისის მიხედვით, თავისთავად არსებობენ სამყაროში, როგორც ტოლძალოვანი საწყისები, მაგრამ ადამიანს მაინც „კარგი“ უნდა უკვირდეს („ავი რა საკვირველია!“), უხაროდეს, ხიბლავდეს, სწამდეს.

და თუ რუსთაველის რწმენით: „ბოროტსა სძლია კეთილმან, არსება მისი გრძელია“, ხალხიც თავისი სულის სიღრმეში იმ გონიერი წესის იმედით დგას, რომ:

„დღეს ღამე უთენებია“.

ყველაზე მნიშვნელოვან სახედ, სამყაროს ორმაგი კანონზომიერების განჭვრეტისა და გაცნობიერების თვალსაზრისით, ქართველი ხალხის პოეტურ შემოქმედებაში უთუოდ მ ი ნ დ ი ა მოჩანს და ამ სახეშივე ბუნების ნამდვილი (ფარული, იდუმალი) არსის გაგება სიკეთის აღმხარებლობით გვირგვინდება.

მართალია, გველისმჭამელის ხვედრი ტრაგიკულია, მაგრამ, დიდი ანგარიშით, მისი მარცხი სრულ კაპიტულაციას არ მოასწავებს. „ახლად თვალახელილი“ მინდიას სიბრძნე ყოველი ქართველი („ნამდვილ-ქართველი“) ადამიანის სულში განაგრძობს თავის უწყვეტ არსებობას, უწყვეტ ღვიძილს, უწყვეტ ორთაბრძოლას, როგორც სიბრმავისა და უმეცრების, ასევე უკუნეთისა და მწუხარების ძალებთან.

ჩვენი ეროვნული სულისკვეთების ბალავარი არც მიამიტი ოპტიმიზმია, არც ტანჯვით დაბინდული მზერა და არც სამყაროს ამაზრზენ ჯურღმულებზე ლამაზი ფარდის გადაკვრის სურვილი.

მისი ფუძე სხვაგვარია:

ეს არის ადამიანის სულის ტრაგიკული გაბრძოლება — მისი გმირული ცდა უკუნეთიდან სინათლის გამოსაგლეჯად.

ეს არის შეუძლებელის, „სასწაულის“ ფილოსოფია — ბრმა, უსასოდ მთვლემარე აუცილებლობაზე სულის დიადი წადილის საბოლოო გამარჯვების რწმენა.

ვინაიდან შეუძლებელიცა და სასწაულებრივიც, ამ მსოფლგაგების მიხედვით, თვით ბუნებაშია — ბუნებრივი, სამყაროსმიერი საწყისია.

ამიტომაც ისწავლა ასე კარგად ქართველმა კაცმა „ბინდისფერი სოფლის“ ყოველდღიური ულიმღამობიდან სიხარულის ფერადოვანი წვეთების გამოწურვა. ეს მისი დიდი ბრძოლის, მთავარი ბრძოლის, გადამწყვეტი ბრძოლის წ ი ნ ა ვარჯიშია, ყოველდღიური, შეგნებულად გაითლებული რეპეტიცია.

ვინაიდან იმ მ თ ა ვ ა რ ბ რ ძ ო ლ ა შ ი ც მან სწორედ „შეუძლებელი“ უნდა შეძლოს, ძალთა ვანუზომელ უთანაბრობას, მასზე დიდად აღმატებულ მოცულობის მახათა წინააღმდეგობას, მისი გულის სანუკვარ მოძრაობაზე გაცილებით უფრო ძლიერ ობიექტურ ინერციას უნდა გაუძლოს, გადალახოს, დაძლიოს...

ყველაფერი „ობიექტური“ — უაზრო, უსულგულო, უადამიანო — ჩვენს წინააღმდეგაა. ჩვენს მხარეზე მხოლოდ ის დგას, რაც ამ უაზრობის დასამხობად შეიქმნა, ანუ ადამიანობა, ადამიანის ცხოველი უტეხი ნ ე ბ ა, მისი ლბილი გულისა და საუკუნოდ ნაწვართი გონების ტიტანური ძალმოსილება.

ეპილოგი

დრო გულმოდგინედ აკეთებს თავის საქმეს. აი, ახლაც, როცა ამას ვწერ, რომელიღაც უჯრედი კვდება ჩვენს სულში, რომ ახალს დაუთმოს ადგილი.

ამას თითქმის ფიზიკურად ვგრძნობ: სანამ სადღეისოდ არსებულის გამოსათქმელად ვეძებ ზუსტ სიტყვებს — ვარჩევ, ვსინჯავ, ვამოწმებ, ზოგჯერ მგონია, რომ მივაგენი კიდეც, ხელთ მიპყრია!— ამ დროს რაღაც მეცლება თითებშუა, უჩინარდება, ჩამოყალიბებულის სანაცვლოდ ახლად აღმოცენებულის მერწევი კონტურები კრთება სივრცეში და სხვაგვარ ცნებებს, ახალ სიტყვიერ ყალიბს ითხოვს მოსახელთებლად.

ხვალ დილით ქართველი კაცი ახალი თვალით ახედავს მშობლიური გუმბათის სილაჟვარდეს, ისე, რომ ალბათ აღარც გაახსენდება ეს არც თუ ძველი შედარება („ცა ლურჯია გუმბათივით“), ან რითიღა მიამსგავსოს მისი უმოწყალოდ ნარბევი, პირწამახულ ლითონის მიერ უამრავგზის ამოკორტნილი ზედაპირი იმ იდუმალ სიღრმეს, სადაც ერთ დროს ღვთისმშობლის აუმღვრეველი მზერა ეგულებოდა.

ისევ არასწორი ტონალობა ავირჩიე... არავინ იფიქროს, რომ ჩვენ დროის შეჩერება მოგვინდა, რომ დიდ გზაგამოვლილნი დავიქანცეთ და წინსვლის თავი აღარა გვაქვს.

სიბერე ჯერ კიდევ შორსაა! განახლება მუდმივი წყურვილია ქართული სულისა; ყოველთვის, როცა კი ამის მინიმალური შესაძლებლობა გვქონდა, ჩვენი „ფიქრისა“ და „მოქმედების“ ადამიანებს სწორედ ახლისკენ ეჭირათ თვალი და სამომავლოდ აღმოცენებულზე იდებდნენ გეზს.

„შენი სიბერე
— სიახლე ორბის“...

დრო მიდის და ჩვენ ვიცვლებით, თანდათან ვკარგავთ ჩვენს თვისებათა ნაწილს, ვსხვაფერდებით.

გავა მეტი დრო და მეტს წაგვართმევს. სანაცვლოდ ახალს შევიძენთ. ეს, როგორც ახლა ამბობენ, შეუქცევადი პროცესია.

მაგრამ „რაღაც“ უსათუოდ უნდა გადარჩეს!

ქართველებს არა გვაქვს იმ სიღრმე უფსკრული ისტორიაში და ამის გამო ეროვნულ ხასიათშიც, რაც თანამედროვე ბერძნებს აშორებს ძველი ელადის მკვიდრთაგან, ან იტალიელებს რომაელებისაგან. როგორც ჩანს, ჩვენი ისტო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

რის გარდამტეხ ქარიშხლებს ასეთი გამანადგურებელი ძალა არ აღმოაჩნდათ (თუმცა მეტი რაღა უნდა დაგვტყდომოდა თავს?!)

ანტუან სენტ ეკზიუპერი ამბობდა: ადამიანი დაბრკოლებებთან ბრძოლაში ყალიბდება პიროვნებადო. ერის სულიერი ფიზიონომიის ჩამოყალიბებასაც უთუოდ წინააღმდეგობათა გადალახვა უწყობს ხელს. ასეთი „ხელისშემწყობი" პირობები ჩვენ საკმარისზე მეტი გვქონდა.

ალბათ ხასიათის მდგრადობამაც თქვა თავისი სიტყვა. საფიქრებელია, რომ თვით ჩვენი ხასიათია განსაკუთრებით გამძლე, რაღაც ურყევია შიგ, სამარადჟამო დუღაბის მსგავსი.

ეს, „რაღაც" უსათუოდ უნდა გადარჩეს. ერთ ხანს მაინც გასტანს. ერის ისტორიაში კი „ერთი ხანი" ათასწლეულებით განიზომება.

●

ჩვენი დრო გლობალური პროცესების დროა. არაფერი „ადგილობრივი" აღარ არსებობს — არც ომები, არც სახელმწიფო გადატრიალებები, აღარც სოციალური ძვრები. სიტყვა „ლოკალურმა" დაკარგა აბსოლუტური მნიშვნელობა. ყველაფერი გადაჯაჭვულია, ერთ დაძაგრულ, გრანდიოზულ ობობას ხლართად შემოქდომია „ცისფერი ცთომილის" ზედაპირს.

და მაინც ამ ყოვლისმშთანთქმელ „გლობალურობაში" არის ერთი საიმედო, ასევე დროისმიერი ნიშანი:

ჩვენი საუკუნე ეროვნებათა სრული თვითგამორკვევის ერას ხსნის. ის ახალი მთლიანობის პროლოგია, ხოლო ეს ახალი, აღმოცენებადი მთლიანობა საფუძველშივე განრიდებულია შინაგან უსახურობას. მისი მატერია არნახული მრავალსახოვნებისგან უნდა შედგეს.

თუ ჩვენს თვალწინ (მეორე მსოფლიო ომის შემდეგ) რაიმე, მართლა, ჯერარნახულ სიდიადით წარმოდგა, ეს, უწინარეს, ერთა თვითშეცნობისა და თვითდამკვიდრების მასშტაბებზე უნდა ითქვას. შეხედეთ, საითკენ მიიმართება ეს შეუჩერებელი ნაკადი: დედამიწის ზურგზე თითქმის პირწმინდად აღიგავა ძველი მეტროპოლიების ნამუსრევი; „დამოუკიდებლობა" — გასული საუკუნის ეს ყველაზე დიდი თრთოლვით განცდილი, ყველაზე პროვიდენციური სიზმარი — დღეს მსოფლიოში მოსახლე ერთა აბსოლუტური უმრავლესობის რეალურ, საერთაშორისო გარანტიებით დაზღვეულ სინამდვილედ იქცა.

არავინ აღარაფერს თმობს. რაოდენობას (მოსახლეობის მრავალრიცხოვნებას, ტერიტორიის სიდიდეს) ერთა უფლებების დადგენისას არავითარი მნიშვნელობა აღარ ეძლევა. პრაქტიკულად კი ყველაფერს „ეროვნული ენერგია", სიცოცხლისუნარიანობა და შემოქმედებითი პოტენციალი წყვეტს.

არც საუკუნოვან კავშირებს ექცევა რაიმე განსაკუთრებული ყურადღება. კოლონიური „მადლიერების" გრძნობა ჩალად აღარ ფასობს. გუშინდელი არაფრისმქონე შავი მონები ამაყად შედიან თეთრკანიანთა მიერ მიტოვებულ ქათქათა სრა-სასახლეებში, რომ იქ წინა დღით აღმოცენებულ სუვერენულ სახელმწიფოს გამგებელთა სავარძლები დაიკავონ. ამაყად, დინჯად, სრული თვითდაჯერებით ეპატრონებიან „თეთრი ბატონების" ნაქონს,ვინაიდან ამ აყვავებულ ნაგებობათა საძირკველი მათი მუქი ოფლითაა ნაწრუპული, ხოლო საძირკვლის ქვეშოთ მათივე შიშვლად დამარხული წინაპრების ძვლები აპოხიერებენ ნიადაგს.

ჩვენ ყური შევაჩვიეთ ზოგიერთ თანამედროვე ტერმინს, მაგრამ მათი ადამიანური შინაარსის შესახებ მეტად ზერელე წარმოდგენა გვაქვს.

იცით, რას ნიშნავს რეალურად „ნაციონალიზაცია?"

ყოფილი კოლონიური გიგანტის სატახტოში — მთავარ ქუჩებზე, მოედნებზე გამოფენილია ათასობით შუახნის მამაკაცი, კარგად მორგებულ რუხ კოსტუმებში. ისინი ჯგუფ-ჯგუფად დგანან, ხმადაბლა ესაუბრებიან ერთმანეთს, ან უსიტყვოდ შესცქერიან თვალებში. ტროპიკების მცხუნვარე მზისგან გარუჯულ სახეებზე ერთი ნერვიც არ ირხევა. მათ არაფერი არ ესმით — არც მანქანების ყრუ გუგუნი, არც მოტოროლერების მხიარული გაჭახჭახება, არც იქვე, ქალაქის მთავარ შადრევანთან ქვაფენილზე მიმოწოლილი ჰიპების ჟივილ-ხივილი.

მათ თვალებში მუნჯი სასოწარკვეთილებაა ჩამდგარი... ესენი გუშინდელი წარმატებული საქმოსნები არიან, გათავისუფლებული კოლონიიდან უცერემონიოდ პანღურნაკრავი ვაჭრები. მათ ფილტვებში შორეულ უდაბნოთა მტვრის ნალექი დევს. ამ მსხვილძვლიან მამაკაცებმა ხანგრძლივი მემკვიდრეობით მიიღეს ის რაც დღემდე ებადათ, რასაც განაგებდნენ, სარფიანად ატრიალებდნენ, ამრავლებდნენ, იმის სრული რწმენით, რომ ყოველივე ეს მათი წმინდათა წმინდა, შეუვალი საკუთრება იყო.

მათ აკვნიდანვე ასწავლიდნენ, როგორ შეიძლება უდაბნოს გამოფიტული ქანებიდან ოქროს წვეთების გამოდენა, როგორ ჯერ არს დაბანდება, არენდირება, საიჯაროდ გარიგება, იაფფასიანი მუშახელის შოვნა, საექსპორტო საქონლის რეკლამირება, სხვისთვის დასწრება, გასაღება და ისევ თავიდან: დაბანდება, ამოქაჩვა, გაორკეცება...

ყოველივე ამის სწავლა მეტად და მეტად ძნელი იყო, და მათ ამის მეტი არაფერი არ ესმით, არავითარი სხვა საქმე არ ხელეწიფებათ.

მათი თვალების ფსკერზე მუნჯი სასოწარკვეთილების ქვიშა დევს.

ეს ნაპირზე ამოყრილი თევზების უსასოო გა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოხედვაა, ვინაიდან ამ შუახნის მამაკაცებს არავითარი ილუზია აღარ შერჩათ.

ახეთი განაჩენი მათ საკუთარმა სახელმწიფომ, საკუთარმა ხალხმა საკუთარმა «Res publica»-ამ გამოუტანა...

ეროვნულ თვითშეგნების საყოველთაო აღმავლობას ჯერ კიდევ არ მიუღწევია მეცხრე ტალღამდე, მაგრამ მისი მოახლოების მაუწყებელი ხმები მსოფლიოს ყველა მხრიდან გაისმის.

...მოხდა ისე, რომ ერთი წლის განმავლობაში მე ჩვენი ნახევარსფეროს ორ წერტილში მომეცა ამაში დარწმუნების საშუალება — უკიდურეს აღმოსავლეთში და იქ, სადაც დასავლეთის მხრიდან ევრაზიის ხმელს უკანასკნელი მერიდიანი გადაუვლის.

ეს ქვეყნები არაფრით არ გავს ერთმანეთს, არც ისტორიით, არც რელიეფით, არც მოსახლეობის ადათ-ჩვევებით. გარდა ერთისა: აქაც და იქაც ჰაერი დენთითაა გაჟღენთილი. თითქოს ყველაფერი მოგვარებულია: ფილიპინელებმა კარგა ხანია (იაპონური ოკუპაციისგან გათავისუფლების შემდეგ) ამერიკელთა უღელიც გადააგდეს. პორტუგალიელებმა ბოლო მოუღეს სალაზარისა და მისი უღღეური მემკვიდრის ანტიხალხურ რეჟიმებს. და მაინც ნაციონალური პრობლემა აქაც და იქაც მთელი სიმწვავით დგას. თითქმის ყველა პროგრესული მოღვაწე ნაციონალური აღორძინების დროშით გამოდის და შინაგ[...]ვნული კონსოლიდაციისკენ მოუწოდებს მასებს, პატრიოტული სულისკვეთება ზენიტშია და ახალ, ეპოქის შესატყვის, დემოკრატიულ ფორმებს იძენს.

სამუდამოდ დამამახსოვრდა ლისაბონელი კომუნისტების სახეები, როდესაც ისინი თავიანთ დროზე ადრე გათეთრებულ ლიდერს ხვდებოდნენ. ანგოლიდან ერთი საათის წინ დაბრუნებული ალვარო კუნიალი დინჯად აბარებდა ანგარიშს თანამებრძოლებს და მის უძილობით ამოღამებულ თვალებში (როგორ არ გავდა მათი გამოხედვა ლისაბონის ქუჩებზე გამოფენილი „რუხი მამაკაცების“ უიმედო თვალებს!) ერთმანეთს კვეთდა რამდენიმე ასეული, ასეთივე ხანგრძლივი უძილობით აღგზნებული და გაბასრებული მზერა. ოფიციალურად ამას პრესკონფერენცია ერქვა, მაგრამ თანამზრახველებს უსიტყვოდაც ესმოდათ ერთმანეთის.

რამდენ ყურადსაღებია და საგულისხმო, რომ სწორედ პორტუგალიელმა კომუნისტებმა — თავიანთი ქვეყნისა და ხალხის ეჭვმიუტანელმა პატრიოტებმა — დაუშვირეს (ყველაზე ვალაშრით და უყოყმანოდ) მხარი სახალხო გადაწყვეტილებას: სრული დამოუკიდებლობა მისცემოდა პორტუგალიის მიერ სხვადასხვა დროს კოლონიზებულ ტერიტორიათა მოსახლეობას!

ჩვენ კარგად ვი[...] რომ ყოველი ეროვნული აღმავლობის საფუძველი მატერიალურ სფეროში დევს. ქართველ ხალხსაც დღეს უამრავი ეკონომიური ამოცანის გადაჭრა უხდება, მრავალი არაერთი ურთულესი საქმეა მოსაგვარებელი.

ასეთსავე დაძაბულ ყურადღებას მოითხოვენ სახელმწიფოებრივი, კონსტიტუციური, ადმინისტრაციული, სამართლებრივი პრობლემები. მათდამი საყოველთაო გულისყურს ჩვენი სასიცოცხლო ინტერესები გვკარნახობენ. ყველა უბანზე, ყველა რგოლში უნდა აღმოიფხვრას რუტინა, ბიუროკრატიული ცრურწმენები, ჩინოვნიკური სიმხდალე, დრომოჭმული კონცეფციები, ბრტყელშუბლიანთა უტიფარი სიჯიუტე და უზომო ამბიციები, არაფრისმაქნისთა მოჩვენებითი ჭაპანწყვეტა, ხელჩაქნეულთა უნიათობა და ფარული ცინიზმი.

მაგრამ, პირველ რიგში, ფესვებიანად უნდა ამოიძირკვოს ყველაფერი, რაც ეროვნული ნიჰილიზმის სახით ვითარდება.

ყოველი ხალხის სიცოცხლის განგრძლივების (ანუ „გადარჩენისა“ და „უკვდავების“) გარანტია მის შეუჩერებელ მოძრაობაშია.

როგორც კი ესა თუ ის ერი თავის მოგონებებში იყინება, ან წარსულის ყალიბებში თვითკონსერვაციის მაცდურ გზას ირჩევს, ის ამით სინამდვილეში დასაღუპავად წირავს თავის თავს.

დღევანდელ ქართველობას ასეთი საფრთხე (მიუხედავად ზოგიერთი ტრადიციული ჩვევისადმი განსაკუთრებული ერთგულებისა) არ უნდა ემუქრებოდეს. არა მხოლოდ იმ მიზეზით, რომ მუდმივი განახლებისკენ მიდრეკილებაც მისი ისტორიის ერთი უმთავრეს ტრადიციათაგანია, არამედ იმის გამოც, რომ ეპოქის ბევრი საგულისხმო ტენდენცია არა თუ არ თრგუნავს, პირიქით, ხელს უწყობს და ახალ პერსპექტივას უშლის ზოგიერთი ჩვენი სულიერი მონაცემის შემდგომ განვითარებას.

კერძოდ, ზემოხსენებული „გლობალური“ ტენდენციები საშიში არ უნდა აღმოჩნდეს ქართული ხასიათისთვის, ვინაიდან ამ ხასიათშივე არის ერთი საიმედო ნიშანი, ერთი, საუკუნეების სიღრმიდან შემორჩენილი თვისება, რომელიც, წესით, კიდევ დიდხანს უნდა გაგვყვეს მეგზურად.

ამაზე შეიძლებოდა ადრეც გვეთქვა, მაგრამ, რადა დასამალია, ეს ბოლო „კოზირი“ მე ეპილოგისთვის შემოვინახე.

ყველას გვახსოვს ავთანდილის სიმღერა, რომ არავის დავიწყებოდა, ჩვენს დროშიც მოგვაგონებს:

> ტყე-ტყე მიდის, ტყე-ტყე მიდის
> ინდი-მინდი ფერად შინდი,
> იმღერს ლექსთა საბრალოთა, ტყე-ტყე
> მიდის...

მაგრამ რას ნიშნავს, რას გვანიშნებს მოიარებით „ვეფხისტყაოსნის“ ავტორი ამ სრულიად სამყაროს, მთლიან მზისქვეშეთის ამოთიერზის ალწერით?

ის ხომ ტყუილ-უბრალოდ არაფერს ხატავს, არცერთი ხაგანი არ შემოაქვს უმიზეზოდ თავის პოეტურ მიკროკოსმოსში.

აქ კი რა უზომო მოზღვავებაა!..

მე ვფიქრობ, რომ ქართულმა ესთეტიკურმა გენიამ განსაკუთრებით მკაფიოდ გამოხატა ჩვენი ეროვნული ბუნების კიდევ ერთი დიდად ნიშანდობლივი თავისებურება.

ცოტა შორიდან დავიწყებ:

როგორც ცნობილია, ქართველი ხალხის სულიერ ბიოგრაფიაში არსებობს საბედისწერო თეთრი ლაქები, რომლებიც სხვადასხვა დროს გაჩნდა ობიექტური მიზეზების გამო.

კერძოდ, ქართული „ტრეჩენტო", „კვატროჩენტო" და „ჩინკვეჩენტო" თითქმის მთლიანად ერთი გაბმული დიდი ლამეა — ერთი გაუმრთელებელი ხარვეზი ჩვენი კულტურის ისტორიაში. ასეთი ჩავარდნებისა და უდროობის პერიოდებში (რაც მოგვიანებითაც ხშირად განგვიცდია) ჩვენი კულტურის განვითარებას პროვინციალიზმიც შემოეჩვია, კარჩაკეტილობის სენიც, შეზღუდულობაც და სხვაც ბევრი ამგვარი რამ.

ქართველი ხალხის სულიერი და გონებრივი ამაღლების გზა სწორხაზოვანი არ ყოფილა. მაგრამ თუ ამ გზაზე აღჩენილ ყველაზე მაღალ მწვერვალებს მივიღებთ მხედველობაში, მაშინ ორი გარემოება მიიქცევს ჩვენს ყურადღებას.

ერთის მხრივ, უაღრესად ძლიერი მიმღეობითი ტენდენცია ანუ მოზიდვის, შემოკრებისა და შესისხლხორცების განსაცვიფრებელი ნიჭი.

მართლაც საოცარია, როგორ იშინაურებს ქართული კულტურა (ადრეული შუასაუკუნეებიდან მოყოლებული) ყოველი მხრიდან დაძრულ ახალ-ახალ შენაკადებს, როგორ არ ეშინია ჯებირების გახსნის, როგორ ბუნებრივად ამთლიანებს თავის წიაღში არა მხოლოდ მონათესავე ნაკადებს, არამედ ზოგიერთ საპირისპირო, ერთმანეთის უარმყოფელ მდინარებასაც.

საილუსტრაციო მაგალითები ძალიან შორს წაგვიყვანდა. მე მხოლოდ ერთ, შედარებით კერძო ასპექტზე გავამახვილებ მკითხველის ყურადღებას. შემთხვევითი არ უნდა იყოს ის განსაკუთრებული მზრუნველობა, რაც შუასაუკუნეების საქართველოში მთარგმნელობით საქმიანობას ხმარდებოდა.

ცურტაველისა და მერჩულეს ეპოქებში ქართულ ენაზე ითარგმნებოდა არსებითად ყველაფერი მნიშვნელოვანი, რაც კი იმ დროისათვის იყო შექმნილი ქრისტიანული სამყაროს როგორც დასავლურ, ისე აღმოსავლურ რეგიონებში, და იმჟამინდელ ქართველობას (საერთოდ ქართული ენის ყველა მცოდნეს კავკასიაში) საშუალება ჰქონდა არა მხოლოდ სრული წარმოდგენა შეემუშავებინა ამ კულტურის მთავარ მონაპოვართა შესახებ, არამედ გამუდმებით ყოფილიყო მისი განვითარების აქტუალური პერიპეტიების კურსშიც.

სამყაროს მაღალი წერტილიდან მოხილვის წადილი ძველი საქართველოს იდეოლოგთა ნააზრევში ერთ საგულისხმო მოსაზრებასთან ჯვარედინდება. ვახუშტი ბატონიშვილის სიტყვით, ქართველმა კაცმა უნდა „აღიმაღლოს გონებისა თუალი სიწრფოებით, ვითარცა ორბმან, რომელი ტრფიალებით აღვალს, რათა განიხილოს სრულიადი ქუეყნის შუენიერება, და ესეოდენ სიმაღლესა ზედა, რომელ ყოველსა სოფელსა გუგათა შინა შემოიკრებს", ვინაიდან: „ამისი მოქმედი... განახლდების და კუალად გაჭაბუკდებისცა".

ამრიგად, „სრულიადი ქვეყნის" გათავისიანება, სამყაროს უკიდეგანო სივრცეებთან ზიარება, ანუ ჭეშმარიტი განბრძნობა, მოწიფულობა, ვახუშტის რწმენით, ქართული სულის უბერებლობის უპირველესი საწინდარია.

აქ საინტერესოა ისიც, რომ მთელი ეს ორიგინალური, ადვილად შესამჩნევ პარადოქსზე აგებული კონცეფცია (ცოდნის სისრულე, ჩვეულებრივი წარმოდგენით, ხომ სიბერის ატრიბუტია და არა ჭაბუკობისა!) აქ ორბის სიმბოლიურ სახესთანაა დაკავშირებული.

პირადად მე ეჭვი არ მეპარება, რომ გალაკტიონის „15 საუკუნის" მთავარი სიმბოლოც სწორედ აქედან იღებს სათავეს:

შენი სიბერე
— სიახლე ორბის....

მიმღეობის უფართოესი, შეუზღუდავი მასშტაბი ერთი მხარეა საქართველოს კულტურული (განსაკუთრებით ლიტერატურული) ისტორიისა, მისი ევოლუციის ყველა სრულფასოვან ეტაპზე.

მეორე მხარე ამ ცნობიერ, ნებაყოფლობით პროცესისა გამოვლენილია საპირისპირო მიდრეკილებაში.

„ჯებირები" აქ უკვე სხვა მიმართულებით ხსნიან გზას.

ეს გახლავთ სამყაროს უშორესი სივრცეებისკენ მიმართული სწრაფვა ანუ პირველზე (ეგოცენტრისკენულზე) არანაკლებ ძლიერი (ცენტრიდანული) მიდრეკილება საკუთარის, შინაგანის — ეროვნული ინტიმის — გარე, შორეულ მიდამოებზე პროეცირებისა.

სინამდვილის მხატვრული „დაუფლება" ამ ასპექტში ახალ შინაარსს იძენს.

მართალია, ქართველებს ცხოვრებაში ანგლო-საქსებისგან ან თუნდაც იმავე პორტუგალიელებისგან განსხვავებით, მაინც და მაინც თავი არ გამოგვიჩენია რაიმე საკაცობრიო მნიშვნელობის გეოგრაფიული შენაძენით, მაგრამ ჩვენს სისხლში, როგორც ჩანს, მაინც ერია ერთი ასეთი წვეთი.

გურამ ასათიანი
სათავეებთან

ეროვნული ბიბლიოთეკა

მე ვფიქრობ, რომ ქართველ კაცს სულის სიღრმეში მუდამ ახრჩობდა ახალ თვალსაწიერთა გახსნის, „ცხრა მთას იქით“ გაღწევის მალული ნდომა, რამაც მის მხატვრულ შემოქმედებაში იჩინა თავი ესოდენ ძალუმად..

სამყაროს პოეტური „დაპყრობის“ (შორეულ ტერიტორიათა შემოკავშირების) თვალსაზრისით ჩვენი ოქროს ხანის მხატვრები ნამდვილი კონკისტადორები არიან.

ოღონდ მათი ხვაშიადი მარტო ახალ სივრცეთა მოპოვების სურვილით არ ამოწურულა. არანაკლებ მნიშვნელოვანი იყო ამ შორეულ სამოსახლოთა ბინადართათვის, მთელი ადამიანური უნივერსუმისთვის ხმის მიწვდენის უძლიერესი იმპულსიც.

ქართველ კაცს არასდროს არ დაუმალავს საკუთარ „წადიერებათა სიდიადე.“; ყველაფერი, რასაც კი ის იძენდა საკუთარი გონებრივი თუ ემოციური გამოცდილებით, დაუნანებლად გაჰქონდა გარეთ, რათა საყოველთაო სულიერ საგანძურში შეეტანა თავისი წვლილი:

გ ა ლ ე ბ ი ს, დაუზოგავად გაცემის ფილოსოფია ერთნაირად ახასიათებს მის ადამიანურ ზნესაც და პოეტურ სტიქიასაც.

თავის მხრივ, სივრცობრივი განფენა, როგორც თავისებური ესთეტიკური იმპერატივის გამოვლინება, შესატყვის პოეტურ სახეებს ბადებდა ეპოქიდან ეპოქამდე.

ავთანდილის სიმღერაც, რომელიც ყველას გასაგონად, უნივერსალური გამოხმაურებისათვის არის გაანგარიშებული, ისევე როგორც „მერანის“ თავგანწირული მხედრის მონოლოგი, რომელშიც ეროვნული დრამის გამოსავალი დანახულია ადამიანთა მთელი მოდგმის მომნუსხველი ძალის („სამძღვართა“) გადალახვაში, უთვალსაჩინოესი ანარეკლია სწორედ ამ ოდინდელი მიდრეკილებისა თავისუფალი, ლაღი, ზღვარდაუდებელი გაქანებისკენ.

შორეულ თანამგზავრთათვის ხელის შეშველება, შეხმიანება, გამხნევება, გამოსარჩლება მუდმივ თვისებად მოჩანს ქართულ პარნასზე. ეს სიმი საქვეყნოდ ჟღერს, რათა საერთო სიყრუის, მიუსაფრობის, გულჩათხრობის მძიმე ღრუბელი გაარღვიოს, კოსმიური სიცივის, გულგრილობის, მარადი არყოფნის წინაშე საბედისწერო შეკრთომისგან იხსნას ღვთისშვილთა სულები. ასეთია ქართული „ამღერების“ პირველმიზეზიც:

სიკვდილივით მარადია სურვილი.
მთელი ქვეყნის სიმღერებით მოვლისა...

სულ დაწურულად რომ ვთქვათ, თუ საქართველოს სახელმწიფოებრივი სუვერენიტეტი მისი საზღვრების სიმტკიცეს ემყარებოდა, ქართული კულტურის სიძლიერე და შეუვალობა მის ღია კარიბჭეებში იყო ყოველთვის.

ეს ორმხრივი მდინარება თითქოს სისხლს უწმენდდა ჩვენს შემოქმედ ორგანიზმს და მისი მუდმივი სიჯანსაღის გარანტიად აღიქმებოდა. ხოლო, რაც კიდევ უფრო საგულისხმოა, ამ გარემოებას საფუძვლად ედო საკუთარი თავისთავადობის ურყევი რწმენა. თუ მხედველობაში არ მივიღებთ უკიდურესი დეკადანსის პერიოდებს, როდესაც ჩვენშიც, საერთო წესისამებრ, ეპიგონები იკავებდნენ ავანსცენას, ქართველი ხალხის ინტელექტუალურ იერს (როგორც აქტიური „მიმღების“, ასევე უხვად „გამცემის“ როლში) არასოდეს არ დაუკარგავს თავისი თვითმყოფობა. სწორედ ს ა კ უ თ ა რ ი ნ ი ა დ ა გ ი ს ა დ ა ფ ე ს ვ თ ა ს ი მ ა გ რ ი ს ორგანული შეგრძნება იყო ის უტყუარი საბუთი, რომელიც უფლებას გვაძლევდა ესოდენ ფართოდ გაგვეღო ჩვენი სულიერი გალავნის ყველა კარი, ისე რომ სხვაში გათქვეფის ან საკუთარ სიმდიდრეთა განიავების შიში არ გვქონოდა.

რასაკვირველია, ეროვნული განწყობის ამგვარი მოდელი უნიკალურად ვერ ჩაითვლება. სასაცილოც იქნებოდა ასეთი პრეტენზიის განცხადება. ჩვენთვის საკმარისია ისიც, რომ ჩვენი სულიერი კონსტიტუციით სწორედ ასეთი შინაგანი წყობის „ერთა ლიგას“ ვეკუთვნით. საკმარისია, არა მხოლოდ წარსული გამოცდილების ღირსეული შეფასებისთვის, არამედ სადღეისო და კიდევ უფრო მეტად სამომავლო იმედებისთვისაც.

ყველაზე დიდი იმედის მომცემი აქ ისაა, რომ სულიერი „კომუნიკაბელობის“ ამგვარი უნარი და ნიველირების, გაუსახურების მიმართ საუკუნეების მანძილზე გამომუშავებული იმუნიტეტი უაღრესად საჭირო თვისებაა თ ა ნ ა მ ე დ რ ო ვ ე ერისთვის, უაღრესად საჭირო და აუცილებელი იმისათვის, რომ მან მხარი აუბას ეპოქის მოძრაობას — არ წაბორძიკდეს, ისტორიის არიერგარდში არ მოექცეს, არ გაირიყოს.

●

მთელ ამ „ცდაში“ ისეთ საგანს ვუტრიალებდი, რომელიც, რაც უფრო დიდხანს უვლი გარშემო, მით უფრო მეტჯერ შემოვლის სურვილს აღგიძრავს. ყოველი ახალი ნაბიჯი ახალ წახნაგს წარმოაჩენს და, ასე — გაუთავებლად, ხოლო თუ სიღრმეშიც მოახერხე შეღწევა (ერთხელ მაინც), მორევივით გითრევს.

ესეც ხომ ქართულია:

კაცის გული აგეთია,
ვით მორევი შავი ზღვისა...

ძალიან ჰირს ამ მორევიდან გამოსვლა... მაგრამ მე მხოლოდ „რამდენიმე ცდის“ ავტორი ვარ და არა ფუნდამენტური მონოგრაფიისა (ასე რომ არ იყოს, ეს ნაწერი სხვა პარაგრაფებისგანაც უნდა შემდგარიყო, რომელთაგან ერთი, საგანგებო „ქართული ხასიათის საბედისწერო სისუსტეებს“ მიეძღვნებოდა).

ალბათ, შეჯამების დროც დადგა. „ცდა ბედის მონახევრეაო“ — გვამხნევებს ჩვენი ოპტიმისტურად განწყობილი წინაპარი. თუ ამ წამოწყების ნახევარი მაინც მიზანს მოხვდება — რაიმე ინტერესს გამოიწვევს ათასი სხვა საგნით დაკავებულ მკითხველში, დიდად ბედნიერი ვიქნები ჩემი იღბლიანობისა და მისი სულგრძელობის გამოც.

ალბათ ბევრს წაკითხული აქვს საბჭოთა და ამერიკელი მწერლების უკანასკნელი (ბათუმში ჩატარებული) შეხვედრის ყველაზე ახალგაზრდა მონაწილის, ეილინ როკფელერის გამოსვლის ტექსტი. მე მაინც გაგახსენებთ მის ნათქვამს:

„30-იან წლებში, როცა შტატებს ემიგრანტების ტალღა მოაწყდა, იგი (იგულისხმება მწერლის ბებია, რომელმაც თურმე მასში პოეტი აღმოაჩინა) დადიოდა წარმოშობით ევროპელ მეზობელთა შორის და მოუწოდებდა მათ, ოდნავ მაინც შეენარჩუნებინათ თავიანთი ტრადიციები, თავიანთი კულტურა. სიცოცხლის შესანარჩუნებლად შეგიძლიათ ყველაფერი გაიღოთ. —ეუბნებოდა იგი, — მაგრამ უნდა შეინარჩუნოთ თქვენი ეროვნული კულტურა, რომ სული გადარჩეს“.

საოცარია: მე ამ შეხვედრაში მონაწილეობა არ მიმიღია, მაგრამ ზუსტად ერთი კვირის წინ, მარიამობა დღეს, ვაჟას მშობლიურ ჩარგლიდან ოციოდე კილომეტრზე, სწორედ ამგვარი რამ მოვისმინე.

სოფლის ახალ თავკაცს ლოცავდნენ სუფრაზე. ზოგმა გზის შეკეთების გამო ჩამოუგდო სიტყვა, ზოგმა სასოფლო მაღაზიის თაობაზე, ზოგმა გადახნული სათიბები უხსენა...

ბოლოს ადგა ერთი სხვებზე ახალგაზრდა კაცი და თითქმის სიტყვა-სიტყვით „გაიმეორა“ ეილინ როკფელერის ნათქვამის ბოლო ორი ბწკარი.

„ყველაფერი ეს კარგია, აუცილებელია“ — — თქვა მან. „ყველაფერი უნდა ვიღონოთ სიცოცხლის გადასარჩენად, გასახანგრძლივებლად, გასაიოლებლად. მაგრამ მთავარია, სული გადარჩეს!“

სიტყვამ მოიტანა და უნდა ითქვას: ვისაც თუნდაც ჩვენი ომამდელი ყოფა ახსოვს, არ შეიძლება არ აღიაროს, რომ საქართველოს სოფელი მრავალმხრივ გამოიცვალა სასიკეთოდ. უმრავლესობამ სული მოითქვა, მხრებში გასწორდა და ამის შედეგად ახალი კულტურული ცხოვრებისთვისაც მოიცალა. ყოველივე ეს მთელი ჩვენი ეკონომიკის სფეროში მომხდარი ძირეული ცვლილების შედეგია. სულ უკანასკნელ დროს რესპუბლიკამ ფართოდ აღიარებული სამეურნეო მიღწევებითაც ისახელა თავი. შევეჩვიეთ კიდეც მეტოქეებთან ასპარეზობის მოგებას.

მაგრამ ჩვენ მარტო სოციალისტურ შეჯიბრებაში არა ვართ ჩაბმულნი.

ბიბლიოთეკა

არის სხვა უფრო დიდი და უშეღავათო შეჯიბრიც, რომელშიც თანამედროვე მსოფლიოს ყველა ერი მონაწილეობს.

ბევრი რამ უნდა ვისწავლოთ, ბევრი რამ უნდა გადმოვიღოთ მათგან, ვინც ჩვენზე წინ წავიდა ცივილიზაციის თ ა ნ ა მ ე დ რ ო ვ ე გზაზე. სიბეჯითეც, მომჭირნეობაც, გამჭრიახობაც, უაირათიც. მაგრამ ისე, რომ სხვის ორეულად არ ვიქცეთ, ისე, რომ ჩვენი არსი არ შეიბღალოს— არა მხოლოდ კოლორიტი, არა მხოლოდ გარეგანი იერი, არამედ უწინარეს ყოვლისა, არსი, ბუნება, შინაგანი კონსტიტუცია. ზუსტად არ მახსოვს, ვისი სიტყვებია:

„ვიდრე ამ ქვეყნად ერთი ქართველი მაინც დარჩება, საქართველო იარსებებს“.

შეიძლება ამ აზრის სხვანაირად შემოტრიალება: საქართველო იარსებებს მანამ, ვიდრე ერთი ქართველი მაინც შეინარჩუნებს ქართველობას — ვიდრე იარსებებს ქართული სული.

პირადად მე ვერ წარმომიდგენია, რომ თანამედროვე საქართველოს მკვიდრს არ უყვარდეს თავისი ქვეყანა. არა მხოლოდ იმის გამო, რომ დათვსაც უყვარს საკუთარი ბუნაგი. არც იმას მივესალმები, რომ ასეთი სიყვარულის საფუძველი უბრალო ჯოგური შეგნება იყოს: მხოლოდ იმისთვის გვიყვარდეს ჩვენი თავი, რომ ერთი ხროვა ვართ, ან ერთი არვე.

საქართველოს ნამდვილი სიყვარული ქართული სულის მიერ მოპოვებული მწვერვალებისადმი ერთგულებას უნდა ემყარებოდეს, მისი ნათელი, პრომეთეული ბუნების ამაყ შეგნებას. მტერი და დუშმანი ყოველთვის ბევრი გვყავდა, მაგრამ, რა გამოვიდოდა, მისი ძლევის მიზნით, ჩვენც რომ მზაკვრობა და სიმუხთლე გაგვეხადა სალოცავ კერპებად.

ქართველმა ხალხმა ხანგრძლივი ბრძოლის შედეგად გადაარჩინა არა მხოლოდ საკუთარი სხეული, მან ამ ბრძოლითვე შეინარჩუნა და დღემდე მოიტანა თავისი შინაგანი სახე, თავისი სულიერი რაობა.

იმ დიდ წარლვნებს გადარჩენილი საუნჯის დღევანდელ პირობებში დათმობა, სხვა რომ არ იყოს, სრული იდიოტიზმი იქნებოდა.

ასეთი აზრი ნაკარნახევია არა მხოლოდ ჩვენი ეროვნული ინტერესებით. თუ ღრმად ჩავხედავთ, შეიძლება ითქვას, რომ ეს კაცობრიობის სასიცოცხლო ინტერესიცაა, „მსოფლიო სულის“ ბრძნული დიქტატიც.

ამ გრანდიოზულ კოსმიურ სიმფონიაში ყველა ხმა ან, თუ ისევ ვივეკანანდას დავესესხე-

---

ზურაბ ასათიანი

სათავეებთან

ბით, ყველა „ბგერა“ თავისებურად შეუცვლელია, თავისებურად გადამწყვეტი, ყველა სიმი თავის ფუნქციას ასრულებს.

„ერთი მათგანიც რომ გაწყდეს“... ჰარმონია სრულყოფილი ველარ იქნება.

ქართული სულის მდინარებას არასდროს არ ჰქონია (ასეთი ილუზიით თავს ნუ მოვიტყუებთ) ვივეკანანდას მშობლიური განგის ან ნილოსის წყალმრავალი დელტის სიფართოვე.

მისი ერთი ნაპირიდან მეორეზე აქა-იქ ჩელტის ხიდიც გაიდებოდა, განსაკუთრებით ხანგრძლივი გვალვების დროს.

მაგრამ, როგორც მთის ერთი ღვართქაფიანი მდინარე, ის მუდამ — სადაც კი გასაქანი მისცემია — მედგრად, დაუმდორებლად, ზოგან კი თავბრუდამხვევი სისწრაფით და შემართებით, მიაპობდა თავის ქარაფოვან კალაპოტს; თუ ერთ მოსახვევში სუნთქვა ელეოდა, მეორეში უეცარი კამარით გადაევლებოდ უფსკრულის პირს.

მისი იმედი ტალღის სიძლიერეშია და არა წყალთა სიმრავლეში.

ამ ლაღ, მოკისკასე ნაკადს ისეთი მწვერვალების ნაფური კვებავდა, რომ მისი თავისთავად დაწრეტა პრაქტიკულად შეუძლებელი უნდა იყოს.

რა თქმა უნდა, თეორიულად, ისიც ოდესმე შეუერთდება მსოფლიო ოკეანეს, მაგრამ ამავე ლოგიკით თვით „სოფელსაც“ ხომ „ერთხელ უნდა ბოლო მოეღოს“.

თუ სიცოცხლის მთავარი სიმპტომი მოძრაობაა, ჩვენი სულიერი არსებობა ჭერჭერობით ამ ცხოველი ნიშნის ქვეშ მიიმართება.

ადამიანებმა ბევრი რამ მოიგონეს, რათა აუცილებლობის კანონები საკუთარი ნება-სურვილისთვის დაექვემდებარებინათ.

ვინ იცის?

ყოველ შემთხვევაში, „ოკეანემდე“ ჯერ კიდევ ძალიან შორსაა...

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვიზო ზარნაძე

„ვისაც სიმაღლე სჭირდება ჩემი"!..

1977 წლის აგვისტო ჯავის რაიონში გავატარე, ტურისტებისთვის მეტად პოპულარულ კროზაში. ქვეყნის ყველა კუთხიდან ჩამოსულიყვნენ ახალგაზრდები, ქართველობა კი თითო-ოროლა იყო.

ჩვეულებრივი ცხელი დღე იდგა, შუადღისას მაინც უსაშველოდ ჩამოცხა... „მკვდარი საათი" ეს-ესაა მორჩა. დაბალ სამხრობას რომ ეტყვიან, ის დროა. სუსტი ნიავი ოდნავ არხევს ხშირ თხილნარს, მესრად რომ შემორტყმია ოთხივე მხრივ ტყეში ჩამჯდარ ტურბაზას. კოტეჯებიდან აუჩქარებლად გამოდიან ნამძინარევი დამსვენებლები; ზოგი ტყისაკენ იღებს გეზს, ზოგი — მდინარისაკენ, ზოგიც — სტადიონისკენ, რომელსაც, მიუხედავად ოღროჩოღრო მოედნისა, ხალხი მაინც ეტანებოდა.

მე კარში ვდგავარ, ჩემი რვა წლის გოგა კი, ვინ იცის, ერთსა და იმავე ადგილას მერამდენედ დებს ბურთს, ისწორებს, მერე ხუთიექვსი მეტრით იხევს უკან, გამოქანდება და გამეტებით ურტყამს... ნახტომის გაკეთება სულაც არ მჭირდება (ან სად შემიძლია!) — ოდნავ გადავიზნიქები მარცხნივ ან მარჯვნივ და ბურთი აღებულია!

მოშორებით, თხილნარის პირას, ქვაზე ჩამომსხდარან ორნი; ერთს მარწყვისფერი, წინწკლებიანი კაბა აცვია, მეორეს სარაფანი გადაუცვამს შინაურულად, ტიტველი მხარ-მკლავი აქვს, ხორბლისფრად შეღებილი თმა და მოძრავი, მაგრამ დამჯერე, ლბილი თვალები. რალაცაზე კოტეჯში შევედი. უკან დაბრუნებისას შევნიშნე: იმ ქალიშვილებს ახლა ჩემი შვილი ჩაეყენებინათ კარში და მორიგეობით ურტყამდნენ. თან იმასაც უხსნიდნენ — თვითონ როგორ უნდა დაერტყა ხეირიანად კარში.

გუნდი გაგვზრდია-მეთქი, — ღიმილით ვუთხარი გოგას. თქვენ ტელევიზიაში რად მუშაობთო, — მკითხა უეცრად სარაფანიანმა. ბავშვმა გვერდზე გაიხედა. ვუპასუხე, რადაც ვმუშაობდი. არ მიყვარს ტელევიზიაო, მომახალა გაბუტული ბავშვივით და კიდევ უფრო დაბუშტა ტუჩები. რა დაგიშავათ-მეთქი, მინდოდა მეკითხა, მაგრამ დამასწრო: თუ შეიძლებოდეს, კარში დაღექითო. ნამუსხე შემაყენა და ჩავდექი. იმანაც გაისწორა ბურთი, პროფესიონალივით შეავლო მზერა, ერთი-ორი მეტრით დაიხია უკან და მარჯვენა ფეხის გარეტერფით ისეთი ძალით მოსხლიტა ბურთი, ისარივით გამიწუილა ყურთან და ლამის ბადეც გაგლიჯა. მივიხედ-მოვიხედე — პირდაღებული მოგვჩერებოდა ყველა, ვისაც კი შევენიშნეთ. მივხვდი, რომ ეს ის პასუხი იყო, რომელიც წელანდელ გულში გავლებულ კითხვას უნდა მოჰყოლოდა: ტელევიზიამ რა დაგიშავათ-მეთქი.

რა გქვიათ და, საერთოდ, ვინ ბრძანდებითმეთქი. — ვკითხე, რაც შემეძლო, ზრდილად. მივიდა, ბავშვს ლოყაზე მოუთათუნა ხელი, მერე იქვე ძელსკამზე ჩამოჯდა და სულ სხვა მითხრა: — ხალხო, თქვენში სამართალი სულ აღარ არი? მოედნებზე დაწერილ პოემებსაც რომ აკითხებთ პოეტებს ეკრანიდან, საქმე გამოგელიაო!.. საპარავში შესწრებული ბავშვივით შევცბი, რადგან ექვსი-შვიდი წლის წინათ მართლაც მოხდა ასეთი რამ და რა მეთქვა! გაგვიმხილეთ, ვინ ბრძანდებით-მეთქი, ახლა უფრო მკაფიოდ და გაბედულად გავუმეორე, რაკი თავი სასჯელმოხდილად მივიჩნიე. გულდასმით ამხედ-დამხედა, რომ შევკითხოდი, ზუსტად გამოიცნობდა ჩემს სიმაღლეს, მერე თვალი გამისწორა და ხელჩაქნევით დაუმატა: ესეთები ხართ ყველანი ქალაქში!.. არავინაც არა ვარ, მანანა მქვია სახელად და ჩიტიშვილი ვარ გვარად. გაზეთში ვცოდვილობ, ლენინგორში... შიგადაშიგ კი ლექსებს ვაწვდი პოეზიასმოწყურებულ ქართველობას.

ამოვისუნთქე, ნაცნობი პოეტი რომ გამოდგა. აი თურმე ვინ ყოფილხართ-მეთქი და მივუახ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლოვდი. ოდნავ გაღიმებულმა გამომიწოდა ხელი... „აჰაუ, ისევ დამჭერ, მარიხო, როგორც უბრალო ჩიტი მზეწვია, რა ტანჯვით ვლობე სიტყვის ფარეხი, რომ ერთი ლექსი გამომეწყვდია. მესმის ზუზუნი დაჭიმულ ლარის, მარიხ! გაფიცებ წმინდა სახელებს! ღია მაქვს გულის სუყველა კარი, მოდი, მომკალი და მომასვენე“... მერე: „ისე აყვავდა გზისპირს ტყემალი, ისე უცებ და ისე მალულად, თითქოს ამდგარა თეთრი ქალწული და ქორწილიდან გამოპარულა. მე კი შეხვედრა ვერ მოვასწარი, ვერ გამოვექეც ზამთრის გრიგალებს, მოდი, მომკალი, ჩემო ცისკარო, და გაზაფხული გადაიბრალებს“...

ვეგმაში გვყავხართ, ტელევიზიაში, კარგია, რომ პირადადაც გაგიცანით-მეთქი. (არ იყო გეგმაში, მაგრამ ისე, ავანსად ვუთხარი). შორს დაიჭირა: ნაცნობობა რა შუაშია!.. იმ დღესაც, ჯუმბერი რომაა, თითმერია... კი ბატონო, კაი ბიჭიცაა და კაი კრიტიკოსიც, მშვენიერი მთარგმნელიც, მაგრამ.. გადამეკიდა — ლექსები მაიტა, ვინმეს დავაბეჭდვინებო!.. მერე რა, კაცს, თანაც გემოვნებიანს, შეუნიშნიხარ და შუამავლობა შემოუთავაზებია, რა არის ამაში ცუდი! ლიტერატურის ყველა ჭეშმარიტი მსახურის ვალია ეს—შეგნიშნოს, აღმოგაჩინოს და სარბიელზე გამოგიყვანოს-მეთქი. ჯერ სამაგისო არაფერი გამიკეთებიაო. მომიგო მტკიცედ და წამოდგა. ეს ისე დაბეჯითებით მითხრა, ეჭვის ნატამალიც არ დამიტოვა — მეტისმეტი თვითკრიტიკით ხომ არ კოპწიაობს-მეთქი. მერე დროულად მომაგონდა მისივე ლექსი და წამიერი დაეჭვებისაც შემრცხვა, რადგან, როგორც ჰგავს, ყველა ნამდვილ შემოქმედს შეუჩნდება ხოლმე დროდადრო განმარტოების მახრა: „მე ზოგჯერ მინდა გაქცევა მიწით და მომტვრეული მტკივა რტოები, ჭაობისფერი მერევა იჭვი და მენატრება განმარტოება. მე ზოგჯერ მინდა მარტო ნუგეში, სიტყვა, სიკეთის მზით რომ იალებს, ერთ მუჭა მიწას ვიყრი უბეში და გავურბივარ ადამიანებს...“

გამოხდა ხანი, ექვსი თუ შვიდი თვე. ერთხელ რედაქციაში სახელდახელო მიკროვიქტორინა გაიმართა — „ვისია ლექსი?“. წაიკითხეს: „ჭიანურებს ვიწრო მხრებზე გაიდებენ, რაა მათთვის სიმაღლე და გალიები... გულში მტრობას არავისას გაივლებენ გრძელკანჭება, გულკეთილი კალიები. სატრფოს სარკმელს სერენადებს უმღერებენ, მზით ივსება ფაცხები და ნალიები. და საკრავებს გრძელ ქამანებს უღერებენ მზის ბადაგით გადამთვრალი კალიები. შუადღის მზეს აფიცხებენ გამეტებით, თვალს ნაბავენ ყინით მედლეხვალიები, აწყვეტილ წელს კიდევ უფრო აიწყვეტენ კალიები“.. მე პირველი ნომრით გავდიოდი და რატომღაც (დღესაც რომ ვიხსენებ, ვერ მივმხვდარვარ — რატომ) სიმონ ჩიქოვანი მომაგონა ამ ლექსმა, მაგრამ მაინც გაუბედავად ვთქვი: ჩიქოვანის უნდა იყოსმეთქი. არაო, იუარა „პატივცემულმა ჟიურიმ“, მამაკაცი არააო; აგაშენათ ღმერთმა, იხედაც ლამის წამომცდა წელან და, თუკი ქალია, ანა კალანდაძეა-მეთქი. ვერ მოგართვითო, ცოტა ირონიულად მომიგო „ჟიურიმ“ და მივხვდი, ქალბატონ ანას რომ დაუფიქრებლად დავაკელი და სხვას რომ უნებლიეთ წავუმატე. ერთი, ორი, სამი... დაიწყეს თვლა. ახალგაზრდაა?.. საკმაოდ!.. ათი, თერთმე.., თორმე... ხელები ავწიე, დავნებდი. ორ დღესაც რომ მემარჩიელა, ალბათ ვერ მივხვდებოდი.. მანანა ჩიტიშვილისა კი აღმოჩნდა!

დაკვირვებას ვარ — როდესაც ახალგაზრდა პოეტზე (საერთოდ მწერალზე) საუბრობ და უეცრად რომელიმე სახელმოხვეჭილ, დიდ პოეტს ახსენებ, მსმენელი ღიზიანდება: აბა ეგ რა შესადარებელი წყვილია, ახალგაზრდა კაცს დათვურ სამსახურს უწევო. სულაც არ მიფიქრია მათი დაწყვილება და, მით უმეტეს, შედარება, უბრალოდ, მოვიშველიე დიდი პოეტის სიბრძნე და გამოცდილება, შევახსენე ჩემს მსმენელს (აწ უკვე ოპონენტს), რომ იგივე თემა ან სულაც მოტივი, დიდ პოეტსაც აწუხებდა თუ აღელვებდა-მეთქი. მაინც არ სჯერა. მაინც ჰგონია, რომ ორივეს ერთ სიბრტყეზე ვაყენებ, ორივეს ერთ ტაფაში ვხარშავ... ჰგონია და ეგონოს, ბოლოს და ბოლოს!

„გულს ვაყუჩებ დარდებიანს, ვეჭიდები ფიქრის მორევს... ჰაუ, ზეცა რამდენია, ჩემი ზეცა მინდა თორემ... გზას მივუყვები, ბარდებია, მოვედები ლობე-ყორეს, ვარსკვლავები რამდენია, მე ჩემს ვარსკვლავს ვეძებ, თორემ.. მთვარე ვერცხლის შანდალია, აუნთიათ ცაში გორებს... ქვეყნად გზები რამ დალია, მე ჩემი გზა მინდა, თორემ... თმებზე წვიმა დამდენია, მძიმედ მაწყობს ნისლი ტორებს, ქვეყნად ღმერთი რამდენია, ჩემი ღმერთი მინდა, თორემ... დალექილა სულში თიხა,. უწეწიათ გეზელ-ქორებს, შენ არაფერ შუაში ხარ, სიყვარული მინდა, თორემ...“ ამ ლექსის ავტორი მხოლოდ თავისთავის იმედადაა ამქვეყნად!.. სხვისი მას სტრიქონი კი არა, ზეცაც არ უნდა. თანაც, ამ გახსენებაზე, ქართველი პოეტიცაა!.. ამ ლექსს, არა მხოლოდ ქრონოლოგიურად, ორი ლექსი უსწრებს წინ: ერთი უსათაურო და ერთიც — „ღია ბარათი მეგობარს“. პირადად მე ორივე ეს ლექსი მახსენებს მურმან ლებანიძესაც, ჯანსულ ჩარკვიანსაც და სხვათაც. თავიანთი საუკეთესო ლექსებით, მაგრამ, ამას რომ ვამბობ, რაიმე გავლენაზე კი არ მიგანიშნებთ, არამედ იმაზე, რომ ლებანიძისეული ბრწყინვალე ლექსების ციკლიც რაჭალეჩხუმის გაუკაცრიელებაზე (ვიწრო გაგებით, რა თქმა უნდა!) და ჩარკვიანის გახმაურებული პოემაც — „რწმენის კედელი“ უფროსი ძმებივით უდგანან მანანას ხსენებულ ლექსებს გვერდში. ისინი, ეს ლექსები — ე რ თ ს უ ლ ო ვ ა ნ ი ლექსებია. ჩემთვის „ერთსულოვანს“

ზოგჯერ ასეთი გაგებაც აქვს (ყველას ერთი სული უდგას!). ჯერ „უსათაურო“ წავიკითხოთ: „და მიტოვებულ აივნებს ათოვს. და მახსენდება ძალიან გვიან... მე შენსას არ გთხოვ, მე სხვისას არ გთხოვ, მე მხოლოდ ჩემი მომეცი მთლიან. მე ჩემი წილი მზეცა და ქარიც. მე — ჩემი წილი ჯამი და ქვევრი, მე — ჩემი წილი სეხხი და ვალი, ჩემი სალეწი კალო და კევრი. დამადგი ქედზე შენი უღელი, ტყუილუბრალოდ ნუკი მიცოდებ... რომ მომშივდეს და რომ დავიღალო, რომ დიდი მადლის ფასი ვიცოდე. გამაწვალდვინე მეც ჩემი ტევრი, ამანთებინე ჩემი კერია, თორემ ეგ არი, მოვიდა მტერი, მოვიდა მტერი და მომერია“... ახლა ბარემ მეორეც: „თუ მართლა გესმის, როგორ ინავლება მიმქრალ კერიაზე ის ნაცარი, ვიდრე ლექსს დაწერდე, პაპის საფლავს შამბი და შალაფა მოაცალე. თუ გრძნობ, სახნისები დაიჟანგა, სახლი გადაიქცა ნასახლარად, ერთი საკვამური აბოლე მოყვრის და მამულის გასახარად. მაყურებელივით ნუკი დარდობ, მონაწილესავით განიცადე, მოპირულ ბარით გაზაფხულზე ა იმ ნაფუძვართან დამიცადე. შორიდან მოთქვამ, რომ მიატოვეს, რა ვქნა, თუ სიყალბედ მეჩვენება! ვიდრე ლექსს დაწერდე, მეგობარო, ეშმაკს შეუთვალე შეჩვენება. აქ მო... საუღლე ხარს ამოგირჩევ, გამძლე ქედიანს და მონაცარეს, ე. პაპის საფლავს მორეული შამბი და შალაფა მოაცალე“... (ეს ბოლო ლექსი კრიტიკოსმა თ. დოიაშვილმა შარშანწინდელი „კრიტიკის“ ერთ-ერთ ნომერში კარგ კონტექსტში მოიშველია და, არ დაგიმალავთ, მესიამოვნა).

ისე, რეცენზიას მეორედ ვწერ და, გულახდილად რომ ვთქვა, სულაც არ მინდა, მაინცდამაინც ამ ლათინური სიტყვით რომ მოინათლოს ჩემი ნამუშევარი. რეცენზია ისაა, როდესაც კრიტიკულად განიხილავენ მხატვრულ ნაწარმოებს, არჩევენ და რაღაც უხილავ სასწორზე ასწონ-დასწონიან. ასეთი გაჩხრეკისას მხოლოდ გონების პრიმატია წინა პლანზე და ემოციებს, რაგინდ გუწრფელიც იყოს, ნაკლები პატივი ედება. რეცენზირების დროს აუცილებელია მხატვრული ნაწარმოების გარკვეული სიბრტყითა თუ ასპექტით წარმოჩენა, იდეური, ეთიკური, ესთეტიკური და ა. შ. მოტივების დაძებნა, მასში თვისებრივად ახლისა და პროგრესულის მიკვლევა და ყოველივე ამის კიდევ რაღაცის შუქზე განხილვა.. პროფესიონალი კრიტიკოსების საქმეა ეს და, ბუნებრივია, ჩემზე უკეთესადაც მოუვლიან; მე კი მხოლოდ გულის კარნახით (ტრაფარეტია, მაგრამ მაინც) ვირჯები: წავიკითხე მანანა ჩიტიშვილის ლექსების პირველი კრებული „ქ ს ა ნ ზ ე“, წავიკითხე არაერთგზის და საბოლოოდ შემაყვარა თავი ამ პოეზიამ. და თუ დღეს საჯაროდ ვამხელ ამ სიყვარულს, ამას იმიტომ ჩავდივარ, რომ მეჩვენება: აღსარებას თუ საჯაროდ წარმოთქვამ, ამით ერთბაშად განიმუხტება, და დაგივანდება ისედაც ყალყზე შემდგარი სული (სიყვარულის გამხელა, რისიც უნდა იყოს, აღსარებაა თავისთავად!).

მგონი, ვართულებ გაურთულებელს და ვიტკიებ აუტკივებელს. ამიტომ მარტივად ვიტყვი: როდესაც მანანა ჩიტიშვილის ლექსი „დაბრუნება“ წავიკითხე, მივხვდი, თუ რითი დამივანა „ყალყზე შემდგარი სული“ ამ ლექსის საჯაროდ წაკითხვამ: „მე მივატოვებ მანქანებით გადაღლილ ქალაქს და მძიმე ასფალტს, რომ ვერა გრძნობს აპრილში ვერას, მოღუშულ ცას და მავთულებით დაკაწრულ თავანს, თოვლსა და ტალახს მონატრული ბალღების მზერას... ქუჩებს, რომლებზეც ასკინკილით ვერ გადაივლი, ზოგჯერ აზრიან, უფრო ხშირად უაზრო ხმაურს, კინოებიდან გადმოღებულ ნასწავლ მანერებს, ვიწრო ბაგეზე ამოგრეხილ ყალბ ქათინაურს. ავაპრიალებ დედისეულ ცხავატურ თონეს, ავფშრუკავ ნაცარს, გავანელებ სოფლურად თუთქით, ჩავკიდებ მერე მთვარესავით გაბადრულ შოთებს“... და ასე შემდეგ, ლექსი საკმაოდ გრძელია: „ავაკრავ ვენახს, მანეულით ავაკრავ ვენახს, შვილს მოვუნათლავ მჭედლიაანთ ბერდოს და ნინოს... და შემოდგომით ღვინის ცოცხით გავრეცხავ ქვევრებს და თვალმოჭუტვით ცეცხლის შუქზე გავხედავ ღვინოს. გავაჩენ შვილებს, ძალიან ბევრს გავაჩენ შვილებს: ლურჯთვალა თამარს, ფოცხვერივით მოქნეულ ლაშას — ვასწავლი რწმენას და უმეტეს ყოველთა სხვათა — ვასწავლი ვ ა ჟ ა ს!“

დადის ლიტერატურულ წრეებში ასეთი ანეკდოტური რამ: თითქოს ერთხელ, 20 თუ 25 წლის წინათ, იქნებ უფრო ადრეც, მწერალთა კავშირის კლუბში ახალგაზრდა პოეტები გამოდიოდნენ ლექსების კითხვით. გამოსულა ერთი ქალიშვილი და დაახლოებით ასე დაუწყია: „ზვავი ვარ, გრიგალივით მოვარდნილიო“... მერე ვიღაც მხარბეჭიანი ჭაბუკიც ასულა ტრიბუნაზე: „ია ვარ, ენძელას დობილიო“... სათქმელი მიკიბულ-მოკიბული რომ არ გამომივიდეს, ვიტყვი: აქვს მანანას თავის კრებულში ისეთი ლექსები, ყოველ შემთხვევაში ისეთი მეტაფორები მაინც, თუ დაბეჯითებით არ იცი, რომ მათი ავტორი ქალია, ლოგიკა უსათუოდ ვაჟ პოეტებთან მიგიყვანთ: „ვერ შემეცილოს ამ ცას ვერავინ, ვერც მახვილით და ვერცა მუქარით, შენი სიცოცხლის ვარ მომღერალი, განა მტირალი ჭირისუფალი“... ან: „მე მუხის თავხეს ვეძებ საშენოს, ერდოზე სხივთა მიბამს ლარები, უნდა ახალი სახლი ვაშენო, განა ვიგლოვო ნასახლარები... შენს საფლავებსაც უნდა მივხედო, ამ ლოდქვეშ ჩემი ფესვი მარხია; ლობის გადაღმა გადავიხედო,

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვაჟის საქვნე გაუჩალხიათ“.. ხედავთ — როგორა ჰგავს ეს სტრიქონები იმ სარაფანიან ქალიშვილს, ღამის ბადეც რომ გახია ბურთით!..

უოველნაირ მოდას აჰყვება ქალი, ოდონდაც უფრო მოხდენილი და სანდომიანი გამოჩნდეს (ამიტომაცაა ქალი ამქვეყნიური სილამაზის თარგი), მაგრამ მხოლოდ მოდის აყოლით ვერ ჩაიდგამს იგი ვერც მეაკვნის, ვერც გუთნისდედისა და ვერც კირითხურის სულს. სული თანდაყოლილია ჩვენდა საბედნიეროდ. ამიტომაცაა, რომ მარტო განსწავლულობას არ წყალობს მუზა, ამიტომაცაა, რომ იმიტაციურს, ხანძარსაც კი, ერთი მოკიალე ნამდვილი ნაპერწკალი სჯაბნის, თუ ვინ სითბოს მართლა ელტვის!..

ისეც არ გამომივიდეს, თითქოს მანანაში მხოლოდ მაჟორი, მხოლოდ ომახიანი ინტონაცია სჭარბობდეს, მხოლოდ ლაჟღაჟა და ყაშყაშა ფერები ბატონობდეს. არავითარ შემთხვევაში!... პირიქით, საოცრად ნაზი და მგრძნობიარეა ამავე დროს. (ეს ბოლო ორი წინადადება ნამეტნავი „კრიტიკოსული“ გამომივიდა, ვატყობ). საბუთად ეს მინიატურაც იკმარებდა ალბათ: „წითები ბუერის ფიალებით ცის ჩამს დალევენ და ულდის ხევზე დაკორდება მომხკდარი ზვავი... ღობის გადაღმა წარბშეკრული მაზლის ნამლევად ოცი წლის ქ ვ რ ი ვ ი ეფერება ალუბლის ყვავილს“... ეს, ალბათ, პოეტის თანამგრძნობიარეობაა უფრო, ვიდრე — ხატვა. მხატვრობა მეორე სტროფში ჩანს რელიეფურად, თვალშისაცემად. თუმცაცა მხოლოდ ქვრივის თვალით დახანახია იგი: „ღამით გაღებულ ფანჯარაში ქანაობს მთვარე, ხელდება ძაღლი, სახლთან უცხო თუ დაიგულა და ქარი, როგორც ეჭვიანი, სასტიკი ქმარი, ალუბლის თითებს წითელ ბეჭდებს წაჰყრის დიდგულად“...

ფერწერის უეჭველი უნარი ჩანს მეორე მინიატურაშიც, უკეთ — სურათში: „ვენახის ბოლოს სიბერისგან დალრეცილ ტოტებს, როგორც გოგენის უჯანსაღეს ტაიტელ ქალებს, მზითა და სიცხით გალიგვული ძუძუებივით ჰკიდია ორი ვებერთელა ყვითელი კომში“... არანაკლებ შთამბეჭდავია, ამ მხრივ, სურათი „შემოდგომა“: „გზა ცურავს ყვითელ ფოთლების თქორში, ვეება ცოცხით ჩანს პატარძალი... დილით ფოთლებში ფართქალებს თოში. და ფეხშიშველი მღერის ლაზარე... გზიდან, ბებერი, არჯალი კომში თავის დაკორძილ მკლავებს მაძალებს“... ეპითეტები „ბებერი“, „არჯალი“ სურათში თითქოს სხვა სათქმელსაც ამჟღავნებენ, თითქოს სულიერდება კომშის ხე და ლექსს ასოციაციური ქვეტექსტი უჩნდება. (ანა კალანდაძის „თუთის“ მსგავსად). ვიცი, ოპონენტი ჩასაფრებული მყავს; ამიტომ აქვე: ანა კალანდაძესავით მაღალმხატვრულ სახეს კი არ ქმნის, არამედ იმასავით ესეც ცდილობს „გაასულიეროს“ — ლექსი. ცდილობს და, ჩემთვის, კიდევაც წარმატებით!

დიახ, მხოლოდ მხატვარს, თანაც „კომპლექსური ხედვის“ ოსტატს თუ შეუძლია ასეთი მოულოდნელი, ლაკონური სათაურის ქვეშ მოაქციოს ზაფხულის პეიზაჟი: „თუ ტკაცუნებს ქუჩაში დაგდებული გაზეთი, თუ დაქურსულ გაზონებს ახალი ხმა შეარხევს, თუ მარტოდენ ქალ-ვაჟნი შერჩენიან გამზირებს და კრამიტის კლავიშებს ვინმე ფრთხილ თითს შეახებს, თუ ჰაერში ახალი მიწის სუნი ტრიალებს და ასფალტზე ყვითელი ღელეები მიდიან, თუ ფანჯრებში ბავშვების სახეებმა იმრავლეს და ფანჯრების გადმოღმა მძივის ფარდა ჰკიდია, — წ ვ ი მ ს“...

ვატყობ, მკითხველი თანდათან დაიღალა. საკუთარი გამოცდილება მშველის. აღარც შევაწუხებ თავს. აქამდეც რომ მისმინა, ესეც დიდი გულისხმიერებაა მის მხრივ („რა ჩემი საქმეა ნეტავ— ვის ვისი პოეზია უყვარს!“). ბოლოს ერთი სურვილიღა მაქვს: მინდა ამ წერილის სათაური გავამართლო და კიდევ ერთი ლექსი შემოგთავაზოთ, რომელშიც, ჩემი აზრით, ბევრია ავტოპორტრეტისეული, ბევრია თვითონ... მანანა ჩიტიშვილი: „მომაძებნინა ისეთი ვინმე, ვისაც სიცილი სჭირდება ჩემი, მაწამებინა, რამეთუ სულში ამაოებად არ რეკდეს გრემი. მომაძებნინა სიყვარულისთვის გადაკეტილი გულების ბჭენი, მომაძებნინა ძლიერი რწმენა ცისა და მიწის, სხვისა და შენი, დამამხობინა ყველა სიცრუის, ყველა სიყალბის ძირი და თხემი, მომაძებნინა ისეთი მ ზ ე ი, ვისაც სიმაღლე სჭირდება ჩემი!“... მ ო ა ძ ე ბ ნ ი ნ ო ს!!!

ეროვნული ბიბლიოთეკა

პაატა ფირანიშვილი

ილია ჭავჭავაძე და ირლანდიის ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა

ირლანდიის ისტორია ჭეშმარიტად ტრაგიკული, მრავალსაუკუნოვანი სახალხო ბრძოლაა ეროვნული დამოუკიდებლობისათვის. ამ პატარა ქვეყანამ მედგარი ბრძოლით, თავისუფლებისა და ეროვნული დამოუკიდებლობისათვის, გასული საუკუნის მეორე ნახევარში, საპატიო ადგილი დაიკავა მსოფლიოს ხალხთა ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის დიდ მატიანეში. სამშობლოს თავისუფლებისათვის გმირული ბრძოლით და ამ ბრძოლაში გამოჩენილი უზადო პატრიოტიზმით და თავდადებით, ირლანდიელმა ხალხმა მსოფლიოს ბევრ სხვა, აგრეთვე კოლონიურ მონობაში მყოფ ხალხებს შესანიშნავი მაგალითი უჩვენა და სერიოზული ბიძგი მისცა მათ ასეთსავე განმათავისუფლებელ ბრძოლას.

ირლანდიელი ხალხის ტრაგიკულმა ბედმა და მისმა გმირულმა ბრძოლამ (მე-19 საუკუნეში), ევროპული რეზონანსი ჰპოვა, ბუნებრივია, აღნიშნულის გამო დიდი ინტერესით და ყურადღებით გამოეხმაურნენ საქართველოშიც. განსაკუთრებით ვრცლად გამოეხმაურა ირლანდიელი ხალხის განმათავისუფლებელ ბრძოლას დიდი ქართველი მწერალი და მოაზროვნე, საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ბაირახტარი ილია ჭავჭავაძე.

ილიას, როგორ ჩაგრული ხალხის წარმომადგენელს, ირლანდიის საკითხით დაინტერესების რამდენიმე გარკვეული საფუძველი გააჩნდა, რომელთაგან წმინდა ჰუმანურ სოლიდარობასთან ერთად, აღსანიშნავია ირლანდიელი და ქართველი ხალხის ისტორიაში მსგავსების დანახვა და მეფის თვითმპყრობელობის წინააღმდეგ ბრძოლის პროცესში, ირლანდიელი ხალხის ბრძოლის გამოცდილებებისა და მეთოდების გამოყენების შესაძლებლობა.

ირლანდიის საკითხს, როგორც ინგლისის საშინაო პოლიტიკის, ყველაზე უფრო მტკივნეული საკითხის შესწავლას ილიამ უძღვნა მეტად საინტერესო წერილების სერია, რომელიც იბეჭდებოდა გაზ. „ივერიის“ 1886 წლის 67-76 ნომრებში სათაურით — „ინგლისი და ირლანდია“ და 1886 წლის 106, 107, 132, 156-ე და 1889 წლის 42-ე ნომერში სათაურით — „ინგლის-ირლანდიის ურთიერთობა“. ამავე საკითხს, კერძოდ ირლანდიელი ხალხის ეროვნულ-განმათავისუფლებელ ბრძოლას, ილია მიმოიხილავდა სხვა უფრო ზოგადი ხასიათის წერილებშიც. ეს იქნებოდა გაზ. „ივერიის“ ძოწინავე თუ სხვადასხვა ქართული ჟურნალ-გაზეთების „საპოლიტიკო მიმოხილვა“.

ილიას მიაჩნდა, რომ ინგლისელი კოლონიზატორების მიერ ირლანდიის პოლიტიკურ დაპყრობას მოჰყვა მისი ეკონომიური დამონება, რომელიც უფრო ძლიერი და დამანგრეველი იყო ქვეყნისათვის, ვიდრე პირველი. ირლანდიის ეკონომიკური ცხოვრების ღრმად შესწავლით ილია ცდილობდა აეხსნა ის ფაქტი, რამაც განაპირობა ამ ქვეყნის გადაქცევა „ღრმა მოურჩენელ იარად ინგლისის ტანზე“, ამ მიზნით იგი საფუძვლიანად მიმოიხილავს ინგლისის და ირლანდიის მიწათმფლობელობის ისტორიას, ადარებს მათ ერთმანეთთან და მიუთითებს ინგლისური მიწათმფლობელობის ბევრ თავისებურებაზე, რომელსაც ინგლისელები საუკუნეების განმავლობაში ფართოდ იყენებდნენ ირლანდიის დასამორჩილებლად. ილია აგრარული საკითხის ირლანდიის სასარგებლოდ გადაჭრაში ხედავდა ამ იარის განკურნების ერთადერთ რეალურ შესაძლებლობას. სწორედ ამიტომაც, არჩილ ჯორჯაძისაგან განსხვავებით რომელიც ირლანდიის ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობაში

წინა პლანზე აყენებდა ეროვნულ მოტივს — (5 (286-295) ილია ჭავჭავაძე ისტორიულ ჭეშმარიტების შესაბამისად, ამ მოძრაობის საფუძვლად მიიჩნევდა არა ეროვნულ, არამედ ეკონომიკურ მოტივს.

აქედან გამომდინარე, შეისწავლის რა ირლანდიის ისტორიას, იგი უპირველეს ყოვლისა, საჭიროდ მიიჩნევს თვით ინგლისის მიწათმფლობელობის წესის საფუძვლიან შესწავლას, რომელმაც წარუშლელი კვალი დააჩნია ირლანდიის ეკონომიკურ და პოლიტიკურ მდგომარეობას. ილია ჭავჭავაძე წერილის შესავალში აღნიშნავდა: „ვიდრე ჩვენ მოთხრობას პირდაპირ ირლანდიიდან დავიწყებდეთ, ჩვენ საჭიროდ ვხედავთ მოკლედ გავიხსენოთ ისტორია მიწათმფლობელობისა თვით ინგლისისა, იმიტომ, რომ აქედან შესულმა მარილიერებამ მიწათმფლობელობისამ დიდი ზემოქმედება იქონია ირლანდიის მიწათმფლობელობის განწყობილებაზედ“. (4 (12).

ინგლისის მიწათმფლობელობის ისტორია ილიას განხილული აქვს ჯერ კიდევ იმ პერიოდიდან, სანამ ნორმანები დაიპყრობდნენ ინგლისს. მისი თქმით — ამ დროს ინგლისში ყოფილა; მკვიდრი მოსახლეობის ორგვარი წყობა, ერთნი აზატნი რომელნიც მიწას ფლობდნენ და მეორენი მონები რომელნიც მიწათმფლობელებს ემსახურებოდნენ. ნორმანების შემოსევის შემდეგ კი, ილია, ეყრდნობოდა რა 1086 წელს გამოცემულ საერთო სამამულო სიგელს Domesdau Book-ს აღნიშნავდა, რომ: „ნორმანებმა დაიპყრეს რა ინგლისური მიწები, ახლით შეცვალეს მიწათმფლობელობის წინანდელი სახეც“ (4 (12).

ილია ჭავჭავაძე საკმაოდ კარგად ერკვევა ინგლისის მიწათმფლობელობის ევოლუციის რთულ პერიპეტიებში, მან კონკრეტული ფაქტების მოშველიებით წარმოაჩინა წვრილ მესაკუთრეთა თანდათანობითი გაქრობის და მათი კუთვნილი მიწების ლორდების ხელში გადასვლის პროცესი და ის მეთოდები, რომელთა საშუალებითაც ხორციელდებოდა წვრილ ფერმერთა ექსპროპრიაცია. ილია წერდა: „რადგან არსებული მიწათმფლობელობის წესის გამო, მთელი ერის ხარჯს მეფის წინაშე მარტო ლორდები იხდიან, მათ გადაწყვიტეს, რომ სახელმწიფო გამძღოლნიც მარტო ჩვენ უნდა ვიყოთო და მიწაც სულ ჩვენ უნდა გვეკუთვნოდესო, ხოლო დანარჩენ ერს ისინი მოქალაქეობრივ უფლებას არ შესცილებიან, ამრიგად მსხვილმა მესაკუთრეებმა მთელს ერს ხელიდან გამოაცალეს მიწები, ერმა კი ხელიც არ გაანძრია იმიტომ რომ, მათ გულს უგებდა ის საბუთი, რომლითაც ლორდები მთელი ერის ხარჯს და ბეგარას იხდიდნენ სახელმწიფოს წინაშე, მერე ის. რომ იმავე ლორდის სარჩელით და მეოხებით უბრალო გლეხიც იმისთანა მოქალაქე და მამულიშვილი იყო კანონის წინაშე, როგორც პირველი ლორდი“. (4 (14).

ირლანდიის ეკონომიკური მდგომარეობის უშუალოდ განხილვამდე, რომელზედაც წარუშლელი კვალი დააჩნია ინგლისის მიწათმფლობელობის წესის გავლენამ, ილია საჭიროდ მიიჩნევს მოკლედ შეეხოს ამ ქვეყნის პოლიტიკურ ისტორიას. აღნიშნულ მიმოხილვაში, სოლიდურ მონაცემებზე დაყრდნობით, ილია ჭავჭავაძე მკითხველს საინტერესოდ აცნობს ძველი ირლანდიელი ტომების — ირების ცხოვრებასა და კულტურულ ყოფას, რომელნიც მისი თქმით, სხვა ევროპელ ტომებთან შედარებით იმ ეპოქაში უფრო კულტურულნი და განვითარებულნი ყოფილან. მათ ჯერ კიდევ 430 წელს შოტლანდიელი მქადაგებლის წმ. პატრიკის მეშვეობით ქრისტიანობაც კი მიუღიათ, მაგრამ სკანდინავიური ტომების, კერძოდ დანიელების შემოსევას ქვეყნის დარბევასთან ერთად, ირლანდიის ძველი კულტურის სრული გაქრობაც მოჰყოლია. ილია ჭავჭავაძე ირლანდიის უბედურების საწყისად მიიჩნევს არა იმდენად დანიელთა შემოსევას, არამედ რომის პაპის ადრიანე მე-IV-ის (შთამომავლობით ინგლისელის) მიერ, 1154 წელს, ინგლისის მეფის ჰენრი-II პლანტაგენტისათვის ირლანდიის (რომელიც პაპის ეპარქიად ითვლებოდა — პ. ფ.) „ბოძებას“. ილიას ისტორიული სიზუსტით აქვს გადმოცემული პაპის მიერ ინგლისისათვის ირლანდიის „ბოძების“ არსი, რომელიც ჰენრი მე-II გამოიყენა შინაომებით დასუსტებული ირლანდიის დაპყრობის გასამართლებლად. ილიას თქმით: „ამ სახით ირლანდია შიგნიდანვე გატეხილ ციხეს წარმოადგენდა“. (4 (24).

ჰენრი მეორემ ირლანდიის მიწები მთლიანად ინგლისელ ლორდებს დაურიგა, რის გამოც უკმაყოფილო ირლანდიელებმა არაერთხელ მოაწყვეს აჯანყებები დამპყრობთა წინააღმდეგ. ინგლისელებმაც ასევე მრავალჯერ დაარბიეს და გაძარცეს ირლანდია. მაგრამ, მიუხედავად სასტიკი კოლონიური პოლიტიკისა, ამ მიმართულებით გადადგმული ინგლისელთა ყოველი ნაბიჯი, ეს იქნებოდა იარაღის გამოყენებით თუ პროტესტანტული რელიგიის საშუალებით, ძირითადად მიზანს ვერ აღწევდა. მაგრამ ის, რაც ვერ შესძლეს ტიუდორებმა და სტიუარტებმა საუკუნეების განმავლობაში, მოახერხა ინგლისის ბურჟუაზიული რევოლუციის ლიდერმა ოლივერ კრომველმა, ირლანდიაში 1648-49 წლების ლაშქრობის შედეგად. ოლივერ კრომველი მართლაც, რომ ცეცხლითა და მახვილით მოევლინა ირლანდიას. მან დაარბია და გადაწვა მრავალი ქალაქი და დასახელებული პუნქტი. ამას თან სდევდა მკვიდრი მოსახლეობის მამაპაპეული მიწებიდან აყრა და მათი გაპარტახებულ რაიონებში ძალით გადასახლება. რაც შეეხება იმდროინდელ პატრიოტებს, რომლებიც ენერგიულად იბრძოდნენ ინგლისელი დამპყრობლების წინააღმდეგ, მომხდური მოძალადეები ან ფიზიკურად სპობდნენ, ან ასახლებდნენ ინ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

გლისის შორეულ კოლონიებში. ასე „განთავისუფლდა“ ირლანდიის მიწა-წყლის მნიშვნელოვანი ნაწილი მისი თავდაპირველი მფლობელებისაგან. ეს თავისუფალი მიწები ინგლისელმა დამპყრობლებმა უხვად დაურიგეს მსხვილ ინგლისელ ვაჭრებსა და მრეწველებს, ოფიცრობას და ფორმალურად ჯარისკაცებსაც. ილია ჭავჭავაძე სავსებით სამართლიანად, სწორედ ამ ლაშქრობებსა და მის შედეგებში ხედავს ინგლისელების მიმართ იმ სიძულვილის ჩანასახს, რომლიც გაუჩნდათ და ბოლომდე შერჩათ ირლანდიელებს: „კრომველმა 1648 წელს ასეთი თავზარი დასცა ირლანდიელებს — წერდა ილია, დაიმორჩილა და ასე უმოწყალოდ მოექცა რომ დასაბამი მძულვარებისა ინგლისის მიმართ, ფესვი დაუძინებელის მტრობისა, თითქმის კრომველის ულმრთო მოქმედებამ დანერგა“. (4 (24-25).

ცნობილია, რომ მარქსმა და ენგელსმა კრომველის ლაშქრობა ირლანდიაში, სამართლიანად მიიჩნიეს ინგლისის ბურჟუაზიული რევოლუციის ყველაზე სამარცხვინო მომენტად. კარლ მარქსი წერდა, რომ: „ინგლისის რესპუბლიკა კრომველის დროს ირლანდიაზედ დაიმსხვრაო“. (2 (246).

კრომველის ლაშქრობასვე მოჰყვა ირლანდიაში არსებული სააღგილმამულო ურთიერთობათა ძირეული რღვევა და ინგლისური მიწათმფლობელების წესის გაბატონება, რამაც ინგლისელები საბოლოოდ გაბატონა ირლანდიაში, როგორც პოლიტიკურად, ასევე ეკონომიკურადაც.

მომდევნო წერილებში, ილია მიმოიხილავს ინგლისის კათოლიკე მეფის ჯეიმზ მეორის მეფობას, ინგლისის მეორე, ე. წ. „სახელოვანი“, უსისხლო რევოლუციის პერიოდში, როდესაც ირლანდიელებს გაუჩნდათ განთავისუფლების იმედი, რადგანაც მათ სჯეროდათ, რომ კათოლიკე მეფე კათოლიკურ ირლანდიას დაეხმარებოდა. ეს იმედები, საუბედუროდ, ირლანდიის მოსახლეობას არ გაუმართლდ;ა, ამიტომაც ჯეიმზ II-ის მიერ მომარჯვებული მკაცრი პოლიტიკა, ილიამ სამართლიანად მიიჩნია „უაიტ-ბოების“ („თეთრი ბიჭები“) აჯანყების ერთ-ერთ ძირითად მიზეზად. ილია ღრმად ჩასწვდა აჯანყების სხვა მიზეზებსაც, პარალელი გაავლო „უაიტბოების“ და „ფენიების“ გამოსვლებს შორის და იმ დასკვნამდე მივიდა, რომ, მართალია ეს ორივე გამოსვლა სხვადასხვა დროს მოხდა, მაგრამ თავისი ხასიათით ერთი და იგივე იყო, ორთავეს ერთი და იგივე მამოძრავებელი ძალა წარმართავდა, რაშიც ილია ხედავს ირლანდიელი ხალხის ბრძოლას, არა მარტო მიწისათვის (რომელიც ამ პერიოდში რელიგიურ სამოსელში იყო გახვეული — პ. ფ.), ასევე ბრძოლას პოლიტიკური დამოუკიდებლობისთვისაც.

გამოთქმული აზრის საარგუმენტაციოდ, ილიას მაგალითისათვის მოჰყავს ირლანდიელთა მიერ კავშირის ძებნა საფრანგეთის ბურჟუაზიულ რესპუბლიკასთან და 1798 წლის ამბოხება ირლანდიაში. (4 (25). ირლანდიელთა კიდევ ერთი ცდა, მოეპოვებინათ ეროვნული დამოუკიდებლობა, ამ ეტაპზე მარცხით დამთავრდა, რასაც 1800 წელს მოჰყვა ინგლისის მიერ ირლანდიის სრული დამორჩილება და ირლანდიის პარლამენტის გაუქმებასთან ერთად თვითმართველობის ყველა ნიშანწყლის წაშლა.

თავისი ვრცელი გამოკვლევის მე-6 წერილში, ილია ჭავჭავაძე ფართოდ მიმოიხილავს ირლანდიის მიწათმფლობელობის ისტორიას, მისი ადრეული ეტაპიდან მე-19 საუკუნის ჩათვლით. ილია განსაკუთრებით ამახვილებს ყურადღებას იმ სავალალო შედეგებზე, რომელიც მოჰყვა ინგლისური მიწათმფლობელობის წესის გაბატონებას ირლანდიაში. სწორედ აღნიშნულ წესს მიიჩნევს, მსგავსად მარქსიზმის ფუძემდებლებისა (1 (138-9), ილია ჭავჭავაძე ირლანდიელთა უკიდურესი გაღატაკების, დემორალიზების და სამშობლოდან იძულებითი ემიგრირების ძირითად მიზეზად. „რაკი ამ წესს თვით ინგლისის მკვიდრთ ვერ გაუძლეს ინგლისში, რომლისაც პატრონები თვითონ იყვნენ, — წერს ილია, — აბა როგორ გაუძლებდა დაპყრობილი ირლანდია, ჯერ ამ წესს ვერ გაუძლო ირლანდიამ და მერე, რეფორმაციის შემდეგ იმ გარემოებას, რომ პროტესტანტობა ინგლისისა სდევნიდა კათოლიკობას ირლანდიისას, ირლანდიაში სრულიად აეკრძალათ კათოლიკეებს დაესაკუთრებინათ ან ხელში სჭეროდათ მამული მფლობელობითა“. (4 (27).

იმის ნათელსაყოფად, თუ რა სწრაფად ხორციელდებოდა ირლანდიაში ადგილობრივი მოსახლეობის კუთვნილი მიწების ექსპროპრიაცია, ილიას მოაქვს საინტერესო ციფრობრივი მონაცემები, რომლის თანახმად მე-19 საუკუნას მეორე ნახევარში, ირლანდიის 20 322 641 აკრი მიწიდან 15 575 270 აკრი მარტო 5400 მსხვილ ინგლისელ მემამულეს ეჭირა. აქედან ცხადია, რომ მოსახლეობის უმრავლესობა უმიწოდ დარჩა და ირლანდიელთა ხელში მხოლოდ 5 მილ. აკრაზე ნაკლები მიწაღა იყო, ისიც მიწათმოქმედებისათვის უვარგისი, ეს მაშინ, როდესაც 1879 წლისათვის ირლანდიაში 5 350 000 მცხოვრები იყო (4 (29). ილიას მიერ მოტანილი ციფრობრივი მონაცემები რამდენადმე ახლოს დგას. სხვა ავტორთა მონაცემებთან. სადაც ასევე ნათლად ჩანს წვრილ მესაკუთრეთა (ფერმერთა) მიწების ექსპროპრიაციის და ადგილობრივი მოსახლეობის თანდათანობით შემცირების ნათელი სურათი, გასული საუკუნის 50-60 წლებში.

ილია ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოე-

ბაზე, რომ უმიწაწყლოდ დარჩენილ ირლანდიელს საზრდო რომ ეშოვა, იძულებული ხდებოდა მიემართა მიწათმფლობელისათვის და აეღო ნაკვეთი იჯარით. თუ როგორ გამოიყენეს ლორდებმა მეტი მოგების მისაღებად თავიანთი „კუთვნილი" მიწები, ამის შესახებ ის წერდა: „ლორდებმა შეამჩნიეს, რომ რაც უფრო წვრილ-წვრილ ნაჭერად ურიგდებოდათ მიწა ლალით, თუ იჯარით, მით უფრო მეტს იძლეოდნენ მიწას გამოკლებულნი გლეხნი. (4 (30), ყოველივე ამის გამო ლორდებმა ისე დააცამტვერეს მიწები, რომ ლალის აკრეფასაც კი ვეღარ ასწრებდნენ". (4 (30).

ეხებოდა რა ინგლის-შოტლანდიაში ლორდების მიერ მამულების გაცემის თავისებურებებს, ილია ჭავჭავაძე მიუთითებდა იმ გარემოებაზე, თუ რამდენად მძიმე იყო ის ირლანდიისათვის, რადგანაც მისი თქმით 1845 წელს ინგლისში თუ ერთ მემამულეზე ცხრა ფერმა მოდიოდა, ირლანდიაში ამავე ერთ მამულზე ოთხმოცდაერთი ფერმა.

მართალია ილია ჭავჭავაძე მხოლოდ გაკვრით აღწერდა ირლანდიის სოფელში კაპიტალისტური ურთიერთობის შეჭრას, რამაც გამოიწვია უამრავი უმიწაწყლო გლეხის, სოფლის პროლეტარისა და დღიური მუშების გაჩენა, სამაგიეროდ მათი შემდგომი ბედის შესახებ იძლეოდა რამდენადმე საინტერესო ცნობებს, რომლესაც პარალელს ავლებდა ირლანდიასა და ინგლის-შოტლანდიას შორის, სადაც კაპიტალიზმმა უფრო ადრე მოიკიდა ფეხი და ჭარბი მუშახელის დასასაქმებლად უკეთესი მდგომარეობა იყო, ვიდრე ირლანდიაში. ილია წერდა: „ინგლისი და შოტლანდია გაჩაღებულია ფაბრიკებითა, ქარხნებითა და იმისთანა მრეწველობითა, რომელსაც პირდაპირი დამოკიდებულება არ ჰქონდა მიწასა და მიწათმოქმედებასთან, რადგანაც ფაბრიკები, ქარხნები და ქალაქების საქმენი სამუშაოს აძლევდნენ მოჭარბებულ, მიწას გამოკლებულ ხალხს და ისინიც სულ მათ „შეეკედლნენ". (4 (31). ხოლო რადგანაც, ირლანდიაში კაპიტალიზმი ჯერ კიდევ სუსტად იყო განვითარებული ხალხის არსებობის ერთადერთ წყაროს მიწათმოქმედება შეადგენდა. კაპიტალიზმს კი ამ შემთხვევაში ირლანდიელთათვის შიმშილი და სიდუხჭირე მოჰქონდა. ამრიგად, ილიას მიაჩნდა, რომ სოფლის მეურნეობაში კაპიტალისტური ურთიერთობის შეჭრა ირლანდიელთა უბედურების კიდევ ერთ მომენტად იქცა. იმდენად, რამდენადაც, მსგავსად კ. მარქსისა, რომელმაც თავისი გენიალური ქმნილების „კაპიტალის" პირველ ტომში ყველაზე სრულყოფილად ჩამოაყალიბა ეს პროცესი, მანაც სწორედ ჭარბი მუშახელის გაჩენა მიიჩნია ახალ უბედურებად საეროოდ მუშათა კლასისათვის და მიუთითა იმ გარემოებაზე, რომ „როდესაც ხალხის გამრავლების გამო მიწის ლალამ აიწია, მუშის ფასმა იმავე მიზეზით საშინლად დაიწია" (4 31), ილია ჭავჭავაძე ირლანდიაში ჭარბი მუშახელის გაჩენის კიდევ ერთ მიზეზად მიიჩნევს ლენდლორდთა მიერ მიწების „გავერანებას" (შემოღობვას), ისევე, როგორც ინგლის-შოტლანდიაში კაპიტალის პირვანდელი დაგროვების პერიოდში ხდებოდა. სწორედ ამ მიზეზმა ირლანდიის გლეხობას საბოლოოდ მოუსპო ლენდლორდის „კუთვნილი მიწის" იჯარით აღების შესაძლებლობა, ილიას მონაცემებით, რომელნიც თითქმის ემთხვევა პროგრესული ინგლისელი ისტორიკოსის თ. ჯექსონის მონაცემებს, (თ. ჯექსონის მიხედვით — „1848 წელს ირლანდიაში ხორბალი დათესილი იყო 697648 აკრზე, შვრია-2065 185 აკრზე, ქერი —290 690, კარტოფილი კი 718 608" (8 (299), ლენდლორდებმა ირლანდიაში დაახლოებით 15 მილ. აკრი მიწიდან 11,5 მილ. აკრი „გაავერანეს", (საძოვრებად და სანადირო ადგილებად აქციეს), საკარტოფილედ დატოვეს მხოლოდ 1,5 მილ. აკრი, ხოლო პურის დასათესად 2 მილ. აკრი მიწა. ამრიგად, ილიას მოხდენილი თქმით: „ამ სახით, კაცის საცხოვრებლად დააგდეს 8 მილ. აკრი და პირუტყვისათვის კი თითქმის 12 მილ. აკრი" (4 (32).

ირლანდიელებისაგან ირლანდიის გაწმენდა, რასაც ეწეოდნენ კოლონიზატორები, ინგლისის კაპიტალიზმისათვის სასარგებლო იმითაც იყო რომ მესაქონლეობაზე გადასვლით, ეკონომიკურად და პოლიტიკურად ისარგებლეს მხოლოდ ლენდლორდებმა და ბურჟუაზიამ. „ირლანდიელების ექსპლოატაციით დაგროვილი კაპიტალი ანაყოფიერებდა არა ირლანდიის მეურნეობას, არამედ ინგლისისას, ირლანდიიდან განდევნილნი არა ირლანდიის მრეწველობას უქმნიდნენ იაფ მუშა ხელს, არამედ ინგლისისას, რაც ხელს უწყობდა მის წინსვლას". (9 (80).

ზემოთ ნათქვამიდან ნათლად ჩანს, რომ მიუხედავად იმ უმნიშვნელო ხარვეზებისა, რომელიც ილია ჭავჭავაძეს გააჩნდა ირლანდიის სოფლის მეურნეობაში კაპიტალისტური ურთიერთობის შეჭრისა და მისი სავალალო შედეგების შეფასებისას, საკითხის მთელი კომპლექსის გაშუქების დროს, ძირითადად მაინც სწორი პოზიცია ეკავა.

მე-19 საუკუნიდან ირლანდიის ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის განვითარებაში ახალი ეტაპი იწყება. მას სათავე დაუდო იმ ახალმა საზოგადოებრივ-პოლიტიკურმა მოძრაობამ, რომელსაც დასაბამი მისცეს რადიკალურ-დემოკრატიულმა წრეებმა დანიელ ო' კონნელის მეთაურობით. ამ გამოჩენილი ირლანდიელი პატრიოტის გმირობით აღფრთოვანებული ილია წერდა: „მას შემდეგ, რაკი კონნელიმ 1809 წელს შეადგინა საზოგადოება, ეგრეთწოდებული „კავშირი კათოლიკეთა", თავისის საოცარის მჭერმეტყველებით ისეთი სახელი დაიგდო ირლანდიელთა შორის, რომ მისი სიტყვა ირლანდიელისათვის კანონი იყო".

ეროვნული ბიბლიოთეკა

(4 (36). ილიას მხედველობიდან არ გამორჩენია ო' კონნელისა და მისი ორგანიზაციის მოღვაწეობის დადებით შეფასებასთან ერთად, მისი ჩრდილოვანი მხარეებიც, რაც გამოიხატა ბრძოლის ნათელი პროგრამის უქონლობაში და მათ მიერ წამოყენებულ იმ მოთხოვნებში, რომელნიც მხოლოდ ირლანდიის წვრილ-ბურჟუაზიული, ლიბერალური წრეების ინტერესებს შეადგენდა და არა მთელი ერისას. აღნიშნული ორგანიზაციის მიერ წამოყენებული ეკონომიკური მოთხოვნების შესახებ ილია წერდა, რომ ეს იყო უმნიშვნელო მოთხოვნები, რომელიც მხოლოდ მამულების იჯარით ჰერის ვალის „პატარა“ მომეტებას ითვალისწინებდაო“, (4 (37). მაგრამ ირლანდიელთა ეკონომიკური მოთხოვნებიც, ისევე, როგორც პოლიტიკური, ინგლისელ ლენდლორდთა და მოხელეთა სასტიკ წინააღმდეგობას აწყდებოდა. ირლანდიაში საზოგადოებრივ-პოლიტიკურმა მოძრაობამ, უფრო ფართო ხასიათი მიიღო მე-19 საუკუნის შუა ხანებიდან, განსაკუთრებით „დიდი შიმშილისა“ და ინგლისში პურის კანონების გაუქმების შემდეგ, რომელმაც ირლანდიურ პურს მონოპოლიური მდგომარეობა დაჰკარგვინა ინგლისის ბაზარზე. ეს კი თავის მხრივ უდიდესი დარტყმა იყო ირლანდიელი მოიჯარეებისათვის, რადგანაც ლორდებმა დაიწყეს მათი აყრა მამულებიდან და ამ მამულების „შემოღობვა“. ყოველივე ამან კი ირლანდიელთა ისედაც მძიმე, აუტანელი მდგომარეობა კიდევ უფრო გააუარესა და ისინი იძულებული გახადა გამოსავალის ძებნაში თოფ-იარაღისათვის მიემართნათ. ილიას თქმით: „ასეთმა ყოფა-არყოფამ და ინგლისის ძალმომრეობამ აიძულა ირლანდიელნი შედგენით ირლანდიის გარეთ უშიშროების გამო საზოგადოება, რომლის წევრთ „ფენიები“ ეწოდებოდათ (4 (38). ილიასთან ერთად, სხვა ქართველი პროგრესული მოღვაწეები და ქართული პერიოდული პრესაც, განიცდიდნენ რა მის უშუალო-იდეურ გავლენას „ფენიების“ ასპარეზზე გამოსვლას სამართლიანად უკავშირებდნენ ინგლისელთა კოლონიური პოლიტიკის არნახულ გამძაფრებას ირლანდიაში და მათ წინააღმდეგ დაწყებულ ირლანდიელთა ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის მშვიდობიანი ბრძოლის წარუმატებლობას. „ფენიების“ გამოსვლას თავისებურ შეფასებას აძლევდა გაზეთი „დროებაც“, რომელიც აღნიშნავდა: „ვერ ვიტყვით, რომ ფენიების არეულობას მცირე მნიშვნელობა ჰქონდეს, ამ არეულობას საზოგადო ხასიათი აქვს, რომ ის ყველგან იჩენს თავს და მაშასადამე მთელს მხარეშია მოდებული“. ილიას აზრით „ფენიებს“ მართლაც ჰქონდათ იმის შესაძლებლობა საფიქრალში ჩაეგდო ინგლისის მთავრობა, მათ შეეძლოთ შეეგროვებინათ 200 ათასი კაცი და ირლანდია რესპუბლიკად გამოეცხადებინათ“, მაგრამ ეს, რა თქმა უნდა ილიას სურვილი უფრო იყო, ვიდრე რეალური შესაძლებლობა. მას ხომ კარგად ესმოდა, რომ ეს შეუძლებელი საქმე იყო. ამას კი წერდა იმიტომ, რომ ის ქართველი ხალხის ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის, მისი პატრიოტული გრძნობის ამაღლებას ესაჭიროებოდა.

ილია ჭავჭავაძე საბოლოოდ, დადებითად აფასებდა „ფენიების“ მოძრაობას, აღნიშნავდა მათი გამოსვლების მებრძოლ ხასიათს, მათ გულწრფელ ცდას ძალით გაენთავისუფლებინათ ირლანდია ინგლისის კოლონიური უღლისაგან, მაგრამ ილია აქ სვამდა წერტილს და არაფერს ამბობდა „ფენიების“ მოძრაობის ჩრდილოვან მხარეებზე: ხაზგასმით არ აღნიშნავდა ამ მოძრაობის წვრილბურჟუაზიულ ხასიათს, მათ მიერ ხალხის ფართო მასებთან მჭიდრო კავშირის უქონლობას.

ილია ჭავჭავაძეს ამ პრობლემის განხილვისას არც მიზნად დაუსახავს და არც უცდია დეტალურად გაეშუქებინა „ფენიების“ მოძრაობის მთელი კომპლექსი, მიეთითებინა მათი ბრძოლის ტაქტიკის დადებით და უარყოფით მხარეებზე. მისთვის იგი სპეციალური კვლევის საგანი არ ყოფილა და ამისათვის ჩვენ ბრალს ვერ დავდებთ ჩვენს დიდ მამულიშვილს. იგი ხომ ჯეროვნად არ იცნობდა კლასობრივი ბრძოლის რთულ მექანიზმს. ეს იყო „ეპოქის ნაკლი“ და არა ილიას შეცდომა.

წერილების სერიას, რომელიც 1886-89 წლებში გამოქვეყნდა გაზ. „ივერიის“ ფურცლებზე სათაურით „ინგლის-ირლანდიის“ ურთიერთობის შესახებ, ილია ჭავჭავაძე, გლადსტონის მიერ ინგლისის პარლამენტში შეტანილი ჰომრულის პროექტის განხილვით იწყებს. ილია განსაკუთრებით დიდ მნიშვნელობას ანიჭებს, პროექტის იმ მუხლის განხილვას, რომელმაც „დიდი მითქმა-მოთქმა გამოიწვია თვით ინგლისელ ლიბერალთა შორის“ და რომელიც მდგომარეობდა იმაში, რომ ირლანდიას უნდა მისცემოდა საკუთარი, ცალკე პარლამენტი დუბლინში, ხოლო საიმპერიო პარლამენტი კი ირლანდიელთა წარმომადგენლობას აუქმებდა. ამრიგად ირლანდიას, მხოლოდ და მხოლოდ თავის საკუთარ საქმეთა წარმოებაში ენიჭებოდა სრული უფლება. ამავე დროს ირლანდია მოვალე იყო საერთო, საიმპერიო საქმეთა წარმოებისას დამორჩილებოდა ინგლისის პარლამენტს. ილიას კარგად აქვს განხილული ირლანდიისათვის ჰომრულის მინიჭებით გლადსტონის მიერ გადადგმული გაბედული ნაბიჯის სოციალური არსი. იგი ასევე კარგად ჰვრეტს ინგლისის პარლამენტში ვიგებსა და ტორებს შორის პარტიულ ბრძოლას და დადებით შეფასებას აძლევს ირლანდიელთა 86 კაცისაგან შემდგარი

დასის როლს ამ ბრძოლაში, რომელთაც ირლანდიელ ჰომრულისტთა დასის ლიდერის, ჩარლზ პარნელის (ჩ. პარნელის, როგორც ირლანდიის ავტონომიისათვის მებრძოლის ყველაზე სრულყოფილი დახასიათება ქართულ პრესაში, ილია ჭავჭავაძის შემდეგ მოცემული აქვს ცნობილ ისტორიკოსს, აკად. ე. ტარლეს, იხ.; ჟურნალი „მოამბე“ 1893, №№ 9-12 და 1900 წლის № 1-ლი). მეთაურობით მოიმარჯვეს ე. წ. „ობსტრუქციის მეთოდი“, რის საშუალებითაც ხშირად შლიდნენ პარლამენტის მუშაობას, თუ ეს ირლანდიის ინტერესებს არ შეესაბამებოდა. „ვინაც ეს მცირე დასი მიემხრობა, იგი მხარე დასძლევს ხოლმე და ასე გამოდის, რომ ინგლისის სვე-ბედი, იმ მესამის, რიცხვით მცირე დასზეა დამოკიდებული“ — წერს ილია ჭავჭავაძე (ჟ. „ივერია“, თბ., 1886, № 106, გვ. 197). ირლანდიელნი ყოველთვის ცდილობენ ამა თუ იმ პარტიის მიერ, ინგლისისათვის შემუშავებული რაიმე ახალი ღონისძიების ჩაშლას. ამასთან, ინგლისის ჩვეულების მიხედვით, თუ რომელიმე პარტიის კანონი ან პროექტი არ მოიწონა პარლამენტმა, ამ შემთხვევაში წამყვანი პარტიის ლიდერები უნდა გადადგნენ კაბინეტიდან და ის მეორე პარტიას უნდა დაუთმონ. ამრიგად გამოდიოდა, რომ ინგლისის მინისტრებს ხსნიდა და ნიშნავდა პარნელი, რომლის სიტყვას 86-ვე ირლანდიელისათვის თითქმის კანონის ძალა ჰქონდა. აი, აქ ხედავდა ილია ჭავჭავაძე გლადსტონის შორსმჭვრეტელობას, ირლანდიისათვის ჰომრულის მინიჭების მოთხოვნით, რადგანაც როგორც თვით ილია აღნიშნავდა: „რა თქმა უნდა, ამისთანა ყოფას ვერ შეიშვნევდა დიდი ინგლისი, რა თქმა უნდა, ქვეყნის სვე ბედსა ასე ადვილად არ გახდიდნენ სათამაშოდ 86 კაცის ხელში. აი მიზეზი, აი იგი საბუთი, რომლის ძალითაც, დიდმა გლადსტონმა მოისურვა რა მიანიჭოს ირლანდიას საკუთარი პარლამენტი, საჭიროდ სცნო, საერთო საიმპერიოდ პარლამენტში ხმა და წარმომადგენლობა აღარ მიეცა“. (ჟ. „ივერია“, თბ., 1886, № 106, გვ. 198) ყოველივე ზემოთ ნათქვამიდან კარგად ჩანს, თუ რა ღრმად ჩასწვდა და გააანალიზა ილია ჭავჭავაძემ უილიამ გლადსტონის ჰომრულის პროექტის ჭეშმარიტი არსი.

ილია ჭავჭავაძე მე-19 საუკუნის უკანასკნელ მესამედში, ირლანდიის ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ლიდერების მიერ ბრძოლის ლეგალური გზის არჩევას სამართლიანად მიიჩნევდა, როგორც ერთად-ერთ სწორ ნაბიჯს, დასახული მიზნისაკენ, რადგანაც „ფენიების“ 1867 წელს უშედეგო აჯანყების შემდეგ ინგლისის წინააღმდეგ, კვლავ მოუმზადებლად, თავისუფლების მიღწევის ცდა გაუმართლებელი და წარუმატებელი ავანტიურა იქნებოდა. როგორც ფ. ენგელსი აღნიშნავდა: „...ძალდატანებით აჯანყების შესაძლებლობა დიდი ხნით იყო გამორიცხული—ყოველ შემთხვევაში მანამდე, ვიდრე ინგლისი კვლავ არ ჩავარდებოდა რთულ საგარეო მდგომარეობაში. ამრიგად რჩებოდა მარტოოდენ ლეგალური მოძრაობის გზა, რომელიც წარიმართა ჰომრულის „საკუთარ სახლში ბატონობის“ დროშით. (3 (531).

ილიას მიერ ის დიდი თანაგრძნობა გლადსტონისა და მისი პროექტის მიმართ, ძირითადად შეიძლება იმ გარემოებით აიხსნას, რომ იგი წერდა რა ჰომრულისა და ირლანდიის შესახებ, თავისი აზრით და ფიქრით ჭვრეტდა თვითმპყრობელობით შევიწროებული ქართველი ხალხის მომავალს. თუ ინგლისი ირლანდიას თავისუფლებას მიანიჭებდა, ეს ხომ იქნებოდა სხვა ხალხებისთვისაც მაგალითის მიმცემი; მას სწამდა ჰომრულის გამარჯვების და ასევე იმედის თვალით შესცქეროდა თავისი მშრომელი ხალხის მომავალსაც. მართალია ილია ჭავჭავაძე ნათლად ხედავდა ჰომრულის ჩრდილოვან მხარეებსაც, მაგრამ გარკვეული მოსაზრების გამო, საჭიროდ არ თვლიდა მის კრიტიკას, ილიას შეხედულებით იგი ხელს შეუშლიდა იმ დიდი პატრიოტული პროგრამის განხორციელებას, რომელიც შეიმუშავეს საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ლიდერებმა და რომელიც გულისხმობდა ქართველი ხალხის პატრიოტული სულისკვეთებით აღზრდას, მის გათვითცნობიერებას და რუსი ხალხის დემოკრატიულ წრეებთან ერთად თვითმპყრობელობის წინააღმდეგ საბრძოლველად დარაზმვას.

ერთ ბედ ქვეშ მყოფი ირლანდიელი ხალხის განმათავისუფლებელი ბრძოლის საინტერესო მომენტების საფუძვლიანი გაშუქებით ილია ჭავჭავაძემ ხელი შეუწყო ქართველი მკითხველი მასის გათვითცნობიერებას, გააძლიერა მისი სიმპათია ჩაგრულ ხალხთა განმათავისუფლებელი ბრძოლისადმი და გააღვივა მისი პატრიოტული გრძნობები.

ირლანდიის დიდი ნაწილი, რომლის მოსახლეობის სამართლიან ბრძოლასაც მხურვალედ ექომაგებოდა და თანაუგრძნობდა ი. ჭავჭავაძე მართალია დღეს თავისუფალია, მაგრამ ჩრდილოეთ ირლანდიის (ოლსტერის) კათოლიკური მოსახლეობის ბრძოლა ეროვნული დამოუკიდებლობისათვის ისევ გრძელდება და მსოფლიოს პროგრესული საზოგადოებრიობის ყურადღებაც კვლავ მწვანე კუნძულისკენაა მიპყრობილი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ალექსანდრ პუშკინი

წერილები

1816 წელი. 2. პ. ა. ვიაზემსკის
27 მარტი, ცარსკოე სელოდან მოსკოვში

თავადო პეტრ ანდრეევიჩ,

რა დაგიმალოთ და ამ ჩემს დალოცვილ სიზარმაცეს მარტოოდენ იმის ხათრით ვძლიე, შაპელისა და ბუალოს რუსული ლექსები მიმელო მოსკოვიდან, ისე რომ ნულა მისაყვედურებთ, ჩემმა წერილმა თუ მთქნარება მოჰგვარა თქვენს პოეტურ ბრწყინვალებას; თქვენივე ბრალია; აბა რად გააღიზიანეთ საცოდავი ცარსკოსელოელი განდეგილი, ვისაც უამისოდაც მჭლაბნელობის ეშმა ჰყავს შემჭდარი და არ ასვენებს. ჩემი მხრივ პირდაპირ გიცხადებთ, მანამ არ მოგვეშვებით, ვინემ სოფლის კოქლი ფოსტალიონი თქვენს პროზასა და ლექსებს არ მომიტანს. კარგად დაუფიქრდით ამას, როგორც გინდათ ისე მოიქეცით — მე კი გადაწყვეტილი მაქვს და ჩემსას გავიტან.

აბა რა გითხრათ ჩვენს განმარტოებულ ყოფაზე? თავის დღეში არ მჩვენებია ასე აუტანელი ლიცეუმი (თუ ლიცეუმი, ოღონდ, ღვთის გულისათვის, ლიცეა არა), როგორც ამჟამად. მერწმუნეთ, განმარტოება დიახაც სულელური რამ გახლავთ ყველა ფილოსოფოსისა და პოეტის ჯიბრზე, რომლებიც თავს იკატუნებენ, თითქოს სოფლად მღუმარებასა და სიჩუმეს ეტრფიან:

Блажен, кто в шуме городском...

თუმცა ჩვენი გამოშვების დროც ახლოვდება; კიდევ ერთი წელი დაგვრჩა, მაგრამ მთელი წელი ისევ პლიუსები, მინუსები, უფლებანი, ხარჯი და ბეგარა, ამაღლებული, მშვენიერი!.. მთელი წელი ისევ კათედრის წინ თვლემა... საშინელია. ღმერთმანი, სიხარულით დავთანხმდებოდი თორმეტჯერ გადამეკითხა ყბადაღებული როსიადას 12 სიმღერა მერზლიაკოვის უბრძნესი კრიტიკის მიყოლებით, — ოღონდ გრაფ რაზუმოვსკის ჩემი პატიმრობის ვადა შეემცირებინა. — დიდი ულმერთობაა ყმაწვილი კაცი გამოამწყვდიო და ის უწყინარი სიამოვნებაც აუკრძალო, განსვენებული აკადემია და რუსული სიტყვიერების დამღუპველნი დამარხოს[1]. მაგრამ რა გაეწყობა,

Не всем быть можно равной доле,
И жребий с жребием не схож.

მოწყენილ გულზე ხშირად ვწერ საკმაოდ მოსაწყენ ლექსებს (ზოგჯერ ძალზე მოსაწყენსაც). ხშირად ვკითხულობ იმათზე არც დიდად უკეთესს. ამას წინ ვეზიარე და აღსარებაზე ვიყავი — ეს ყველაფერი დიდად შესაქცევი არ გახლავთ, ძვირფასო არზამასელო! ნუგეში გვეცით თქვენი უსტარით — და თუ საუკუნო ნეტარებას არა, მთელი ლიცეუმის გულწრფელ მადლობას მაინც აღგითქამთ.

მომიტევეთ, თავადო — შინ-ზე დაწყებულ მოლექსე თავადთა[2] რისხვავ — გადაეხვიეთ ბატიუშკოვს იმ სნეულის მაგივრად, ვისაც ამ ერთი წლის წინათ ბოვა კოროლევიჩი ხელიდან გააგდებინა.[3] არ ვიცი, მოვასწრებ თუ არა ვასილი ლვოვიჩსაც მივწერო. ყოველ შემთხვევაში მისი ქერქეტა ძმისწულის ნაცვლად მასაც გადაეხვიეთ. Valeas[2].

ალექსანდრ პუშკინი

ლომონოსოვის მდაბალ სალამს გითვლით.
1821 წელი. 17. ა. დელვიგს
23 მარტი. კიშინოვიდან პეტერბურგში

გული დამწყდა, დელვიგ. შენი წერილებიდან ჩემამდე მხოლოდ ერთმა რომ მოაღწია, თავაზიანი გნედიჩის ჩამოტანილმა ქალწულ ლუდმილასთან ერთად. — შენ საკმარისად არ იწერები არც შენს თავსა და არც ჩვენს მეგობრებზე. — კიუხელბეკერის მოგზაურობები ჯერ კიევში მამცნეს, ვუსურვებ პარიზსა შინა სულის უბიწოებას, ნარიშკინის კანცელარიის შინა მორჩილებას და მოთმინებას, სიყვარულის თაობაზე კი არ ვწუხვარ, ეს არ მოაკლდება, ხოლო ფუქსიტყვაობაზე აღარას ვიტყვი — შორს წასული მეგობარი არ შეიძლება ზედმე-

ტად უბედი გეჩვენოს. შენს არყოფნაში გული მახსენებს შენს თავს, ჟურნალები — მუზას. შენ არ შეცვლილხარ — მშვენიერო და ზარმაცო ნიჭო. კიდევ რამდენ ხანს უნდა იცუღლუტო, რამდენ ხანს აზურდავო შენი გენია ვერცხლის ხუთშაურიანებად. დაწერე ერთი კარგი პოემა, ოღონდ დღის ოთხ ნაწილსა და წელიწადის ოთხ დროზე ნუ, დასწერე შენი ბედი. პირქუში, ბუმბერაზული, ძლიერი ბაირონისეული პოეზიაა შენი ჭეშმარიტი წილხვედრი — მოაშთე შენს არსებაში კაცი მიხრწნილი, ჟამგადასული — ნუ ჩაკლავ შთაგონებულ პოეტს. ჩემს ამბავს თუ იკითხავ, ჩემო სიხარულო, გეტყვი, რომ ახალი პოემა კავკასიის ტყვე დავამთავრე, რომელსაც, იმედია, მალე გამოგიგზავნით. შენ მაინცდამაინც კმაყოფილი არ დამრჩები და მართალიც იქნები; იმასაც გეტყვი, რომ თავში სხვა პოემები მიტრიალებს, მაგრამ ახალს ვერაფერს ვწერ. ვინელებ მოგონებებს და იმედი მაქვს, მალე ახლებს დავიგროვებ; აბა სხვამ რამ გვასულდგმულოს, სულო ჩემო, სიბერის წლებში, თუ არ მოგონებებმა?

კიშინოვში არც ისე დიდი ხანია ჩამოვედი და მალე დავტოვებ ამ კურთხეულ ბესარაბიას — სხვა უფრო დალოცვილი ქვეყნებიც არის. უსაქმურობა ყველაზე კარგი ყოფა როდია ამ ცხოვრებაში. სკარმანტედლოც[6] კი, მგონი, სცდება — ამქვეყნად მეტისმეტად კარგი ყოფა არ არსებობს, მაგრამ მრავალფეროვნება მაინც ხსნა გახლავს სულისა. —

ჩემო მეგობარო, შენთან სათხოვარი მაქვს. ერთი გამიგე და მომწერე ჩემი ძმის ამბები — შენ ხომ გიყვარს იგი, რადგან მე გიყვარვარ. ის ჭკვიანი ყმაწვილია ამ სიტყვის სრული გაგებით — და სულიც მშვენიერი აქვს. მაგრამ მაშინებს მისი სიყმაწვილე, მაშინებს ის აღზრდაც, მისი ცხოვრების გარემო და საკუთარი თავი რომ მიანიჭებს — ვისთვისაც ღმერთს სული შთაუბერია, მისთვის ხომ სხვა აღზრდა არ არსებობს. გიყვარდეს იგი, ვიცი, შეეცდებიან მისი გულიდან ამომშალონ. ეს ხელს აძლევთ და იმიტომ. — მაგრამ ვგრძნობ, რომ მაინც მეგობრებად და ძმებად დავრჩებით არა მარტო ჩვენი აფრიკული სისხლის წყალობით.

1822 წელი. 24. პ. ვიაზემსკის
2 იანვარი, კიშინოვიდან მოსკოვს

პოპანდოპულო ჩამოგიტანს ჩემს ლექსებს, ლიპრანდიმ ითავა ჩემი პროზა მოგაწოდოს — მგონი, შენ ეგ ვარშავაში შეგხვდა. ის ჩემი კარგი მეგობარია და (რაც პატიოსნებისა და ჭკუის საწინდარია) არც ჩვენს მთავრობას უყვარს და არც მას უყვარს თავის მხრივ იგი. ჩვენი ხანგრძლივი განშორების ჟამს მარტოოდენ სულელური ჟურნალები გვაახლოებდა დროდადრო ერთმანეთს. მადლობას გიძღვნი ყველა შენი სატირული, წინასწარმეტყველური და შთაგონებული თხზულებისათვის, ისინი მშვენიერია — მადლობელი ვარ საერთოდ ყველაფრისათვის, გლანძლავ მხოლოდ კაჩენოვსკის წერილის გამო; როგორ იკადრე მაგ უსუსურ მოკრივესთან შეჭიდება — მერე რა რომ წააქციე, სამაგიეროდ ეგ სათაკილო გვირგვინი სისხლით, ბალღამით და რახით მოგითხვარია.. როგორ აჰყევი მაგას — მისთვის შოლტის ერთი მოქნევაც კმაროდა, სატირული კომბლის რა ღირსი იყო. თუ მაგას კბილი გავკარი ჩაადაევის ლექსში, განა იმიტომ, რომ მძულდა, არამედ იმიტომ, რომ ეგ და ამერიკელი ტოლსტოი ერთ მარაქაში მომექცია, რომლის არად მიჩნევა უფრო ძნელია. ჟუკოვსკი მაცოფებს — რა მოეწონა ნეტა იმ მურისა? უმსგავსი აღმოსავლური წარმოსახვის გაბღენძილი მიმბაძველი რომაა? მთელი ლალა-რუკი ტრისტრამ შანდის ათი სტრიქონიც არ ღირს; დროა საკუთარი წარმოსახვა გაგვაჩნდეს. მაგრამ ბარატინსკის ვერ უყურებ? გამოტყდი, რომ ეგ პარნისა და ბატიუშკოვსაც უკან მოიტოვებს — თუ შემდგომაც ისეთივე ნაბიჯებით იარა, როგორც აქამდე — დალოცვილი 23 წლისაა! მივანებოთ უნდა ყველამ ერთიკული ასპარეზი და ჩვენ-ჩვენს მხარეს გავიფანტოთ, თორემ დავიღუპებით. ჩემს კავკასიის ტყვეს მოვრჩი — დაბეჭდვა მინდა, მაგრამ სიზარმაცე მომეძალა, ფული კი ცოტა მაქვს — ჩემი ტურფა ლუდმილას მერკანტელური წარმატებანიც გამოცემის ხალისს მიკარგავს. — ბიძაჩემს ბედნიერებას ვუსურვებ — წერილს კი არ ვწერ; ვინაიდან ჟურნალების პატივისა მეშინია[7] — მალე კი გამოვა მისი თხზულებანი? ყველა ერთად აღებული ბუიანოვის ფასი არაა. ნეტა შთამომავლობა როგორ დააფასებს? დიახაც მეშინია, ჩემი ბიძაშვილი[8] ჩემს ვაჟად არ მონათლონ — კაცნი ვართ. მომწერე, ვისი მეოხებითაც გინდა და როგორც გინდა — ლექსად თუ პროზად, ღმერთმანი, პასუხს გამოგიგზავნი.

25. ლ. პუშკინს
24 იანვარი. კიშინოვიდან პეტერბურგში.

პირველ ყოვლისა გაგთათხო მინდა; არა გრცხვენია, ჩემო კარგო, ნახევრად რუსულ და ნახევრად ფრანგულ წერილს რომ მიგზავნი, შენ ხომ მოსკოველი კუზინა არ მყავხარ — მეორეც, მეტისმეტად მოკლე წერილებს იწერები — ან არ გინდა ან არ შეგიძლია ყველაფერი დაუფარავად მომწერო — სამწუხაროა; ძმური მეგობრული ლაილაი დიდი ნუგეში იქნებოდა ჩემთვის. წარმოიდგინე, ამ ჩემს უდაბნოში ერთი მეგობრული ხმა არ მომსვლია. ჩემს მეგობრებს თითქოს განზრახ გადაუწყვეტიათ ჩემი ელეგიური მიზანტროპიის გამართლება — რაც აუტანელი გახლავს. წერილს, სადაც თავრიზზე გწერდი, შენამდე არ მოუღ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

წევია — ღამის გულს შევახკდე — შიგ რამდენიმე ჩემთვის დიდად მნიშვნელოვან დავალებას გაძლევდი — ჯანდაბას ეგენი; შევეცდება მე თვითონ ჩამოგაკითხოთ რამდენიმე დღით. მაშინ საქმეები სხვანაირად წარიმართება. შენი თქმით გნედიჩი ჩემზე გაბრაზებულია; მართალიცაა — ჩემი ახალი პოემა მისთვის უნდა გამეგზავნა — მაგრამ რეტი დამესხა — მისგან დიდი ხანია არავითარი ცნობა არ მომსვლია; გრეჩისთვის კი უნდა მიმეწერა — ჰოდა, რაკი ასეთი შემთხვევა მქონდა, ჩემი ტყვე შევთავაზე...: თანაც არც გნედიჩი მე და არც მე გნედიჩს ვაჭრობას არ გავუბამთ და საკუთარ მოგებას მეტისმეტად არ გამოვეკიდებით, გრეჩს კი უნამუსოდ შემიძლია ვევაჭრო, როგორც მწიგნობრული ჭკუის ყოველ წვეროსან დამფასებელს. დელვიგს ჰკითხე, ჯანზე თუა, ყველაფერი თუ, ღვთის მადლით, რიგზე აქვს, თუ ჭამს და სვამს — ან როგორ მოსწონს ჩემი მისდამი გაგზავნილი ლექსები თუ სხვ. სხვებზე რაღაც საეჭვო ხმები ჩამომივიდა. გიგზავნი ჩემს ლექსებს, დაბეჭდე „სინ“-შიც (ხელმოუწერლად და უშეცდომოდ). თუ გინდა, ეს ეპიგრამაც ინებე, ოღონდ ღვთის გულისათვის, არ გაავრცელო, რამეთუ ყოველი სტრიქონი — სიმართლეა.

Иной имел мою Аглаю...

კიდევ გინდა? აჰა, კაჩენოვსკიზე —

Клеветник без дарованья...

შეგარგოს, გეთაყვა. მშვიდობით, ფოკა, გეხვევი,

შენი მეგობარი დემიანი.[10]

32. ლ. პუშკინს და ო. პუშკინას

21. ივლისი, კიშინოვიდან პეტერბურგში

მგონი, მებუტები, ჩემო კარგო; არ გეკადრება.. მწერე, გეთაყვა, როგორც გინდა და შეგიძლია, თუნდაც ცხრა ენაზე; ხმას არ ამოვიღებ — უშენოდ მომეწყინა. — რასა იქმ? მსახურობ კია? დროა ღვთის წინაშე, დრო. შენ მე ნუ მომბაძავ — დრო თუ გაუშვი, მერე ინანებ — რუსის ჯარში ოდესმე რასმე რომ მიაღწიო, 26 წლისა პოლკოვნიკი უნდა იყო; — ისე რომ გულისხმად იღე; — შენ გეტყვიან: ისწავლე, სამსახურს მოესწრებიო. მე კი გეტყვი: იმსახურე, სწავლას მოასწრებ-მეთქი. ცხადია, სულაც არა მსურს ვ. ი. კოზლოვივით უვიცი იყო და არც შენ ისურვებ. კითხვა — სწავლის ყველაზე კარგი საშუალებაა — ვიცი, ახლა საამისოდ არა გცალია, მაგრამ ყველაფერი უკეთესობისკენ მიდის.

მითხარი — გაიზარდე? მე პატარა ბიჭი დაგტოვე და ჭაბუკი კი დამხვდები; მითხარი, ჩემი მეგობრებიდან ვის უფრო ახლო იცნობ? რას აკეთებ, რასა სწერ? კატენინი თუ ნახე, ღვთის გულისათვის, დაარწმუნე, რომ ჩაადაევისადმი მიძღვნილ ჩემს ლექსში მასზე სიტყვაც არაა ნათქვამი; თურმე სტროფი „И сплетней разбирать игривую затею“ თავის თავზე მიუღია. ნახევრად დაძმარებული წერილი გამომიგზავნა, ჩივის, რომ ჩემი წერილი არ მიუღია. რა ჩემი ბრალია. მომწერე, ლიტერატურაში რა არის ახალი, ჩემი რუსლანი რასა იქმს? არ იყიდება? ცენზურამ ხომ არ აკრძალა? უთუოდ შემატყობინე... სლიონინმა თუ იყიდა, ფული სადაა? არადა, რარიგ მჭირდება: როგორ მიდის ბესტუჟევის გამოცემა? წაიკითხე, ლექსები რომ გავუგზავნე? ტყვეს საქმე როგორაა? რა ძალიან მინდა თქვენი ნახვა, ჩემო სიხარულო; პეტერბურგში საქმეები მაქვს. არ ვიცი, ჩამოვალ თუ არა, შევეცდები კია. მომწერეს, ბატიუშკოვი ჭკუაზე შეირყაო: შეუძლებელი ამბავია, ეგ ტყუილები გააქარწყლე. ჟუკოვსკი როგორაა, რატომ არაფერს მწერს? დადიხარ კარამზინთან? მიპასუხე ყველა კითხვაზე, გეთაყვა, და — სწრაფადაც; მოიწვიე დელვიგიც და ბარატინსკიც. ვილჰელმისა რა იცი? თუ ისმის მისგან რამე?

მშვიდობით.

მამას სოფელში ვწერ. 21 ივლისი.

ჩემო კეთილო და საყვარელო მეგობარო[11], განა იმიტომ მინდა შენი წერილი, შენს მეგობრობაში დამარწმუნოს, შენგან რომ იქნება, მხოლოდ და მხოლოდ იმიტომ. გეხვევი და მიყვარხარ — გისურვებ დრო მხიარულად ატარო და გათხოვდე.

33. პ. ვიაზემსკის

1 სექტემბერი, კიშინოვიდან მოსკოვში.

თავად განსაჯე, რარიგ გამახარებდა შენი კალმის ნაცნობი ბატიფეხური. თითქმის სამი წელია შენზე მხოლოდ არასწორი ამბები მომდის სხვებისგან, აქ კი ერთი ცოცხალი ევროპული სიტყვა არ გამიგია. მაპატიე, თუკი ტოლსტოიზე დაგიწყებ ლაპარაკს, შენს აზრს ჩემთვის დიდი ფასი აქვს. ამბობ, რომ ჩემი ლექსები არაფრად ვარგა, ვიცი, მაგრამ აზრად როდი მქონდა ენამახვილი ლიტერატურული ომი გამომეცხადებინა, მინდოდა მწარე სიტყვით მიმეზღო სამაგიერო ფარული შეურაცხყოფის გამო იმ კაცისათვის, ვისაც მეგობრად დავშორდი და ვისაც თავგამოდებით ვიცავდი მუდამ, როცა შემთხვევა მომეცემოდა. მაგან თავის გასართობად ინება მე მტრად გავეხადე და ჩემს ხარჯზე თავად შახოვსკის სხვე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნი[12] წერილებით ეხარხარებინა. ეს ყველაფერი უკვე გადასახლებაში შევიტყვე. რაღაი შურისძიება ერთ-ერთ უპირველეს ქრისტიანულ სათნოებად მიმაჩნია — გამწარებულმა, სხვა რომ ვეღარაფერი შევიძელ, ტოლსტოი შორიდან ჟურნალის ლაფით მოვსვარე. შენი სიტყვებით, სისხლის სამართლის ბრალდება პოეზიის საზღვრებს სცილდება; მე არ გეთანხმები. სადაც კანონის მახვილი ვერ სწვდება, იქ სატირის შოლტი უნდა იხმარო. ჰორაციუსის ფაქიზი, მსუბუქი და მხიარული სატირა მძიმე პასკვილის ქუშ ღვარძლთან ვერ მოვა. თვითონ ვოლტერიც გრძნობდა ამას. შენ მსაყვედურობ, რომ ჩემი გადასახლებით ვისარგებლე და კიშინოვში ლანძღვა-გინება დავბეჭდე მოსკოვში მცხოვრებ კაცზე. მაგრამ მაშინ ჩემი დაბრუნება უეჭველი ამბავი მეგონა. ვაპირებდი მოსკოვში ჩამოსვლას, სადაც შემეძლო თავის მართლება. გრაფ ტოლსტოიზე ასეთი აშკარა თავდასხმა სულაც არ არის სულმოკლეობა. როგორც ამბობენ, ჩემზე თურმე რაღაც საშინელება დაუწერია, ჟურნალისტები კი მოვალენი იყვნენ იმ კაცის პასუხი დაებეჭდათ, ვინც მათ ჟურნალში ასე გალანძღეს. ვისმე შეიძლება მათთან შეკრული ვეგონო და ეს მაცოფებს. თუმცა მე ჩემი ვქმენ და ამიერიდან ტოლსტოისთან ქაღალდზე აღარ ვაპირებ საქმე ვიქონიო. შენ წინაშე თავის მართლება უფრო ნათლად და ცხოვლად შემიძლია, მაგრამ პატივს ვდებ, მაგ კაცთან რაც გაკავშირებს, თუმცაღა შენი მსგავსი სულაც არაა.

კაჩენოვსკი თურმე რაღაც შეხედულების წარმომადგენელი ბრძანდება! voila des mots qui hurlent de se trouver ensemble[13]. ვწუხვარ, რომ მთლიანად ვერ აფასებ ბარატინსკის მშვენიერ ნიჭს. იგი მიმბაძველთა მიმბაძველებზე უფრო მეტია, იგი სავსეა ჭეშმარიტი ელეგიური პოეზიით. შილიონის ტყვე ჯერ არ წამიკითხავს, რაც სინ ოტეჩესტვაში ვნახე, საუცხოოა...

Он на столбе, как вешний цвет,
Висел с опущенной главой.

მეწყინა ის ვარაუდი, რომ შენმა ცოცხალმა პოეზიამ ჭირი წაიღო. მართალი გითხრა — დიდებისთვის უფრო ცოცხლობდა, ვინემ მამულისათვის. საბედნიეროდ, სულ მთლად არ მჯერა, მაგრამ მესმის კია შენი. ახაკი პროზისაკენ გვიბიძგებს და, თუ მართლა გულით მოეკიდე, ევროპულ რუსეთს მოსალოცად ჰქონია საქმე. ანკი რას უცდი? ნუთუ პრადტის[14] ყოველთვიური წარმატება ასე გიტაცებს? მოეკიდე მუდმივ საქმეს, წერე შენს ნებაზე, სიმშვიდესა და სიწყნარეში, ჩამოაყალიბე ჩვენი მეტაფიზიკური ენა, შენს წერილებში ჩასახული — და მერმე ღმერთი როგორც ინებებს. წიგნიერი ხალხი მალე იქნება რუსეთში საჭირო, მაშინ, იმედია, უფრო დავახლოვდებით, ჯერჯერობით კი სულითა და გულით გეხვევი.

პ.

39. ვ. გორჩაკოვს

ოქტომბერ-ნოემბერი, კიშინოვიდან გურა-გალბინში.

შენი შენიშვნები, ჩემო სიხარულო, დიახაც მართალია და მეტისმეტად მოწყალეც — რად არ დაიხრჩო თავი ჩემმა ტყვემ ჩერქეზი ქალის კვალდაკვალ?: როგორც ადამიანი, იგი ფრიად გონივრულად მოიქცა, მაგრამ პოემის გმირს გონივრულობას არავინა სთხოვს. — ტყვის ხასიათი არ გამომივიდა, ეს კი ამტკიცებს, რომ რომანტიკული ლექსის გმირად არ გამოვდგები; მინდოდა მისი მეოხებით გამომეხატა ის გულგრილობა ცხოვრებისა და მის სიამეთა მიმართ, სულის ის ნაადრევი ხიბერე, მე-19 საუკუნის ახალგაზრდობის გამოსარჩევი თვისება რომ გახდა. რა თქმა უნდა, ჩემი პოემისთვის აჯობებდა სათაურად ჩერქეზი ქალი დამერქმია — ეს ვეღარ მოვისაზრე.

ჩერქეზები, მათი ადათები და წესები შეადგენს ჩემი მოთხრობის საუკეთესო ნაწილს; მაგრამ ამ ამბებს არაფერი აკავშირებს და ჭეშმარიტი d'oeuore[15] საერთოდ ჩემი პოემის ძალზე უკმაყოფილო ვარ და რუსლანზე დაბლა მიმაჩნია — თუმცა ლექსები უფრო მოწიფულია. მშვიდობით, ჩემო სიხარულო.

პ.

1923 წელი

44. პ. ა. ვიაზემსკის

6 თებერვალი, კიშინოვიდან მოსკოვში.

არა გრცხვენია, მისამართი რომ არ მომწერე: აქამდე გამოგიზავნიდი წერილს. გმადლობ, საყვარელო ვიაზემსკი! ღმერთმა ნუ მოგაკლოს ნუგეში ჩემი დანუგეშებისთვის. შენ ვერ წარმოიდგენ, რა სასიამოვნოა, როცა საკუთარ თავზე ჭკვიანი კაცის აზრს წაიკითხავ. აქამდე ვოეიკოვის, კაჩენოვსკისა თუ სხვ. რეცენზიების კითხვისას ასე მეგონა, ჰიშკართან ვდგავარ და ვარიუშკასა და ბუიანოვის[16] ნაცნობი ქალების ლიტერატურულ ჭორაობას ვისმენმეთქი მალულად. რასაც რომანტიკულ პოეზიაზე ლაპარაკობ, ყველაფერი საუცხოოაა; კარგი ჰქენ, რომ პირველმა აიმაღლე ამაზე ხმა — ფრანგული სენი ჩვენს ნორჩ სიტყვიერებას ჩაკლავდა. თეატრი ჩვენ არ გაგვაჩნია, ოზეროვის ცდებს პოეტური ენის ბეჭედი აზის — თანაც არაზუსტი და ჟანგმოდებული; თუმცა სად ან როდის არ მისდევდა იგი ფრანგული თეატრის გაპრანჭულ წესებს!? ვიცი, რისთვისაც მიიჩნევ მას რომანტიკულ პოეტად: ფინგალის მეოცნებე მონოლოგის გამო — ა რ ა! მ ე

ყურს არ ვუგდებ სიმღერებს, თქმულს საფლავის ქვასთან.[17] მაგრამ მთელი ტრაგედია დაწერილია პარნასული მართლსიტყვაობის კანონებით,[18] რომანტიკული ტრაგიკოსისთვის კი ერთადერთი კანონი შთაგონებაა — გამოტყდი: ეს ყველაფერი მხოლოდ და მხოლოდ სიჯიუტეა. მადლობელი ვარ, ცემზურას რომ წკიპურტი გაჰკარ, მაგრამ იგი ამ წკიპურტის ღირსიც არაა. სამარცხვინოა, რომ ხალხის უკეთილშობილესი კლასი, რაც უნდა იყოს, მოაზროვნე კლასი, უტვინო ლაჩრის თვითნებურ განჩინებას დაემორჩილოს. ჩვენ ვიცინით, სჯობია კი საქმიანად მოვდგეთ ბირიუკოვებს; დროა ჩვენს აზრებსა და შეხედულებებს ფასი დავდოთ და ხელისუფლება ვაიძულოთ ჩვენს სიტყვას ანგარიში გაუწიოს — რუსი მწერლების აბუჩად აგდების მოთმენა არ შეიძლება. იფიქრე ამაზე მოცალეობის ჟამს და კავშირი შევკრათ — დაე იყოს ცენზურა მკაცრი, ყაბულსა ვარ, ოღონდ უაზრო არა — წაიკითხე, რაც ბირიუკოვს გავუგზავნე? თუ არა, ჩემს ძმას ან გნედიჩს გამოართვი: წავიკითხე შენი ლექსები პოლიარნაია ზვეზდაში; მშვენიერია — ოღონდაც ღმერთი იწამე, პროზა არ დაივიწყო; მარტოოდენ შენ და კარამზინს გეხელმწიფებათ იგი. გლინკა გრძნობათა ენას დაუფლებია... ეს რას ჰგავს! ბესტუჟევის წერილი ჩვენს ძმობაზე ძალზე უმწიფარია — მაგრამ ჩვენში რაიც დაიბეჭდების, ყოველივე შთაბეჭდილებას ახდენს ამ დალოცვილ რუსეთში; სამაგიეროდ არაფრის უგულველყოფა არ იქნება, უნდა დაიბეჭდოს კეთილგანზრახული შენიშვნები ყველა წერილზე — პოლიტიკურსა და ლიტერატურულზე — თუკი ცოტაოდენი აზრი მაინც ექნება. თუ არ შენ, ვინ უნდა იტვირთოს ეს მოსაწყენი, მაგრამ სასარგებლო თანამდებობა — ჩვენი მწერლების ზედამხვედველობა. ჩემი ლექსები მთელ რუსეთში დაგეძებენ. მეგონა, შემოდგომაზე ოდესაში ჩამოხვიდოდი და იქ ჩამოგაკითხავდი — მაგრამ ყველაფერი პირუკუ გამომდის. არ ვიცი, გნახავ თუ არა წლეულს. ჯერჯერობით კი მომწერე ხოლმე; თუ ფოსტით გამოგზავნი, ფრთხილად იყავ, თუ სხვას გამოატან, რაც გინდა წერე — შენს ლექსებს ხომ არ გამომიგზავნი? ვკვდები, ისე მინდა: ბიძაჩემმა გამომიგზავნა თავისი ლექსები — მინდოდა რაღაც დამეწერა მათზე, უფრო იმიტომ, დმიტრიევისთვის გამეკრა კბილი, ვინემ ჩვენი მამასახლისი ვამეხარებინა. მაგრამ ვერ შევიძელ; ისეთი სულელია, მის საქებრად ენა არ მიტრიალდება ექს-მინისტრ-დორატთან[19] შედარების გარეშეც. ჩაადაევს თუ ხვდები? შავი დღე მაყარა ტყვეს გამო, მისი აზრით, იგი საკმაოდ blase'[20] არაა! სამწუხაროდ, ჩაადაევი ამ ამბების დიდი მცოდნეა; ძის მშვენიერ სულს სა-

ცოცხლე შთაბერე, პოეტო! ალბათ გიყვარს იგი— ვერ წარმომიდგენია, ისეთივე არ იყო!, როგორც წინათ. კიდევ ერთი სიტყვა კავკასიის ტყვეზე. შენ ამბობ, სულო ჩემო, ეს არამზადა ჩერქეზ ქალს როგორ არ დარდობსო, მაგრამ — ყველაფერს მიხვდა იგი[21] ყოველივეს მთქმელია; ამ ქალზე ფიქრს უნდა მოეცვა მისი არსება და ყველა მის ფიქრს ჩაქსოვებოდა — ეს თავისთავად ცხადია — სხვანაირად არც შეიძლება; ყველაფრის თქმა არცაა საჭირო — ესაა მუდამი ამბის თავშემაქცევრობის. სხვებს გული სწყდებათ, ტყვე რომ ჩემი ჩერქეზი ქალის გამოსათრევად მდინარეში არ ჩახტა — აბა სცადე და ჩახტი; მე მიცურავია კავკასიის მდინარეებში — სხვას გამოათრევ კი არა, შენ თვითონ დაიხრჩვები; ჩემი ტყვე ჰკვიანი კაცია, გონიერი, ჩერქეზ ქალს იგი არ ეტრფის — განა გასამტყუნია, თავი რომ არ დაიხრჩო. მშვიდობით, ჩემო სიხარულო.

პუშკინი.

52. ლ. პუშკინს

25 აგვისტო, ოდესიდან პეტერბურგში.

მთელი რომანი მინდა მოგწერო, სულო ჩემო — ჩემი ცხოვრების ბოლო სამი თვე. საქმე აი რაშია: კარგა ხანია ზღვის აბაზანები მჭირდებოდა, ძლივს დავიქალიე ინზოვი ოდესაში გავეშვი — ისე რომ დავტოვე ჩემი მოლდავეთი და ევროპაში ამოვყავი თავი. რესტორაციამ და იტალიურმა ოპერამ ძველი დროება გამახსენა და, ღმერთბანი, ახალი სული ჩამბერა. ამასობაში ვორონცოვი ჩამობრძანდა, დიდი ალერსით მიმიღო, გამომიცხადა, აწ მისი ხელქვეითი ვიქნებოდი, ოდესაში დავრჩებოდი — თითქოსდა რა სჯობდა — მაგრამ ახალმა სევდამ გული შემიკუმშა — დამენანა ჩემი მიტოვებული ბორკილები. ჩამოვედი კიშინოვში რამდენიმე დღით, საოცრად ელეგიურად გავატარე ეს ხანი — და სამუდამოდ რომ დავტოვე, კიშინოვზე ოხვრა ამომხდა. ახლა ისევ ოდესაში ვარ და ჯერაც ვერ მივჩვევივარ ევროპული ცხოვრების ყაიდას — თუმცა თეატრის გარდა არსად დავდივარ. აქ ტუმანსკია. კარგი ბიჭია, მაგრამ შიგადაშიგ ცრუპენტელაა — მაგალითად, პეტერბურგში წერილს აგზავნის და ჩემზე სხვათა შორის ასე სწერს: პუშკინმა მაშინვე თავისი გული და potre–feuille[22] გადამიშალაო — სიყვარული და ა. შ.... — მარტო ვ. კოზლოვი თუ იკადრებდა ამ სიტყვებს; საქმე ამაშია, რომ ბახჩისარაის ძადრევნიდან (ჩემი ახალი პოე-

მა) ნაწყვეტები წავუკითხე, თან ვუთხარი, ამის დაბეჭდვა არ მინდა, რადგან ბევრი ადგილი იმ ქალს ეხება, ვისაც ძალზე დიდხანს და ძალზე სულელურად ვეტრფოდი-მეთქი. თუმცა პეტრარკას როლი სულაც არ მეპიტნავება. ტუმანსკიმ ეს გულის გაზიარებად მიიჩნია და შალიკოვად შემრაცხა — მიშველეთ! — აქ კიდევ რაიჩიცაა. ხომ იცნობ? როძიანკა მოლალატეც ჩამოვა — მოუთმენლად მოველი. მომწერე ხოლმე ოდესაში — ახლა კი საქმეებზე ვილაპარაკოთ.

მამას გააგებინე, ფული თუ არ გამომიგზავნა, ისე ვერ ვიცხოვრებ. ახლანდელი ცენზურის ხელში ჩემი კალმით თავს ვერ გავიტან; დურგლობა მე არ მისწავლია; ვერც მასწავლებლად დავდგები; თუმცა სალვთო რჯული და პირველი ოთხი წესი ვიცი — კაცი ვმსახურობ, თანაც იძულებით — სამსახურიდან ჩემი გამოსვლა შეუძლებელია. — ყველასა და ყველაფერში ვტყუვდები — თუ არ ახლობლებ-ნათესავებისა, სხვა ვისი იმედი უნდა მქონდეს. ვორონცოვის კმაყოფაზე მე არ დავჯდები — არ მსურს და მორჩა — უკიდურესობამ კი უკიდურესი რაღაც შეიძლება ჩაადენინოს კაცს. გულსა მტკენს მამის გულგრილობა ჩემი ამ მდგომარეობისადმი, თუმცაღა ფრიად თავაზიან წერილებს მიგზავნის. პეტერბურგი მახსენდება — როცა ავადმყოფი შემოდგომის წუნწუხსა თუ ტეხურ ყინვაში ანიჩკოვის ხიდიდან ეტლს დავიქირავებდი, რა ჩხუბს ამიტეხდა ხოლმე 80 კაპიკის გამო (რასაც არც შენ და არც მე მსახურისთვისაც არ დავინანებდით). მშვიდობით, სულო ჩემო — ნაღველი მომერია — ამ წერილმაც კი ვერ გამამხიარულა.

ოდესა. 25 აგვისტო

რაც იყოს, იყოს, ვიაზემსკის გავუგზავნი შადრევანს — სატრფიალო ბოდვებს გამოვტოვებ — თუმცა მენანება კია!

56. პ. ვიაზემსკის

4 ნოემბერი, ოდესიდან მოსკოვში

აჰა, ჩემო საყვარელო და დარბაისელო ასმოდეი, ჩემი უკანასკნელი პოემა. ამოვყარე ყველაფერი, რასაც ცენზურა უჩემოდაც ამოყრიდა და რაიც არ მინდოდა საქვეყნოდ გამომეფინა. თუ ამ უთავბოლო ნაწყვეტებს დაბეჭდვის ღირსად მიიჩნევ, გამოაქვეყნე, თანაც მაგ ძუკნა ცენზურას ღვთის წყალობით არაფერი დაუთმო, ყოველ ლექსზე ულრინე და თუ შეიძლებ, ჩემს მოსაგონარად კბილებითაც დაგლიჯე. შენ გარდა მანდ პატრონი არა მყავს; კიდევ ერთსა გთხოვ: წაუმძღვარე ბახჩისარაის წინა ან ბოლოსიტყვაობა, თუ ჩემი არა, შენი ავხორცი მინერვა სოფია კისელევას ხათრით. გიგზავნი ამასთან პოლიციის წერილს, ვითარცა მასალას; დაისესხე იქიდან ცნობები (ცხადია, წყაროს მიუთითებლად). ჩახედე [illegible] აპოსტოლ-მურავიოვის მოგზაურობაში ბახჩისარაიზე წერილს, ამოიწერე, რაც ვარგისია — და ეს ყველაფერი შენი პროზის ჯადოთი შეჰკარ, შენი მშვენიერი პოეზიის მდიდარი მემკვიდრით, რომელსაც ვგლოვობ. ნუთუ არ აღსდგება იგი? ნეტა რამ მოგაფიქრა ოპერის დაწერა, პოეტი მუსიკოსს როგორ დაუმორჩილე. არა შეჰჯდა მწყერი ხესა, არა იყო გვარი მისი. მე რუსეთისთვისაც არ გავინძრეოდი. რაც შეეხება ჩემს საქმიანობას, ახლა ვწერ არა რომანს, არამედ რომანს ლექსად — ვეებერთელა განსხვავებაა. დონჟუანის მსგავსად — დაბეჭდვაზე ფიქრიც ზედმეტია; ვწერ ხელაღებით. ჩვენი ცენზურა ეგზომ თვითრჯულია, მასთან მოქმედების არეს ვერ მოზომავ — ისევ სჯობია, მასზე არ იფიქრო — ხოლო რაღაი იკისრებ, ისე არა, კლანჭის გასვრად არ ღირდეს[23].

ა. პ.

ახალი გამოცემა ძალიან კარგია — ღმერთმა ხელი მოგიმართოს — საყვარელო ანგელოზო თუ აგოლეზო ასმოდეო.

თუ იცი, რომ შენი წერილი, ცენზურის მძლევი, ჯერ არ წამიკითხავს? აი, რას ნიშნავს აზიური ცხოვრება, კაცი ჟურნალებს ვერ კითხულობ. ოდესა ევროპული ქალაქი გახლავს — აქ რუსულ წიგნებს ვერ ნახავ.

ა. პ.

ვასილი ლვოვიჩს, ბიძაჩემს სალამს ვუთვლი და ამ დღეებში მივწერ.

58. ა. დელვიგს

16 ნოემბერი, ოდესიდან პეტერბურგში

მივიღე ყველა შენი წერილი, ჩემო დელვიგო, და თითქმის ყველაზე გიპასუხე. გუშინ ლიცეური ცხოვრების სიომ დამბერა, დიდება და მადლობა ამისათვის შენა და ჩემს პუშჩინს! თქვენთან მოწყენა, ჩვენთან მოწყენა, გითხრათ ზღაპარი თეთრი ხარისა? ჩემო ხულო, შენ ძალიან ცოტას სწერ, ყოველ შემთხვევაში ძალიან ცოტა იბეჭდები. თუმცა მე აზიურად ვცხოვრობ და თქვენს ჟურნალებს არა ვკითხულობ. ამ დღეებში შენი მშვენიერი სონეტები ჩამივარდა ხელში — ხარბად, აღტაცებითა და მადლიერებით წავიკითხე ჩვენი მეგობრობის შთამაგონებელი მოგონებების გამო. მეც შენსავით მწამს იაზიკოვისა და შენსავით დიდი ხანია მიყვარს ბარატინსკის უბიწო მუზა. მოუთმენლად ველი თქვენი ლექსების დაბეჭდვას; როგორც კი მომივა, ზვარაკს დავკლავ, ღმერთს მადლობას შევწირავ და ჩემს კარავს ყვავილებით მოვრთავ — თუმცაღა ბირიუკოვს ეს ავხორცობად მიაჩნია. სატირა გნედიჩისადმი[24] არ მომწონს; სიმჭაფრე აკლია; უმუნდირო სომოვი მიუტევებელია. განა გა-

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ნათლებულ კაცს, განა რუს სატირიკოსს ეკადრება მწერალს დამოუკიდებლობისთვის უკიჟინოს? მისთანა ენამახვილობა კოლეჟსკი სოვეტნიკ იზმაილოვს თუ შეჰფერის. ველი აგრეთვე პოლიარნაია ზვეზდას. აფსუს, რომ ჩემი ელეგიები რელიგიისა და მთავრობის წინააღმდეგია: ნახევრად ხვოსტოვი[25] ვარ: მიყვარს ლექსის წერა (ოღონდ გადაწერა არა), არ მიყვარს ბეჭდვა (დაბეჭდილის ნახვა კი მიხარია). შენ ბახჩისარაის შადრევანსა მთხოვ. ამ დღეებში იგი ვიაზემსკის გავუგზავნე. ეს უთავბოლო ნაწყვეტებია, რომლისთვისაც თან გამჭორავ და თანაც შემაქებ. ამჟამად ვწერ ახალ პოემას, სადაც ენად ვარ გაკრეჟილი. ბირიუკოვი მის ნახვას ვერ ეღირსება, რამეთუ უწესო, უჯიათი ბავშვია. ღმერთმა იცის, ერთად როდისღა წავიკითხავთ — მოწყენა მკლავს. ჩემო სიხარულო! აი, რა არის ჩემი ცხოვრების მინამღერი. ნეტა ჩემმა ძამია ლევმა მაინც ჩამოიქროლოს ოდესაში! სად არის, რასა იქმს? არაფერი ვიცი. დროა, დროა, მეგობრებო, გაძევების პატივი ჩვენი ერთად შეყრის სიხარულმა შეცვალოს. მართლა როსინი და იტალიური ოპერა ჩამოდის თქვენთან? — ღმერთო ჩემო! ეგენი ხომ ზეციური სამოთხის წარმომადგენლებია.

მომკლავს მოწყენა და შური.

ა. პ.

ბრძანება გაეც გერმანული ტყვე[26] გამომიგზავნონ.

59. ა. შიშკოვს

აგვისტო-ნოემბერი ოდესიდან ტულჩინში

შეშლილხარ, საყვარელო შიშკოვ, და ეგაა. რამდენიმე თვის წინათ რომ მომწერე: მოწყალეო ხელმწიფევ, თქვენი საამაყო ნაცნობობა, პატივი მაქვს, თქვენი მონა-მორჩილი... ლამის ვეღარც გიცანი ჩემი ცარსკოსელოელი ამხანაგი. თუ ინებებ და კვლავაც მოიწერ, ამას იქით გთხოვ ადრინდელივით იყო ჩემთან. თორემ გული დამწყდება. დღემდე ვერ მომინელებია, ჩემო სულო, რომ კავკასიაში არ შევხვდით ერთმანეთს: ძველს მოვიგონებდით, თავს მოვიგოჟიანებდით, ენას მოვიქავებდით. თუმცა ჩვენ ერთი ბუდის ვყოფილვართ, ერთ ვარსკვლავზე დაბადებულნი. თუ გწერს ჩვენი საერთო მეგობარი კიუხელბეკერი? ჩემზე შემწყრალია, ღმერთმა იცის, რატომ. შეგვარიგე ერთმანეთს. ლექსებისა რა ჰქენი? სად ჩამარხე შენი დიდებული ნიჭი? იალბუზის ყინულებში თუ ტფილისის ვენახებში? თუ რამ გაქვს დაწერილი, გამომიგზავნე — ღმერთმანი, გულით მწადია.

გეხვევი — წერილი აბდაუბდა და უაზრო გამომივიდა, მაგრამ აზრიანისთვის სადა მცალია.

ა. პ.

ახლა გავიგე, თურმე ახლობელი და ნათესავი ყოფილხარ ჩვენი დარბაისელი ალექსანდრ ივანოვიჩისა. მისი წყალობით შეგეხმაურე, თავად კი ქალალდებსა და საქმეებშია კისრამდე ჩაფლული — იმის მოცალეობა აქვს, უყვარდე, წერილის მოწერისა კი — არა.

თარგმნა **რუსუდან ქებულაძემ.**

შენიშვნები

1. ასე ეძახდნენ ლიცეისტთა ლიტ. წრის წევრები რუსეთის აკადემიასა და რუსული სიტყვიერების მოყვარულთა საზოგადოებას.

2. იგულისხმება პოეტები: ა. შახოვსკი, ს. შირინსკი-შიხმატოვი და პ. შალიკოვი.

3. ბატიუშკოვის გავლენით პუშკინს ეს პოემა არ დაუსრულებია.

4. მშვიდობით (ლათ.).

5. პუშკინის ლიცეელი ამხანაგი.

6. ვოლტერის ნაწარმოების გმირი.

7 ანუ ჟურნალებმა რომ არ გამოაქვეყნონ.

8. ბუიანოვი ვასილი პუშკინის პოემის გმირია, ვისაც პუშკინი ხუმრობით ბიძაშვილად ნათლავს.

9. ჟურნალი „სინ ოტეჩესტვა“.

10. ფოკა და დემიანი კრილოვის ერთ-ერთი იგავ-არაკის გმირებია.

11. პუშკინის და ოლგა.

12. ანუ სალონი

13. აი, სიტყვები, ერთმანეთს რომ ვერ ეთავსება (ფრანგ.)

14. ანუ ხანმოკლე წარმატება. პრადტი ფრანგი პუბლიცისტი იყო.

15. დამატება (ფრანგ.).

16. ვ. ლ. პუშკინის პიესის „საშიში მეზობლების“ გმირები.

17. ფრაზა ოზეროვის ტრაგედიიდან „ფინგალი“.

18. იგულისხმება კლასიციზმი.

19. დორატი — მე18 საუკუნის მეორეხარისხოვანი პოეტი. მის სახელს ეძახის პუშკინი პოეტ დმიტრიევს, რომელიც იუსტიციის მინისტრი იყო.

20. გულმოყირჭებული (ფრანგ.).

21. სტროფი „კავკასიის ტყვედან“.

22. პორტფელი (ფრანგ.).

23. ი. კრილოვის იგავ-არაკიდან „ყვავის ბახალა“.

24. ბარატინსკი თავის ლექსში „გნედიჩს, ვინაც მთხზველს სატირის წერას ურჩევს“ ლიტერატორ სომოვს „უმუნდირო სომოვს“ უწოდებს.

25. გრაფ ხვოსტოვის წიგნს ეპიგრაფად ჰქონდა: მიყვარს ლექსის წერა და ბეჭდვა.

26. ანუ „კავკასიის ტყვის“ გერმანული თარგმანი.

(გაგრძელება იქნება.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ხელოვნება

ეკატერინე გაჩეჩილაძე

რადიშ თორდია

სწრაფვა ცხოვრებისეულ შთაბეჭდილებათა განზოგადებისა და სინთეზისაკენ აზროვნების ფილოსოფიურობა, ცხოვრების ზნეობრივი საფუძვლების წარმოჩენა, ახლებურად განცდილი ეროვნული ტრადიციების სინთეზი მე-20 ს. მხატვრული კულტურის მონაპოვრებთან, ფერწერის ახალი გამომსახველობითი საშუალებების ენერგიული ძიება ახასიათებდა თაობას, რომელიც 1960-იან წლებში შეემატა ქართველ საბჭოთა ფერმწერთა რიგებს. რადიშ თორდია ამ თაობის ერთ-ერთი ყველაზე აქტიური წარმომადგენელია.

სოფელში გატარებული ბავშვობა, მოგზაურობა ქართული მონუმენტალური ფერწერის შესასწავლად დაეხმარა მას ეროვნული ყოფისა და კულტურის შესისხლხორცებაში, რაც შემდგომში მკაფიოდ გამომჟღავნდა მის შემოქმედებაში.

უკვე შემოქმედებითი გზის დასაწყისში შექმნილ ნამუშევრებში აისახა მსოფლაღქმისა და სტილისტიკის ზოგი თავისებურება, რაც შემდგომ წლებში უფრო მკაფიოდ გამოიკვეთა ახალგაზრდა მხატვრის შემოქმედებაში.

1965 წ. თორდიას შექმნილი აქვს ნატურმორტების სერია. ამ ნამუშევრების უმრავლესობაში ქართული სოფლის ყოფისათვის ტიპიური, ყველაზე აუცილებელი მარტივი ნივთებია წარმოდგენილი. მხატვარს ხიბლავს ამ ნივთების სადა, ფორმების თავისებური სილამაზე და გამომსახველობა.

ნათელი ფერის სიბრტყობრივ ფონზე მკაფიოდ იკითხება საგანთა სილუეტები. შინაარსობრივი ასოციაციები, რასაც ეს საგნები აღძრავენ, კომპოზიციის მკაფიო, არქიტექტონიკა და რიტმიკა, ფონის ფერი სიმშვიდისა და სინათლის განწყობას ქმნის. ეს ნატურმორტები ყურადღებას იპყრობენ სისადავით, ეროვნული კოლორიტით.

1966 წ. შექმნილ კომპოზიციაში „ბურთის თამაში" მკაფიოდ გამოჩნდა მხატვრის მიდრეკილება ფილოსოფიური აზროვნებისაკენ. მასში ასახულია ჭაბუკი ავტორის განყენებულ-რომანტიკული წარმოდგენა სამყაროს მუდმივი ბრუნვის შესახებ. განყენებულ, პეიზაჟისმაგვარ ფონზე გამოსახული გოგონათა თითქოსდა უწონო, გამჭვირვალე ფიგურების წრეზე მბრუნავი ჯგუფი მისტიკურ შთაბეჭდილებას სტოვებს, მიუხედავად ამისა ნაწარმოები ხიბლავს მაყურებელს განცდის გულწრფელობით, პლასტიკის სილამაზით. ფორმათქმნასა და კოლორიტში ჩანს კავშირი ფერწერის ეროვნულ ტრადიციებთან.

ზემოთგანხილული კომპოზიციისაგან განსხვავებით, ამავე წელს შექმნილი „დედის პორტრეტი" კონკრეტული ცხოვრებისეული შთაბეჭდილებების განზოგადების შედეგია. ყოფითი დეტალების ჩვენებით (გლეხის სახლის ინტერიერის მინიშნებით, ჭურჭლის გამოსახვით) მხატვარი ხაზს უსვამს ასახულის კონკრეტულობას, ქართულობას. ამავე დროს დედის ფიგურის კომპოზიცია, პოზა, სახის გადაწყვეტა მონუმენტალობასა და განზოგადებას ანიჭებს ნაწარმოებს.

1967 წ. შექმნილ ტრიპტიქში „შრომა, სიყვარული, ნადიმი" ავტორმა ხალხური ყოფის ჩვეულებრივი მოტივები ტიპიურ განზოგადოებამდე აიყვანა. ამ ნაწარმოებში საკმაოდ სრულყოფილად გამოიკვეთა მხატვრის შემოქმედებითი და მოქალაქეობრივი მრწამსი.

ტრიპტიქის ცენტრალური ნაწილია „სიყვარული". სახვით ხელოვნებაში სიყვარულის მრავალგვარი ინტერპრეტაცია გვახსოვს. თორდიას

ეროვნული ბიბლიოთეკა

სიყვარული გააზრებული აქვს როგორც ადამიანთა სწრაფვა ურთიერთგაგებისა და თანაგრძნობისაკენ, როგორც სამყაროს, ცხოვრების საიდუმლოებებში წვდომის გასაღები. ამ ნამუშევარში წარმოდგენილი გმირები ღრმა, ფაქიზი, მაძიებელი სულის ადამიანები არიან.

ტრიპტიქის მარცხენა ნაწილში („შრომა“) მაყურებლისაკენ მომავალი მხრებზე ქვევრებშედგმულ მამაკაცთა მოძრაობები თითქოს იმეორებენ მარადიული შრომის რიტმს.

კომპოზიციაში „ნადიმი“ ავტორს ნადიმის მონაწილენი წარმოდგენილი ჰყავს სუფრული სიმღერის შესრულების დროს. მომღერალთა სახის გამომეტყველებასა და პლასტიკაში, ფიგურათა რიტმში თითქოს ისმის ჰიმნი სიცოცხლის, ცხოვრების ნათელი საწყისებისა, რომელთა ხოტბის შესხმაც ქართული ნადიმის უმთავრესი დანიშნულებაა.

რიტმი და კოლორიტი აღნიშნული ტრიპტიქის კომპოზიციის მთავარი მაორგანიზებელი ფორმალური საშუალებებია.

ამ ნამუშევარში მკაფიოდ იკითხება მხატვრის ეთიკურ-ესთეტიკური იდეალები. მისი სამსახური ცხოვრების ნათელი საწყისისადმი. მისი გმირები გამოირჩევიან შინაგანი კეთილშობილებით, სულიერი სიფაქიზით, ქცევის უბრალოებით, სისადავით. რაც მათ სახის გამომეტყველებასა და ჟესტებში იკითხება.

ფართო ფილოსოფიური განზოგადოებაა მოცემული სურათში „ერთობა“. კომპაქტურია, ემოციონალურად დამუხტული კომპოზიცია ამ სურათის გამომსახველობის გასაღებია. საერთო საქმით შეკავშირებული ჯგუფის საერთო მოხაზულობა მეორდება ბორცვების, ხარების ჯგუფის მოხაზულობაში, ეს იწვევს ადამიანთა და ბუნების ერთიანობის ასოციაციას. უღელში შებმული ხარები საერთო საქმის ერთგულების სიმბოლოა, ხოლო პატარა ბიჭი ფორთოხლით ხელში მომავლის ოცნებასა და იმედს განასახიერებს.

ადამიანი ბუნების ნაწილია. ბუნება კი მუდმივ ცვალებადობას განიცდის. ბუნებაში ყოველი დასასრული ახლის დასაწყისია, მაგრამ ადამიანი უმტკივნეულოდ ვერ ეგუება დასასრულს მით უფრო ძნელად შესაგუებელია იგი ხელოვანისათვის, რომელიც მოწოდებულია წინ აღუდგეს ბუნების ულმობელ კანონს და თავისი ნამუშევრებით დავიწყებას გამოსტაცოს ის, რაც ძვირფასია მისთვის და მისი თანამედროვეებისათვის. ასეთ ფიქრებს აღძრავს სურათი „ბაბუაწვერა“ (1969 წ).

პატარა ბორცვზე მჯდომი მოხუცი, რომელსაც ხელში ფრთხილად უჭირავს ბაბუაწვერა, თვითონვე ჰგავს იოლად გასაქრობ ყვავილს. მსგავსება შეუნიშნავს და „მწარედ“ დაუფიქრებია ცხოვრების წარმავლობას.

სურათის ყველა კომპონენტი ჰარმონიულად მოქმედებს შინაარსის გამოსახატავად. ორი თეთრი ხარის, ბორცვების, საერთოდ სურათზე წარმოდგენილი ყველა გამოსახულების მსგავსი, მომრგვალებული ფორმები, ხაზს უსვამს ბუნების ერთიანობის იდეის წარმოჩენას. მკაფიოდ მოწესრიგებული, გაწონასწორებული კომპოზიცია, ბუნების მოვლენათა მოწესრიგებულობის და კანონზომიერების შთაბეჭდილებას ქმნის.

ახლობლებთან გამოთხოვებით გამოწვეული განცდის სიმწვავეა აქცენტირებული კომპოზიციაში „წვევამდელების გაცილება“.

სცენა საკმაოდ შორიდან და ზემოდან აღიქმება. კომპოზიცია ზამბარისებურად იშლება — ფიგურების, სახლების, ბორცვების განლაგება ცენტრიდან თანდათან დაშორებულ წრეხაზების შთაბეჭდილებას სტოვებს. „ზამბარას“ აქცენტირებული ბოლო მონაკვეთი ემთხვევა გზას, რომელიც, თითქოს, გაიტყორცნება სურათის ჩარჩოებიდან.

იასამნისფერი კოლორიტი კიდევ უფრო ამწვავებს დაძაბულობას. სურათი აღიქმება, როგორც ზოგადად გამოთხოვების ამსახველი, სამყაროს მუდმივი და სწრაფი ცვალებადობის იდეის გადმომცემი.

სახლების და ბორცვების მოხაზულობა იმეორებს წრისებურ ფორმებს და სამყაროს ერთიანობის შთაბეჭდილებას ქმნის. თანაბარი „რბილი“ განათება, მომრგვალებული ფორმები, რამდენადმე ანელებენ ახლობლებთან გამოთხოვებით გამოწვეული სევდის სიმწვავეს და აუცილებლობასთან შერიგების განცდას იწვევენ.

ერთხელ მიგნებულ გამომსახველობით ხერხს, თორდია ხშირად იმეორებს, (მაგალითად: ფიგურების მჭიდროდ შეჯგუფება მიზნის ერთიანობის შთაბეჭდილების შესაქმნელად —„ერთობა“, „რევოლუციის დაცვა“; დინამიზმის გაძლიერების მიზნით, ფონზე ფერადოვანი ლაქების კომპოზიციაში მოძრაობის განვითარების მიმართულებით განლაგება — „წვევამდელების გაცილება“, „ჯარისკაცის ქორწილი“; ნაწარმოებთა უმრავლესობაში ხედვის წერტილი მაღლიდანაა აღებული; ხშირად იმეორებს პეიზაჟურ ფონს, მაგალითად „ჯარისკაცის ქორწილი“, „რევოლუციის დაცვა“...)

მიუხედავად ამისა, თითოეული ნაწარმოები ინარჩუნებს შინაგან სიმართლეს, დამოუკიდებელ გამომსახველობას. ეს მოწმობს, რომ განმეორებები გამოწვეულია ცხოვრების ფილოსოფიური გააზრების ერთიანობით და არა ამოცანის გამარტივებით.

1970-იანი წლებიდან მის შემოქმედებაში ჩნდება მეცნიერული ძიების თემა: — „არქეოლოგები“ (1969), „ფიზიკოსები ატომურ რეაქ-

ეკატერინე გაჩეჩილაძე
რადიშ თორდია

ტორზე“ (1970), ფიზიკოს გ. ჩიქოვანის პორტრეტი“ (1971).

კომპოზიცია „ფიზიკოსები ატომურ რეაქტორზე“ ფიზიკოსთა ჯგუფის რეპრეზენტატიული პორტრეტია ლაბორატორიის ფონზე. მასში გამოხატულია ავტორის აღტაცება ამ, ერთი შეხედვით ჩვეულებრივი, ადამიანებით, რომელთა დაძაბული, ზოგჯერ სარისკო, შემოქმედებითი შრომის შედეგია ფანტასტიკური აღმოჩენები.

ავტორი მოხიბლულია ურთულესი ხელსაწყოებითაც, რომლებიც, ასევე, ადამიანის შრომის შედეგია.

დაძაბული ხაზოვანი რიტმი, რომელსაც ხელსაწყოების, იატაკის ფილების და კიბის მოხაზულობები ქმნიან, შეესაბამება აზრის დაძაბულ მოძრაობას, რაც ფიზიკოსთა სახეებზე იკითხება. სურათის ნათელი ფერები, ხაზოვანი რიტმი საზეიმო განწყობილებას ქმნიან. იგრძნობა შემოქმედებითი შრომის რომანტიკა. სურათში თითქოს აზრი ბატონობს მოუსვენარი და დაძაბული.

„ფიზიკოს ჩიქოვანის პორტრეტზე“ მეცნიერი წარმოდგენილია შემოქმედებითი ძიების პროცესში. იგრძნობა შემოქმედებითი მგზნებარება, ყურადღების კონცენტრაციის დიდი უნარი, ნებისყოფა. მართალია პორტრეტზე კონკრეტული პიროვნებაა ასახული, მაგრამ ყველა იმ თვისებით, რაც მისი პიროვნების დამახასიათებაშია თავმოყრილი, იგი შეიძლება მივიჩნოთ მაძიებელი, შემოქმედი მეცნიერის განზოგადებულ, ტიპიურ სახედ.

ფიზიკოსებისადმი მიძღვნილ, ზემოთ აღნიშნულ ნამუშევრებში, მხატვარს შინაარსის შესატყვისად აქვს გარდაქმნილი წერის მანერა. თხლად, გლუვად წერა მას ხელსაწყოთა პრიალა, მკვეთრკონტურებიანი ზედაპირების, ლაბორატორიის სუფთა, „მკაცრი“ გარემოს ასახვას უადვილებს.

სურათის ხაზოვანი გამომსახველობა, რაც საერთოდ დამახასიათებელია თორდიას შემოქმედებისათვის, კიდევ უფრო მეტი სიმკვეთრით იჩენს თავს ამ ნამუშევრებში.

თუ გ. ჩიქოვანის პორტრეტში მეცნიერულ საიდუმლოებებში წვდომაზეა ყურადღება გამახვილებული და ამ კუთხით იხსნება მეცნიერის პიროვნება, „მოხუცი მეშუშის“ სახის გასახსნელად მხატვარი ბერიკაცის მიერ სამყაროს ინტიმური განცდის გადმოცემას ისახავს მიზნად.

კონკრეტულ გარემოსთან კავშირის გარეშე ასახული ფანჯარა, რომელშიც მოხუცი ფრთხილად და სათუთად სვამს შუშას, აღიქმება როგორც ფანჯარა სამყაროში. პორტრეტი ყურადღებას იპყრობს სითბოთი და სისადავით.

საინტერესოა „მანანას პორტრეტი“. სწრაფი, ეტიუდური მანერით შესრულებულ ნამუშევარში მხატვარი თანამედროვე, ინტელექტუალური ტიპის ქალის დამაჯერებელ სახეს ქმნის.

ლირიზმითაა განმსჭვალული მუსიკის თემაზე შექმნილი ნამუშევრები: „გოგონა და მუსიკა“ (1972), „ბიჭუნა მუსიკის მოსმენისას“ (1972) „სიმღერა“ (1978), „მევიოლინე“.

შემოქმედებითი გზის მანძილზე მხატვარი ეძებს გამოსახვის ახალ საშუალებებს. ეს განსაკუთრებით მკაფიოდ ჩანს ნატურმორტებში. 1960-იანი წლების დეკორატიულ-სიბრტყობრივი ნატურმორტებისაგან — შემდგომი პერიოდის ნამუშევრები გაირჩევა მეტი მოცულობით და მდიდარი კოლორიტით.

საგნების საგანგებო შერჩევით, ზედაპირის თავისებური დამუშავებით მხატვარი ცდილობს ნატურმორტებში შინაარსობრივი მომენტის გაძლიერებას.

უკანასკნელ წლებამდე თორდიას შემოქმედებაში ფორმის მოდელირების ძირითადი საშუალება შუქ-ჩრდილი და ხაზი იყო. ბოლო წლებში იგი ცდილობს ფერების საშუალებით შექმნას ფორმა, გაზარდოს ფერების როლი შინაარსის გახსნაში. ბოლო ნატურმორტებში, ნამუშევრებში: „სიმღერა“, „მხატვრის ქალი ყვავილებით“, „ავტოპორტრეტი“, „მამლები“, „ცირკი“, „მარინას პორტრეტი“ ეს ამოცანა მეტნაკლები წარმატებითაა გადაწყვეტილი.

მისი შემოქმედებისათვის დამახასიათებელი კომპაქტური, მკაფიოდ მოწესრიგებული კომპოზიციებისა და ნაწარმოების მოქმედ გმირთა სახეების შინაგანი ექსპრესიულობის გამო, მისი ნამუშევრები ღრმა შთაბეჭდილებას სტოვებენ მნახველზე.

მიუხედავად ძალზე ფართო განზოგადებებისა და მრავალი ნამუშევრის დიდი ზომებისა მისი შემოქმედება არსით დაზგურია. ფორმალური გადაწყვეტის მონუმენტალობიდან ყურადღება გადატანილია სამყაროს სულიერ, სიღრმისეულ განცდაზე. თორდიასათვის დამახასიათებელი სიფაქიზე სულიერი მდგომარეობის გადმოცემასა და ფორმის გადაწყვეტაში მომხიბლაობას ანიჭებს მის ნამუშევრებს.

მხატვრის შემოქმედება როგორც შინაარსით, ისე ფორმით (მოცულობათა ბარელიეფური გააზრებით, ნაწარმოების ხაზოვანი გამომსახველობით, კოლორიტით) ამჟღავნებს კავშირს ეროვნული კულტურის ტრადიციებთან.

მის ნამუშევრებში არქაულობა სინთეზირებულია თანამედროვეობასთან, ეროვნული თავისებურებები ზოგადსაკაცობრიო მსოფლგაგებასთან.

თორდიას შემოქმედება ჰუმანისტური იდეალების ცხოვრებაში დამკვიდრებას ემსახურება. მაძიებელი ბუნების ახალგაზრდა შემოქმედი იმედია კიდევ მრავალი საინტერესო ნამუშევრით გაახარებს მაყურებელს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ანა კლდიაშვილი

ბელა ბერძენიშვილი

არის მხატვართა ერთი კატეგორია, რომლებიც შემოქმედებითი გზის დასაწყისშივე პოულობენ საკუთარ თავს და საოცარი ერთგულებით მიჰყვებიან არჩეულ გზას. ასეთ შემოქმედთა რიცხვშია საქართველოს დამსახურებული მხატვარი ბელა ბერძენიშვილი. მას თავიდანვე ღრმად სწამდა, რომ მისი ხელოვნება ფუჭი და არაფრისმთქმელი იქნებოდა ეროვნული ნიადაგის გარეშე. ამიტომაც მხატვარი ბევრს მოგზაურობდა საქართველოს სხვადასხვა კუთხეში, ეცნობოდა ხალხის ყოფას, გატაცებით სწავლობდა ქართული ხალხური შემოქმედებისა და შუა საუკუნეების ძეგლებს. მისი შემოქმედების წამყვანი თემაა ქართული სოფლის ყოფა. მხატვრის მისწრაფება ეროვნულობისაკენ შემზადებული იყო, როგორც 1950-იან წლებში არსებული საერთო ტენდენციით (ამ დროს განსაკუთრებით გაიზარდა ინტერესი ხალხური შემოქმედებისადმი ასევე იმ სიტუაციით, იმ ატმოსფეროთი, რომელშიც მხატვარი აღიზარდა.

ბელა ბერძენიშვილი დაიბადა თბილისში, მისი ბავშვობა სვანეთის უბანთანაა დაკავშირებული. ქალაქის იმ რაიონთან, სადაც ალბათ დღესაც ყველაზე მეტად იგრძნობა სოფლის ცხოვრების სურნელი. მისი, როგორც შემოქმედის ფორმირებაში დიდი ღვაწლი მიუძღვის მხატვრის ბებიას, ხევსურ ქალს, ნინო ბუჩუკურს. სწორედ მას მოჰყოლია მზითევში ძველისძველი საოჯახო ნივთები. შემდგომში მხატვრის შთაგონების წყაროდ რომ იქცა. დიდედის ხელსაქმიდან, ნაქარგებიდან, ნაქსოვი ფარდაგებიდან მიუღია პირველი შთაბეჭდილება მომავალ მხატვარს.

1950 წელს ბ. ბერძენიშვილი უკვე სამხატვრო აკადემიის სტუდენტია. მას აქ თეატრალურ-დეკორაციულ განყოფილებაზე ასწავლიან ცნობილი ქართველი მხატვრები. მოსე თოიძე, იოსებ სუმბათაშვილი, სერგო ქობულაძე და სხვ.

მისი სადიპლომო ნაშრომი — დეკორაციები ი. ჭავჭავაძის „ოთარაანთ ქვრივისათვის“, აღსანიშნავია იმით, რომ მხატვარმა თავისი პირველივე სერიოზული ნამუშევრისათვის სწორედ ისეთი ნაწარმოები აირჩია, სადაც ქართული სოფლის ყოფა იყო ასახული, მისთვის იმთავითვე ახლობელი და ორგანული.

სამხატვრო აკადემიის დასრულების შემდეგ ოთხი წლის მანძილზე მხატვარი ქმნის შინაგანად რიტმულ და მუსიკალურ, ოდნავ სენტიმენტური ელფერის მქონე სერიას — „ველის ყვავილები“. ეს პერიოდი ძიების ეტაპად შეიძლება ჩამთვალოს ბ. ბერძენიშვილის შემოქმედებაში.

ამ სერიას მოჰყვა ნატურმორტები. საკუთარი თავი მან სწორედ ნატურმორტებში ჰპოვა. მათ განსაკუთრებული ადგილი უჭირავთ მხატვრის შემოქმედებაში.

ბ. ბერძენიშვილის ნატურმორტების საგნები ტრადიციული ქართული ჭურჭლის ნიმუშებია: თიხის დოქები, ქოთნები, ქილები, ხის ჯამები სპილენძის თუნგები და სხვ.

ამ ნივთების გამოსახვა მხატვრისათვის შემთხვევითი როდი იყო. ეს ნივთები მისთვის არც ეგზოტიკაა. მათი სიყვარული ბავშვობიდანვე მოსდევს, შეუსისხლხორცებია. ბერძენიშვილების სახლში, ოჯახის ყოფაში ასეთი ნივთები ჩვეულებრივი მოვლენა ყოფილა.

პირველი ნატურმორტი ბ. ბერძენიშვილმა 1961 წელს შექმნა. ორნამენტული ხალიჩის ფონზე სამი ნივთია გამოსახული.

ამ ნატურმორტით დასრულდა მხატვრის შემოქმედებაში ძიების პერიოდი. თუმც ეს პირველი ნატურმორტი ჯერ კიდევ შორსაა იმ ოსტატობისა და არტისტიზმისაგან, რაც ბ. ბერძენიშვილის შემდგომ ნამუშევრებს ახასიათებს, მაგრამ იგი მაინც მნიშვნელოვანია, რადგან სწორედ აქ იპოვა მან „საკუთარი თემა“, მისთვის ორგანული და ახლობელი. აქ გამოიკვეთა პირველად მისი ხედვა, მთელი მისი შემოქმედებისათვის დამახასიათებელი ნიშნები.

ნატურმორტებზე ბ. ბერძენიშვილი შერეული ტექნიკით მუშაობს. პასტელი, გუაში, ტემპერა, მხატვარი ჯერ მთელ ქაღალდს შავად ფარავს

ეროვნული ბიბლიოთეკა

და მხოლოდ ამის შემდგომ იწყებს მასზე საღებავებით მუშაობას. ეს ყოველ ფერს მეტ ჟღერადობასა და სიღრმეს ანიჭებს.

მნიშვნელოვანია ის, რომ მხატვარი ნატურიდან არ ხატავს, არც წინასწარ მოსამზადებელ ნახატებს ასრულებს. არასოდეს გამოსახავს ბევრ ნივთს, ყოველთვის ძუნწად არჩევს მათ. სამს ან ოთხს. ამ ნივთებს შორის დომინანტი არის ერთ-ერთი თავისი ზომით, ტონის მიმცემი ფერით, დანარჩენი კი მას ემორჩილება. მიუხედავად ნივთთა რაოდენობრივი სიმცირისა, კადრი ხშირ შემთხვევაში მთლიანადაა შევსებული ნივთთა მაქსიმალურად წინა პლანზე წამოწევის ხარჯზე.

„ხევსურულ ნატურმორტში“ (1961 წ.) ნივთები მთლიანად ავსებენ სასურსათო სიბრტყეს და არც ეტევიან ზედ, ცილდებიან სურათის ჩარჩოებს. ამ ნატურმორტში ბ. ბერძენიშვილმა საუცხოოდ გადმოსცა მთის (ხევსურული) პურ-ქლის სპეციფიკა, ისე როგორც დ. კაკაბაძემ განაზოგადა თავის ნატურმორტში იმერული პურქლის სახე.

მხატვარი თითქმის ყოველთვის ფონად ნივთებისათვის იყენებს ორნამენტულ ხალიჩას. ეს ფონები მხატვრის ფანტაზიის ნაყოფია. მაგრამ ეს არ გახლავთ სტილიზაცია, ეს არის ღრმა, უშუალო გრძნობის ნაყოფი.

მრავალფეროვნება და სიმდიდრე ორნამენტებისა, რომლებიც ფარავენ ავეჯსა და ნივთებს, სხვადასხვა ფერის ლოკალურ ლაქათა დაპირისპირება, მათი რიტმული მონაცვლეობა დეკორატიულობას ანიჭებს ამ ნამუშევრებს. ეს თვისება კიდევ უფრო მკაფიოდ იკვეთება სხვადასხვა ზომისა და ფორმის, სილუეტისა და მოცულობის მქონე ნივთების მასშტაბური დაპირისპირებით, რომლებიც ორგანულად არიან ჩართულნი ქსოვილთა ორნამენტულ ქარგაში.

განსაკუთრებული არტისტიზმით, ზუსტად და ცოცხლად გადმოსცემს ბ. ბერძენიშვილი ყოველი ნივთის ფაქტურას. ეს თავისებურ მომხიბლაობასა და გამომხატველობას ანიჭებს მის ნამუშევრებს.

ფერის მხრივ ეს ნატურმორტები თავშეკავებულია. კოლორიტი უმეტესად მუქია, აგებულია მოწითალო-მოყავისფრო ჟღერად ფერებზე. აღსანიშნავია, ისიც, რომ მხატვარი ზუსტად არ გადმოსცემს იმ ფერს, რა ფერიცაა ესა თუ ის ნივთი სინამდვილეში. იგი თვითონ თხზავს ფერებს. იმუშავებს შესატყვის მხატვრულ პლასტიკურ ენას, ეძებს ახალ საშუალებებს, ცდილობს კავშირის დამყარებას ხალხურ ხელოვნებასთან, ეროვნულ ტრადიციებთან. ეს ნატურმორტები ერთგვარად თავის თავში აერთიანებენ ხალხური შემოქმედებისათვის დამახასიათებელ ნიშნებს.

მხატვრის შემოქმედებითი პორტრეტის სრულყოფისათვის ძალზე მნიშვნელოვანია სვანეთის პეიზაჟების სერია, ბ. ბერძენიშვილმა სვანეთში მოგზაურობის დროს მხოლოდ სამი მცირე ზომის პეიზაჟი შექმნა.

„ნაცრისფერი იყო სვანეთი ჩემს წარმოდგენაში, სანამ ვნახავდი მას და ასეთად დარჩა იგი“ — ამბობს მხატვარი და მართლაც, მხოლოდ შავი საღებავი წაუღია მას ექსპედიციაში, დანარჩენი ფერები კი შემდეგ, თბილისში ჩამოსვლისას ჩაუმატებია, გაუცოცხლებია ნახატი.

კოლორიტი პეიზაჟებისა მუქია. წამყვანია ნაცრისფერი, მისი სხვადასხვა ტონალობა. მხოლოდ აქა-იქ ხმარობს მხატვარი მუქ წითელსა და მოლურჯო-მომწვანო ფერებს. ამიტომაც არის ეს პეიზაჟები პირქუში, მკაცრი. თუმცა ზომებით ისინი საკმაოდ მცირეა, თავისი პლასტიკური წყობით ისინი მონუმენტურობას, ხოლო ამაღლებული განწყობითა და ლირიზმით განსაკუთრებულ მომხიბლაობას იძენენ.

ბ. ბერძენიშვილი განსაკუთრებული პასუხისმგებლობითა და სიყვარულით ეკიდება საბავშვო წიგნის გაფორმებას. მხატვარი დიდი ხანი, ხშირად ერთ წელზე მეტიც კი მუშაობს თითოეული წიგნისათვის ილუსტრაციების შექმნაზე. 1965-1978 წლებში მხატვარმა ხუთი საბავშვო წიგნი გააფორმა. მიუხედავად ასეთი დიდი დროის მონაკვეთში მხატვრის მიერ გაფორმებულ წიგნთა სიმცირისა, მათ ქართული საბავშვო წიგნის ილუსტრაციის განვითარებაში გარკვეული წვლილი შეიტანეს. იგი ბევრს ფიქრობს წიგნის ერთიანი ორგანიზმის შექმნაზე. ფერად ილუსტრაციებთან ერთად იგი ასრულებს ორნამენტულ თავსართ-ბოლოსართებს, აფორმებს წიგნის ყველა ელემენტს, ქმნის შრიფტს. დამახასიათებელია, რომ მხოლოდ ქართულ ხალხურ ზღაპრებსა და ლექსებს აფორმებს.

ბ. ბერძენიშვილის წიგნის გრაფიკა მხოლოდ საბავშვო წიგნების გაფორმებით არ შემოიფარგლება. 1978 წელს რვა მხატვარს და მათ შორის ბ. ბერძენიშვილსაც დაევალათ „შუშანიკის წამების“ საიუბილეო გამოცემისათვის ილუსტრაციების შექმნა ბ. ბერძენიშვილი თანმიმდევრულად მიჰყვა სიუჟეტს და ნაწარმოების საკვანძო მომენტები ასახა. მან 8 ილუსტრაცია შექმნა, ისინი თხრობით ხასიათს ატარებენ, ნაწარმოების დრამატულობა მათში ნაკლებად ვლინდება.

მის შემოქმედებაში განსაკუთრებული ადგილი უჭირავს მონუმენტურ ფერწერას. მან 1987 წელს მოხატა სასტუმრო „ივერიის“ საბანკეტო დარბაზის ერთი კედელი.

ბ. ბერძენიშვილი არც ამ ფრესკის შექმნისას ღალატობს „საკუთარ თემას“. იგი ქართული სოფლის ყოფის მომენტებს ასახავს. ეს არის სიუჟეტური სურათი, რომელშიც პირობითი მხარე მოითხოვს ყურადღებას და აიძულებს თვალს ამბის შინაარსით დაინტერესდეს. ფრეს-

ეროვნული ბიბლიოთეკა

კა ილუსტრაციულ ხასიათს ატარებს. მიუხედავად ამისა, ამ ფრესკაში არ არის სოფლის ყოფის ჟანრული ასახვა, ეს გახლავთ ძალზე ღრმად ნაგრძნობი და მთელი შინაგანი ძალით გადმოცემული ეპიკური თხრობა.

ფრესკა რამდენიმე ერთმანეთისაგან დამოუკიდებელი სიუჟეტური ნაწილისაგან შედგება.

ფრესკის კომპოზიციათა პლასტიკური წყობა სადა და მონუმენტურია, ფორმები განზოგადებულია, ფიგურები სიბრტყობრივი, კოლორიტი მკაცრია, აგებულია ყავისფერ და მოყვითალო ტონებზე.

ფიგურათა მკვეთრად მოხაზული, განზოგადებული სილუეტები, მათი მასშტაბური დაპირისპირება, ნეიტრალური ფონი კომპოზიციის პირობითობას აძლიერებს და ხაზს უსვამს ფრესკის დეკორატიულ ხასიათს. მხატვარი საგანგებოდ არღვევს მასშტაბებს, ცვლის ხედვის კუთხეს, გამოსახულებებს სრულიად სიბრტყობრივად ერთმანეთის ზემოთ ალაგებს, რითაც მონუმენტურობის შთაბეჭდილებას აღწევს.

ამ ფრესკაში ერთმანეთს ერწყმის ილუსტრაციულობა და მონუმენტურობის პრინციპი. მაგრამ ეს არ მოქმედებს საერთო შთაბეჭდილებაზე და ფრესკა მნახველისათვის სრულიად მისაღები ხდება.

ბ. ბერძენიშვილის ფრესკა თავისი ხასიათით ორგანულად იწერება 1960-იანი წლების მონუმენტური ფერწერის ძირითად მიმართულებაში.

მხატვრის შემოქმედების ანალიზმა ნათლად დაგვანახა, რომ ბელა ბერძენიშვილის მთელ ნამოღვაწარს დაწყებული სადიპლომო ნამუშევრიდან (დეკორაციები — ოთარაანთ ქვრივისათვის). დამთავრებული იმით, რაზეც მხატვარმა ახლახანს დაასრულა მუშაობა („დედა ენისა" და „ბუნებისკარის" გაფორმება), მთავარ მოტივად გასდევს ხალხური თემატიკა. იგი არასოდეს ღალატობს „საკუთარ თემას". მხოლოდ იმ საქმეს კიდებს ხელს, მხოლოდ იმაზე მუშაობს რაც მისთვის ახლობელია, ეს ბ. ბერძენიშვილის შემოქმედებითი მრწამსის ერთგულებაზე მიგვითითებს ერთბაშად მიაგნო „საკუთარ თემას" და მოძებნა მისთვის შესატყვისი ხერხები, მხატვრული ენა, ამის შემდგომ მისი შემოქმედება არ განიცდის რამდენადმე შესამჩნევ ევოლუციას, არ აღინიშნება ნახტომები, დიდი ძვრები, მხატვარი შემდგომი დაოსტატების გზას ადგას და მის მიერ დასახული გზიდან არასოდეს უხვევს. ბ. ბერძენიშვილის ყველა ნამუშევრისათვის დამახასიათებელია გულდასმით შესრულება, გულმოდგინე ნახატი, დასრულებულობა, გრაფიკული სიმკვეთრე, სიბრტყობრივ — დეკორატიული გადაწყვეტა, გადმოცემის უშუალობა, თავშეკავებულობა.

ორი უკანასკნელი ათწლეულის ხელოვნებას ახასიათებს ძიება ორი მიმართულებით 1. სწრაფვა გამომსახველობისაკენ 2. ეროვნული ფორმის ძიების ტენდენცია.

ეს ორი მომენტი ძიების გზაზე ერთმანეთს ეჯაჭვება და თანაბრად ვლინდება არქიტექტურასა და სახვით ხელოვნებაში, მუსიკისა და თეატრში. ძიება ამ ორი მიმართულებით დღესაც გრძელდება. ეს პრობლემები ჯერ კიდევ გადაუჭრელია და ახალ ხორცშესხმას ელის. ამ პრობლემებზე მრავალი სხვადასხვა თაობის მხატვარი მუშაობს და როგორც დავინახეთ ბ. ბერძენიშვილიც ერთ-ერთი მათგანია. იგი ამ საერთო პროცესში ერთ-ერთი კოლორიტული, თავისებური მხატვარია. მის შემოქმედებაში დროის მიერ დასმული ეს ორი პრობლემა ორგანულად ერწყმის ერთიმეორეს. მხატვარი მიისწრაფვის გამომხატველობისაკენ ეროვნული ტრადიციების გამოყენებით, ეროვნული ფორმის ძიებიდან გამომდინარე.

მხატვარი ახლა შემოქმედებითი სიმწიფის ხანაში იმყოფება და დიდი ენერგიით აგრძელებს მუშაობას. ძიება კვლავაც გაგრძელდება. წინ კიდევ დიდი შემოქმედებითი გზაა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

შალვა ქირია

სამი ოქროს ნახტომი

არიან ხოლმე სპორტსმენები, რომლებიც მეტეორივით შემოიჭრებიან ჩვენს ცხოვრებაში. ჩვენთვის შეუმჩნევლად მათი ნიჭისა და ხელწერის თავგამოდებულნი ქომაგნი ვხდებით. იმის გარდა, რომ მათი სურათები ხშირად ამშვენებენ საწერ მაგიდას, თვალს არ ვაშორებთ მათ ყოველ გამოსვლას ტელეეკრანზე, სტადიონის მწვანე მინდორზე, რინგის თეთრ კვადრატზე, საჭიდაო ხალიჩაზე და სხვაგან. საათობით შეგვიძლია ვიკამათოთ მათ პოტენციურ შესაძლებლობაზე, ბოლოს იმ დასკვნამდე მივდივართ, რომ იგი აუცილებლად გაიმარჯვებს. ამის მტკიცების საშუალებას თვითონ ისინი გვაძლევენ, რადგან ყოვლის მცოდნე გულშემატკივრები ჩინებულად ერკვევიან მომავალ ასპარეზობათა თითოეულ წვრილმანში, სწორ დასკვნებს აკეთებენ და ერთიორად ზეიმობენ, როცა ეს სათაყვანებელი სპორტსმენები ნანატრ გამარჯვებას აღწევენ. ამ შემთხვევაში რა თქმა უნდა ერთეულები გვყავს მხედველობაში, როგორც იტყვიან ძლიერნი ამა ქვეყნისა, სწორედ ისინი ვინც წლების განმავლობაში უკანა პლანზე დებენ ყოველგვარ ამქვეყნიურ სიამოვნებას და სპორტის საყვარელი სახეობის ფანატიკოსები არიან.

დიახ, სწორედ ასეთებს „სწყალობთ ბედი" საჭიდაო ხალიჩებზე; მათი ფენომენალური გამარჯვებით მონიჭებული სიხარული, დამყარებული რეკორდი დიდხანს არ იშლება ჩვენი მეხსიერებიდან, სამუდამოდ რჩება მომავალი თაობის გულში. აბა ვის შეიძლება დაავიწყდეს ლეგენდარული ფინელი მძლეოსანი პაავო ნურმი, რომელმაც სამ ოლიმპიურ თამაშებში მიიღო მონაწილეობა და სხვადასხვა ფერის 9 მედალი მოიპოვა. ზედიზედ ოთხ ოლიმპიადაზე გაიმარჯვა ამერიკელმა ბადროს მტყორცნელმა ალფრედ ორტერმა, სამი ოლიმპიადა მოიგეს ლეგენდარულმა უნგრელმა მოკრივემ ლასლო პაპმა, ამერიკელმა უროს მტყორცნელმა ჯ. ფლენეგენმა, საბჭოთა ნიჩბოსანმა ვიაჩესლავ ივანოვმა, მისმა თანამემამულემ, მოჭიდავემ ალექსანდრე მედვედმა და ბევრმა სხვა გამოჩენილმა სპორტსმენებმა. თბილისელი მძლეოსანი ვიქტორ სანეევი ერთი იმათთაგანია, რომელმაც თავისი ფენომენალური, უაღრესად სტაბილური მიღწევებით, ღირსეულად დაიმკვიდრა ადგილი მსოფლიოს ზემოაღნიშნულ სპორტსმენთა თანავარსკვლავედში.

იმისათვის, რომ მსგავს წარმატებას მიაღწიო და ათეული წლების მანძილზე ირიცხებოდე მსოფლიოს საუკეთესო სპორტსმენთა კოჰორტაში, სამი აუცილებელი კომპონენტი უნდა გაგაჩნდეს — ნებისყოფის სიმტკიცე, შრომისადმი დაუღალავი სიყვარული, გამარჯვებისაკენ შეუნელებელი ლტოლვა.

„თბილისელ კენგურუდ" წოდებული ვიქტორ სანეევი იმ სპორტსმენთა ათეულის წევრია, რომლებთაც გულშემატკივრები სუპერვარსკვლავებს უწოდებენ. იგი ყოველთვის მაღალი ადგილისათვის იბრძვის და ოქროს მწვერვალების დასაპყრობად ძალასა და ენერგიას არ იშურებს. ჯერ კიდევ სოხუმში, ბავშვობის წლებში სსრ კავშირის დამსახურებულ მწვრთნელთან ა. კერსელიანთან გაეცნო ჭაბუკი სანეევი სამმაგი ხტომის საიდუმლოებას, რომელიც მძლეოსნური პროგრამის ერთ-ერთ ურთულეს სახეობას წარმოადგენს. „სპორტის დედოფალს" — მძლეოსნობას, არსად ისეთ პატივს არა სცემენ როგორც ოლიმპიურ ასპარეზობაზე, რადგან თამაშები 4 წელიწადში ერთხელ იმართება და მასში 5 კონტინენტის უძლიერესნი იბრძვიან ოლიმპიური ოქროს მედლისათვის.

იმ დროს, როდესაც საბჭოთა სპორტსმენები პირველად ჩაებნენ ოლიმპიურ თამაშებში, ოქროს ჯილდო სამმაგ ხტომაში, ჰელსინკიდან შორეულ ბრაზილიაში, ადემარ ფერეირა და სილ-

ვამ წაიღო. ბრაზილიელი ზანგი მაშინ მსოფლიოს რეკორდის ავტორი იყო და XV ოლიმპიადის გამარჯვების ფავორიტად სწორედ მას მიიჩნევდნენ. სილვამ ჰელსინკის სტადიონზე ჩემპიონის საპატიო ტიტულს, მსოფლიო რეკორდსმენის სახელიც მიუმატა — 16 მეტრი და 22 სანტიმეტრი. ოთხმა წელიწადმაც თითქოს შეუმჩნევლად განვლო. ავსტრალიის ქალაქ მელბურნში ფ. და სილვა ისევ იმეორებს ფინეთის დედაქალაქის სტადიონზე მიღწეულ ორმაგ გამარჯვებას. ძველებურად ჟღერს ბრაზილიის ჰიმნი, ხოლო მსოფლიოს რეკორდი 16 მეტრსა და 56 სანტიმეტრამდე იზრდება...

რომის „ფორო-იტალიკოს" XVII ოლიმპიადაზე მოხდა სენსაცია. სამმაგი ხტომის ტახტის მფლობელის ფ. და-სილვას მსოფლიოს რეკორდი პოლონელმა ი. შმიდტმა გააუქმა — 16 მეტრი და 81 სანტიმეტრი. მისი გამარჯვების პატივსაცემად ამჯერად პოლონეთის სახელმწიფო ჰიმნი შესრულდა. რომის ტრიუმფის შემდეგ პრესაში ხშირად გაისმოდა იუზეფ შმიდტის სახელი. სამმაგ ხტომაში უეჭველი გამარჯვების ფავორიტმა ტოკიოს ოლიმპიურ თამაშებზეც დაისაკუთრა ოქროს მედალი. ამჯერად მან 4 სანტიმეტრით გაზარდა თავისი ძველი რეკორდი, ხოლო მეხიკოს XIX თამაშების დაწყებამდე რამდენიმე ხნით ადრე, პირველმა გადალახა 16 მეტრიანი ზღვარი, ორგზის ოლიმპიურმა ჩემპიონმა 17 მეტრი და 3 სანტიმეტრი გვიჩვენა.

ასეთი ევოლუცია განიცადა სამმაგმა ხტომამ, ვიდრე მძლეოსნები მეხიკოს „აცტეკის" სტადიონზე მოიყრიდნენ თავს. პოლონელი კარგად გრძნობდა, რომ მესამე ოქროს მედლის მოპოვება მისთვის ადვილი საქმე არ იყო. შმიდტი ახალგაზრდა სპორტსმენების გარემოცვაში მოექცა. მეხიკოს თამაშების პრელუდიად მიჩნეულმა, წინაოლიმპიურმა ამხანაგურმა ასპარეზობამ მთლად დააბნია „სპორტის დედოფლის" გამოცდილი სპეციალისტები. თბილისელმა ვიქტორ სანეევმა 16 მეტრი და 87 სანტიმეტრი აჩვენა — საუკეთესო შედეგი 1968 წლის სეზონში!

თავისი დრამატიზმით, დაძაბულობით, ბრძოლის სიმწვავით ოქროს მედლისათვის ბრძოლა მეხიკოში უაღრესად რთული და უკომპრომისო იყო, იგონებს ახლა ოლიმპიური ჩემპიონი ვ. სანეევი. თვითონ განსაჯეთ, რა ხდებოდა ტრიბუნებზე, როცა იტალიელმა ჯ. ჯანტილემ 17 მეტრი და 10 სანტიმეტრი აჩვენა და მსოფლიოს რეკორდი დაამყარა. ჯანტილე სიხარულისაგან აცეკვდა, ხელებს იქნევდა, ყვიროდა. მესამე, თუ მგონი მეორე ნახტომისას იტალიელმა თავისი რეკორდი კიდევ 12 სანტიმეტრით გაზარდა. რატომღაც მას გული უგრძნობდა, ოქროს მედალი ჯიბეში რომ არ ედო. ეს მომეტებული პესიმიზმი ბრაზილიელმა მხტომელმა, ნელსონ პრუდენსომ გაამართლა. ჯ. ჯანტილეს რეკორდი მან მეოთხე ცდაზე დაამხო — 17 მეტრი და 27 სანტიმეტრი. უნდა გენახათ რა ხდებოდა ტრიბუნებზე, როგორ იღებდნენ ფოტო და ტელეჟურნალისტები ბრაზილიური ცეკვა „სამბას" მსგავს ილეთებს, რომელსაც ახლადდაბადებული მსოფლიოს რეკორდსმენი ასრულებდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— მეექვსე, უკანასკნელ ნახტომს შეასრულებს ვიქტორ სანეევი (საბჭოთა კავშირი)—გაისმა სტადიონზე. ვიქტორი უცბად დაიძაბა, უჩვეულოდ მშვიდი და სერიოზული გახდა. მის მეხსიერებაში გაიელვა შორეულ საქართველოში სატელევიზიო ეკრანებთან განლაგებულ მეგობართა სახეებმა. მათ უსათუოდ სჯერათ ჩემი გამარჯვებისა, ფიქრობდა საბჭოთა ოლიმპიური ნაკრები გუნდის დებიუტანტი. რადაც არ უნდა დამიჯდეს... მხოლოდ გამარჯვება, როცა ოდნავ სიჩუმე ჩამოვარდა, სანეევი ადგილს მოსწყდა, დიდი სისწრაფე განავითარა, ერთი, მეორე, აგერ მესამე უკანასკნელი ნახტომიც. ჯერ კიდევ ჰაერში შეამჩნია, რომ მსოფლიოს სულ ახლახან დაბადებული რეკორდის აღმნიშვნელ პატარა წითელ ალამს აცდა. ნუთუ გავიმარჯვე, ფიქრობს ქვიშაში ამოსვრილი სანეევი. მსაჯები საგულდაგულოდ ზომავენ მისი ნახტომის სიგრძეს. მოუთმენლად, ზანტად გადიან წამები. ბოლოს პატარა ელექტროფარზე, რომელიც იქვე სახტომი სექტორის გვერდითაა მოთავსებული, ინთება ციფრები — 17-39. სასოწარკვეთილმა ვიქტორმა ზეალმართა ორივე ხელი, თვალი გაუსწორა მექსიკის უღრუბლო ცას. სიმწრისაგან მუხლებზე დაეცა ბრაზილიელი, ხელი ჩაიქნია იტალიელმა. ახლა მისკენ მორბიან ჟურნალისტები, საბჭოთა სპორტსმენები.

ვიქტორია, ვიქტორია (გამარჯვება, გამარჯვება) გაჰკივიან, ახალი ჩემპიონის პატივსაცემად ტემპერამენტიანი მექსიკელები. ვიღაცამ შავი მოსირმული სომბრერო დაახურა თავზე სამმაგი ხტომის ტახტის ახალ მემკვიდრეს...

აგერ მშობლიური სოხუმი, შეხვედრა მეგობრებთან, ნაცნობებთან, თანამემამულეებთან. ზღვა სიხარული, მილოცვები, მილოცვები. სამშობლოს მაღალი ჯილდო — შრომის წითელი დროშის ორდენი. მისი პირველი ოქროს ნახტომი, ოქროს ასოებით შევიდა ქართული სპორტის ისტორიაში.

ჩემპიონის ოქროს მედლის მოპოვება ძნელია, მაგრამ კიდევ უფრო ძნელია ამ საპატიო ტიტულის შენარჩუნება, უთქვამს ვიღაც გამოცდილ, ბრძენ ადამიანს. ამ ნათქვამის სისწორეში არაერთხელ დავრწმუნებულვართ. კანონზომიერება სპორტში არ არსებობს, მაგრამ არის ერთი რამ, ძლიერი ყოველთვის ძლიერია და მის გამარჯვებაში დარწმუნებული უნდა იყო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ოლიმპიური ჩემპიონისა და სამმაგი ხტომის ტახტის ახალ მემკვიდრეს ბევრი ძველი და ახალგაზრდა მეტოქეები ეცილებოდნენ პირველობას. მშვიდი ცხოვრება არ არსებობს. საქართველოს წარმომადგენელი სულ უფრო ხშირად, თითქოს ნებისმიერ ასპარეზობაზე გრძნობდა მათ გაბედულ შემოტევას. მაგრამ სანეევი ჩემპიონი არ იქნებოდა, რომ მეტოქეებისათვის არ ეგრძნობინებინა თავისი სიძლიერე.

მეხიკოს შემდეგ ვიქტორის ცხოვრებაში ერთი მეტად მნიშვნელოვანი ამბავიც მოხდა. ჩემპიონმა თავის ბავშვობის მეგობართან ტატიანა ხვარცკიასთან შექმნა ოჯახი და მალე საცხოვრებლად თბილისში გადმოვიდა. ასეთი გადაწყვეტილება იმით იყო განპირობებული, რომ ვიქტორს წვრთნისა და მომავალ ასპარეზობათა მზადების ნორმალური პირობები შეექმნა. სანეევის ოჯახში სასიხარულო ცნობები მოდიოდა რომიდან, პრაღიდან, პარიზიდან, ლონდონიდან. სადაც კი იმართებოდა მსოფლიოს საუკეთესო მძლეოსანთა ტურნირები — თითქმის სისტემატურად გაისმოდა ეთერში — გაიმარჯვა ოლიმპიურმა ჩემპიონმა საქართველოდან. თითოეული გამარჯვების უკან, ცხრა ფუთი დაღვრილი ოფლი იყო, სტადიონის მწვანე მინდორზე საათობით გატარებული დრო. ვიქტორ სანეევი ხშირად მინახავს „ლოკომოტივის" სტადიონზე. იგი მარტოც ვარჯიშობდა, ხან ახალგაზრდების ჯგუფს გადასცემდა თავის გამოცდილებას.

მეხიკოს ტრიუმფის შემდეგ დიდი ხანიც არ იყო გასული, რომ ტელეტაიპმა თავისუფლების კუნძულიდან გადმოსცა: მსოფლიოს ახალი რეკორდი 17 მეტრი და 40 სანტიმეტრს უდრის. იგი კუბელმა პ. პერესმა დაამყარა, ოჰ, ეს სამხრეთ-ამერიკელები. სულ მუდამ რეკორდების იერიშის ცდაში არიან, ფიქრობდა სანეევი და მოსვენებას არ აძლევდა უცნობ მეტოქესთან შერკინების წყურვილი. მალე ვიქტორმა კუბელს, მშობლიურ ქალაქ სოხუმში გამართულ შეჯიბრებიდან ახალი ცნობა გაუგზავნა. მისი მსოფლიოს რეკორდი გაუქმებულია და ახლა იგი 17 მეტრსა და 44 სანტიმეტრს უდრიდა...

ოთხი წელიწადი ოთხ თვესავით გავიდა. კვლავ აინთო ოლიმპიური ჩირაღდანი ოლიმპოს მთაზე. სპორტსმენებმა ბავარიის მშვენიერი დედაქალაქისაკენ — მიუნხენისაკენ წაიღეს ცეცხლი. ისევ შეიკრიბნენ პლანეტის უძლიერესი სპორტსმენები, ისევ ახალგაღვიძებული ვულკანივით ბობოქრობს მიუნხენის სტადიონი. თავდაჭერილი მასპინძლებიც, გულგრილად ვერ შეხვდნენ თბილისელის მეორე ოქროს ნახტომს, რომელიც 17 მეტრსა და 35 სანტიმეტრს უდრიდა. ეს იყო უცნაური შემთხვევა, როცა ოლიმპიურმა ჩემპიონმა, მეხიკოს საპირისპიროდ ფინალური შეჯიბრების პირველსავე ცდაზე შეასრულა ნახტომი 17 მეტრსა და 85 სანტიმეტრზე.

ამ ნახტომის შემდეგ სანეევი საკმაოდ მშვიდად იყო, წერდა ერთი უცხოელი ჟურნალისტი. გეგონებოდათ მან კარგა ხანია უკვე მოიპოვა ოლიმპიური ოქროს მედალიო და ახლა თვალს იქვე ათჭიდელთა შეჯიბრებას ადევნებსო.

სანეევის შედეგის გაუმჯობესება, მიუნხენში ვერავინ შეძლო და ვიქტორი, მეორედ დააჯილდოვეს ჩემპიონის ოქროს მედლით. ამ გამარჯვების შემდეგ ჟურნალისტებმა მას ასეთი კითხვით მიმართეს.

როგორ მოიქცეოდით, რომ თქვენს მიერ ნაჩვენები შედეგი გაეუმჯობესებინათ?

— მეხიკოშიაც ვაგებდი თავდაპირველად, მაგრამ უკანასკნელ მეექვსე ცდაზე გავიმარჯვე, იყო პასუხი. ახლაც სრულ მზადყოფნაში გახლდით, რომ კიდევ უფრო შორს გადავმხტარიყავი. როგორც ერთმა ჟურნალისტმა თქვა: ოლიმპიურმა ჩემპიონმა — ოლიმპიური სიმშვიდით გაიმარჯვა. მართალია ვიქტორი დასავლეთ გერმანიიდან, მსოფლიოს რეკორდის გარეშე დაბრუნდა, მაგრამ საბჭოთა მთავრობამ მას ყველაზე საპატიო ჯილდო — ლენინის ორდენი გადასცა. ეს იყო მისი დიდოსტატური ნახტომების გამარჯვების მაღალი საფასური. ორგზის ოლიმპიურმა ჩემპიონმა სკეპტიკოსებიც კი დააჯერა, რომ გამარჯვება უსათუოდ ახლოა, თუ მას წინ შრომაში გატარებული უძილო ღამეები უდევს.

— სანეევი დაუმარცხებელია, გაჰკივიან გაზეთის გამყიდველი პატარა ბიჭუნები პარიზის, რომის, ლონდონის ქუჩებში. მისთვის არ არსებობს ევროპის დახურული თუ ღია პირველობა. იგი თითქმის ყველგან პირველია. მსოფლიოს საუკეთესო კინოს მსახიობებს ოსკარის პრიზით აჯილდოვებენ, ვიქტორ სანეევი კი 1977 წელს ევროპის № 1 მხტომელად გამოაცხადეს და სპეციალური ჯილდო გადასცეს.

მონრეალის ოლიმპიადის წინ სანეევს არასასიამოვნო ცნობა, ისევ სამხრეთ-ამერიკიდან— ამჯერად პელეს სამშობლოდან, ბრაზილიიდან მოუვიდა. კაპრალმა ჟოაო კარლოს დე ოლივეირამ მისი მსოფლიოს რეკორდი 45 სანტიმეტრით გააუმჯობესა. კიდევ ერთი, გაიფიქრა ოლიმპიურმა ჩემპიონმა და უხილავ მეტოქესთან საბრძოლველად დაიწყო მზადება. მაშინ სამმაგი ხტომის კორიფეემ ასეთი კომენტარიც კი გაუკეთა ცნობას ამ რეკორდის შესახებ.

— მეხიკოს სტადიონი, სადაც ოლივეირამ ეს რეკორდი აჩვენა, მაღალმთიან კატეგორიას განეკუთვნება. საფიქრებელია თუ ახალმა მსოფლიოს რეკორდსმენმა რატომ გვიჩვენა მოკრძალებული შედეგი — 16.33 თავისი ქვეყნის პირველობაზე?

...ვერცხლისფერმა ლაინერმა კურსი კანადის ქალაქ მონრეალისაკენ, XXI ზაფხულის ოლიმპიადის მასპინძელი ქალაქისაკენ აიღო.

საბჭოთა კავშირის სპორტული ღირსება სამმაგ ხტომაში სსრ კავშირის ჩემპიონს ვ. შევჩენკოს და ვ. სანეევს უნდა დაეცვათ. დადგა 29 ივლისი და ბრძოლაში ჩაებნენ ძლიერნი ამა ქვეყნისა. ისევ სანეევი, თუ ახალი ჩემპიონი? წერენ მონრეალის გაზეთები. ფინალური ასპარეზობის წინ საკლასიფიკაციო შეჯიბრება — (6 ნახტომი) გაიმართა, სადაც 16 მეტრი და 30 სანტიმეტრი უნდა უჩვენო. ასეთია წესი. ასე იყო მეხიკოში. მიუნხენში, ასე დაიწყო მონრეალშიც. პირველი სიურპრიზის მოწმენიც გავხდით: ბრძოლას გამოაკლდნენ ორი უკანასკნელი ოლიმპიადის პრიზიორი ბრაზილიელი ნ. პრუდენსიო, პოლონელი მ. იოახიმოვსკი და მოსკოველი ვ. შევჩენკო.

დადგა ფინალური შეჯიბრების დღეც. ბრძოლას ოლიმპიური ოქროსათვის 30 გრადუსიან სიცხეში 80 ათასი მაყურებელი ადევნებდა თვალს. ოლიმპიურ ჩემპიონის მხარეზეა წლებით დაგროვილი გამოცდილება, სიმშვიდე, ძალების სწორი გაანგარიშება. ამერიკელ, ბრაზილიელ, კუბელ მხტომელებს აქ გამაყრუებელი უიუინით ხვდებიან, აფრიალებენ თავიანთი ქვეყნების დროშებს, აჭყვიტინებენ საყვირებს, გუგუნებს სტადიონი.

მეორე ცდაზე ორგზის ოლიმპიურმა ჩემპიონმა 16.17 აჩვენა და მეორე ადგილზე გადაინაცვლა. ახლა საჭიროა მხედველობიდან არ გამოგრჩეს ლიდერი. ყველაფერი კი ჯერ მხოლოდ წინაა, რადგან 12 ფინალისტიდან 8.17 მეტრიან ზღვარს უმიზნებს. სანეევის შემდეგ გრძელწვივებიანმა ლამაზმა ზანგმა ჯ. ბატსმა 17.76 უჩვენა და ოლიმპიურმა ჩემპიონმა მესამე ადგილზე გადმოინაცვლა. ტრიბუნებზე ყურთასმენა არაა. მაგრამ სანეევს არაფრის არ ეშინია. პირიქით, ასეთ დაძაბულ სიტუაციაში იგი ჭკვიან ლომს წააგავს, რომელიც მშვიდია და ნახტომისათვის ემზადება. ამის გარდა ვიქტორი ჩინებულად იცნობს თავის თავს. იგი მაშინ აენთება, როცა მოახლოებული გამარჯვების წყურვილს გრძნობს. კი მაგრამ, სად არის ოლივეირა? ფიქრობს სანეევი. აგერ ისიც. მან მხოლოდ 16.15 აჩვენა. თავს გადამწყვეტი ბრძოლისათვის ინახავ. ვიცი, რა ეშმაკიცა ხარ, განაგრძობს თავისათვის ფიქრს ვიქტორი. წინათგრძნობამ არც აქ უმტყუნა სანეევს. მსოფლიოს რეკორდსმენმა კარგი სტარტი აიღო, შემდეგ მძლავრი გარბენა, ანარეკლი და შედეგიც სასურველი — 16.85 სანტიმეტრი. ოლივეირა სათავეში მოექცა ლიდერთა სამეულს. სტადიონზე კიდევ უფრო ჩამოცხა. არსაიდან ნიავიც კი არ ჰქროდა, რომ ბული ოდნავ მაინც გაეფანტა. რას ფიქრობდა იმ წუთებში ვიქტორი, ძნელი წარმოსადგენია. ფაქტი კი ერთია, რომ მას ძალიან არ სურდა ორგზის ოლიმპიური ჩემპიონების ფ. და სილვასა და ი. შმიდტის ხვედრი გაეზიარებინა. მესამედ, მესამედ, მესამედ — ჩასძახოდა უხილავი ხმა. მესამე ცდაზე ვიქტორმა, პირველმა მიაღწია 17.06 სანტიმეტრს და მყისვე შეჯიბრების ლიდერი გახდა. დაძაბულობამ სამმაგი ხტომის ორმოსთან, კულმინაციურ წერტილს მიაღწია; ზანგმა ბატსმა გაამართლა ამერიკელთა იმედები და 17.18 ზე გადახტა. სანეევსა და ოლივეირიას კი ხელი მოეცარათ.

როდესაც, უკანასკნელისწინა მეხუთე ცდა უნდა დაწყებულიყო, ვიქტორის თვალები, პირველ რიგეში მჯდომ თავისი მწვრთნელის აკოფ კერსელიანის მშვიდ სახეს შეხვდა. მწვრთნელის დამაჯერებლობამ ოდნავ დაამშვიდა ოლიმპიური ჩემპიონი. სანეევმა, რომელიც ილაჯგაწყვეტილი იყო 2-საათიანი ბრძოლით, ისეთი სიძლიერისა და აზარტული ნახტომი შეასრულა, როგორც ეს მარტო შამბნარში გატრუნულ ლომს სჩვევია—17 მეტრი და 29 სანტიმეტრი. ამის შემდეგ ეს შესანიშნავი ნახტომი, არა ერთხელ უჩვენეს კანადის ტელევიზიით, როგორც სამეცნიერო-დოკუმენტური ფილმი.

უკანასკნელი ცდა ხუთმა სპორტსმენმა აღარ გამოიყენა, მათ შორის სამგზის ოლიმპიურმა ჩემპიონმა ვ. სანეევმაც. აქ უკვე ყველაფერი გარკვეული იყო, ისე როგორც მიუნხენში. თუ საჭიროება მოითხოვდა, საბჭოთა სპორტსმენი მეექვსე ცდაზე კიდევ უფრო შორს გადახტებოდა. ეს სიტყვები მან ჟურნალისტებს მიუნხენში გამარჯვების შემდეგ უთხრა და მათ სისწორეში მონრეალშიც დავრწმუნდით. ამრიგად, მის ოქროს მედლებზე არის წარწერები—მეხიკო, მიუნხენი, მონრეალი, ყველა ქალაქის სახელწოდებას, ისევე როგორც მოსკოვისა ასო „მ"-ით იწყება. სამ ოლიმპიურ ოქროს მედალს, ისევ საბჭოთა მთავრობის მაღალი ჯილდო — ხალხთა მეგობრობის ორდენი და თბილისელთა მზით გამთბარი სიყვარულით აღსავსე მილოცვები მოჰყვა.

1977 წლის იანვრის ბოლო დღეს სლოვაკიის დედაქალაქ ბრატისლავაში საზეიმოდ გამოაცხადეს „ბრატისლავის" ყოველკვირეული ანკეტის შედეგები, რომელსაც რესპუბლიკური გაზეთი „შპორტი" ატარებს. თუ წინა წლებში გამოკითხვა-რეფერენდიუმი მიზნად ისახავდა მხოლოდ კონტინენტის უძლიერეს მხტომელთა გამოვლენას, ახლა ამ თავისებურმა შეჯიბრებამ უფრო ფართო მასშტაბი მიიღო — მსოფლიოში საუკეთესონი უნდა დაესახელებინა. კენჭისყრაში მონაწილეობდა ხუთივე კონტინენტის 36 სახელმწიფოს 254 ცნობილი სპეციალისტი — სამოყვარულო მძლეოსნობის საერთაშორისო ფედერაციის საბჭოს წევრები და ევროპული მძლეოსნობის ასოციაციის ხელმძღვანელები, წარსულში გამოჩენილი სპორტსმენები, სტა-

ეროვნული

ტისტ-ჯოხეში, წოლი რიგი ცროვნული ფედერაციის წარმომადგენლები.

უაღრესად დამაჯერებელი გამარჯვება მოიპოვა სამგზის ოლიმპიურმა ჩემპიონმა სამხტომში, ვიქტორ სანეევმა (სსრ კავშირი), რომელმაც უკან ჩამოიტოვა მსოფლიოს მაშინდელი რეკორდსმენი სიმაღლეზე ხტომაში, ამერიკელი დ. სტოუნზი, ოლიმპიური ჩემპიონი, პოლონელი ი. ვშოლა და სხვა პოპულარული მძლეოსნები.

ნიშანდობლივია ისიც, რომ სანეევმა 2227 ქულით მოიპოვა მსოფლიოს პირველი მძლეოსნის სახელი. ტრადიციული რეფერენდუმის 129 მონაწილეთ, ამ სიაში მას პირველი ადგილი მიაკუთვნა. მძლეოსნობის 50 სპეციალისტმა თბილისელი მეორე ადგილზე გაიყვანა, ხოლო 32-მა ჟურნალისტმა მესამე ადგილზე დატოვა.

მონრეალის ოლიმპიადაზე ვიქტორ სანეევის ტრიუმფალური გამოსვლის შემდეგ, სპეციალისტებმა ხელმეორედ გადახედეს ჩვენი სამყაროს უველაზე გრძელი მძლეოსნების სიას. „თბილისელი კენგურუს" დიდი სპორტსმენობა მანამდესაც მტკიცედ სჯეროდათ და აშკარად სწამდათ, მაგრამ კანადაში წარმატებამ სულ სხვაგვარ რაკურსში დაგვანახა ლეგენდარული მძლეოსნის პიროვნება. სწორედ მონრეალის ოქროს ჯილდომ დააგვირგვინა, ათეული წლების განმავლობაში მოპოვებული უთვალავი გამარჯვებანი. როცა სპეციალისტებმა დაითვალეს მისი წარმატებები, აღმოჩნდა, რომ არც ერთ მძლეოსანს მსოფლიოში 16 წლის მანძილზე ამდენი გამარჯვება არ მოუპოვებია (მხედველობაში არა გვყავს ოთხი ოლიმპიადის ჩემპიონი ბადროს ტყორცნაში ამერიკელი ფ. ორტერი). ერთი რამ კი სრულიად აშკარაა, რომ ვიქტორ სანეევს თავისი შედეგების სტაბილურობით ვერავინ შეედრება, თუ რა თქმა უნდა მას ტრავმა არ აწუხებს, როგორც ეს 1978 წლის სპორტული სეზონის დასაწყისამდე იყო [illegible] ტომ ვამბობთ, რომ აქილევსის ქუსლის მძიმე ოპერაციის შემდეგ, 18 წლის განმავლობაში პირველად ვ. სანეევი გამოვიდა საკუთარ ქალაქში, თავისი ათასობით გულშემატკივართა წინაშე, სადაც სსრ კავშირის ჩემპიონატი მიმდინარეობდა.

თბილისის ვ. ი. ლენინის სახელობის „დინამოს" შესანიშნავ სტადიონის სახტომ ბილიკზე გამარჯვების შემდეგ, ოლიმპიურმა ჩემპიონმა განაცხადა: „შესაძლოა დღეს უფრო მეტს ველოდი, ვიდრე წინა წლებში, რადგან არ მინდოდა თავი შემერცხვინა ჩემი ქალაქის გულშემატკივრების წინაშე, რომლებიც ასე მტკივნეულად განიცდიან თითოეულ წარმატებას: ძალიან მოხარული ვარ, რომ 17-მეტრიან ზღვარს გადავაბიჯე და ამის სამასურად ოქროს მედალი მოვიპოვე". გავიდა კიდევ რამდენიმე კვირა და ახლა ტელეტაიპმა შორეული ტოკიოდან მოიტანა სანეევის წარმატების ამბავი. მან დიდ საერთაშორისო შეჯიბრებაზეც გამოიჩინა თავი და რაც მთავარია, მისი გამარჯვების ნახტომის სიგრძე, ისევე როგორც თბილისში, აქაც 17-მეტრიან ზღვარს იქით იყო.

ახლა ჟურნალისტები ისევ არ ასვენებენ სამი ოლიმპიადისა და ევროპის მრავალი ჩემპიონატების ტრიუმფატორს კითხვით: ნუთუ არ გამოხვალთ მოსკოვის ზაფხულის XXII ოლიმპიადაზე, რომელიც პირველად ტარდება ჩვენს სამშობლოში? ვიქტორი ეშმაკურად იღიმება და დავდაჯერილად ამბობს, ვნახოთ, მომავალი გვიჩვენებს.

მისი უქკნობი ნიჭის თაყვანისმცემლებს კი სჯერათ, რომ სანეევი მოსკოვის ოლიმპიადაზეც გამოვა და ლუჟნიკებშიაც გაიმარჯვებს. ჩვენც სიამოვნებით გვინდა შევუერთდეთ ასეთ ოპტიმისტთა განცხადებას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

კულტურული ცხოვრების ქრონიკა

აფრიკა

ძველი პლატოს საგანძური

ერთხელ საჰარის გულში ძნელად მისადგომ პლატოზე რომ ავიდა, სამეცნიერო-ექსპედიციამ აღმოაჩინა ნეოლითის ხანის ფასდაუდებელი კულტურის ძეგლები. ამის თაობაზე ოციოდე წლის წინათ იტყობინებოდა ექსპედიციის ხელმძღვანელი, ფრანგი არქეოლოგი ა. ლოტი. ნეტა ახლაც შეიძლება ძველი მხატვრების სურათების ნახვა? ეს თურმე სრულიადაც არ ყოფილა შეუძლებელი, თუმცაღა თასილინ-აჯერის მასივი, ანდა, როგორც მას ჩვეულებრივ უწოდებენ, თასილი, აქ ქვეყნის დასაკარგავში ჰგონიათ.

ძნელად მისადგომი კია, მაგრამ თასილის პლატო მოგზაურს ხელუხლებელი ბუნების იშვიათი სანახაობით აჯილდოებს. ირგვლივ სიცოცხლის ნასახი არ იგრძნობა, მარტოოდენ მზით გათაკარებული ქვები და კლდეებია, და მდუმარება, რასაც ხანდახან ქარის წივილი თუ დაარღვევს.

მოხატულობა? მოხატულობაც იქვეა, კლდეთა ფერხთით, მღვიმეებსა თუ პატარ-პატარა გამოქვაბულებში, სადაც ოდესღაც ადამიანები ცხოვრობდნენ. გამოქვაბულის კედლებზე მოჩანს ადამიანთა თუ ცხოველთა გამოსახულება. ადამიანები ძველადაც ასე მორთავდნენ ხოლმე თავიანთ საცხოვრისს. მასალაც ხომ თავსაყრელი ჰქონდათ — ჟანგმიწა, თეთრა.

პლატო სავსეა მინიატურული თუ დიდი მოცულობის, პრიმიტიული თუ გასაოცარი მხატვრული ღირსების მოხატულობით. ყველა ისინი მოგვითხრობს საჰარის ისტორიის ხანგრძლივ პერიოდზე — ჩვენს წელთაღრიცხვამდე მე-8 ათასწლეულიდან ძველი რომის ხანამდე. აქედან საცნაური ხდება, რომ არც ისე შორეულ დროში საჰარა აყვავებული მხარე ყოფილა. ადრეულ მოხატულობაზე ვხედავთ ბეჰემოტებს, მარტორქებს, ტროპიკულ ცხოველთა სამყაროს სხვა წარმომადგენლებს. მათ ცვლის სავანების მკვიდრნი — კამეჩები, ანტილოპები, ჟირაფები. მოგვიანებით კი ჩნდება ცხენები, ბოლოს — აქლემები. იცვლებოდა ადამიანთა ყოფაც. მეცნიერების აზრით, თასილის საგანძურში თავისი წვლილი შეიტანეს ნეგროიდულმა ტომებმა.

თასილის პლატო სამართლიანად ითვლება წინაისტორიული მხატვრობის მსოფლიოში უმდიდრეს მუზეუმად. იგი მართლაც ჩამოგავს მუზეუმს. აქაც არის თავისებური „დარბაზები", სადაც ძალიან ბევრი მოხატულობაა თავმოყრილი. უჩვეულოდ ჟღერს მათი ტუარეგული სახელწოდებები — თამრიტი, სეფარი, ჯაბარენი, თინ თაზარიფტი... ექსკურსიამძღოლობას აქ ტუარეგები — ამ რამდენიმე ხნის წინათ შექმნილი სახელმწიფო ნაკრძალის თანამშრომლები ეწევიან.

აშშ

გაზეთი 300 წელზე მეტი ხნისაა

ამერიკის შეერთებული შტატების კონექტიკუტის შტატის ერთი პატარა ქალაქის მცხოვრები ელტონ კეთჰუმი გაზეთების უდიდესი კომპლექტის მფლობელია. სულ ამ კოლექციონერს მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის 100 000 ცალზე მეტი გაზეთი აქვს. უპირატესად ეს ძველი გაზეთებია. მათ შორის ყველაზე ძვირფასია ინგლისური „ლონდონის გაზეთის" 1665 წლის 12 თებერვლის ნომერი.

ბრაზილია

ნუთუ „ელდორადოა"

ბრაზილიელ არქეოლოგთა ექსპედიციამ მდინარე ამაზონის აუზის უსიერ ტყეში, ვენესუელის საზღვართან ახლოს აღმოაჩინა უცნობი ქალაქის ნაშთები. ხშირმა მცენარეულობამ, რასაც ძველი ნაგებობები დაუფარავს, საშუალება არ მისცა მეცნიერებს უფრო ახლოს გაცნობოდნენ ქალაქს და დაედგინათ ნანგრევთა სტილი და ასაკი. ამის მიუხედავად, არქეოლოგებმა აღმოაჩინეს სამი 150-150 მეტრი სიმაღლის პირამიდა, რომლებიც ექსპედიციის ხელმძღვანელის რ. ჰ. ბრანდაოს თქმით, გარეგნულად მექსიკურ პირამიდებს ჩამოგავს.

გამოითქვა აზრი, რომ ნაპოვნი „მიტოვებული ქალაქი" შეიძლება ინკების ლეგენდა-

რული „ელდორადო“ აღმოჩნდეს. ამას კი გულმოდგინე კვლევა ესაჭიროება.

ეგვიპტე

იღუპება ძველი ძეგლები

მუსულმანური ხუროთმოძღვრების ადრეული ძეგლები, რომლებიც კაიროს ერთ-ერთ უძველეს უბანში — ხან ალ ხალილის ბაზრის ახლოს მდებარეობს, დასაღუპავადაა განწირული. ასეთი სამწუხარო დასკვნა გამოიტანეს მრავალი ქვეყნის ექსპერტებმა.

იუნესკოს მონაცემებით, კაიროში შემონახულია 500 ხუროთმოძღვრების ძეგლი, **რომლებიც მე-7-9 საუკუნეებს** განეკუთვნება. გაზეთ „ალ-ახრამის“ ცნობით, ამ ნაგებობათა უმრავლესობა სავალალო დღეშია და ყოველ წუთს შეიძლება დაინგრეს. ეგვიპტელი სპეციალისტის მ. ალბახი ისვის თქმით, თუ სასწრაფოდ არ იქნა მიღებული ზომები, ჩვენს დრომდე შემონახული შუა საუკუნეების ქალაქის ფრაგმენტები 20 წელიწადზე მეტს ველარ გაძლებს.

ამონაბოლქვი გაზების, მიწისქვეშა წყლებისა და ადამიანის გამანადგურებელი მოქმედების შედეგად იღუპება ხუროთმოძღვრების უნიკალური ძეგლები.

არქიტექტურულ ნაგებობათა ნამდვილი ჭირია ეგვიპტის დედაქალაქის ქუჩების მოსახლეობა. 13 საუკუნის კალაუნის საავადმყოფოში ბინადრობენ მრავალრიცხოვანი ღარიბული ოჯახები. ალ-გამალიას რაიონის ცხრა ძველ მეჩეთში ათასამდე კაცი ცხოვრობს. ათი ათასობით ადამიანს შეუფარებია თავი „მკვდართა ქალაქის“ შუა საუკუნეების აკლდამებსა და მავზოლეუმებში.

ექსპერტების აზრით, კაიროს ისტორიულ რელიქვიათა გადარჩენის პრობლემა ძირეულად მხოლოდ ეგვიპტის დედაქალაქის სხვა პრობლემებთან ერთად უნდა გადაწყდეს. ეს კი უპირველეს ყოვლისა მწვავე საბინაო კრიზისის ლიკვიდაციას გულისხმობს.

КОНТРОЛЬНЫЕ ЭКЗЕМПЛЯРЫ

გარეკანის მე-2 გვერდზე — „გალაკტიონ ტაბიძე“. მოქანდაკე ჯუნა მიქატაძე.

ჩ ვ ე ნ ი მ ი ს ა მ ა რ თ ი: თბილისი, 380007, დადიანის ქ. № 2.

ტ ე ლ ე ფ ო ნ ე ბ ი: მთავარი რედაქტორი — **99-85-81**, მთ. რედაქტორის მოადგილე — **72-26-32**, მდივანი — **72-44-78**, განყოფილებათა გამგეები — **72-26-35**, პროზის — **72-26-30**, ლიტერატურული თანამშრომლები — **72-47-62**, „ცისკრის“ დამატება — **72-17-01**, ხაკორექტორი — **72-43-75**.

გადაეცა ასაწყობად 23.5. 80 წ., ხელმოწერილია დასაბეჭდად 11.7 80 წ., ქაღალდის ზომა 70×108. ფიზიკურ ფორმათა რაოდენობა 10. პირობით ფორმათა რაოდენობა 14. საალრ-საგ. თაბახი 15.85. შეკვ. № 1460. უე 00690. ტირაჟი 40.100.

საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა, თბილისი, ლენინის 14
Типография издательства ЦК КП Грузии, Тбилиси, ул. Ленина, 14.

42921

ფასი 60 კაპ.

ინდექსი 76286

ЕЖЕМЕСЯЧНЫЙ ЛИТЕРАТУРНО-ХУДОЖЕСТВЕННЫЙ И ОБЩЕСТВЕННО-ПОЛИТИЧЕСКИЙ ЖУРНАЛ

«ЦИСКАРИ»

ИЗДАТЕЛЬСТВО ЦК КП ГРУЗИИ